114/4
1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

114/4

ძალა

7

46

სახელმწიფო გამომცემლობა
ფოთი 1930

პროლეტარიატი ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ბიბლიოთეკა

მეაბორი

7

ყოველთვიური მხატვრული ლიტერატურული
მეცნიერული პუბლიცისტური ჟურნალი

ბოლიშევიკი მიშვიდე

ივლისი

ტფილისი
ტფილისი 1930

M-343

მხატვრული ლიტერატურა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბეზარ მოკალმეებს

თავს ჰომერს შეადარებს,—
ბლაგვი, უნიჭო, მკრთალი;
მოვა და მოგაძალებს
ყალბი პათოსით მთვრალი:

— „დამიწერია მარა,
სახელმწიფოდ ღირს პწკარი,
ამ ეპოქისთვის კმარა
სახელად ჩემი გვარი!..“

გამბედაობა შესწევს,
ცქერა აქვს უტიფარი,
თუ დაგიხელთა შენს მტერს,
ვეღარ გიშველის ფარი.

ლანძღე, აგინე თუნდაც,
არ ერიდება კიცხვას,—
იძულებულს გხდის სდუმდე
იწყებს მთელი ხმით კითხვას.

გარწმუნებს:—„ყველა მაქებს,
ხალხი და სტუდენტობა
(ყალბ ცნობებს დაალაგებს),
დავიმსახურე ნდობა!“

ხან სჩივის:—„მდევნის ყველა:
მთავრობა, კაცი, ქალი,
არსაიდან სჩანს შველა,
გარს შემომერტყა რკალი!..“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ შეგხვდა რესტორანში,
არ გაცლის სმას და ჭამას:
— „მე ის დავსწერე მაშინ,
მე ეხლა დავსწერ ამას!..“

გინდა ყვირილი მორთო,
გინდა დარეკო ზარი:
— „გვიშველეთ, მოგვაშორეთ,
ეს კაცი აბეზარი!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდვრად

ტყეს ალალმა დაუქროლა,
შიში გრგებია—
მკერდზე ორი მტრედიც მიტომ
დაგძგერებია.

მიდიხარ და შარა-გზაზე
არხევ თოხის ტარს;
ცას ღრუბელი მოხვევია,
ნისლი ნამავს ტანს.

მოველი და გითხარ:—ყანის
გაგიმარგლო ქვაც—
მიპასუხა:—სოფელს ეხლა
ყანა ერთი აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშრომელთა დღესასწაულზე სოფლად

როცა მწვერვალებს
სხივი მხურვალი
შემოეხვია
ოქროს ძაფებათ,
ცამდე მაღლდება
ხმები მრავალი—
ამხანაგების
გამოძახება.
ვით წეროები
ხალხი მშრომელი
ჩამწკრივებულნი
გამოიმართა,
მაშინ ბობოლა
დაუნდობელი
შურით აღსილი
მოდგება კართან.
ეს მოედანი
თითქოს მზე არის,
ყოველი შარა
მისი სხივები,
სადაც ცხოვრება
დაუდეგარი
მაღლდება, როგორც
ქარხნის მილები.
ვიცი რა არის
მეც აღტაცება
(მძიმე ტანჯვებიც
გადამკიდია)
მაგრამ დღეს გულში
ვეღარ თავსდება—
გრძნობა:—
რომელიც ჩემზე დიდია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნორჩ ყვავილებში
ჩამჯდარა ხარბად
ბავში უსიტყო,
ყელმოღერილი,
და გავიფიქრე,
ეს არის ალბად
ბარტყი ბუდიდან
გადმოფრენილი.
ფოთლებს შეარხევს
სიტყვა მართალი
ხალხის გულიდან
ამოხეთქილი,
როცა ბობოლა
მოდის ქაქანით
თითქოს ის კაცი
არის კეთილი.

. . . . . .

უცბად შეჩერდა—
ასწია თავი,
—ჩიბუხს მოსწია,—
გამოაბოლა
და შეტრიალდა
სევდა ნაკრავი.
კრება თავდება—
არის გვიანი,
მთიდან ნიავმა
ცივად დაბერა
და ყველგან ისმის
იმედიანი,
გამარჯვებული
ხალხის სიმღერა.

კალე ბოგოლიუბოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშათა შგანში

ვიღაც ატირებს გიტარას:
„შორი ცა წყვდიადმა დანისლა,
ბნელს უნდა მსხვერპლის მიტანა
ძნელდება ალესა დანისა!
აქ მუშა შრომაში შეზრდილა
და ლიანდაგი ხვეულა,
ცისტერნა გავსილა ბენზინით
და გაურუჯავს სხეული.
ჩვენ გვახსოვს სისხლისგან, რომ გვცლიდა
„ბედის უკულმა ტრიალი“:
სიბნელევ, აწ უნდა მოგვცილდე—
მანქანებს გააქვს გრიალი!
სიშორეს თვალები გაუძლებს,
ქარულა გარეკავს ბოლებს:
ვიჩქაროთ, ერთმანეთს გაუსწროთ
აკორდებს მოუღოთ ბოლო!..
ძნელ შრომამ დე, ოფლით გაგვბანოს
დიად მომავლის გმირები!..
მოვკვდებით,— არა ვართ „საბრალო“—
განთიადს შევეწირებით!
ხუთწლიან გეგმას ვაკეთებთ!
საკუთარ ოფლით და სისხლით!
აღმშენებლობის მოტრფე ვართ
მტრებს შევაჩვენებთ ზიზღით!

ალექსანდრე ჟუთათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთიადის წინ

რომანი

I

დღეს ტფილისს არაფერი ეტყობოდა ისეთი, რომ ხვალ დიდი ისტორიული ამბავი მომხდარიყო (კორნელის გაგებით). ცხოვრება ჩვეულებისამებრ მიმდინარეობდა. 1917 წელში უკვე მეორე თვეა რაც გადავდექით და ომს დასასრული მაინც არ უჩანდა. ფრონტებიდან საიმედო არაფერი ისმოდა. ომი ნთქავდა ისევ ქალაქების სიმდიდრეს და სოფლის ჭირნახულს: ცარიელ ფურნესთან, სასურსათო მაღაზიებთან გრძელი „კუდები" იდგა, მთავრობას ხმამაღლა აგინებდენ, ერთმანეთს იდაყვს სცემდენ და მურტალი სიტყვებით უმასპინძლდებოდენ (განსაკუთრებით რუსი დედაკაცები). რიგში ხანდახან ვექილი ესტატე მაჩაბელის ცოლიც კი იდგა...

ესტატე მაჩაბელის ცოლი, ვარდო ამ დილით შინ არის. მაგიდაზე შიშინებს ადუღებული სამოვარი. ესტატე ათავებს ჩაის სმასა და გაზეთის კითხვას თავის ოთახში, საწერ მაგიდაზე ვიღაც მკვლელის საქმეს ეცნობა. მისი 15 წლის ქალი, ნინო, ჩანთაში წიგნებს აწყობს და სკოლაში მიდის. ძიძა ჭოცნის სამჯერ შუბლზე, ჭკუაზე არიგებს, აფრთხილებს არ გაციოდეს და მზრუნავი ხელით ტანისამოსს უსწორებს.

ნინო დერეფანში გამოვიდა და კორნელის ოთახის კარებზე დააკაკუნა. კარი იმავ წამს გაიღო. ბნელ დერეფანიდან ოთახში შემოსულ ნინოს ფანჯრის სინათლე დაეცა და მისი ნათელი სახე, მაყვალივით შავი თვალები და ბროლივით თეთრი კბილები კიდევ უფრო აელვარდენ. ასულის ღიმილმა, რატომღაც, საშინლად აუტოკა გული კორნელის (ეს არასოდეს დაჰმართია). იდგა სრულიად წითელი, დაბნეული. ეს იყო ბურუსში გახვეული გრძნობა პირველი სიყვარულისა.

— მოდიხარ, თუ კიდევ დიდხანს დაგაგვიანდება?

— ეხლავე, ნინო! უპასუხა კორნელიმ სიცილით: „ჩემს ხელში დაქალდა"— გაიფიქრა კორნელიმ და უცნაურად უცქერდა ისევ ნინოს სახეს, ჯერ კიდევ ბავშურის გულუბრყვილობით შეხრილ ტუჩებს და სარმასავით ჩამოქნილს ფეხებზე ზონარით აბნეულ ფეხსაცმელს.

კორნელი ესტატეს შორეული ნათესავია. ყმაწვილის მშობლებმა სთხოვეს ესტატეს თავის ბინაზე აეყვანა კორნელი და ვექილმა დაუთმო [illegible] ოთახი. კორნელის მშობლები ზემო-იმერეთში სცხოვრობენ. ის ხუთი [illegible] რაც ესტატეს ბინაზეა და ამ ოჯახს მეტად შეჩვეულია და უყვარს. კორნელი ჩამოიყვანეს ტფილისში 1911 წელს; დედამ სადგურიდან ეტლით წამოიყვანა. წინ და უკან მოჰქროდენ ტრამვაის რონოდები; შეშინებული ყმაწვილი ფეხზედ იდგა და გაფითრებული ყვიროდა: „დედა, დაგვეტაკება!“ კორნელი მაშინ კარგა მოზრდილი ყმაწვილი იყო, მაგრამ პროვინციიდან პირველად ჩამოსული ტფილისში, სატახტო ქალაქში. იმ ხნობით ნინო 9 წლის თუ იქნებოდა, ხოლო კორნელი 11-ისა და ეხლა გასაგებია თუ რისთვის ჰფიქრობდა ამ დილით კორნელი შველივით სწრაფს და მკვრივ გოგონას შესახებ: „ჩემ ხელში დაქალდა!“

კორნელი შველოდა ნინოს მათემატიკურ საგნებში, ნინო კი თავის წილ მას ფრანგულ და გერმანულ ლაპარაკს აჩვევდა. ფრანგული ამ ოჯახმა კარგად იცის. მაგრამ ამ დღიდან 18 წლის ვაჟისა და 16 წლის ქალის ხშირი შეხვედრა და ოთახში განმარტოება, ბგონი, სახიფათო უნდა იყოს!

* * *

კორნელი და ნინო ჩამოვიდენ ქვედა სართულზე. საშინელი წივილ-კივილი შემოესმათ. ქვედა სართულზე კორნელის მასწავლებელი სტეფანე სტეფანესძე შიმანსკი სცხოვრობს. საქმე შემდეგში ყოფილა: ვილაცას შიმანსკის ინდაური მოუკლავს.

მარგარიტა თეოდორეს ასული შიმანსკისა გაკაპასებული შეევარდა სახლში და თავის მეუღლეს მიჰმართა:

— სტეფანე, ჩვენი ინდაური მოუკლავთ. რა ოხერი ხალხია! არც იხვი, არც ქათამი და არც ინდაური არ შეგვარჩინეს. არა, მითხარი, ეხლაც ნუ ამოვიღებთ ხმას?

— კი, მაგრამ იცი, გენაცვალე, ვინ მოჰკლა ჩვენი ინდაური? სთქვა სტეფანემ და რვეულების გასწორებას თავი გაანება. ცოლი დასდგომოდა თავზე დოინჯშემოყრილი და საომრად გამზადებული:

— შენ პირდაპირ ნერვებს მიშლი!

— რატომ? შეეკითხა სტეფანე.

— პირში გვაფურთხებენ, ცხოვრებას გვიმწარებენ და ეს ზის არხეინად თავის ოთახში; შენ რომ დაგიჯეროს კაცმა—არავის არ უნდა ვაწყენინოთ, ყველამ უნდა დაგვაჯდეს თავზე. ჭირიც მომჭამე, თუ არაფერს იტყვი, მე კი რაში მენაღვლება?! ვნახოთ როგორ გასუქებულ ინდაურს მოგვართმევენ ამ საღდგომოთ?!—ანჩხლობდა მარგარიტა.

— სთქვი, ქალო, ვის ვეცეთ, ვის ვცემოთ, ვის მოვთხოვოთ პასუხი? იცი ვინ არის შენი ინდაურის მკვლელი?

— ძალიან კარგადაც ვიცი!—უპასუხა მარგარიტამ. ჩვენი დიასახლისის გარდა მას არავინ მოჰკლავდა.—სთქვა მან და დაიძახა—„ევდოკია!“ შემოვიდა მრეცხავი ქალი, ევდოკია. ქაფში დასველებულ და ცხელი წყალით მოხარშულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებს წინსაფარით იმშრალებდა. მარგარიტას შეკითხვაზე, ეზოში ევდოკიამ განაცხადა:

— არ მოიშლის ეს შიმანსკის ქალი ფრინველებისა და ამ ინდაურის ყიდვას, სანამ არ მოუკლავთო! გაიმეორა ევდოკიამ დიასახლისის სიტყვები და დაამატა: „სულ წამიბილწეს ეზოო!“

— მერე როგორ მოვიქცეთ?—შეეკითხა ცოლს სტეფანე.

— ეს შურია, მათ ეჯავრებათ რუსები! უპასუხა მარგარიტამ.

— მაგნაირ ლაპარაკს, თუ ხათრი გაქვს, თავი გაანებე! —შენიშნა სტეფანემ.

— ფუ, შენ მაბრაზებ მე! შენ მამაკაცი კი არა დედაკაცი ხარ!

გაუჯავრდა მარგარიტა და კარები მიახეთქა... ქმარი შებრუნდა მაგიდისაკენ, ხელი ჩაიქნია და განაგრძო მოწაფეთა რვეულების გასწორება. (მას უნდა მოესწრო ეს მესამე გაკვეთილისათვის).

შიმანსკის ქალმა ჩაიცვა, ჩქარის ნაბიჯით გამოვიდა გრიბოედოვის ქუჩაზე და გაეშურა მეორე უბნის პრისტავისაკენ. თანახმად შიმანსკის ქალის თხოვნისა უკანასკნელმა გაგზავნა გოროდოვოი—ონისიმე დანელია საქმის გამოსაძიებლად. მამალი ინდაური იპოვეს მეზობლის, მღვდელი ტიმოფეევის ეზოში. ინდაურისათვის თავი გაუჭყლეტიათ და გალურჯებულ ბიბილოზე სისხლის წვეთი დაჭკიდნია და მიმხმარა. მარგარიტა უცქერდა ერთი კვირის განმავლობაში თავისი ხელით ნასუქ ინდაურს და ბრაზობდა. ეზოში ხალხი მოგროვდა.

დიასახლისის, მაკრინეს ქალი, ქეთო საჩქაროთ ჩამოვიდა აივნიდან ეზოში და მარგარიტას მიმართა:

— როგორ? ჩვენ გვადებთ ხელს? როგორ ბედავთ?

შიმანსკის ქალმა დაიმოწმა ევდოკია.

— ტყვილია. მაგი რუსია და, რა თქმა უნდა, თქვენ მოგიდგებათ! თქვენი ინდაური ძაღლმა მოჰკლა. არა, ჰკითხეთ ამ ყმაწვილს.—აუწია ხმა ქეთომ. ყმაწვილმა განაცხადა, რომ ინდაურმა შეუტია ჩასაკორტნად ძაღლს და ძაღლმა თავი გაუტკივრაო.

— ძაღლის ნაკბენს რა უგავს? დაეხმარა ევდოკია მარგარიტას.

მოიტანეს ინდაური და ექსპერტებმა ვერ გამოარკვიეს: ჯოხმა გაუტეხა, ქვამ თუ ძაღლის კბილებმა თავი ფრინველს.

— თქვენ რომ მეზობლებს არ წაეკიდოთ, ისე ხომ ვერ მოისვენებთ?! უკბინა მარგარიტას დიასახლისის ქალმა ქეთომ.

— მე კი არა, თქვენ არ ასვენებთ ხალხს, გვავიწროებთ, არ გვაძლევთ ცხოვრების საშუალებას! ცხარობდა შიმანსკის ქალი.

— ვიცით ჩვენ თქვენი ცხოვრება და რაც შვილი ბრძანდებით?!

შეაპარა ქეთომ.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ცხოვრების წყარო სინდისიერის გზით გვაქვს გაჩენილი, თქვენ კი... გარკვევით და ხმამაღლა დააყარა მარგარიტამ უხიაკი სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ თქვენ მაგას ამბობთ, მე შემიძლია გიწოდოთ თქვენ „ულინდისო!“ მიახალა ქეთომ. მარგარიტა აენთო და მიწვდა ქეთოს.

გოროდოვოი ონისიმე შუაზე ჩავარდა, მაგრამ საპირფარეშოში მოქნილმა ქეთოს ფრჩხილმა მარგარიტას გაუკაწრა ლოყა და თვალის უპე. შეიქნა წივილ-კივილი. სტეფანე იდგა ფანჯარასთან და ცოლს ეძახდა. მარგარიტა შემოვიდა, კარები შუბლზე მიარტყა და ისტერიკა გამართა. გოროდოვოი ონისიმე დანელია იდგა ეზოში და იცინოდა.

— დაღუპული ამ ქალების თავი! რა ყოფილა, კაცო, ეს ქალები? ამან შარისგან! სირცხვილია, ჩემი ბატონი! ქალების ჩხუბი ვინ გეიგონა?

როდესაც მასწავლებელის სტეფანე შიმანსკის ცოლი, მარგარიტა დაწყნარდა ვარდოსთან ავიდა და მისი სურვილის თანახმად ესტატეს ასეთი საჩივარი დააწერია.

ქ. ტფილისი, გრიბოედოვის ქუჩის №-ში
მცხოვრებ, აზნაური, მარგარიტა თეოდორეს
ასულის შიმანსკის

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

20 თებერვალს, თანახმად ჩემი თხოვნისა, ქ. ტფილისის მეორე უბნის პრისტავის პროხოროვის მიერ გამოგზავნილი იყო გოროდოვოი ონისიმე დანელია ჩემი ინდაურის მკვლელის კამოსარკვევად. როდესაც ინდაური იპოვეს თავგატეხილი მეზობლის, მღვდელის ტიმოფეევის ეზოში, გოროდოვოი ონისიმე დანელია შეეკითხა ჩვენ დიასახლისს მაკრინე ჯუმუხიძეს, (რომელმაც ინდაური მოჰკლა და მღვდელ ტიმოფეევის ეზოში გადისროლა), თუ რამ აიძულა იგი გადაეგდო ინდაური მეზობლის ეზოში და რათ არ მაუწყა მე მომხდარი ამბავი, როგორც ინდაურის პატრონს, რაზედაც მან მისცა მიკიბულ-მოკიბული და არაგარკვეული პასუხი. ამ დროს დიასახლისის, მაკრინეს ქალმა, ქეთომ, რომელიც ბინიდან აივანზე გამოვარდა, აქვე ყოველ მიზეზის გარეშე ჩემის მხრით, ორჯერ მიწოდა საჯაროთ „ულინდისო“ და ფიზიკური შეურაცყოფაც მომაყენა. შეურაცყოფა იყო მოყენებული გოროდოვოი ონისიმე დანელიას და ჩემს ბინაზე მომუშავე მრეცხავი ქალის ევდოკია ლოპატინას თანადასწრებით.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ ჩემთვის მეტად სამძიმოა ამგვარი შეურაცყოფის ატანა, მაქვს პატივი ვითხოვო სათანადო განკარგულება თქვენი მაღალკეთილშობილებისაგან, რათა მისცეთ პასუხისგებაში ქეთო ჯუმუხიძისა...

და გამოიძახოთ დასაკითხავათ ჩემი მოწმეები: გოროდოვოი ონისიმე დანელია და მრეცხავი ქალი გლეხი ევდოკია ლოპატინისა, რომლის მისამართი პირადათ ვიცი.

მარგარიტა თეოდორეს ასული შიმანსკისა.

როდესაც სტეფანემ ეს საჩივარი წაიკითხა ესტატე და ვარდო მაჩაბლების წინაშე სირცხვილი იგრძნო და ცოლს საყვედური გამოუცხადა, მაგრამ მარგარიტამ ჩაჰქოლა ის და თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა.

ყოველივე აქედან მეტად საინტერესო ამბავი გამოვიდა, მაგრამ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა და ვფიქრობ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ძვითხველი დამეთანხმოს, თუ როგორი ჩვეულებრივი და ყოველდღიური წვრილმანებით სავსე ცხოვრება მიმდინარეობდა ქ. ტფილისში და არავითარი საბუთი არ ყოფილა იმისა, რომ ხვალ დიდი ისტორიული ამბავი მომხდარიყო (კორნელისათვის).

როდესაც კორნელი და ნინო სკოლიდან მოვიდენ, ესტატემ სადილზე ჰუმორულ ხაზებში მოჰყვა შიმანსკის ინდაურის მოკვლის ამბავი და ბევრიც იცინეს.

* * *

ნასადილევს კორნელიმ ჩანთაში სავარჯიშო ტანსაცმელი ჩააწყო და ავლაბრისაკენ გაეშურა. იქ, მეხუთე ვაჟთა გიმნაზიაში, იყო მოთავსებული რუსთა სატანვარჯიშო საზოგადოება („შევარდენი"). მწურონელებად იყვნენ ჩეხები. წრეები დაეწყო. შემოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე მოხუცი ლუკეში და გაისმა ჩეხური მისალმება: „ნაზდარ!" კორნელის სიხარულისგან გული ჩიტივით უფანცქალებდა; წრეები მივიდენ იარაღებთან და დაიწყეს ვარჯიშობა; ღერძზე, ორძელზე და რგოლებზე ტრიალით, ყირა და ამართით დაღლილმა კორნელიმ ოფლიანი ტანი ჩამოირეცხა, ჩაიცვა და ამხანაგებთან ერთად შინისაკენ გამოსწია.

აგლაბრის განაპირა უბანში, ორის ქუჩაზე, თავთავიანთ სახლის წინ ისხდენ ფეხმორთხმული, ჭორიკანა დედაკაცები, ხელში წინდისჩხირით და ქსოვდენ. მტვერში ამოსვრილი, ფეხშიშველი ყმაწვილები გადადიოდენ ართურმას...

სამუშაოდან მოდიოდენ მუშები, სახედადუმებული და შავად გარუჯული დურგლები; გრძელი და ძარღვიანი მკლავები დაჰკიდნიათ გამხდარს ტანზე და ჰფიქრობდენ მწარედ ხვალინდელი ლუკმა-პურისათვის.

მოდიოდენ დღიურ სამუშაოდან აგურისა და კირის მტვერით დაფარული ფურგონები; მოაბიჯებდენ დღისით დაღლილი და ეხლა თავჩაქინდრული ცხენები; სავსე იყო ამ დილით საზამთროთი და დუთმით ეს ფურგონი, რომელსაც დაბერილი ძარღვით და ფართო ნესტოების ქშენით ეზიდებოდენ ალმართზე ცხენები.

მოდიოდენ ხარატები და ზეინკლები; ყველა თავის პაწია სახლ-კარს, გარემოს აშურებდა, სადაც გამეფებულა შიმშილი, წყურვილი და გაჭირვება...

ქუჩაზე მტვერია და სიცხე...

ძაძაში გახვეული, თავშალიანი და ჭორიკანა დედაკაცები დამსხდარან თავთავიანთ სახლების წინ; ყველა მოელის ოჯახის მარჩენალს თავის კაცს...

კორნელის ამხანაგი, ფიტო, სწორედ ამ უბანში სცხოვრობდა. ამხანაგებმა დაუცადეს მას. მიტომ დასტოვა ჩანთა, ოთახის კარი დაჰკეტა და ქუჩაზე გამოვიდა.

დასავლეთისაკენ ცხრებოდა ვარდისფერი ცა.

ბავშები უფრო მეტის ჟივილით განაგრძობდენ ეხლა რატომღაც თამაშს. მერცხალთა ნავარდი და ჟივილიც გაცილებით უფრო მძაფრად ...

მაგრამ—მზე ჩავიდა, ერთბაშად ღამდება, ტფილისის ... ...

ეროვნული

გრიგოლი დარჩა. რუდოლფმა მიმართა იმავე კითხვით მასაც. გრიგოლმა უპასუხა, რომ ის მოწაფე არ არის.

— როგორ არ გრცხვენიათ, გიმნაზიიდან გამოგდებულ მოწაფეებთან ერევა და ჩხუბი?!

— თქვენო ბრწყინვალებავ!—დაიწყო კორნელიმ, მაგრამ რუდოლფმა მოუჭრა და უბრძანა: „წამომყევით". კორნელი გაჰყვა. გრიგოლი შორი-ახლოს მიჰყვებოდა და კორნელის ქართულად ჩასძახოდა:

— არ წაჰყვე, უგანე და გაიქეც! რუდოლფმა მოიხედა, მას ჰქონდა მიმინოსავით ჭროღა თვალები, მაღალი ცხვირი, არისტოკრატის იერი და ამპარტავანი ქცევა. ნებაწართმეული და მონუსხული კორნელი თავჩაღუნული მიჰყვებოდა სამოსწავლო ოლქის უფროსს. გრიგოლი გაბრაზდა: „ფუ, შე უშნო!" რჩევას გამოცდილების თანახმად აძლევდა: ის ერთხელ გაექცა რუდოლფს. რუდოლფმა გოროდოვოი დაიხმარა, მაგრამ გრიგოლმა გადასერა გამხირი, თეატრთან მოუხვია, ალექსანდროვის ბაღში გადახტა, ბუჩქში კურდღელივით ჩაჯდა და გაილურსა. კორნელის არ აღმოაჩნდა გრიგოლის გამბედაობა და როდესაც დაწესებულების კიბეზე ავიდენ, სამოსწავლო ოლქის უფროსი შემოტრიალდა და ღრიალი დაიწყო:

— თქვენ მოწაფის არასფერი გაცხიათ: ღამით ქუჩაზე დატანტალებთ და ჩხუბობთ!

— თქვენო ბრწყინვალებავ, ის ჩემი ამხანაგია და ჩვენ ვხუმრობდით!

— რა ხუმრობაა ეს?—ჰყვიროდა რუდოლფი. კორნელიმ კარგად გაარჩია და დიდხანს დაამახსოვდა შემდეგი სიტყვები:

„Дурака валяете, лодырничайте!" უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობა მან არ იცოდა. სამოსწავლო ოლქის უფროსის ყვირილზე მოსაზღვრე ოთახების ყველა კარები გაიღო, ღამით მოშუშავე მოხელეებმა ღამურასავით გამოჰყვეს თავი და შეშინებული თვალები დააჭყიტეს. რუდოლფმა აიღო ტელეფონის მილი და გიმნაზიიდან მორიგი მასწავლებელი გამოიძახა:

— აი, მე დავიჭირე თქვენი მოწაფე.. მოდით, ჩაიბარეთ და დირექტორს შეატყობინეთ.. ქუჩაში ჩხუბობდა.. „Лодырничают!"—გაიმეორა მან ისევ უცნობი სიტყვა.. კორნელი ოთახში დატოვა და წავიდა..

კორნელის გარს შემოეხვივნენ კანცელარიის მოსამსახურენი, ყველა ნატაციას უკითხავდა. კორნელი გონს მოვიდა და ამ ყურმოჭრილ მონა-მოხელეებს მოწამლულ პასუხს აძლევდა, მუნდირში გამოწყობილ რუსს ეკითხებოდა:

— ერთი ეს მითხარით, რას ნიშნავს სიტყვა „Лодырничать?" მოხელე გულმოდგინეთ უმარტავდა მას უცხო სიტყვის შინაარსს. კორნელიმ გაისწორა ქურთუკი და ქამარი, მედიდური გამომეტყველება მიიღო, თითქოს გმირობა ჩაედინოს! „ამ დღიდან მე შემიძლია დავიტრაბახო ამ ოინით ამხანაგების წინაშე"—ფიქრობდა ის. წართმეულ სტეკზე ქაღალდი დააწებეს, ზედ კორნელის სახელი და გვარი დასწერეს და შკაფში დაჰკიდეს. „ამ სტეკს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიიღებ"—უთხრეს მას.

ცოტა ხნის შემდეგ შემოვარდა მორიგი მასწავლებელი, მოხუცი ივანე ალექსიძე:

— ეს შენა ხარ, ვაჟბატონო? ჰო, მე ვიცოდი შენ და ბანდიტურმა ფეხს წაიტეხდით! არა, რას ეტყვი ეხლა ესტატეს. ძალიან კი გაეხარდება?! წამოეთრიე, შენ სალახანა, შენა! (კორნელი სცხოვრობდა თავის შორეულ ნათესავის ესტატე მაჩაბელის ბინაზე).

— ნუ ცხარობთ, ბატონო ივანე! ბოლოს და ბოლოს რა ჩავიდინე ისეთი? „პოპეჩიტელი“ რომ გიჟი იყოს რა ჩემი ბრალია? გამოდის რომ ქუჩაზე ხელის განძრევაც კი არ შეიძლება! ძველი დრო მოკვდა, მაშ ტყუილა ვესწრაფით თავისუფლებას? უპასუხა კორნელიმ.

— აი, როგორ გესმით თქვენ თავისუფლება? დაიწყო თავის წილ მოხუცმა მასწავლებელმა ნატაციები. ივანე ალექსიძე ქართული ენის მასწავლებელია, რუსულ გიმნაზიებში წელს შემოიღეს ქართველთათვის ეს საგანი და ისიც მეექვსე-მეშვიდე გაკვეთილებზე.

ივანე პროგრესიული კაცია და რუსეთის თვითპყრობელობის დიდი მტერი.. კორნელიმ თავის პასუხით სწორედ ამ გარემოებას დაუკავა.

როდესაც მასწავლებელი ალექსიძე წავიდა, ალაყაფის კარების ქვეშ დამალული გრიგოლი, სანდრო, მიტო და კუკური გამოძვრენ, კორნელის გარს შემოეხვივნენ, ანუგეშებდენ და გეგმას აწყობდენ, რომ კორნელი არ გამოერიცხად გიმნაზიიდან. მაგრამ კორნელის ამ უმნიშვნელო შემთხვევისათვის მეოთხედის ბოლოს ყოფაქცევაში მხოლოდ ოთხიანი დაუწერეს და კლასის დამრიგებელმა აღნიშნა მოწმობაში პედაგოგიური საბჭოს დადგენილება: „შენიშნულ იქმნა ქუჩაზე უწესო ქცევაში სამოსწავლო ოლქის უფროსის მიერ“. ეს ამბავი ესტატეს და ვარდოს, რომელთანაც ცხოვრობდა კორნელი, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნათ და მდგურს საათანადო საყვედურიც გამოუცხადეს.

სამოსწავლო ოლქის უფროსთან მომხდარ უსიამოვნების შემდეგ კორნელი ღამის 11 საათზე მოვიდა შინ. უკანა კარებიდან ფეხაკრეფით შეიპარა. ნინოს არ ეძინა, კორნელიმ გაუმხილა მას ყოველივე; თავის ოთახში შეიყვანა, ფანჯარა გამოაღო. მაღლობიდან იშლებოდა ელექტრონის ლამფებით განათებული ტფილისი. ნინომ აღუთქვა ყმაწვილს, რომ დედას და მამას არაფერს ეტყოდა.

* * *

უქმი დღე იყო. კორნელი დაგვიანებით ადგა. პირი დაიბანა და ჩაის დასალევათ გავიდა. ბაგიდაზე ჩვეულებისამებრ შიშინებდა სამოვარი. ვარდო ასხამდა ჩაის. შემოვიდა ნინოც, დედას აკოცა და მიჩნეულ ადგილზე დაჯდა, კორნელის გაუცინა: „ბევრი გიძინია, თვალის ქუთუთოები დასივებული გაქვს“. კორნელიმ უპასუხა, რომ მას ეძინა „სულ 5 საათი“.. „მეცადინეობდი?“—შეეკითხა ნინო. კორნელიმ უპასუხა, რომ ის ჰფიქრობდა თავისიანების, დედისა და სოფლის შესახებ, რომ ცხადშიაც და სიზმარშიც მას, რატომღაც არ შორდებოდენ მოგონებანი ბავშობის დროიდან.

— ალბათ ბავშობისას ეშმაკი იყავი?—შეეკითხა გულუბრყვილოთ ნინო.

— ძალიან—უპასუხა კორნელიმ—ხის წვერს და ლობე-ყორეს [illegible] ვევლებოდით. ივანე მებაღეს ვპარავდით წითელ შაფრანის ვაშლებს, ნუსხს და ატამს. ატამს უბეში ვიყრიდით; ფუსუსები სწვავდა მუცლის კანს.

ნინომ გადიხარხარა. კორნელიმ ისევ დაიწყო:

— იმდენ თხილსა და ჭყინტ ნიგოზს ვჭამდი, რომ ტანზე მუდამ წითლად მქონდა დაყრილი წინწლები. „ხობოკურა-კუდიანი მოვა და ნიგვზით გაშავებულ თითებს მოგჭრის-ყე“—გვაშინებდა დიდედა.

ეხლა ვარდომაც გადიხარხარა და ლაპარაკში ჩაერია:

— ახ, თქვენ ეშმაკებო!

კორნელი გათამამდა:

— დიდის ამბით გავაგდეთ სათიბში მეშის ბურთი. სირბილში ყველას სჯობდა კოჭ-მაღალი იასონი. ჩაიგდებდა თუ არა ხელში ბურთს, იმ წამსვე ენას გამოჭყოფდა, სირაქლემასავით გაიქცეოდა და გაიტანდა ლელოს. ხშირად ბურთს შევკრავდით, ოფლში ვიღვრებოდით, იყო წეწვა-გლეჯა, ფეხსა და ხელს ვიღეობდით, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი იხეოდა.

— სად იყო მერე დედა შენი? — შეეკითხა ვარდო.

— დედა ცხარობდა, მაგრამ არ უჯეროდით!

— ვაი, სირცხვილო! შენიშნა ვარდომ. კორნელი განაგრძობდა:

— ერთხელ მამამ შეგვისწრო: თითონ ალაგესთან გაჩერდა, ჩვენ კი სათითაოდ უნდა გადმოვსულიყავით, გადახტომის დროს უკან გვცემდა ჟოლის წნელს. ნაცემი ძალზე გვეწოდა..

ნინო კისკისს ვერ იმაგრებდა და თვალცრემლიანი შეეკითხა კორნელის:

— მერე ხომ აღარ გაჰკარებიხარ ბურთს?

— ეს ვის ახსოვდა! მეორე დღეს გამოვთალეთ ყავრიდან ხმლები, ზედ ჩაის ტყვიის ქაღალდი გადავაკარით და გავაკრიალეთ; წვეტიანი ჯოხები ჩავარჭვეთ პანტაში და ორ ბანაკად გაყოფილი ერთმანეთზე მივდიოდით.

— ნამდვილი ომი გქონიათ! წამოიძახა სიხარულით ნინომ.

— ვილაცამ დაინახა მამა.—ამბობდა კორნელი.

— ვაი, უბედურებას! გაიღიმა ვარდომაც.

— ჩვენ გადავცვინდით ხრამში, გავყევით ღელეს და უზარმაზარ გვიმბრებში არავინ სჩანდა.

— დიდხანს მოგიხდათ გვიმბრაში ჯდომა? შეეკითხა ნინომ.

— შემდეგ შეზობლის სასიმიდეში დავიმალეთ. სასიმიდეში თაგვების წივილი, მათი და ნაქუჩლის სუნი იდგა. კარგად მახსოვს ეს დღესაც. ეხ, რამდენი ხანი გავიდა მას აქედ?!

— რა თქმა უნდა, შენ უკვე მოხუცი ხარ! გაეცინა ვარდოს. ოთახში ამ დროს ესტატე შემოვიდა და ეხლა მას მიმართა:

— სადა ხარ შე კაცო? ჩაი გაცივდა...

— რა გაცინებს, გოგო, შენ ასე? შეეკითხა ესტატე ნინოს და ვარდოს გვერდით დაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყური დაუგდე, მამა, რა საინტერესოდ გვიამბობს კორნელიც თავის ბავშობას. კორნელიმ ხმადაბლა დაიწყო:

— ყოველ საღამოს ცაცხვის ტოტზედ გადმოკიდულ ლამფას აანთებდენ. აქ თავს იყრიდენ რუსეთიდან საზაფხულოდ ჩამოსული ჩემი ძმები.

— რუსეთში რა უნდოდათ? შეეკითხა ნინო.

— სწავლობდენ, სტუდენტები იყვნენ!—უპასუხა კორნელიმ და ანგარიშგაუწევლად დაამატა: „უფროს ძმას მეზობლის ლამაზ ქალთან აშიყობა უძნელდებოდა და მე მაციდებოდა: თამარი სჯობია თუ ოლღა?“

— რომელი სჯობდა? წამოიძახა ნინომ.

— ოლღა, მაგრამ მე პასუხი არ მიმიცია ძმისათვის.

— ასეთ შეკითხვაზე უფრო უხერხულია პასუხის გაცემა!—სთქვა ვარდომ და ნინოს გადახედა, რომელსაც, მისი აზრით, ჯერ ასეთი საუბარი არ უნდა მოესმინა.

ნინომ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. კორნელიმ იგრძნო, რომ ნინოსთან და ვარდოსთან ასეთი რამ არ უნდა ეთქვა. შერცხვა, მაგრამ მდგომარეობა ესტატემ გამოასწორა:

— კარგი ყაზახი და კარგი ექიმიც იყო მამა შენი, კორნელი!

— ძალზე იშვიათად ჩამოდიოდა ქალაქიდან სოფელში!—უპასუხა კორნელიმ.

— ოჯახზე ფიქრი, ხარჯი და გარჯა ყოველთვის დედა შენის კისერზედ იყო! დაიჭირა ქალის მხარე ვარდომ.

— სრულიადაც არა, ცოლშვილი კორნელის მამამ გაისტუმრა სოფლად იმისათვის, რომ იგი, მისი აზრით, ხელის შემშლელი იყო...—იცავდა კორნელის მამას ესტატე.

— ეს მე არ მესმის!—აიწია მსუქანი და ლამაზი მხრები ვარდომ გაკვირვების ნიშნად.

— ახირებული კაცი იყო მამა შენი, კორნელი—დაიწყო ისევ ესტატემ—მახსოვს: თქვენს ეზოში, ცაცხვის ქვეშ, დაჯდებოდა და დაიწყებდა მოსწრებულ შვილებთან კამათს, ამტკიცებდა იმას, რასაც მეორე წუთას თითონვე დაარღვევდა; უარჰყოფდა დარვინის თეორიის სისწორეს შენი უფროსი ძმის, ბუნებისმეტყველის შალვას გასაბრაზებლად. დღეს რომ მონარქიას იცავდა, ხვალ სოციალისტურ საზოგადოებას.

— მამა, ამბობენ, მერყევი იყოო! უპასუხა კორნელიმ.

— მკაცრი და თავისებური ხასიათი ჰქონდა! შენიშნა ვარდომ.

— არა, ეს არ არის დამახასიათებელი თვისება ბიძა ჩემისა, არჩილი მეტად სტუმართმოყვარე, ხალისიანი და იშვიათი მეხსიერების კაცი იყო; ისტორიული ფაქტების ცოდნა იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა მაზედ უკეთესი.—მოიგონა ესტატემ. მაგრამ ვარდო მაინც არ ცხრებოდა:

— ალერსიანი და მხიარული განწყობილება ხშირად შეეცვლებოდა მრისხანებით. მაშინ მთელს ოჯახს დაატყდებოდა ხოლმე შიშის ზარი.

— მართალია, ეს მეც მახსოვს!—დაეთანხმა კორნელი.

— არა, ჯიუტობლა ესტატე—რა უყოთ მერე? ჩვეულებრივად ის იყო ყოველთვის დარბაისელი მოსაუბრე, დინჯი თამადა და ეპიკურეული შემდეგარი...

— შენც კარგი თამადა ხარ, ესტატე, მაგრამ ეს როდი კმარა ოჯახისათვის!—შეაპარა ვარდომ.

— კაცს ყველაფრის ლაზათი უნდა ჰქონდეს!—უპასუხა ესტატემ.

— მე მახსოვს მამა საკმაოდ მოხუცი. მაშინ მან უკვე მოუკლო და, შემდეგ სრულიად მიატოვა ქეიფი, ნადირობა და ცხენით სიარული, მოიგონა კორნელიმ.

— ჰო,—დაუდასტურა ესტატემ—სიბერის ჟამს მან ხელი მიჰყო ბუკოლიურ ცხოვრებას. ხანდახან თავს იქცევდა მუშაობით: თავზე ფართო ჭილოფის ქუდს დაიხურავდა, წელში გაიჩხერდა სასხლავს და დაიწყებდა ვაზის ხეების ხარდნას, მაგრამ მისი მეურნეობის, არსებითად, არავის არ სჯეროდა და ყველას ეცინებოდა; შენ კარგად უნდა გახსოვდეს მამა შენი, კორნელი?

— როგორ არა—უპასუხა კორნელიმ—მახსოვს ყოველივე ეს, დედა, ეზო, ცაცხვზე გადმოკიდული დიდი ლამფა; ჩემი ძმების, მაშინ სტუდენტების, სიმღერა.

— ჩინებული სიმღერა იცოდენ და ეხლაც იციან! სთქვა ვარდომ.

— იმღეროდენ ვოლოის ნაპირისა და უკრაინულ სიმღერებს. პირველად მომხვდა მაშინ გულზე დიდი რუსეთის თვალუწვდენი და გარუჯული „სტეპებიდან“ წამოსული უძირო სევდა, და სიხარული. იმღეროდენ ნალვლიანს: „არა შემოდგომის წვიმას“—განაცხადა პათეთიურად კორნელიმ და დაუმატა:

— ყურთასმენას გვიამებდა, განსაკუთრებით, ჩემი ბიძისშვილი, რევოლიუციონერი სტუდენტი უტკბილესი ბარიტონით.

— ჰო, მახსოვს—შენიშნა ესტატემ—მე გავიცანი ის ანარქისტი გიორგი, ჯაიანერთან ერთად თქვენს სახლში. მახსოვს ენტუზიაზმით სავსე მარსელიეზა ვახშამზე.

— მე მინახავს მისი მხარბეჭი ტყვიებითა და ვაზნებით დარაზული 1905 წელს. მას ჰქონდა მოკლე კარაბინი და ხალათის შიგნით ტანზედ შემოხვეული წითელი დროშა.

— ის ეხლა აღარ არის ცოცხალი. მგონი ის ჭლექით გარდაიცვალა? მოაგონა კორნელის ესტატემ.

— დიახ, მისი საფლავი უჭირისუფლოა, მაშინ როდესაც უნდა იყოს მორთული ყვავილებით, რადგან მოგვშორდა ანთებითა და სისხლიანი ხველებით!—სთქვა კორნელიმ გრძნობით სავსე სიტყვებითა და სახის მეტყველებით.

— ალბათ ამიტომაც იყო ასე ტკბილი მისი ხმა!—შენიშნა წყნარად კორნელის სახეს მიჩერებულმა ნინომ.

არც კორნნლი (შემდეგ), ეხლა კი არც ვარდო და ესტატე არ მოელოდა თავისი ბავშისაგან ამ განცხადებას და ცხოვრებაზე ასეთ ღრმა, დაკვირვებას.

II

კორნელიმ გაათავა ჩაის სმა. წელზე ქამარი შემოირტყა, ვერცხლის ღილებით მოჭედილი ახალი დრაპის პალტო ჩაიცვა და ხელში გაქონილი, თეთრკანტიანი გიმნაზიელის ქუდი აიღო. მისი ტანსაცმელი იყო ახალი, სუფთა და

კარგად შეკერილი, რომელსაც სრულიად არ შეეფერებოდა ეს ძველი და გაქონილი ქუდი. მაგრამ საქმე ის არის, რომ კორნელი უკვე ბოლო კლასის მოწაფეა: მალე დაიწყება გამოცდები ატესტატის მისაღებად და რაღა ჭირად უნდა ამ ძველი ქუდის ახალზე გადაცვლა, რომელსაც ის უკვე სამი წელია რაც დაათრევს. ამხანაგებმა ქუდს ღერბი მოჰგლიჯეს, დაჭმუჭნეს და სკოლის ეზოში გააბურთავეს იმ იმედით, რომ აბიტურიენტები მალე შეიძენდენ სტუდენტებისათვის მიჩნეულსა და სანატრელ ლურჯ ქუდს.

კორნელი დაეშვა გამზირისაკენ. დილა იყო ღრუბლიანი და ცივი. წინ იდგა მახათას გახუნებული მთები და უკან კავკასიონის ჩამოთოვილი ქედი. მარტი ახლოვდებოდა, ტყვიისფერი ღრუბლები გაერღვია გაზაფხულის პირველ სიოს და აქა-იქ სჩანდა სარკესავით სუფთა ლურჯი ცის ნატეხი. კორნელი მიუახლოვდა გამზირს. ის იყო რაღაც უჩვეულოდ დაცარიელებული: არც ერთ ეტლსა და ტრამვაის არ გაუვლია. თავითბოლომდე გაჰხედა გამზირს: გადაჭიმულა მზის სხივზე ელვარე ლიანდაგის ხაზი, შორს გასროლილი რკინის ორძელი და არსად კაცის ჭაჭანი, არსად აღარ დგას „გოროდოვოი" ჩვეულებისამებრ შეიარაღებული და მორთული თავისი ჩექმით, დიდი კოკარდით, თეთრი ხელთათმანით და მუნდირით. ცარიელია და სუფთა გამზირი. არავინ არ სჩანს. აქა-იქ თუ გაივლის თითო-ოროლა მგზავრი აჩქარებულის ნაბიჯით. ოპერის თეატრის წინ კორნელიმ დაინახა ამხანაგი მიტო, შეაჩერა და თავისი გაოცება გაუმხილა:

— რასა ჰგავს ქალაქი? თითქოს მომკვდარა. რა ამბავია?

მიტოს თვალები უბრწყინავდენ, გაიღიმა და კორნელის უპასუხა:

— ჭურში ხომ არ ზიხარ?

— რა მოხდა?

— დიდი ამბავი — რევოლიუცია!

„რევოლიუცია" გაიმეორა კორნელიმ და თანაც ჰფიქრობდა:

„სადღაც შორს, ცივ პეტროგრადში მეფე ტახტიდან გადმოაგდეს.

ასე მოულოდნელად! ასე მზამზარეულად მივიღეთ რევოლიუცია?" ასე გადატყდა ცხოვრების ჭიდილს მოწყვეტილი ყმაწვილის თავში ეს ამბავი! სულ სხვაა მიტო: ის მეხუთე კლასიდანვე ადევნებდა თვალყურს პოლიტიკურ ამბებს, ჰკითხულობდა სათანადო ბროშურებს და ესწრებოდა ფარულ კრებებს.

— დროებითი მთავრობა, რესპუბლიკა! — ჰყვიროდა მიტო.

— სად მიდიხარ? შეეკითხა კორნელი.

— ქალაქს გარედ მიტინგია დანიშნული, ხალხი იქედაკენ მიდის, ჩვენც წავიდეთ! უპასუხა მიტომ.

— წავიდეთ. დაეთანხმა კორნელი და ყმაწვილები გაეშურენ სადგურისაკენ.

ილიას და აკაკის დასაფლავების დღის გარდა კორნელიმ პირველად ნახა ამდენი ხალხი ერთად თავშეყრილი. მიტო და კორნელი იდგენ მთავარსახელოსნოების მუშების უკან. ორატორები ულოცავდენ მინდორზე თავშეყრილ მუშებს რევოლიუციას და უნმარტავდენ მის მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნაზე ნაციმბირალი ორატორი ავიდა... ქარი ატრიალებდა მის მოძველებულ პალტოს კალთებს და ჭაღარა წვერულვაშს.

— ამხანაგებო, აღსრულდა, ჩვენი საფიქრალი საგანი და მრავალი წლის ნატვრა: მეფის მთავრობა დაემხო! მტარვალნი და ჯალათნი უკვე აღარ არიან! ეხლა ხალხია თავისთავის ბატონ-პატრონი!—ამბობდა მოხუცი ორატორი და სიხარული ყელში უსწრებდა, სიტყვას ველარ ახერხებდა; შემდეგ მან გადაეხვია იქვე მდგომ მოხუცსავე ამხანაგს; სიხარულის ცრემლები უსველებდათ ჭაღარა წვერ-ულვაშს; ხელაპყრობილი მიჰმართავდენ ხალხს და ჰყიოდენ სანუკვარ სიტყვებს: „გაუმარჯოს ძმობას, ერთობას და თავისუფლებას!" ტანი ტორტმანებდა, ყოველი სიტყვის დაძახებისას მუხლში იკეცებოდენ და ბუქნით ქუდს მაღლა ისროდენ. ისინი იღიმებოდენ გულუბრყვილო ბავშვივით და ჰკოცნიდენ ერთმანეთს, როგორც მოხუცნი ცისკარზე. სიხარული აღწევდა უმაღლეს წერტილს. მათი შემყურე კაცი იფიქრებდა, რომ უკვე დასრულდა ტანჯვა-წამება და ბოროტება ამ ქვეყნად, რომ ყველაფერს ბოლო მოეღო დაემხო მტარვალი და დამყარდა ქვეყნად სამოთხე და კაცთა შორის სათნოება —ძმობა, ერთობა, თავისუფლება! საუბედუროთ, რევოლიუციის და თავისუფლების ასეთი მიღება და გაგება ბოლომდე შეინარჩუნეს ზოგიერთმა სოციალისტებმა და რევოლიუციის მოხუც ვეტერანებმა.

კორნელიმ ტრიბუნას თვალი მოაშორა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და აქაც დაინახა სიხარულით მოღიმარი სახეები. ის უცქერდა სიხარულით აღტაცებულს და ერთის გრძნობით გამსჭვალულ ხალხს და სათანადოთ ვერ გაეგო მიზეზი ასეთი სიხარულისა, თუმცაღა ეს დიდი გრძნობა იტაცებდა მასაც.

ტრიბუნაზე უცნაური ორატორი ავიდა. მისი ხმა მრისხანებით ჰქუხდა: „ამხანაგო, მუშებო, თავს ნუ მოიტყუებთ: ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის!" მიტომ ხელი ჩასჭიდა კორნელის და მუშებში შეიჭრა, რომ უფრო კარგად მოესმინა ორატორის სიტყვები. ორატორი გაჰკიოდა: „კაპიტალისტების და ფეოდალების ქვეყანა უნდა დაინგრეს ბოლომდე!" გაისმა ხმა: „ბოლშევიკია!" მიტო და კორნელი ტრიბუნისკენ მიიწევდენ. შავად გაზეთილს ტანსაცმელში გამოწყობილ მუშებმა გადახედეს კორნელის, მის ოფიცერის დრაპისგან შეკერილ ახალ პალტოს, ვერცხლის ბრწყინვალე ღილებს, ინგლისურად შუაზე გაყოფილ გიშრის თმას, ქალივით თეთრ და ნაზ სახეს და წინ მდგომ მუშამ მკერდზე იდაყვი მიაბჯინა, მრისხანე თვალთა წყრომით შეაჩერა და უხეშად მიჰმართა; „სად მიძვრები?"

კორნელი შეკრთა და თვალით დახმარებას შესთხოვდა მოქალაქეთ, მაგრამ ირგვლივ აღარავის ჰქონდა მხიარული, მოღიმარი სახე და თანაგრძნობის გამომხატველი თვალები. წინ იდგა ხის ქერქივით დამსკდარი და ჩაჟანგული უამრავი კისერი... იმ მასაში კორნელი იდგა დაკარგულ ბავშვივით; სამაგიეროთ მიტოს მოეძებნა ნაცობი მუშები და მხურვალედ რაღაცაზედ მსჯელობდა.

ქარს მოჰქონდა ტრიბუნიდან მოტაცებული სიტყვა:

„რევოლიუცია თავისუფლება...!"

ძნელია იმ მძიმე და ბუნდოვანი გრძნობის აღწერა, რომელიც განიცადა კორნელიმ მიტინგის ბოლოს და მიტინგიდან შინ დაბრუნებისას. ერთის სიტყვით, ეს იყო: გრძნობა მარტოობისა! შემდეგ, შეგნება იმისა, რომ ის არ იცნობს სინამდვილეს, და ხალხს! განსაკუთრებით რცხვენოდა იმისა, რომ მას გრიგოლი და ზოგიერთი ამხანაგები სთვლიან გარუსებულ ადამიანად. მაგრამ ეს ხომ რუსული გიმნაზიის ბრალია?! რაც შეეხება ოჯახს, სადაც ის ცხოვრობს, მაზედ ასეთი გავლენა არ უნდა მოეხდინა, ვინაიდან ესტატეს ბინაზე თითქმის ყოველ დღე იკრიბებოდენ ვექილის მეგობრები; მათი ბაასი და შემდეგ კამათი იწყებოდა საქართველოთი და ამითვე თავდებოდა. კორნელიმ კი თითქმის არაფერი იცის თავის ქვეყნის შესახებ საფუძვლიანად: არც მისი ისტორია და არც მისი მწერლობა, კორნელიმ კარგად იცის, შედარებით, რუსეთის ისტორია, მწერლობა-ლიტერატურა, მაგრამ საკუთარი ქვეყნის შესახებ კი თითქმის არაფერი: ვინ არის ჩვენი ხალხი, საიდან მოვიდა ის, რა განიცადა და გადახდა თავს, რა შექმნა, როგორი კულტურა??? მისთვის დახურული იყო ამ კითხვებზე გაცემული პასუხის წიგნი და ის მცირეოდენი ცოდნა და შთაბეჭდილება, რომელიც ჰქონდა მიღებული თავის ქვეყნის შესახებ უნდა კორნელის ბავშობის დროინდელ ხანას მიეკუთვნოს.

კორნელი გრძნობს ამ დანაკლისს და უხერხულებას. თავის გულის ნადები უკვე ერთი წელია რაც გაუმხილა გრიგოლს და ამხანაგი ეხმარებოდა მას შეძლებისდაგვარად: აძლევდა ქართულ ქრესტომატიას, გრამატიკას, სხვადასხვა წიგნებს, აცნობდა ქართული გიმნაზიის მოწაფეებს, მასწავლებელთ და სხვა.

ასე გადიოდა დღეები და ზემოთ აღნიშნული დანაკლისიც დღითი დღე ივსებოდა, მაგრამ რევოლიუციამ ბევრის გადაფასება მოითხოვა მისგან და კორნელი შეაფიქრიანა...

ერთ დღეს კორნელი იჯდა ნინოს გვერდით; ისინი რაღაცაზედ საუბრობდენ. სასულე ორკესტრის ხმა შემოესმათ. კორნელი და ნინო მისცვინდენ ფანჯარას.

მოვიდა ესტატე და ვარდოც... ფანჯრიდან დაინახეს გამზირზე მიმავალი ჯარის ნაწილები.

— ერევნის მოედნისაკენ მიდიან, დროებითი მთავრობის წინაშე ფიცის მისაღებად!—სთქვა ესტატემ.

— წავიდეთ, კორნელი!—წაიმეძახა ნინომ...

— წავიდეთ!—უპასუხს კორნელიმ, მაგრამ მამამ დაუშალა.

— რა შენი საქმეა? ხალხი გაგსრისავს!

* *
*

ერევნის მოედანზე თავი შეეყარა ტფილისის გარნიზონის ჯარის ნაწილებს. ქუჩები გაჭედილი იყო ქვეითი და ცხენოსანი ჯარით. მოსჩანდა შუბების ტყე და ზედ პატარა, ფერადი ბაირაღები. მოედანზე იდგა ტრიბუნა და ორატორები მიმართავდენ აქედან სიტყვით ჯარის სხვადასხვა ნაწილებს. ტრიბუნის წინ, თეთრ ცხენზე იჯდა ბრიგადის გენერალი... მას ჰქონდა შუაზედ გაყოფილი ჟღალი წვერი, ორდენებით მოჭედილი გულმკერდი და ბრწყინვალე ფორმა...

ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარე, კადეტი ხარლამოვი ლაპარაკობდა რევოლიუციისა და დროებითი მთავრობის შესახებ. ჯარის უფროსთა შემადგენლობა შედარებით დამშვიდებით უსმენდა მას და აგრეთვე აღნიშნული კომიტეტის წევრებსაც ს.-დ. ა. ჩხენკელის, ს.-ფ. ი. აბაშიძეს, მ. პაპაჯანოვს და სხვებსაც, ვინაიდან ისინი ბურჟუაზიული რევოლიუციის ნიადაგზე იდგენ და სახელმწიფოებრივი ფორმის და საზოგადოებრივი ცხოვრების არავითარ ძირეულ გარდაქმნაზე არ ოცნებობდენ; ისინი მოითხოვდენ ისევ ომის გაგრძელებას და რუსეთის ყოფილ იმპერიის 1914 წლამდე არსებულ საზღვრების დაცვას...

დონის ყაზახები უნდობლად ეკიდებოდენ ამ სიტყვებს: უკანა რიგებში მდგომნი კბილებით „სემიჩქას“ ჩიჩქნიდენ და ენის წვერზე მიკრულ თეთრგულიან ნაჭუჭის ფრთებს ოსტატურად შორს შიაფრენდენ ბაგეთა სათანადო სკდომის საშუალებით (ეს მთელი ხელოვნებაა!). ერთს მოაგონდა თავის ხალათის უბეში ჩადებული წერილის შინაარსი, სადაც მშობლები უთვლიდენ შვილს სოფლად გამეფებულ საშინელი სიმშილისა და გაჭირვების შესახებ და დაუმატა:

— რას მიქარავს ორატორი? რა დროს ომია და ისევ სანგრები, როდესაც ცოლშვილი შიმშილით გვეხოცება და აღარავინ არის მათთვის გამკითხავი?!.

— მას რა ენაღვლება?! უპასუხა მეორემ და ორატორზე მიათითა „შეხედე, როგორ ჩასუქებულა?“ ტრიბუნაზე იდგა ა. ჩხენკელი.

— ბატონივით გამოპრანჭულა! ჩაილაპარაკა მესამემ ე. გეგეჭკორის მისამართით.

ტრიბუნაზე მართლაც, კარგად ნასუქი და ღიპიანი ორატორი ლაპარაკობდა.

მას ეცვა უნაკლოდ შეკერილი და უმტვერო ტანსაცმელი. სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ესალმებოდა ჯარის-კაცებს და თეთრ-მანჟეტიანის ნაზი და ფაფუკი ხელით იხდიდა შლიაპას.

ბრიგადის გენერალმა დონინჯი შემოიყარა, მედიდური სახის მეტყველებით წარბი მრისხანედ მაღლა ასზიდა და იქვე მდგომ ოფიცერს ბრაზით განუცხადა:

— აფსუს, ამ „შლიაპის“ და „სტატსკის“ ლაყბობას რომ ვისმენთ?

„შლიაპა“—ორატორი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს რევოლიუციას! დაიცავით რესპუბლიკა! ყველა ფრონტისაკენ!“

მაგრამ რევოლიუციონურად განწყობილი ჯარისკაცები მიისწრაფოდენ არა ფრონტებისაკენ, ოთხი წლის განმავლობაში არსებულ სისხლისმღვრელ სასაკლაოსაკენ, არამედ შინისკენ და დუმილში ისევ ბრაზით განაგრძობდენ „სემიჩქის“ ჩიჩქნას და გაფურთხებას...

— რატომ შენ თითონ არ წახვალ, ძაღლის შვილო!—შეუტია ერთმა ორატორს. მეორეს წვერი გაუპარსავი ჰქონდა 4 თვეა და ტილიანი იღლია გამოიქექა. ჯარი ახალი დაბრუნებული იყო ფრონტიდან ბინძური და ტანდაუბანელი, უხეში და აღრეხილი...

ასეთი სულიერი განწყობილება გამოსელას პოულობდა ტრიბუნაზე ასულ მეზღვაურის სიტყვებში, რომლებიც ბურჟუაზიისა და იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგოდ იყვნენ მიმართული.

უკვე რამოდენიმე წინადადებისა და ლოზუნგის შემდეგ ჯარის კაცებმა „თავის ძმა“ ორატორს ტაშისცემით შეეგებენ...

აი, აქ მოხდა, ამ დროისათვის მეტად დამახასიათებელი ინცინდენტი:

ბრიგადის გენერალი განრისხდა; აღვირი მოზიდა, ცხენი დეზით შესძრა და ტრიბუნასთან მიაგდო, ორატორს თვალები გადუბრიალა და ყველა იქ მდგომ „შლიაპებს“ მაგრათ, სალდათურათ შეუკურთხა.

შემდეგ უნაგირზე აიწია, გოლიათის ხმით სჭექა და განკარგულება გასცა; ოფიცრები იმეორებდენ და გაბრაზებულის თვალებით სჭამდენ ცხენოსნებს... ჯერ კიდევ არ იყო საათანადოდ გაბზარული დისციპლინა; ჯერ კიდევ შეეძლოთ ოფიცრებს ჯარისკაცების დამორჩილება მათრახით.

გენერლისა და ოფიცერთა ბრძანების თანახმად ცხენოსნები გასწორდენ უნაგირზე და აღვირი დაითოკეს; მარჯვენა ფრთიდან დაიწყეს გადაჯგუფება და ერთი მეორეს რიგრიგად მოექცნენ.

გენერალი გაქანდა, ჯარის თავში მიიჭრა და დაიძახა: „ნაბიჯით იარ!“

ცხენოსანი ჯარი დაიძრა; ორკესტრმა დაუკრა „ვალსი“ და ცხენები ცეკვით წამოვიდენ...

გენერალს მიჰყავდა ჯარი ყაზარმებისაკენ...

ტრიბუნაზე ჩოჩქოლი შეიქნა, მაგრამ გენერლის პროტესტი ძალაში რჩებოდა.

ბრიგადის გენერალმა მიაფურთხა დროებით მთავრობას, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, მის ორატორთა ბოჟიალს და ჯარი ისევ ძველი მთავრობისა და მეფის წინაშე დადებულ ფიცის პირნათლად შესრულებისათვის წამოიყვანა.

მაგრამ გაჰყვება აქედკენ გენერალს ჯარი? საეჭვოა!

ლარიბ გლეხკაცთაგან შედგენილს ჯარში რევოლიუციის მიერ ჩანერგილი იმედები დღითიდღე იზრდებოდა; 4 წლის განმავლობაში სასტიკი ომით მოღლილ ჯარისკაცებში იღვიძებდა სხვანაირი ბრძოლის სურვილი, გაქანება და ენტუზიაზმი...

ამას ნათლად გრძნობდა მიტო და კორნელი გამზირზე, როდესაც.—

ესკადრონების წინ თავი მოიყარა მომღერლებმა და ხელიხელ ჩაკიდულნი უნაგირზე აიმართენ, როდესაც გამძლე და ურაცხენებზე ჩექმებით შემდგარი ჯარისკაცები წამოვიდენ სიმღერით და სტვენით; როდესაც—

მოდიოდენ ცხელ ველებიდან და ტყე-დებრებიდან გამოსულ ოჩოკოჩოებივით ცხენზე ამართული და წვერმოშობილი დონის ყაზახები, ჯერ ნელის ნაბიჯით, შემდეგ ჩქარის რბენით და ჭენებით...

„ეჭვს გარეშეა, რომ მეფის ტახტის აღსადგენად და ისევ ომისაკენ არ გაქანდება. ჭენებით ეს ჯარი“—ჰფიქრობდა მიტო. კორნელიმ შეეკითხა:

— „რა დაიმაგრებს ამ ტალღას?“ მართლაც, ფრონტებიდან ზღვის ტალღასავით უკუქცეული ჯარის ნაწილები ეველარავინ შეაჩერა; ჯარში გაწვეული

ღარიბი გლეხობა გაჰყვა მას, ვინც ავსტრიელის, გერმანელის და ეუმალის ხოცვა-ჟლეტის ნაცვლად ანგარიში გაასწორებინა მას შინ, თავის ნამეტანელებთან და მჩაგვრელთან.

კორნელის წინ მიჰქროდენ ესკადრონები...

„რევოლიუცია“—გაიფიქრა მან და იმ წამსვე მკლავში ხელი წაავლო მიტომ, რომელიც გვერდზე გადისროლა ხალხმა.

ისინი მოდიოდენ სახლისაკენ.. გამოიარეს გამზირი და კორნელიმ გაუმხილა მიტოს, რომ მთელი თავისი არსებით განიცდის რევოლიუციას და ამ ახალს დიდი ისტორიული ამბებით სავსე ეპოქას. მიტომ მოჰხვია მას წელზე ხელი და ჩუმად უთხრა:

— მოდი დღეს კლუბში, ჩვენი წრის მუშაობაა, მე ვეტყვი ხელმძღვანელს.

— ვინ არის თქვენი ხელმძღვანელი?—შეეკითხა კორნელი.

— გენადი ტატიშვილი! ამას წინად ჩამოვიდა რუსეთიდან, ძველი რევოლიუციონერი სტუდენტია!..—უპასუხა მიტომ.

— მცოდნე კაცია? ეკითხებოდა ისევ კორნელი.

— დიდი მომზადებულია, განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიურ საკითხებში. მერე—მე შენ გეტყვი—ოდესმე დაიწყებს ტრაბახს ან ამპარტავნობას? საშინელი თავდაბალი კაცია!—სთქვა მიტომ.

— ეს არის ადამიანში მთავარი!—შესძახა კორნელიმ და გაჩერდა.

— იცი—დაიწყო მხურვალედ მიტომ—თუ ქრისტე მართლაც არსებობდა, ალბათ გენადის მსგავსი უნდა ყოფილიყო!

კორნელიმ გადასწყვიტა ამ საღამოს წრის მუშაობაზე დასწრება.

* * *

კორნელი შევიდა კლუბში პირველად; კიბეზე ავიდა და ოთახის კარი შეაღო: წინ იდგა წითელი მაუდით მორთული მაგიდა, ზედ საწერ-კალამი და ზარი. უკანა კედელზე არჩილ ჯორჯაძის სურათი. ოთახში ეწყო რიგ-რიგად უბრალო გრძელი სკამები. მაგიდასთან რამოდენიმე ახალგაზრდა საუბრობდა. მათ შორის შავ-წვერ-ულვაშიანი და სათვალებიანი კაცი. კორნელიმ მიმართა მათ და შეეკითხა:

— უკაცრავად, სად სწარმოებს აქ წრის მუშაობა გენადი ტატიშვილის ხელმძღვანელობით?

— აი, იქ, გეთაყვათ, მიბრძანდით! უთხრა შავ-წვერ-ულვაშიანმა დ გვერდით კარებზე მიათითა. ესეც რუსეთიდან დაბრუნებული ძველი სტუდენტი იყო.

კორნელი შევიდა. პატარა ოთახში ოცდოდე ყმაწვილი იდგა და ზოგი თუთუნს ეწევოდა. ოთახი ბოლით იყო გაბურული. მაგიდაზე ჩამომჯდარა მათი, ახლანდელი ტერმინით რომ ვსთქვათ,—„პოლიტხელი“,

ხელმძღვანელი 28 წლის თუ იქნება; ქერა კაცია; ლაპარაკობს სწორი და უნაკლო ქართულით...

ახლა ის საუბრობს სოციალურ და ეკონომიურ უთანასწორობის გამო გამოწვეულ ადამიანთა ტანჯვა-წამებისა, სიღატაკისა და საშინელების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყავს სინამდვილიდან აღებული და ყველას მიერ ხელმისაწვდომი მაგალითი.

ყოველი მისი სიტყვა ღრმად იჭრება კორნელისა და ყმაწვილების გულში; პირდაღებული უსმენს... მიტომ შენიშნა, გაიღიმა, თავი დაუქნია და სახით ანიშნებდა: აბა, როგორია? მართალი მითქვამს თუ არაო?!

ხელმძღვანელის, გენადის სერიოზული სახე და ბოხი ხმა განსაკუთრებით მძაფრდება მაშინ, როდესაც ის საქართველოს შესახებ ლაპარაკობს. ყელის ხორხი ვერტიკალურის ხაზით ადის და ჩამოდის...

კორნელის თანდათან მოსწონს ეს გულკეთილი და ყველას მიერ საყვარელი ადამიანი; კორნელი სთვლის გენადის წამდვილ თავის მასწავლებლად. გენადის ლაპარაკი და ნარნარით სავსე ქართული ჰხიბლავს კორნელის და თვალებს უხელს; რწმუნდება, რომ საშინლად ჩამორჩენილა საზოგადოებრივ აზრსა და ცხოვრებას იმის გამო, რომ რუსულს გიმნაზიაში სწავლობდა; რომ ეს ჩამორჩენა და დანაკლისი შეავსოს საჭიროა დაიწყოს მეცადინეობა იქედან, სადაც შეწყვიტა ე. ი. ბავშობის ხანიდან, როდესაც ის ჯერ კიდევ მეორე კლასის მოწაფე იყო ქ. ქუთაისში. ბავშობის ხანიდან მას კიდევ კანტი-კუნტად ახსოვს აკაკი, ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი და ეგნ. ნინოშვილის ნაწარმოები, „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“.

ამ შეგნებით მოდის ის სახლში. დაღლილი და დაქანცული იძინებს. ხვალ დილიდან ის დაიწყებს სათანადო გეგმის მიხედვით მეცადინეობას.

კორნელის გაელვიძა დილით ადრიან. დაძინების წინ, სიზმარშიაც და ეხლაც მას რატომღაც თვალწინ ესახებოდა სურათები ბავშობიდან, დედა და სოფელი. გულში ტკბილი გრძნობა ეშვებოდა. გარეთ იდგა გარიჟრაჟი, ცოტა ხნის შემდეგ მზის სხივებმა მიანათეს მის ლოგინთან კედელს. სხივები ჰქარგავდენ შპალერზე აშიებს. ფანჯარა ღია იყო და ხეზე ჩიტებს ჟრიამული გაემართათ. მისი სული იყო სუფთა და განმზადილი მშვენიერების ასათვისებლად. შორს სჩანდენ მზით მონათლული და იისფერ ბურუსში გახვეული მთის მწვერვალები. სარკესავით დაწმენდილს ლურჯ ცის ტატნობზე გედებივით მისცურავდენ ღრუბელთა თეთრი ქულულები.

კორნელის ფანჯარასთან ირხეოდენ სურნელოვანი მტევნებით დაყურსული აკაციის ხეები.

კორნელის აგონდებოდა ისევ სოფელი, ხეხილით სავსე ეზო და გოლიათი კაკლის ხეები. მიჰყვება ასეთ ფიქრთა სვლას:

— „მდინარე ახლოს ჩამოდის ჩვენს ეზოსთან.

გადარეცხილ რიყის ქვახე ხმაურობს აქაფებული ტალღა.

მიყვარდა მდინარეში თავით გადავარდნა, სადაც მერცხლები ჟივილით ისოვლებდენ ფრთებს.

მდინარესთან ჰყვავის ბროწეულის ხე.

შემოდგომისას ნეკტარით სავსე და გაპობილი შაქარ-ბროწეულის ხახა ხარხარებს მარჯანისფრად.

თეთრლელვაც მწიფეა, ესევა მალალური, შაშვი—ყურძნებს. არ ბველის საფრთხობელა ძოძნებით ხელგაშლილი და მე დავდევ დილიდან ... თოფით.

ბიბლიოთეკა

საწნახელი ივსება ყურძნით. ჩამდგარან მწურავები გაშიშვლებულის წვივებით. ტკბილ ჩქეფს უცდის ბალის ტყავით გამოხეხილი და გამორეცხილი ქვევრები. მიაქვთ ჩაფებით. მოისმის ნადური.

დგება მთვარიანი ღამე და ღამისთევა!

ყოველივე ამის შემდეგ ვშორდები სოფელს, დედას და დილიჟანის ბორბლების ერთფეროვან ხმაურზე გულდათუთქული ვამღერებ ჩუმად აკაკის ლექსებს, რომელიც ზეპირად ვიცი.

ისევ ქალაქი და სკოლა...

სკოლის ეზოში ასწლოვან ჩინარის ქვეშ გაისმის მოწაფეთა ჟივილი და ყიჟინა...

ვზივარ საკლასო ოთახში დატყვევებული და ფანჯრიდან მოსჩანს ლურჯი ცა.

მაგონდება სოფელი, შემოდგომა; ეხლა რომ იქ ვიყო, დედა ყველაზე დიდს, ფელამუშით სავსე გულღმა საინს მომცემდა: „შენ იკითხე, შე საწყალო, ჩვენ ქე ვჭამთ კიდო ბევრს!“

მასწავლებელი განაგრძობს ულმობელის ხმით: „atb“; თვალი მეესება ცრემლით.

საწვიმარი ღრუბლები მატულობენ და მალე ცის დარჩენილი ლურჯი კამარაც დაჰფარეს.

დაჰბერა დასავლეთის ქარმა. ბავშებს მოწყენილი სახეები აქვთ. ფანჯრებთან ჩამწკრიეებულან გაჩხოტილი ხეები.

ტოტებზე ხტიან ჟრიამულით, შეცივებული და აბუზული ბეღურები.

ჩამოიღამა. სწვიმს. ქუჩაზე ტალახია. მოვიდა ოქტომბერი და სამოსწავლო წელი. დიდი დასვენების დროს დერეფანში გამოჩნდა გამგე. ენაჩავარდნილი და გალურსული ვდგევართ.

მშვიდობით დედავ. სოფელო. თავისუფლებავ.

— „როგორც ჩანს მე აქ შემიწყვეტია საჭირო და ნამდვილი ცხოვრება... თუმცა მრისხანე გამგე და საფრთხობელა ოლქის უფროსი ყოველთვის მეჯავრებოდა“...—დაამატა კორნელიმ.

III

ამავე წელს კორნელიმ დაასრულა ტფილისის № გიმნაზია. ატესტატი მოსკოვის სამკურნალო დარგზე გადაგზავნა (ესტატეს რჩევის თანახმად).

ქალაქის მცხოვრებთა აღწერის დროს კორნელიმაც მიიღო მონაწილეობა და აქედან აღებულის ფულით პიდჟაკი და შალვარი შეიკერა. სარკესთან ერთ საათს ეწვალა და ჰალუსტუკი ვერასგზით ვერ გაიკეთა, სანამ ნინო არ დაეხმარა ვინაიდან კორნელი ახალგამომცხვარი სტუდენტი იყო. „საცოდავო, როგორ გაოფლიანებულხარ?“ შენიშნა ესტატეს ქალმა და უნაკლოდ გაუსკვნა კისერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარყუჟი. კორნელიმ სული მოითქვა, თითქოს ასი ფუთი მოხსნისო და ნინოს ხელზე აკოცა.

ნინო გაწითლდა, მაგიდასთან მოვიდა და ეაჟებისათვის ესოდენ სანუკვარი სტუდენტის ლურჯი ქუდი თავზე დაიხურა.

გადიოდა დრო და ჟამი. ისტორიული ამბები ისეთის სიჩქარით ვითარდებოდენ, რომ კორნელის არ დასცალდა რუსეთში გამგზავრება.

კავკასიის ფრონტი, ისე როგორც დასავლეთისა დაიშალა და ჯარმა სამშობლოსაკენ დაიწყო დენა. ამ დღიდან იწყება ფრონტიდან დაძრული ჯარების მიერ უწესრიგო ქცევა, ქალაქების რბევა, ღამით სროლა და ყაჩაღობა.

ტფილისში ამ დროს დიდძალი ჯარი იდგა. ქუჩები სავსე იყო მაზარიანი ჯარისკაცებით, ყოველ ფეხის გადადგმაზე იმართებოდა მიტინგი და აქა-იქ „სამოსუდიც“...

კავკასიის ფრონტიდან რუსეთისაკენ მიმავალი ეშელონები აპირებდენ ტფილისის დარბევასაც, მაგრამ „1917 წლის ნოემბერს ე. წ. წითელმა გვარდიამ აიღო თოფხანა და ეგ საფრთხე თავიდან იქნა აშორებული“.

საქ. სოც. დემოკრატები იმყოფებოდენ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის შემადგენლობაში და ისინი იცავდენ „ცენტრალიზმს“; ხოლო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მათ გეზი იცვალეს და ეხლა ეროვნული პროგრამის მიღებით შეეცადენ თავიანთი პოზიციის გამაგრებას.

ეროვნული ყრილობისათვის სამზადისი სწარმოებდა ფრეილინის ქუჩაზე, ერთ-ერთს დაწესებულებაში... აქ დაიარებოდა კორნელიც და მას კარგად ახსოვს ესტატე მაჩაბელი, რომელიც გაშმაგებით ამტკიცებდა სახელმწიფოებრივობის შექმნისათვის ეროვნული გაერთიანების აუცილებლობას. თუმცა გაშმაგება საჭირო არ იყო, ვინაიდან ყველასათვის აშკარად სჩანდა, რომ „იმარჯვებდა ყველა პარტიებისა და ჯგუფების ერთსულოვნება და სოც.-დემოკრატების მიერ წამოყენებული „რევოლიუციის მონაპოვართა“ დაცვის საკითხიც იმავ ეროვნულ საკითხთან იყო დაკავშირებული და სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა მას“. მიუხედავათ ამისა, პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთ და ჩვენს ნაციონალისტებს საბაბი მიეცათ მთელი თავისი რასიული ტემპერამენტის გაშლისათვის; დარბაზში ცალკე ჯგუფებად თავი შეეყარათ ყველა პარტიების ლიდერებს და პირზე დორბლითა, ხელთა ფართო-შლით და ტანის რხევით კამათობდენ. ყველაზედ უფრო იბრძოდა ესტატე მაჩაბელი:

— ჩვენ რევოლიუციამ მოგვცა ის, რაზედაც ვოცნებობდით ამ ასი წლის განმავლობაში და დაუყონებლივ უნდა შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ფორმა ან სამუდამოთ უნდა აღვაღოთ ხელი ამაზედ ოცნებას!

კორნელიმ დაინახა გენადი და მიტო. გენადი ტატიშვილი იდგა ჩვეულებისამებრ აუღელვებელი, ფერმკრთალი, დადუმებული სახით და ავადმყოფურად გაბრწყინვებული ფართო თვალებით; „ბაგენი მისნი მეტყველებდენ“ ნარნარით უნაკლო ქართულს:

— „ეროვნული გაერთიანება გარდუვალი ნიადაგია სახელმწიფოებრივ ფორმათა შექმნისათვის, ხოლო მივიწყებული არ უნდა იქნას რევოლიუციის

მონაპოვართა შენარჩუნება, არამც თუ მარტო საქართველოს ჩარჩოებში, არამედ ამიერ-კავკასიისა, რუსეთისა და მომავალ რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირის ფარგლებშიაც!.. კორნელი მიესალმა გენადის და ისევ პირდაღებული იჭერდა თითეულ მის სიტყვას, მაგრამ კარგად არ ესმოდა მისი მნიშვნელობა და აზრი.

როდესაც გენადი ლაპარაკობდა, ჩამოიარა მჭლე ტანისა და გამხდარი სახის კაცმა და უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა, ირონიულად გაიღიმა, შავი წვერი გააცანცარა და ევროპიელთა იერის მქონე კაცს ხელმკლავით გაჰყვა; მჭლე კაცი იყო ნ. რამიშვილი... „უჯარო ღენერალი“ გაიფიქრა მან და ე. გეგეჭკორს მიმართა:

— ევგენი, საკითხი, ჩემის აზრით, უთუოდ სასურველად ჩატარდება!

— ეჭვი არ მეპარება—უპასუხა ევგენიმ.

— მაშ ასე, ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარედ იქნები შენ! დაიწყო რამიშვილმა ნერვიულის ხმით და თვალი ელვისებურ სისწრაფით შემოავლო დარბაზში მყოფთ. ევგენიმ ასწია ძვირფასი მატერიიდან შეკერილი პიდჟაკის კალთა, ჯიბიდან თოვლივით თეთრი აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და ჭაჭების ტკივილით დასივებული თვალის უპეები ამოიწმინდა. შემდეგ მეგრელ ბატონისა და დადიანების სიდინჯით განაცხადა:

— ამიერიდან ჩვენ გამოვირიცხეთ თავი რუსეთის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ჩარჩოებიდან! ძალიან მეშინია რე ამ გარემოების! ნ. რამიშვილმა შალვრის ჯიბეებში ხელი ჩაიწყო, წელში გაიზნიქა და უპასუხა: „კი მაგრამ, როდესაც რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება?!..“ ა. ჩხენკელიმ მსუქანი ტანის სიმძიმე გადიტანა მარჯვენა ფეხზე, კატელოკი მოიხადა და პუანკარესავით მსუქანს სახეზედ ოდნავ შესამჩნევი პატარა თვალი მოლულა, შორს გაიხედა და პაუზის შემდეგ სთქვა:

— მე სულ სხვას ვხედავ.

— რას? შეეკითხა რამიშვილი.

— ჩვენი გზა ევროპისაკენ მიიმართება! უპასუხა ჩხენკელმა.

— „ნუ ვიწინასწარმეტყველებთ!“ შეჰნიშნა ევგენიმ და ოქროთი მოქედილი ქარვის სხვილი მუნდშტუკი პირიდან გამოიღო, ფერფლი არისტოკრატის თეთრი და ფაფუკი ხელის მსუქანი თითით დაბერტყა. რამიშვილმა ირონიულის ღიმილით კიდევ ერთხელ შეაპარა ბასრივით მჭრელი თვალები აჟიეტაჟში მოსულ ნ.-დემოკრატების და ს.-ფედერალისტთა პარტიის ლიდერებს და შემდეგ აკაკის და ევგენის განუცხადა: „საკითხი გატარებულია სათანადო ინსტანციებში, ამათ ილაყბონ რამდენიც სურდეთ! წავიდეთ!“

ისინი წამოვიდენ ჩქარის ნაბიჯით, საქმის კაცებივით; რამიშვილმა კიდევ ერთხელ შეხედა ფედერალისტების ლიდერებს და ისევ ირონიულად გაიღიმა; „უჯარო ღენერლები“,—სთქვა მან და ისევ გააცანცარა თავისი შავი წვერი; კიბეზე საჩქაროდ ჩამოვიდენ...

ავტომობილი მიჰქროდა ნაძალადევისაკენ და მიჰყავდა ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე—ევგენი გეგეჭკორი, რამიშვილი და ჩხენკელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

„ამიერ-კავკასიის კომისარიატს ძალაარ შესწევდა გაეგრძელებინა ომი ოსმალეთის წინააღმდეგ და ამიტომ ცდილობდა დაედვა მასთან ზავი, რომელიც ხელმოწერილი იქნა ერზინჯიანში 5 დეკემბერს 1917 წელს. შავი ზღვიდან ვანის ტბამდე მეომარ მხარეთა შორის გაყვანილი იქმნა გამძიჯვნელი ხაზი“.

1918 წლის იანვრის დასაწყისში ოსმალეთმა აღძრა კითხვა ამიერ-კავკასიასთან საზავო მოლაპარაკების შესახებ. რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებიდან გამორიცხული „ქვეყნის დროებითი მესვეურნი“ გრძნობდენ მთელ თავის უხერხულ მდგომარეობას და უსუსურებას.

ერმოლოვის ქუჩაზე შეჩერდა დახურული ავტომობილი; იქიდან გადმოვიდა ა. ჩხენკელი და ორსართულიანი სახლის კიბეზე საჩქაროდ აირბინა. ნ. ჟორდანიას ბინაზე თავი მოეყარათ „ქვეყნის მესვეურთ“. ჩხენკელმა დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა და სავარძელში ჩაჯდა. თათბირი დაწყებული იყო.

სიტყვა აიღო ამიერ-კავკასიის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა. ა. ჩხენკელი მოღუნული ჯოხის თავს ორივე ხელის გულით დაეყრდნო; მარჯვენა ფეხის მუხლი ძალზე მოჰღუნა, ხოლო მარცხენა გამართა, შორს გააგდო და ქუსლზე დაყრდნობილი დასტოვა.

— კავკასიის ფრონტი ძირგამომპალია, უვარგისი და ოსმალთა ჯარების წინსვლას ვერ შეაჩერებს... მიუხედავად ამისა ჩვენ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება ოსმალეთთან საზავო პირობების შესახებ.

— კი მაგრამ, რა იმედით?—ჩაილაპარაკა ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში მყოფმა ჩხენკელმა და გეგეჭკორს სიტყვა გააწყვეტინა.

— თუ გვინდა ზავი, უნდა ვემზადოთ ომისათვის!.. სხვა გზა არ არის! — დაამატა გეგეჭკორმა და შეარხია თავისი მსუქანი და ხორციელობით სავსე ბაგეები.

— ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ მოვიგოთ დრო! —სთქვა ნ. რამიშვილმა და მაგიდის კუთხეზე ჩამოჯდა. მაგიდიდან გადმოკიდულ ფეხზე შალვარი აცოცდა წინდის ყელი ჩამოვარდნოდა და სჩანდა გამხმარი, ბალნიანი წვივი.

— აქ იბადება ერთი უხერხულობა: მართალი გითხრათ, მე ვერ წარმომიდგენია ასეთი დიდი საკითხის გადაჭრა რუსეთის ყოფილ იმპერიისა, რუსეთის რევოლიუციისა და დემოკრატიის გვერდის ახვევით!—განაცხადა გეგეჭკორმა.

— ამის შესახებ ეხლა ლაპარაკი ზედმეტია. ისტორიამ ინება, რომ ჩვენ გავხდარიყავით ამიერ-კავკასიის ბატონ პატრონი, დავყრდნობოდეთ საკუთარ ხიშტებს და საკუთარის თავით გვეაზროვნა.—სთქვა ჟორდანიამ და ისედაც აწეული მხრები კიდევ უფრო აიჩეჩა.

— ჩემის აზრით ჩვენ უნდა დაუცადოთ დამფუძნებელ კრების მოწვევას რუსეთში...

— ივანეს მოსვლამდე პეტრეს ტყავს გააძრობენ!—გააწყვეტინა ჩხენკელმა რამიშვილს სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვიანლა იქნება! — მოუჭრა გეგეჭკორმაც და ისევ ... მსუქანი და ხორციელობით სავსე ბაგეები.

— თქვენ არ დამამთავრებინეთ მე ჩემი აზრი — აუწია ხმა რამიშვილმა — ჩვენ უნდა დაუცადოთ დამფუძიებელ კრების მოწვევას რუსეთში, მაგრამ სანამ იქ ბოლშევიკებია მანამდე საკუთარი საქმიანობა გვმართებს. სთქვა რამიშვილმა და ჟორდანია გადახედა.

ვ. ჯუღელი ფანჯარასთან იდგადა, მხარზე გადაკიდულ დურბინდით ვაზიანსა და სოღანლუღს გასცქეროდა. ის რატომღაც ამ მიმართულებით მოელოდა საფრთხეს. რამიშვილის სიტყვების შემდეგ ის სწრაფად შემოტრიალდა და განაცხადა:

— დაუნდობელი ბრძოლა ბოლშევიკების გამხრწნელ აგიტაციასთან, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოთ შეიარაღებულ ძალას, გვარდიის შექმნას და მაშინ შევძლებთ ოსმალეთთან გამკლავებასაც.

— მაგას მე დიდი ხანია რაც გავიძახი! — მოუწონა რამიშვილმა.

— როგორ შეიძლება საკითხიდან ასეთი გადახვევა, აჩქარება და თავის მოტყუება? — წამოიძახა ჩხენკელმა და სრულიად სწორი მარცხენა ფეხიც მძლავრად მოღუნა.

— რაშია საქმე? — გაიოცა ჯუღელმა. ხალათის კალთა დასჭიმა და ქამარი გაისწორა.

— ჩვენი გვარდია და ჯარი გაუმკლავდება გერმანულ სამხედრო შტაბის ოფიცერთა დეხმარებით მომქმედს და მათი ინსტრუქტორების მეოხებით გაწვრთნილ ოსმალეთის ჯარს, გალიპოლიის მსროლელ ლეგიონებს? — ბრაზობდა ჩხენკელი და ისროდა ანაზდათ ენაზე მოსულ სიტყვებს.

— მაშ რას გვიბრძანებთ? — დაიძახა სასოწარკვეთილის ხმით ჯუღელმა.

— ამხანაგებო. მერყეობისა და კინკლაობისათვის ჩვენ არ გვცალია! სთქვა ჟორდანიამ და სიჩუმე ჩამოვარდა. საგარეელი ყველამ ახლოს მოსწია.

— ყველასათვის აშკარაა, რომ საბჭოთა რუსეთთან ვერავითარ კავშირს ვერ დავიჭერთ. ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონურ და ეროვნულ ორგანიზაციათა კოალიციამ უნდა იხსნას ამიერ-კავკასია. ახლა ჩვენ გვესაჭიროება საკუთარი პოლიტიკის წარმოება, ხოლო ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს „მშვიდობიანობის პოლიტიკა!“ ჩვენ უნდა ვიხსნათ ამიერ-კავკასიის დემოკრატია ბოლშევიზმიდან და თურქებთან ომიდან. ჩვენ უნდა შევქმნათ „დემოკრატიის ნამდვილი კერა“, რომელიც შევა დიდ რუსეთისა და „საერთაშორისო დემოკრატიის“ ოჯახში როგორც სრულუფლებიანი წევრი. ეს მოხდება ბოლშევიკების დამხობის შემდეგ(?). ეს სულ ახლო დროის საქმეა. მანამდე კი ჩვენ ვერ დაუცდით დამფუძნებელი კრების მოწვევას რუსეთში, მაგრამ ამ ხნობით ჩვენ შეგვიძლია სამხრეთ რუსეთში არსებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებიდან მივიღოთ დასკვნა თუ როგორ მოვიქცეთ, რა პასუხი გავცეთ თურქების მიერ საზავო მოლაპარაკების შესახებ აღძრულ კითხვას? — სთქვა ჟორდანიამ და ჭრელი წყალისფერი თვალები ხანგრძლივ შეაჩერა ა. ჩხენკელის ჰალსტუკზე. ვინაიდან სიტყვები არ გამოხატავდენ საქმის ნამდვილ ვითარებას. ის გრძნობდა, რომ თუ კი მშვიდობიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდოდა, სამხედრო გზით ოსმალეთს ...ალიზმს ვერაფერს დააკლებდენ.

—მაშ ასე, დაუცადოთ ამ დასკვნას და მხოლოდ ამის შემდეგ მივცეთ პასუხი ოსმალეთს მის წინადადებაზე.—გაიმეორა ჟორდანიას აზრი ე. გეგეჭკორმა.

— დიახ!—უპასუხა ჟორდანიამ და თეთრი წვერი გაისწორა.

ყველანი ამაზე შეჩერდენ, მაგრამ—

ოსმალეთს არ სურდა შეჩერება და თავისუფლად განაგრძობდა წინსვლას. მაშინ, ამჟამად არსებულ ამიერ-კავკასიის სეიმმა გადასწყვიტა ეწარმოებია ოსმალეთთან დამოუკიდებელი ძოლაპარაკება ტრაპეზუნდში.

ეს გადაწყვეტილება გაბათილდა მეორე დღესვე, ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთს დაეთმო არდაგანი, ყარსი და ბათომი.

ოსმალეთმა დაუყოვნებლივ მოითხოვა დათმობილ ტერიტორიის დაცლა.

ეს ცნობა და ამბავი ელვისებურ სისწრაფით მოედო ქალაქს, ისე როგორც სხვა ყოველნაირი ცნობა, ამბავი და საიდუმლოება, რომელიც კი მთავრობის კულუარებში ხდებოდა.

* * *

საღამოს კორნელის გამოუარა მიტომ და კლუბში წაიყვანა. მიტო ძალზე აღელვებული იყო და ამბობდა:

— მთავრობა მზად იყო დაეწყო მოლაპარაკება საზავო პირობების შესახებ ოსმალეთთან და ეხლა შეხედე,—როგორ გამოგვჭრა ყელი საბჭოთა ქვეყანამ? ვერ წარმომიდგენია ჩვენი ქვეყანა უბათუმოთ!!

— კაპიკათ საღირალი აღარ არის!—უპასუხა კორნელიმ და დაუმატა—ესტატემ დღეს მოიტანა ამბავი, რომ ოსმალთა ჯარები ბათომს უახლოვდებიანო.

— უნდა გავწყდეთ ან შევინარჩუნოთ ბათომი. რა უფლება აქვთ ივაჭრონ ბათომით ბრესტ-ლიტოვსკში? ამბობდა მიტო გზაზე.

ისინი შევიდენ კლუბში. ფედერალისტების კლუბი მოთავსებული იყო ყოფილ სასულიერო სემინარიის შენობაში, პუშკინის ბაღის წინ. დარბაზი სავსე იყო ხალხით. სჭარბობდა ახალგაზრდობა, ქალები.

მაგიდასთან ისხდენ: კრების თავმჯდომარე ს. ფირცხალავა, მის გვერდით გ. ლასხიშვილი, რევაზიშვილი, გენადი, სათვალებიანი კაცი და სხვა...

სიტყვა აიღო რევაზიშვილმა. რევაზიშვილი სამხედრო აკადემიიდან გამოსული ოფიცერი იყო და მან დახატა ის საშიში მდგომარეობა, რომელიც მოელოდა საქართველოს და მთელ ამიერ-კავკასიას სამი მეტად საპასუხისმგებლო სიმაგრეებისა და საჯანყეების დაკავების გამო,—ბათომისა, ყარსისა და არდაგანისა! რევაზიშვილი იცავდა იმ აზრს, რომ ამ პუნქტების დაკავების შემდეგ ოსმალეთი ხდება მთელი ამიერ-კავკასიის: საქართველოს, სომხეთ-აეზრბეიჯანის მბრძანებელი და ბატონ-პატრონიო.

„არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ ოსმალეთი არ მოისურვებს მთელი ქვეყნის ხელში ჩაგდებას. აი, ამ დროისათვის ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს

მზად და ოსმალთა ურდოებს თავისი საკუთარი, ძლიერი და გაწერილი ჯარი დაუპირდაპიროს!". თავისი სიტყვა რევაზიშვილმა გაათავა ქართველ ახალგაზრდობისადმი მოწოდებით: „ყველანი ჯარში, ყველანი ყაზარმებში!".

ახალგაზრდობაში ჩოჩქოლი შიქნა და ერთი-მეორეს უზიარებდენ თავიანთ გადაწყვეტილებას ჯარში ჩაწერის შესახებ.

მიტომ მიმართა კორნელის: „უთუოდ მივდივარ ხვალიდან ჯარში"! კორნელი დაფიქრდა—ჯერ ვერ გადაეწყვიტა თავისი ნებით ყაზარმაში წასვლა და ისიც როგორ ყაზარმაში? ამ ფიქრში იყო გართული კორნელი, როდესაც ვილაცას ხმამ დაიჭექა:

— „მამულიშვილნო!"

სიტყვას ამბობდა რუსეთიდან ჩამოსული, ძველი სტუდენტი, სწორედ ის შავწვერა და სათვალებიანი, რომელსაც მიმართა კორნელიმ ამ კლუბში პირველად შემოსვლის დროს. მას ეცვა შავი კოსტუმი; კორნელი უსმენდა.

— „აღზდგა ძველი საქართველო და აღსრულდა მცხოვანი აკაკის სიტყვები: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!"

„თავისუფლება, რომელიც წილად ჰხვდა მრავალ ტანჯულს სამშობლოს მისივე შვილების ხელთ არის და ჩვენ შეგვიძლია დავღუპოთ ან შევინარჩუნოთ იგი". ამბობდა ორატორი და წინ წამოიჭრა; სათვალები მოიხადა და შუბლზე თმა გადმოსცვინდა. გამხდარი სახის ღრუში ჩაცვენილი თვალები ნაღვერდალივით ანათებდენ.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, გამხდარი კაცი იშვერდა ხელებს მოქალაქეებისაკენ და მთელი დარბაზი ჯადოსნურად დაიჭირა ამ მარწუხებივით მაგარს და გამხდარს თითებში; შემდეგ აღგზნებით სავსე თავისი სიტყვა მისტიურის ხმითა და ასეთის მოწოდებით დაასრულა:

„მამულიშვილნო, თქვეკნენ იწვევენ საფლავებიდან წინაპართა ჩონჩხიანი ხელები და ითხოვენ მამულის გადარჩენას!

ყველანი ჯარში! ყველანი ფრონტზე!"

კორნელის ტანთ გააჟრჟოლა. ფანატიკოსმა მოსწამლა შოვინიზმის შხამით კორნელი და უკვე არავითარი ეჭვი აღარ იყო იმისა, რომ ის ეხლავე ჩაეწერებოდა ჯარში და შეასრულებდა უსიტყვოთ ყოველივე იმას, რასაც კი „ეს კაცი" მოისურვებდა: წაჰყვებოდა ომში, გულს შეუშვერდა ტყვიას, გადავარდებოდა ცეცხლში. ოღონდ არ შეერცხვინა „წინაპართა საფლავები და იქიდან ამომძვრალი და ამოწვდილი ხელები, ჩონჩხი".

კრების შემდეგ, აქვე სამხედრო პირთან, კრებაზე მოსულმა ყველა სტუდენტებმა და სხვებმაც განაცხადეს სურვილი და ჯარში ჩაეწერენ. კორნელიმ მოაწერა ხელი უქვე მეორმოცემ, შემდეგ მიტომ და სანდრომ...

რამოდენიმე დღის შემდეგ, დანიშნულ საათს სტუდენტები გამოცხადდენ კლუბში და აქედან სამხედრო პირის თანხლებით გადაგზავნეს გენერალთან. ჩამწკრივებული სტუდენტები შევიდენ სამხედრო სკოლის დერეფანში და შეჩერდენ ერთი ოთახის წინ, რომელშიაც ფუსფუსებდენ ოფიცრები და გამუდმებულად შედიოდენ და გამოდიოდენ. კორნელი, მიტო, სანდრო და კუკური იდგნენ

წინა რიგში და უცდიდენ გენერალთან შესულს თავის ...; გენერალს უნდა მოეწერა ხელი საბუთებისათვის, და ყაზარმაში გადასვლა ...; ... ...-კორნელიმ თვალი მოჰკრა ნაცნობ ოფიცერს და სალამს აძლევს; ოფიცრები იღიმებოდენ და სტუდენტებს წინდაწინვე აშინებდენ; „ეხლა თქვენ ჩვენ ხელში ხართ! ტყავს გაგაძრობთ! თქვენი სოციალისტობა და ამხანაგობობა სამუდამოთ უნდა დაგავიწყოთ!“ ამბობდა კორნელის ნაცნობი ოფიცერი დათა გიშრიშვილი და თავის ჩექმის ყელს სტეკს მძლავრად სცემდა, „ვაი ჩვენი ბრალი!“ სთქვა კუკურიმ.

„დარდი ნუ გაქვს, ტყუილად ჰფიქრობს!“ განაცხადა მიტომ. კორნელი აკვირდებოდა ოფიცრებს; ყაზარმაში გავრცელებული ჩექმისა და ბორშჩის სუნი სცემდა და თავის თავი უკვე ნამდვილი ჯარი-სკაცი ეგონა.

ოთახიდან გამოვიდა მეთაური ხელმოწერილი ქაღალდებით და სტუდენტების რაზმი წაიყვანა. გაიარეს სკოლის ეზო, დიდიმთავრის ქუჩით ბორანისაკენ გაუხვიეს, მტკვარით ვერის პარკში გავიდენ და აქედან უკვე მეორე მსროლელი საარტილერიო ბრიგადის ყაზარმებისაკენ.

ეს იყო 1918 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში. ამ დღიდან კორნელი, მიტო, სანდრო და კუკური სხვა სტუდენტებთან ერთად უკვე ჯარისკაცებად იქცნენ და ყაზარმული ცხოვრება დაიწყეს.

მეორე საარტილერიო ბრიგადის ყაზარმები გაშენებული იყო საბურთალოზე, მეთაურმა ამოიყვანა სტუდენტები მთაზე და რაზმი მიადგა ყაზარმების შენობათა უკანა კორპუს. გადაიარეს მოედანი და შტაბთან შეჩერდენ. მეთაურმა გადასცა კანცელარიას ჯარში ჩასარიცხ სტუდენტების სია.

ყაზარმიდან გამოვიდენ ერთი კვირის უკან მოსული სტუდენტები და მოხალისენი. კორნელიმ დაინახა გრიგოლი და ისინი მიესალმენ ერთმანეთს დიდის ამბით და სიხარულით. გრიგოლს ჯარისკაცის ტანსაცმელი ეცვა: ქუდი, ჩექმები და მაზარა. ცოტა ხნის შემდეგ ყაზარმიდან გამოვიდენ გენადი და სათვალეებიანი ორატორი, პატრიოტი და მისტიკოსი, სწორედ ის, რომელიც ახალგაზრდობას ყაზარმისა და ფრონტისაკენ მოუწოდებდა და აფთხობდა „საფლავებიდან ამოწვდილ წინაპართა ჩონჩხიანი ხელებით“. ამ ორატორსა და გენადისაც ჯარისკაცის ტანსაცმელი ეცვათ; ისინი მიესალმენ რაზმს.

დაღლილი სტუდენტები ჩამოსხდენ გრძელ სკამზე. მათთვის კლუბიდან სამხედრო სკოლამდე და აქედან ბრიგადამდე განვლილი მანძილი გრძელი გზა იყო. ოფიცრები იცინოდენ: „ასე მალე დაიღალეთ? დაიცათ, ჯერ სადა ხართ? აი, როდესაც წურთნას დაგიწყებთ მაშინ იკითხეთ“?!

ერთმა მეთაურმა მიჰმართა სტუდენტებს: „ჯარი სამოქალაქო უწყება არ არის! აქ არავითარი პოლიტიკა არ შეიძლება არსებობდეს, გარდა სამხედრო დისციპლინისა და უფროსთა ბრძანების უსიტყვოდ შესრულებისა! სტუდენტები ახირებული ხალხი ხართ! არ ვიცი, როგორ წავა ჩვენი და თქვენი საქმე“?

სანდრო და ზოგიერთი ამხანაგები გამოსთქვამდენ აღტაცებას და დისციპლინის წინაშე სრულ მორჩილების სურვილს, თანაც დააძენდენ, რომ ისინი სწორედ ამ გაგებით მოვიდნენ ჯარში, მაგრამ მიტოსა და რამოდენიმე სტუ-

დენტს მაინცა და მაინც არ მოეწონა ჯერ კიდევ ნიკოლოზის, არმიის ფორმაში გამოწყობილი ოფიცრების ეს წინასწარი გაფრთხილება და „ამბობდენ: „ამ მონარქისტებს თავის ჩინი—ჯილდოს და დისციპლინის გარეშე, მგონი არც სამშობლო და არც თავისუფლება არა სწამთ“? რაზედაც გენადი უპასუხებდა: „მართალია, აქ თავშეყრილ ოფიცერთა შორის შესაძლოა რუსი მონარქისტიც კი ერიოს, მაგრამ მას ჩვენ გამოვიყენებთ“!

„არა ვფიქრობ“! უპასუხა მიტომ.

შტაბი ერთ სართულიანი თეთრი შენობაა. მოედანი მოთავსებულია პარალელურად ჩამწკრივებული ყაზარმებისა და შტაბის შუა. ყაზარმების უკან ხრამია და მდინარე ვერა. მარჯვნივ: საწყობი (ცეიხგაუზი) და ვლადიკავკავისაკენ მიმავალი სამხედრო გზა. მარცხნივ არტილერიის პარკი, თავლები, ცხენ-სახედნო (მანეჟი), რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ: კლდის მოკვეთილი ნაპრალი და ქვევით მტკვარი.

პირველი და მეორე ყაზარმის ფანჯრები, კარები დალეწილი იყო და ამ შენობებში არც არავინ სცხოვრობდა; მესამეში ძველი ჯარიდან ჩამორჩენილი და იმპერიალისტურ ომში ნამყოფი სამოცამდე ჯარისკაცია. ეხლა ისინი თავისუფალი იყვნენ, მაგრამ ჯარიდან წასვლა მაინც არ სურდათ; სამაგიეროდ მათ არ სურდათ არც სამსახური. ტანსაცმელი, თოფი ტყვიები დაიტოვეს, არავის აბარებდენ; ღამით ისინი სცარცვავდენ წყნეთის და დიღომია გლეხებს, სამხედრო გზით გამოჩენილ ავტომობილს. მთავრობამ ეს ჯარისკაცები მონათლა „ბოლშევიკების“ სახელწოდებით, თუმცა ამ ბანდის მეთაურები იყვნენ გამოჩენილი ავარები „შაქრო ვერელი“ და „კოლკა ჩერნა“ (ქართველი და რუსი ყაჩაღი).

ამ ბანდის შესახებ საშინელ ამბავს უყვებოდა გრიგოლი თავის ამხანაგებს: კორნელის, სანდროს, მიტოს და კუკურის, როდესაც ისინი ყაზარმაში დამზადებულ სადილს შეექცეოდენ.

— ამ ხალხს იოტის ოდენი ადამიანობის ნასახიც კი არ შერჩენიათ. ომში კაცის კვლას შეჩვეულნი და გაველურებულნი ისინი ნაშუაღამევს გამოდიან თოფით სანადირეოთ და იწყებენ ცარცვა-გლეჯას. ეს ყაზარმა მათი ბუდეა. სამხედრო გზაზე და ახლო-მახლოს მოვაჭრე მედუქნეები და მიკიტნები სიკვდილის შიშის ქვეშ მათ თავის აგენტებად აქციეს. ამას წინად აი, იქ ქვევით „ედემში“ (ბაღია) ქალაქიდან მოსული კომპანია ქეიფობდა ქალებთან ერთად. რესტორანის გამგემ, ბაქრაძემ შეატყობინა შაქრო ვერელსა და კოლკა ჩერნას, რომ „ჩემთან მდიდარი, გასაცარცავი ხალხი მოვიდა და თუ ფულის შოვნა გინდათ ერთი საათის შემდეგ მოდითო“. მართლაც ღამის ორ საათზე ბანდიტები შეიჭრენ კაბინეტში, სტუმრებს გულზე იარაღი დაადვეს და პირწმინდათ გაასუფთავეს; წამოიღეს დიდი ქალი ფული, საათები, სამაჯურები, ბეჭდები და სხვა.

ორ თებერვალს, აგერ იმ ხიდესთან, ღამეს ათევდენ ვლადიკავკავიდან „ტაჩკებით“ ჩამოსული ოსები. დღისით მათ გაჰყიდეს ოსური ყველი და ჰური, საღამოს აქ დაბანაკდენ და დილით ადრიან მთაში წასვლას აპირებდენ. ნაშუაღამევს საშინელი ყვირილი და თოფის სროლა ატყდა. კოლკა ჩერნამ ალყა შემო-

არტყა ოსებს და გაცარცვა. ერთმა ოსმა ხანჯლის ამოღება სცადა და ჩერნამ კონდახით გაუტეხა თავი. მეორე ოსი ტყვიით მოჰკლეს. როდესაც ეს ამბავი ბევრით მოხუცი ოსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. კოლკა ჩერნას ხეთა-ფეხის ბაბიჯზე უსვრია. ტყვია მუცელში გაესკდარა და ნაწლავები დაუგლეჯია. ოსი დაუწვენიათ შუაცეცხლთან ნაბადზე და ალი ანათებდა მას სახეზე. ღამის წყვდიადში მოხუცის უმოძრაოთ გაშტერებული თვალები ჯერ კიდევ ნალვერდალივით ანათებდენ.

მოხუცი ოსის სახე ჩვენ თვალწინ სივდებოდა და კუპრივით გაშავდა. მას თავზე ადგა მუხლმოყრილი შვილი, ახალგაზრდა ვაჟკაცი. დააცქერდებოდა და როდესაც ყელში ქვითინი მოერეოდა, მარცხენა ხელს ცრემლმორეულ თვალზე აიფარებდა და მარჯვენა ხელის მჯიღით გულისფიცარს შეინგრევდა. მომაკვდავს გარს ერტყა ხანჯლის ტარზედ ხელით დაყრდნობილი ოსები თავისი დამუნჯებული, გლოვიანი სახით და შვილის მწუხარება გულს ულონებდათ. ირგვლივ იდგნენ ოსებივით კუშტი და მხრებაწურული გოლიათი მთები. ჩამოვარდა სიჩუმე, თითქოს ამ რამოდენიმე წუთის წინ არაფერი მომხდარიყოს. ხევში მიდიოდა ღელე ჩუმი რაკრაკით და მთის წვერზე ჰყეფდა ძაღლი. ოსი მოკვდა ნახევარი საათის შემდეგ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რაჟდენ გვეტაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიაკოკონა

(გაგრძელება) *)

VIII.

— შვილო, როგორც დაგარიგე ისე მეიქეცი, არ დაიბნე!

დაყვავებით უთხრა მირიანმა კესოს, როცა საღორიის საავადმყოფოს მიუახლოვდენ.

— რაფერ გაუმხილო მომაკვდავს ასეთი რამე, ცოდვაა!

გაუბედავათ და გულაჩუყებით წარმოსთქვა კესომ და მამას წინ გაუსწრო.

მირიანმა იგრძნო შესაძლო იყო კესოს გამოისობით განზრახული ჩაფუშვოდა და ბრაზმა შეიპყრო, მაგრამ თავი შეიკავა, შვილს გვერდით ამოუდგა და გამვლელთა სარიდოთ ყურთან მიახალა:

— ინანებ მაგ ჯიუტობისათვის... შენ რა იცი ცხოვრების, ალბათ როგორც გირჩევ, ისე სჯობია... ურჩობა აღარ გაბედო!

კესო გაიტურნა.

საავადმყოფოს კიბესთან კიდევ ერთხელ გააფრთხილა კესო მირიანმა და გულისჯიბა მოისინჯა, სადაც წინასწარ გამზადებული საბუთი ედო. ცოტახნას ფათურის შემდეგ მირიანმა საბუთი და მელნიანი პატარა შუშა კესოს გადასცა. შუშას ჩალისღერას გული ეცო და ყელზე წვრილი თოკით ბოლო მოტეხილი კალმისტარი ება.

ავადმყოფების ნახვის დღე არ იყო, მაგრამ რადგან მოსია ცალკე ოთახში იწვა, მორიგე ექიმმა მირიანს და კესოს დაუყონებლივ ნება დართო მასთან შესულიყვენ.

მეგობრებმა მოსიას გათვისებული ოთახი იმიტომ დაუქირავეს, რომ იავაშათ ყოფილიყო თან დღედაღამე თავმდგური მიუჩინეს, ექიმებიც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მოსიას ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა.

უკანიდან მოხვედრილი ტყვია თეძოს ძვალში ჰქონდა გარჩენილი, რის გამო რთული ოპერაცია შეიქნა საჭირო.

ოპერაციის შემდეგ ნატყვიარი გაუმიზეზდა და დაუჩირქდა, ამას ზედ დაერთო სისხლის მოწამვლა და მოსიას მორჩენის იმედი გამოჩენილ ექიმებსაც დაეკარგათ.

მირიანი განგებ დილით ადრე წავიდა სიძის მოსაკითხათ, რომ მასთან გარეშე არავინ დახვედროდა და როცა მის სასთუმალთან ტირილით თვალებ ამოწითლებული ანუსი შენიშნა, გულზე რალაცამ ეკალივით უჩხვლიტა.

*) იხ. „მნათობი“ № 6.

ანუსიმ რძლის დანახვაზე ცრემლები კვლავ ვეღარ შეიკავა და ავადმყოფს პირი მოარიდა.

მოსია ბურანში იყო და შუბლზე ყინულით სავსე პარკი ეფარა.

— როგორ ხარ, ვერ მიცანი?

უნებური ცივი ხმით ჩაკითხა კესომ.

მოსიამ ანუსის გასაკვირად მაშინვე გაახილა თვალები და კესოს მიაშტერა.

კესომ ვეღარ გაუძლო მის მზერას და უხერხულად თავი დახარა.

— მოსე, უკეთ ხარ ხო!

ეხლა მირიანი შეეკითხა.

მოსია კვლავ ცოლს უცქეროდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— მაი როა, ისე იქნა ჩემი მტერი!

ჩაილაპარაკა ანუსიმ და ავადმყოფის სასთუმალთან კესოს სკამი მიუჩოჩა:

— დაჯექი შვილო, ეგება ეამოს შენი ახლო ყოფნა.

მოსიამ მოახლოებულ კესოს ხელი გაუწოდა და გაულიმა.

— მძახალო, დავტოვოთ მარტო, უკეთესია ავადმყოფისათვის!

უთხრა მირიანმა ანუსის და შემდეგ თავმდგმურ ქალს მიმართა, ისიც გასულიყო გარეთ, მაგრამ ქალმა ვერ გაიგო ნათქვამი.

— დასწყევლოს ღმერთმა, სად არ დაეთრევიან ეს უნიფხოები!

გაიფიქრა მირიანმა და დამტვრეული რუსულით გადენა ქალი.

მას ანუსი გაჰყვა და მირიანმა კესოს ანიშნა განდობილი უთუოთ შეესრულებია.

მირიანი დერეფანში მორიგე ექიმს გამოუდგა და თავაზით ჰკითხა:

— ბატონო მკურნალო, როგორ ატყობთ, ხო გადაიტანს?

— ჰმ, საიგებიოაა, მაგრამ ვნახოთ, მაგარი აგებულებისაა და შეიძლება მოერიოს. ცდას არ დავაკლებთ...

დააიმედა ექიმმა და გაშორდა.

მირიანმა ავადმყოფის ოთახთან დაიწყო წრიალი და პირში ჩადებულ წვერის ბოლოს კბილებით კვნეტდა.

კარებთან საცოდავად ატუზულ ანუსის მოეჩვენა, რომ მირიანი მეტად შფოთავდა, რაც მოსიას შესახებ ექიმისაგან ცუდი ამბის გაგებას მიაწერა და შეშინებული ოთახში ფეხაკეფრით შევიდა.

— ვაი თუ ხელი შეუშალოს!

გაუელვა მირიანს და ანუსიზე გამწყრალი თვითონაც შევიდა ოთახში.

მირიანს ავადმყოფი კედლისაკენ პირმიბრუნებული დახვდა, ხოლო კესოს მისი მარჯვენა ხელი ხელებში მოემწყვდია და თავდახრილი იყო.

— როგორაა, წუხს თუ?

უჩვეულო ხმით შეეკითხა მირიანი ფერჩანაცრებულ კესოს, რომელმაც პასუხის ნაცვლად მამას შეხედა და კვლავ თავი ჩაკიდა.

მირიანმა შვილის გამომეტყველებაში წადილს შესრულება ამოიკითხა და გულზე მოეფონა, მაგრამ სიხარული არ შეიმჩნია და კვლავ შვილს მიმართა:

— წავიდეთ შვილო, ალბათ დაიღალა, ეხლა მაგას მოსვენება ეჭირვება"

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲒᲘᲜᲐᲮᲘᲡᲣᲚᲘ

კესო ადგა და მოსიას ხელი საბანზე ულონოთ დაეშვა.

ცოლი და სიმამრი ისე წავიდენ, მოსია არ შერხეულა, ~~ბოლოს~~ ანუსიმ მიაცილა ისინი კარამდე.

მამა-შვილმა დერეფანი უხმოთ გაიარეს.

— რა ქენი?

გარეთ გასვლისთანავე მოუთმენლად შეეკითხა მირიანი კესოს, რომელმაც, მამას უსიტყვოთ გადასცა ქაღალდი და გზა განაგრძო.

მირიანმა მოავლო თვალი თუარა ქაღალდზე მოსიას ხელის მოწერას, კუნთებში ახალი ძალა იგრძნო და წელში გაიმართა. კარგა მანძილის გავლის შემდეგ მან, ნამუსის დასამშვიდებლად და შვილის გასაგონათ წარმოსთქვა:

— ასე არ სჯობია? თუ განიკურნება, ვინ ოხერი, პირიქით დავეხმარები რა? გამეწყობა, მარა ვინიცობაა რომ ვერ გამობრუნდეს? რატომ უნდა დაიკარგოს იმდენი ქონება. ცოლი ხარ და კანონითაც შენ გეკუთვნის.

მირიანი ისე მიაბიჯებდა, თითქო მოელი ქუთაისის პატრონი გამხდარიყო.

— რაღა მაქ სოფელში, მივყიდი იქაურობას და აქ გადმოვსახლდები!

ფიქრობდა ის და უკვე თავისად თვლიდა რკინისგზის სადგურის ახლო, მოსიას მიერ ეკრალის ნათალ ქვით ახლად აგებულ და მარსელის კრამიტით დახურულ 6 თვალიან სახლს.

განსაკუთრებით მირიანს იზიდავდა მოსიას რესტორანი და თუ ამ რამდენიმე თვის წინად სიძეთ ესირცხვებოდა მიკიტანი, ეხლა თვითონ ნატრობდა მზამზარეულ და სხვისგან გაწყობილ დახლში ჩადგომას.

— ვაჭრობა სათაკილო არაა, ჩემზე უფრო დიდი გვარისანი უარესაც სჩადიან. პირველხანებში კი გამიჭირდება ხაზეინობა, მაგრამ შეეჩვევი, არაფერია.

ინუგეშებდა თავს მირიანი და ყოველდდე კარგი სმა-ჭამის მოლოდინში ტუჩებს ინერწყვავდა.

მაგრამ ნაოცნარი ზღაპრულ ჩიტივით გაუფრინდა და მირიანი კვლავ მოიხარა ბეჭებში:

მოსია ერთ თვეში ფეხზე დადგა და მალე ყველაფერს თვითონ დაეპატრონა.

საათივით მომართული რესტორანი მოსიას არეული დახვდა.

— შენი ავადმყოფობის შემდეგ ერთი დღე არ გვქონია ხეირიანი ვაჭრობა. ექიმებს ნავალებ ფულს ვაძლევდი.

თავს იმართლებდა დახლიდარი.

მოსიას ემწუთხა ვალები და ზარალი, მაგრამ დავის არაქათი აღარ ქონდა და დაასკვნა:

— მე კიდო დიდხანს ვერ შევიძლებ საქმის გაძღოლას, მანამდე ყველაფერს გამინიავებენ.

და მოსიამ რესტორანი გაყიდა, სახლი გააქირავა და სოფელში წავიდა.

სოფლის სუფთა ჰაერმა და ანუსის მოვლამ მოსია რამდენიმე თვეში სავსებით გაანჯანსაღა.

მალე კესო მოიყვანა და დაიწყო სტუმრიანობა.

თეოფილეს მოყვანილი ჭირნახული მოსიას მოყვრების პატივისცემას უნდებოდა.

ეფროსინე და ანუსი კერიას ვეღარ შორდებოდენ: მთელი დღე ცეცხლი ენთო და იწოდა ახალი ქათმები, გოჭები, ცხვებოდა ხაჭაპურები და ვარდალაში შიშინებდა მართალი ღომი.

— ტყიბულში მუშაობას თავი დავანებე, ვიფიქრე ოჯახს მამის სიკვდილს არ დავამჩნევთქვა და რას მიშვრება ეს კაცი, რაცა უქნარა აზანაურების მოჯამაგირეთ მაქცია! გასაყიდათ ვეღარაფერი გადავარჩინე რო ქალამანი გამოვიცვალო, ცოლშვილი სულ დამიტვიტლდა, რამდი უნდა გაგრძელდეს ასე?

ასკდებოდა თავის გულს თეოფილე.

— აქაო აზნაურის ქალი ვარო და არაფერს კიდებს ხელს, მე მოახლედ მთვლის თუ რავაა მაგის საქმე! რაიტო უნდა ჩავანთქევიო კესოიას ნათესავებს ჩემი ნაოფლარი, ა?

ეკაპასებოდა დედამთილს ეფროსინე.

თეოფილემ, ახალთაობის დროს ათისთავათ ნამყოფი ლევანტი ზაუტაშვილი მიუგზავნა ძმას მოციქულათ და გაყოფა მოსთხოვა.

მოსიამ ჯერ იხუა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დაყაბულებოდა და ძმებს შუა დაიწყო ასეთ საქმეებში გამოცდილ კაცების მისვლა-მოსვლა.

მოსიამ მტკიცედ განაცხადა, რომ ყველაფერი თანაბრად გაყოფილიყო.

— რათ გინდა ამ დაქონჭილ სახლის ნახევარი, დაშლაზე ღერ-ღერა დაიფშვნება, სათაოდ სხვა მიითვალე რამე!

ეუბნებოდენ შუამავლები მოსიას, მაგრამ მოსია ჯიუტობდა.

— მამაჩემმა დამლუპა, შემომიბერა ხელში, თავის დროზე რო გავეშვი ჩემთვის, ახლა თავშესაფარი საძებნი აღარ მექნებოდა. იმის სული წაწყდეს ჩემი ასეთ დღეში ჩაგდებისათვის, ბატონათ გამიხადა ძმა. რასაც მე მაგი მიშვრება, იმას ძმა კი არა მოსისხლე მტერი არ უზამს კაცს. მამაჩემიზა ცხვარის მაგიერ ძაღლი უნდა დამეკლა, ძაღლი.

ცხარობდა თეოფილე.

მიქელას უხიაგათ ხეენებაზე ანუსი ტირილმა დაახრჩო და სიკვდილი სანატრელი გაუხდა.

რამდი შუაკაცები საქმეს გაარიგებდენ, ძმებმა ერთმანეთზე ორჯერ-სამჯერ წაიწიეს მოსაკლავად.

დიდი დავიდარაბის შემდეგ შუაკაცებმა შესძლეს მათი გაყრა.

მოსიას ეზოს საუკეთესო ნაჭერი ერგო.

მას აგრეთვე წილში ხვდა ცალი ხარი, უშობელი, რამდენიმე ფრთა ქათამი, ხაბაკის ნაწილი და ნახევარი სახლი, რომლის აგებაში ანუსი, მიქელასთან ერთად, ვაჟკაცივით ეხმარებოდა დურგლებს.

— ხარები მაინც არგე გაუყოფად თეოფილეს, ცოდვაა, ცალი ხარით რა უნდა გააწყოს! შეძლებული კაცი ხარ, ამით შენ არაფერი დაგაკლდება, იმას კი იხსნი სიღატაკისაგან, რაც უნდა იყოს ძმაა.

ურჩია მოსიას ლევან ზაუტაშვილმა მაგრამ მოსიამ ხეირიანი პასუხიც არ გასცა.

როცა სახლის დარღვევა დაიწყეს, ანუსის კვილმა მთელი სოფელი შესძრა.

თეოფილე გარეტებული იდგა და უსასუოთ უცქერდა თუ როგორ მკვდარ ჩიტებივით ცვიოდენ ძირს, ხავს მოკიდებული ყავრები.

მოსიას გადაწყვეტილი ჰქონდა ქუთაისში ეცხოვრა, მაგრამ ძმისა და მტრების ჯინაზე არც სოფლიდან უნდოდა ფეხის ამოკვეთა, რის გამო კესო ცოლურს გახიზნა და შეუდგა ოჯახის მოწყობას.

მან რესტორანის გაყიდვიდან აღებული ფულით რგუნაში შეიძინა წაბლის 4 თვალიანი სახლი და თუნუქით დახურა. მამისეული ნახევარ სახლის მასალისაგან კი ბოსელი გააკეთა, ავთვალიანთა ჯადოს გასაცუდებლად წითლად შეღებილ ჭიშკარს რამდენიმე ნალი მიაჭედა და იქვე მარგილზე ცხენის თავის ჩონჩხი ჩამოაცო.

შემონახული ფული რომ აღარ ეყო, ივალა და სახლი მორთო.—ქუთაისიდან ჩამოიტანა ხალიჩები, რკინის კრაოტები, კარადა, გრამაფონი და მეორე ქორწილი გადაიხადა.

ყოველ უქმეს მოსიას ეზოში მუჭის ტოლა რამდენიმე ცხენი ება და სახლიდან გაბმით ისმოდა „მრავალჟამიერი“, რომელსაც გრამაფონის ხმა ენაცვლებოდა. ხანდახან კი კესო გიტარაზე ამღერებდა:

„შანტეკლერი შეუკერავს
ჩიქვანის ქალსა
შეუკერავს ვერ ჩაუცვამს
ჩიქვანის ქალსა“...

მალე ძმებმა დაობა დაიწყეს საზღვრის შესახებ და დედის შენახვის თაობაზე. დავაში კვლავ შუაკაცები ჩაერიენ და ორთავე დაიყაბულეს იმაზე, რომ ანუსის ჯერობით თვითო წელიწადს ეცხოვრა მათთან, ხოლო საზღვარი ისევ გაუსწორებელი დარჩათ.

ანუსი ყოველ წლის ბოლოს აიკიდებდა ჭილოფში გახვეულ თავის ძველ ლოგინს და ხან ერთ შვილს მიადგებოდა, ხან მეორეს.

ყავლის გათავებამდე ანუსი მოსიადან ორი-სამი დღით ადრე მიდიოდა თეოფილესთან, რადგან იმ ფუძეზე მთელი თავის სიცოცხლე ქონდა გატარებული და უყვარდა იქაურობა.

მოსიასთან გული იმიტომაც არ უდგებოდა, რომ კესოს ვერ შეუგუა ხასიათი და ყოველთვის ეკინკლავებოდა რძალი.

უფრო კი თეოფილესაკენ იზიდავდა წვალებით გაზრდილ მაროს სიყვარული.

უკანასკნელად ანუსიმ არჩია სულ თეოფილესთან ცხოვრება, რაც მოსიამ იწყინა და სარჩოს მიცემაზე უარი შეუთვალა. ანუსი იძულებული შეიქნა სასამართლოსათვის მიემართა, მაგრამ საჩივარი განხაგრძლივდა და ანუსის თავი მოაბეზრა სასამართლოში წოწიალმა.

თეოფილემ ისევ ტყიბულში დაიწყო მუშაობა და უფროსი ადამიანის სახლში ყოლა კიდეც უხაროდა, თუმცა ხანდახან ნიშნის მოგებით მაინც ეტყოდა დედას:

— ესეც შენი საყვარელი მოსია!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VIII

ჭიაკოკოკონობის შემდეგ ძმების შუა შუღლმა კიდევ უფრო გაიდგა ფესვები.

აღდგომას შილებიც უბრალოთ ეზიარენ.

ციისკარზე ანუსი და მარო ადრე წავიდენ.

ბებიას ნაქონ კაბიდან შეკერილ ტანისამოსში მარო კოპწიად იყო გამოწყობილი და გულღია წითელი ჩუსტები ეცვა.

მარო ფრთხილად მიაბიჯებდა, რომ ფეხი ქვაზე, ან კოლბოხზე არ წამოეკრა და ჩუსტები არ გაფუჭებოდა.

ეკლესია უკვე გაჩირაღდნებული და ხალხით სავსე იყო.

მლოცველებს სუფთა სახეები უბრწყინავდათ და გულმოდგინეთ უსმენდენ გარდაცვლილ კიმოთეს მაგიერ გამომწესებულ ახალგაზრდა ღვდელს ესტატე გიორგაძეს, რომელსაც ზარასავით და მეტად საამო ხმა ჰქონდა.

ესტატე კესოს სოფლელი იყო და ოქროპირის კბილა.

მღვდლათ კურთხევისთანავე მას სოფელ ძმუისის მრევლი ჩააბარეს და თვის სამწყოსში ესტატე აღდგომას პირველად წირავდა.

ესტატეს ეწადა მღვდელმსახურების სარბიელი გამოეყენებია ბეჩავთა და ტვირთმძიმეთათვის სააქაო შვების მოსაპოებლადაც, ამ განზრახვით დაშორდა ის სხვადასხვა გზით მიმავალ სემინარიელ ტოლებს, მაგრამ არც თუ ადვილი აღმოჩნდა მორწმუნეთა შორის უხსოვარ დროიდანვე გაბჟნილ ადათის დაძლევა და ესტატეს მალე გაუტკბა ნათელაში თამადობა, ტაბლა და აღაპებში სიარული.

ესტატემ ვერც ბიბლიური ადამიანის ცოდვას დააღწია თავი და მოსვლისთანავე სოფლად მაცდურ რაყიფის სახელი გაითქვა. ესტატე მალულ ეტრფიალებოდა პირსავსე მთვარესავით გაბადრულ კესოს, რაც ყველაზე ადრე ეფროსინემ შეამჩნია და კესოს აუგი დედამთილს აუწყა. ეს იცოდა კესომ და შილები შენდურდენ, მაგრამ არ იცოდა მოსიამ და ესტატე ფრთხილად განაგრძობდა აკრძალულისაკენ ლტოლვას.

შუა წირვის შემდეგ ჭირისუფლებმა საფლავებზე აანთეს თაფლის სანთლები, რომელთა შუქი ეკლესიის მთელ გარემოში ციცინათელებივით ციალებდა.

მალე ამბიონიდან გაისმა ესტატეს მხიარული და მკვეთრი ხმა:

— ქრისტე ადსდგა!

რასაც ხალხი ერთპირად გამოეხმაურა:

— ჭეშმარიტად!

და დაიწყო ლიტანია.—მლოცველები მღვდლის წინაძღოლობით, ანთებულ სანთლებით და ხატებით გარედ გამოვიდენ და გალობით ეკლესიას სამჯერ შემოუარეს.

ლიტანიის შემდეგ ესტატემ ბარძიმი სასოებით გამოიტანა და ღაღადყო:

— „ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვისა და მრავალთათვის დანთხეული, მისატევებელად ცოდვათაააა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროს ეს სიტყვები ასე მკაფიოთ ჯერ არაოდეს გაეგონა და მღვდლის ნათქვამს გაოცებული გულში იმეორებდა.

— აბა, სისხლს ქვია ზიარება? რა დამალევინებს კაცის სისხლს...

გაიფიქრა მან და ზიზღით გააჟრჟოლა, მაგრამ ამ დროს სამეტანიოთ წახრილი ანუსი კაბის კალთაში წვდა და მარომაც დაიჩოქა.

თადეოზი ოქროპირის მიერ შედგენილ გუნდში იყო და გუნდი ხშირად დიაკონის მაგიერ გალობდა. გალობის დროს თადეოზი მალ-მალე იკიდებდა ხელს ახალ შარვლის ჯიბეებზე, სადაც ჭედილა კვერცხები ეწყო და წირვის დასრულებას მოუთმენლად ელოდა, ხან მაროს გადახედავდა და თავმომწონეთ ხმას აუწევდა, რისთვისაც ორჯერ-სამჯერ ისე შეუბღვირა ოქროპირმა, რომ სიმღერის ნაცვლად ყვინჩილასავით აყივლდა.

ვერც გუნდის სხვა წევრები გალობდენ ხმაშეწყობით, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ოქროპირი დარწმუნებული იყო, რომ მლოცველები გულდასმით და სიამოვნებით უსმენდენ მის მოწაფეებს.

ამით გამხნევებული ოქროპირი მართალ დირიჟორზე უფრო შლიდა ხელებს და კარდონისაგან გაკეთებულ სათამაშო კაციით მთელი ტანით ხტუნავდა, თან განგებ გაბოხებული ხმით გუნდს ეხმარებოდა.

ყოველ გალობის შემდეგ ოქროპირი დაბურდულ თმის სწორებით გუნდისაკენ ზურგშექცევით დგებოდა, ხოლო როცა დიაკონი ანიშნებდა ახალ გალობის დროს და იმას, თუ რა უნდა ემღერათ, ის კვლავ გუნდის პირდაპირ გაჩერდებოდა, მლოცველებისაგან განსაცალკევებლად სახელდახელოდ გაკეთებულ მოაჯირზე ცალ ტოტ მოტეხილ კამერტონს ააწკრიალებდა და მალე ეკლესია ბავშების გუგუნით გაივსებოდა.

— რაიზა დაუთმო მამის ალაგი სხვას, მღვდლობა არ ერჩია ამ ბავშების ჭყვირილს?

— უჩიტლობა რა ცუდია თუ იცი! მერე მაი ძაან კაი უჩიტელია, ხალხსაც ეხმარება!

— კი მარა სად ღვდელი და სად უჩიტელი.

— საწყალი კიმოთია მაგის ჯავრმა მოკლა.

ამბობდენ ჩუმათ გლეხები ოქროპირზე.

ზიარების დაწყებისას მარო ტუჩებ მოკუმული გაყვა ბებიას, მათზე წინ კი კესო გაემართა ტრაპეზისაკენ.

ესტატემ ზიარების მისალებათ თავაწეულ კესოს შიგ თვალებში ჩახედა და ზედაშით სავსე კოვზი ბაგესთან დაგვიანებით მიუტანა, შემდეგ ხელის კვანჩხში ელოგია ისე ჩაუდვა, რომ კესოს ტანში რაღაცამ ელვასავით დაუარა და სახე ალმურათ ექცა, რის გამო ნირ წამხდარი ბარძიმფეშხუმზე და მოძღვრის ხელზე უმთხვეველი სწრაფად გამობრუნდა.

აისმა სარკმელებს კუპრი შემოაცალა და სანლოთების კიაფი თანდათან გაფერმკრთალდა.

წირვამოყურებულნი ერთმანეთს ეხვეოდენ და კოცნიდენ, შემდეგ მიდიოდენ და თავიანთ მიცვალებულთა საფლავებზე აგორებდენ შელებილ კვერცხებს, რომლებსაც მაშინვე ბავშები იტაცებდენ.

— ქრისტე აღსდგა!

მოესმა გარეთ გამოსულ მაროს და პასუხის სათქმელად მომზადებულ ტუჩებში თადეოზმა აკოცა.

მაროს ერთბაშათ ლოყები ნაკვერცხლებათ ექცა და გულმა უცნაურათ დაუწყო ფათქალი.

მისთვის ბევრს უკოცნია, მაგრამ ასეთი რამე არაოდეს უგრძნია.

თადეოზიც ბანგშესმულივით შესცქეროდა მაროს და მათი პატარა ხელები ერთმანეთს უჭერდენ.

უცებ თადეოზმა ეკლესიიდან გამომავალი ანუსი დაინახა, მაროს ხელი უშვა და გაიქცა.

ის თვალის წამში გაჩნდა სახლად გაკეთებულ ხის სამრეკლოზე, რომელზედაც ძველ მომცრო ზართან ერთად ეკიდა მოსიას მიერ შეწირული დიდი ზარი და შინ მიმავალ მაროს დიდხანს ესმოდა:

— ნაუ, ნაუ, ნაუ-ნინი-ნინი, ნაუ, ნაუ...

როცა მზის პირველი სხივებით გუმბათი აელვარდა, თადეოზმა ზარების თოკი სხვა ბავშს გადასცა და ძირს ჩამოხტა.

— თადეოზ დავკრათ კვერცხები, გინდა!

ამაყათ მიმართა მას აზნაურ უგრეხელიძის შვილმა, საოთავადაზნაურო გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილმა ერისტომ და ჯიბიდან კვერცხი ამოიღო.

მათ გარშემო შეგროვილ ბავშებმა მოპირდაპირეთ დაუწყეს წაქეზება, თან თავიანთ კვერცხებს კბილებზე იკაკუნებდენ და ყველას ტუჩები ჭიაფერით ქონდათ შეთითხნილი.

— კარგი!

გაბედვით წარმოსთქვა თადეოზმა და თავის კერკეტა კიდევ ერთხელ გასინჯა, მაგრამ უეცრად ხელში გატეხილი კვერცხი შერჩა.

ნაწყენმა თადეოზმა ბატის კვერცხი ამოიღო, რომელსაც ერისტომ უყოყმანოთ დაახვედრა თავის ფალავანი.

გამარჯვება კვლავ ერისტოს ხვდა.

თადეოზმა ციცრის კვერცხიც დაჰკარგა.

მალე ჯიბეები სულ დაუცარიელდა.

— დაკირულია!

წამოიძახა ვილაცამ და ატყდა ჩოჩქოლი.

— მანახე შენი კვერცხი!..

შესძახა თადეოზმა და საყელოში ხელი ჩაავლო.

ერისტო ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ თადეოზმა იქვე დაიჭირა და ქუდი წაართვა.

— სანამ შენს კვერცხებსაც არ დააწყობ აქ, მანამ ქუდს ვერ ეღირსები! უთხრა თადეოზმა და ქუდი უბეში ჩაიჭმუჭნა.

ერისტოს არავინ გამოექომაგა და ცრემლმორეულმა კვერცხები წინ დაულაგა თადეოზს.

— მეტი არა მაქ! მომეცი ჩემი ქუდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაილუღლუღა ერისტომ.

თადეოზმა უბე და ჯიბეები მოუსინჯა, ორი კვერცხი ეკიდა ამოართვა, შემდეგ ქუდი თვალებამდე ჩამოაცო და პანლური ამოჰკრა.

ეს კი ველარ მოითმინა ერისტომ, ქვას ხელი დაავლო და შეურაცმყოფელს თავში გაარტყა.

თადეოზი დაბარბაცდა და ვიდრე გონს მოვიდოდა, ერისტო უკვე შორს იყო.

X

მოსია სოფელს შერჩა და ჩარჩობა დაიწყო.

ყიდულობდა და ყიდიდა ხარებს, სიმინდს, ხილს და ყველაფერს იმას, რაზედაც შეიძლებოდა ორმაგათ მოეგო.

სახლის ქვეშ, პალატში, არაყის სახდელი ქვაბი დადგა და ქუთაისის სამიკიტნოებში თვალებიდან ცინცხლების ცვენით სვამდენ მისგან ფარულათ გამოხდილ არაყს.

იმ დროს, როცა გლეხებს თავიანთ სასმელათ ვერ გაებედათ არაყის გამოხდა, მოსიას მოჯამაგირე პარასკეობით არხეინად მიაჭრიალებდა ქუთაისისაკენ ძარიან ურემს და თავზე ჩალა მოფენილ ძარში ეწყო არაყით სავსე გუდები.

მოსია მუქთად ყიდულობდა სოფლელებისაგან ჭაჭას და ხილს. გადარჩეულ ხილს ხრესილიდან ყუთებით სადღაც აგზავნიდა, ხოლო მდარე ხილს საარაყეთ ქვევრებში ყრიდა და ამჟავებდა.

მამასახლისმა ექვთიმემ იცოდა რასაც სჩადიოდა მოსია მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა და ყოველ დილას მოსიასაგან ნაფეშქაშარ თავარაყს, თვალებ მოხუჭული სვამდა.

მოსია ბოქაულთანაც შინაური კაცი იყო და გლეხებს როცა რამე საქმე გაუჩნდებოდათ მთავრობასთან, პირველად მოსიას სთხოვდენ რჩევას და დახმარებას.

მოსიამ ჩარჩობასთან ერთად მეეახშეობას მიყო ხელი და მალე მთელი სოფელი მუჭში მოიმწყვდია.

ხელმოკლე გლეხები სარგებელში ამუშავებდენ მოსიას ყანებს და ვენახს.

აგრეთვე მოსია უარს არ ამბობდა სარგებელში მიეღო ნახევრის ფასათ გლეხების ნაამაგარი.

მოსიას ფულს ესესხებოდენ შორეულ სოფლებიდანაც და მას ოქროებთან ერთად თამასუქები ზანდუკში პირამდე ეწყო.

გაჭირვებულნი მოსიას უგირავებდენ ყანებს და სახლკარსაც. მან ბევრი მოსახლე დააჩანაკა და აყარა.

საუკეთესო ნოყიერი მიწები მოსიამ დაისაკუთრა და გლეხები თავის გუშინდელ ყანებს, ეხლა სამესამედოთ ამუშავებდენ.

მოსიამ არც ძმა დაინდო.

ერთხელ თეოფილეს მარო გაუხდა ხურვებით ავათ და იძულებული შეიქნა დედის პირით მოსიას ფულს დასესხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეოფილემ ვალი ვადაზე ვერ გადაიხადა, რის გამო მოსიამ ვალში დაწინდრებული მისი ეზოს ნახევარი, თავის ეზოს მიაკრა და ღობე ხელ სახლის ყურესთან გაუვლო ძმას.

მოსია აზნაურებს უფრო იოლათ ეჭცეოდა, რადგან ბევრი მათგანი გამოსადეგი იყო და ზოგი კიდევ დამქაშათ სჭირდებოდა. გარდა ამისა, მოსიამ იცოდა, რომ ყველას გადაკიდება ხიფათს წარმოადგენდა და ის კეთილგანწყობილებას ამყარებდა წელმაგარ გლეხებთანაც.

მირიანი ხშირად მიმართავდა სიძეს ხელისმოსანაცვლად და როცა ასე წვრილ-წვრილად წაღებულმა ოც თუმანს გადააჭარბა, მოსიამ სიმამრს სიცილით თამასუქი წინ დაუდვა. მირიანმა გაკვირვებით დახედა მოგრძო ქაღალდს და სიძეს ჰკითხა:

— რაა ეს!

— არაფერი. ხელი მოაწერე მარტო და ოქრო წაიღე!

სიცილით უთხრა მოსიამ და მელანში ამოწებული კალამი მიაწოდა.

— რავა, არ ენდობი? შენი წვირიანი მეზობლები გონიერარ თუ! ღმერთმა შეარცხვინოს შენი ფული და შენი კაცობაც!

ფიცხად წარმოსთქვა მირიანმა და წამოდგა.

— ანგარიშიანობა რა საწყენია, მე ვინ მაძლევს ზერელეთ რამეს! ხელის მოწერას ხო ჯაფა არ უნდა!

უხერხულად წაილაპარაკა მოსიამ და განზე გაიხედა.

ამ დროს კესო შემოვიდა და გაოცებით იკითხა:

— რა მოგივიდა მამა?

— შენ ქმარს კითხე, მაგისაგან უარესიც მეკადრება!

გესლიანათ უთხრა შვილს და სწრაფად გავიდა გარეთ.

ამის შემდეგ სიძე-სიმამრს ერთ თვეს არ გაუცია ხმა ერთმანეთისათვის, მაგრამ მირიანმა მეტხანს ველარ გაუძლო ქესატობას და უხვათ გაწყობილ სუფრაზე მოლხენის სურვილს.

უმადურათ სიძეს თამასუქზე ხელი მოუწერა და კესოს მოციქულობით 5 თუმანიც კიდევ გამოართვა.

მირიანმა განაახლა თავის სახლიკაცებით მსვლელობა სიძესთან და კვლავ დაიწყო ქეიფები.

— რა მოსვენებული ვიყავი ამ ერთ თვეს, ამეიღეს პირდაპირ სული. მაგათ გაძღომას რომ არაფერი ეშველა?

იტყოდა ხანდახან თავისთვის მოსია, ხოლო როცა მისი შინ არ ყოფნის დროს სტუმრების წვევას გაიგებდა, მაშინ ცოლთან აშკარათ გამოთქვამდა გულისწყრომას.

მოსია კი ხშირად იყო გარეთ.

სარფიანი ვაჭრობა მოსიას მთელი კვირაობით წყვეტდა ოჯახს. ხან სასამართლოში დადიოდა და კესოს უხდებოდა მისი მაგიერობის გაწევა.

— მამაშენს გადაეცი, ფული მჭირდება და ვალი გადამიხადოს!

უთხრა ერთ საღამოს მოსიამ ცოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავი თუ მართლა ლაპარაკობ მაგას?

— რავა მეკითხები, იქნება მამაშენის მოხარკედ მთვლ...

რალაც ნაწყენი კილოთი წარმოსთქვა მოსიამ და ბაჯიროსი მაგრათ მოსწია.

კესო დაიბნა და დაბალი ხმით, მაგრამ თან გაკილვით უპასუხა:

— ფულის გულისათვის ჩემი მშობლები კი არა, მგონია მეც შემელიო!

— რაებს ჩმახავ ქალო, ა! ფულითაა ქალბატონივით რომ ზიხარ, თორემ შენც სხვებივით იქნებოდი ჩითის კაბას მოსატრული!

— უკაცრავად, მე ჩითის კაბაშიაც ქალბატონობას ვერავინ წამართმევს, შენ იკითხე თვარა...

გადაჭკრა კესომ.

— ჰა, ჰა, ჰა, შენი აზნაურობა კარგათ შეინახე, არსად დაგეკარგოს. თუ აზნაური არა ვარ, მიტო ვერ ვცხოვრობ ლამაზად. რომ მოვინდომო მთელ შენს გვარს ხვალვე ჩოქით მოვიყვან აქ, ჩემს წინ.

— კი, დოუწრუპუნე და მეტი არ გინდა. ყელამდი რო ოქროებში ჩაჯდე, მაინც ვერაოდეს გოუტოლდები ჩემს გვარს.

კვლავ დაცინვით წარმოსთქვა კესომ და მაჯის სიმსხო და ადლიანი ნაწნავები ამაყათ შეირხია.

მოსია აენთო.

— ნუ მაქეზებ თვარა მამის სულს გეფიცები, მამაშენს საგლახაკოთ გაუხდი საქმეს.

— რაო, რაო! მანამდე არ მოგასწრებს მაგ დღეს ღმერთი. მართალი მითხრა მამაჩემმა ლორის ტილს რო ფეხზე დაიჯენო, თავზე აგაღოლდებაო. ისეა შენი საქმე სწორედ, ვაი ჩვენი ბრალი?!

ამ სიტყვებმა მოსიას გონი დაუკარგეს და გააფთრებული წვდა კესოს თმებში, სკამიდან ძირს გადმოათრია და ჩაწიხლა.

კესომ საშინელი კივილი მორთო.

მოსიამ ტუჩებზე ხელი დააჭირა, მაგრამ კესომ ისე მაგრათ უკბინა ზედ, რომ სანამ მუშტი არ ჩაარტყა თავში, მანამ ვერ გააშვებინა კბილები.

კესო გულშეწუხებული გაითხლარშა იატაკზე.

კესოს კივილი გაეგონა ანუსის და მაშინვე აქელვებული მოვარდა.

— რა ამბავია ბიჭო?

შინ შემოსვლისთანვე იკითხა ანუსიმ, მაგრამ მოსიას მოღრეცილი სახე და გონმიხდილი კესო რომ დაინახა, მიხვდა რაც მომხდარიყო და რძალს მივარდა მოსაბრუნებლად.

მოსია დაკოდილ მხეცივით კარებში გავარდა.

კესო მეორე დღეს გათენებამდე დაადგა გზას ბობითისაკენ.

ბევრი ეხვეწა და ევედრა ანუსი, მაგრამ დედმთილი ახლოსაც არ გაიკარა.

სადღაც ღამე ნათევი და ჩადენილით დაბეჭილი მოსია შუადღეზე დაბრუნდა შინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადაა ქალბატონი?

ოთახებში მირეგ-მორეგის შემდეგ ცივათ ჰკითხა მოჯამაგირეს.

— მგონია თავის სახლს გეახლათ, კარგათ არ ვიცი!

კრძალვით უპასუხა მოჯამაგირემ და მოსიას კვლავ გააფთრებული სახე რომ დაინახა, უკან ნელ-ნელა ხევით გაიპარა.

— ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსაო, ნათქვამია, მაგათ ცოლქმრობას ფერი კი აქ, მარა მადლი აკლია. აზნაურის ძაღლიც სხვანაირათ ყეფს ჩემო თეოფილე თვარა შვილი რავა დაკარგავს ჯილაგს.

უთხრა ლევანტიმ თეოფილეს, როცა მოსიას ოჯახში მიმხდარ უსიამოვნებას მოჰკრა ყური.

— ძმაა და კიდო მეცოდება, თუმცა ცალი თვალი კი წამომთხარა. ეზოში გარება მეზარება. აღარც ვარგა ჩემი გარემო არაფრათ. სახლის საწვეთელი რო სხვის ალაგში მოგექცევა კაცს, იქინა ცხოვრებას სულ მიუსაფარო იყო სჯობიან.

— რაღა დასამალია და უნდა მოგახსენო, რომა ძაან მსუნაგი და ხარბი გახდა. თქვენ არაფერში გეტყობათ ერთი დედმამის შვილობა, აჰ! მასეთი პილწი კაცი მეორე არ დადის მთელ ოკრიბაში, წურბელასავით გვწოვს სისხლს. თადეოზას გეფიცები, აზნაურებზე უფრო გლახათ იქცევა, კი! აზნაურს, შე კაცო, ეხლა მარტო კუდისბზეკის მეტი რა შეუძლია, მაგი კი ყველას კუდის რიკამდე აძრობს ტყავს. მერე მე შენ გეტყვი შვილი ყავს, ქველია! რა შავქვათ უნდა ეს ქონება, ა?

— ჩვენი ბრალია, ცხვრებივით ჩოუცვინდით ხელში და ახლა როგორც მეეპრიანება ისე გვკრეჭს. პირი უნდა შეკრას სოფელმა, რომა არც ჭირში და არც ლხინში არავინ გაეკაროს, არცა ვინმემ გაიკაროს და მაშინ ენახავთ, როგორ იფარფაშებს!

ბრაზმორეული კილოთი ჩამოართვა სიტყვა თეოფილემ.

— ახალი თაობის დრო იყოს, მოგეცა ღვთის წყალობა, შენს მოსიას მოვადრეკიოთ ქედი, მარა ხალხი დამფრთხალია ჩემო კეთილო, ერთს დეიყოლიებ, მორეს ვერაფერს გააბედვინებ!..

ამ სიტყვებით ლევანტი შევიდა თავის ჭიშკარში და თეოფილემ გულჩათხრობით განაგრძო გზა.

— ჰატ ის წუნკალი, ის უჯიშო, იმას ვაჩვენებ ჩემი ასე დამცირებისათვის სეირს, რავა გაბედა და ხელი შეგახო იმ ძაღლის შვილმა; იმან.

ცეცხლს აფრქვევდა მირიანი.

მოსიამ ორჯერ შეუთვალა მირიანს ცოლის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ მოციქულმა ორივეჯერ ცივი უარი მოუტანა.

მესამეთ მირიანს კარზე მიადგა სასამართლოს ბოქაული და მოსიას ვალის ასანაზღაურებლად, მის ქონებას ყადაღა დაადო.

მირიანი სახსრებში მოიშალა და კესო მამის უთქმელად დაბრუნდა ქმართან.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

XI

— ბავშვებო, ხვალ კვირაა, წავიდეთ სოკოების საკრეფად, გინდათ?

სკოლიდან მომავალნი სიხარულით გამოეხმაურენ თადეოზის წინადადებას და შექმნეს გაცხარებული ბჭობა იმის შესახებ, თუ სად უფრო შეიძლებოდა ბევრი სოკოს შოვნა.

— მარო, რამ დაგამუნჯა, რატო არაფერს იტყვი, ა?

შეეკითხა მეგობარი ნათელა.

— მე ვერ წამოვალ დაია, ბებიაა ავათ, ჩვენები ქუთაისს მიდიან და მე უნდა მივხედო?

გულდაწყვეტით წარმოსთქვა მარომ და უნებურათ თადეოზს შეხედა.

ამ ამბავმა ყველა დააღონა.

უმაროთ სოკოების საკრეფათ წასვლა კი არა, ქორო-ბუდობიას თამაშიც არ ეხერხებოდათ.

გოგოებში მარო იყო ყველაფრის მოთავე და სულის ჩამდგმელი, ხოლო ბიჭებში—თადეოზი.

მაროს იმედით და გამბედაობით გოგოები ხანდახან ბიჭებს კიდეც სჯაბნიდენ, მაგრამ ბიჭებს მაინც უყვარდათ ის, რაც ყველაზე მეტად თადეოზს ემჩნეოდა, თუმცა ხშირათ ჩხუბობდენ.

— თავპატიჟს ნუ იდებ, რომელი დოხტური შენა ხარ, რა უნდა გაუკეთო ბებიაშენს შინ ჯდომით, ა? ტყუილა გვახვეწებს, თვარა რას არ წამოვა?

იხუმრა თადეოზმა.

— რა უნდა გაუკეთო? წყალს დავალევინებ, ან ბუზებს მოუგერებ და ხმას გავცემ...

— ბუზების მოგერებაც თუ აღარ შეუძლია, ბარემ შავებიც შეიკერე და ის იქნება.

— უწინ შენი კუბო ვნახე, პიწაკი ენა შენ გაქ?

ანთებული სახით წარმოსთქვა მარომ და ქუთუთოებზე ცრემლი მოადგა.

— რა სულელი ხარ შე საწყალო, სახუმრო სხვა ვერაფერი ნახე!

უსაყვედურა თადეოზს ნათელამ.

მეგობრის გამოქომაგებაზე მარომ ცრემლები ველარ შეიკავა და ატირდა

თადეოზი შეწუხდა.

— სიტყვას რო ასეთი ძალა ქონდეს, აქამდე ბიძაშენი ათჯერ უნდა მომკვდარიყო რაც იმას სწყევლიან. ისე ვთქვი, თვარა ბებია ანუსი მეც ძაან მიყვარს. იმასაც ვუყვარვარ მაშ, ეროხელ შენი სიგრძე ჯანჯუხა და მთელი სუფრის ოდენა ტკბილისკკერი მომცა.

მონანიებულის კილოთი თქვა თადეოზმა და თანვე ეშმაკურათ დაუმატა:

— თუმცა შენ რა ხარ და შენი სიგრძე ჯანჯუხა რა უნდა ყოფილიყო...

— უკაცრავათ ბრძანდები, შენზე მაღალი კი ვარ და!

ალუღლუღდა მარო.

— რას ამბობს, რას ამბობს, ვინაა ჩემზე მაღალი? ჰა, ჰა, ჰა, წელამდე ძლივ შემომწვდება და ალვის ხეთ მოაქ თავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამეტოლე აპა, ასე ტრაბახი რო იცი!

— მოდი, ჰო, მოდი!

გასაღიზიანებლად მიმართა თადეოზმა და მაროს წინ დაუდგა, ამ დროის ბავშებმა აქეთ-იქედან თადეოზს და მაროს ხელი ჰკრეს და ერთმანეთს გულებით დაატაკეს, რაზედაც ყველა სიცილით გადაფიჩინდა.

თადეოზმა მაროს მკერდის სირბილე იგრძნო და ჟინჟღილივით იქცა, მაგრამ სიწითლე რომ დაემალა, ისიც აყვა ყაერთო ერიამულს.

მაროსაც გაეღიმა და ახალ ნაწვიმარზე ღრუბლებიდან გამოსულ მზეს დაემსგავსა.

— შერიგდენ, შერიგდენ!

კვლავ აყიჟინდნენ ბავშები და შინისაკენ გაემართენ.

თადეოზის რჩევით გადაწყვიტეს, იმ შემთხვევაში თუ ანუსი მაროს გამოუშვებდა, დილას აღრე შეკრებილიყვენ ნათელასას.

კვირა დილას, თეოფილეს და ეფროსინეს გამგზავრებისთანავე, ნათელა მოვიდა და ანუსის შეეხვეწა:

— ბები, წამოვიდეს მარო სოკოების საკრეფათ? კაი სოკოებს სულ შენ მოგიტანთ ღმერთმანი, გეამება! წირვის გათავებამდე დავბრუნდებით!

ანუსიმ თავის სასთუმალთან მოფუსფუსე მაროს ღიმილით თვალი შეავლო და უთხრა:

— წადი გენაცვალე, ოღონდ ბევრს ნუ დაიგვიანებ, ჭკუით იარეთ, წყლიანი ლიტრა ახლო დამიდგი.

მარომ პასუხის ნაცვლად ბებიას აკოცა და ნათელასთან ერთად მოკურცხლა.

მალე, ტყეში შეჭრილ ბილიკზე გაისმა ბავშების კისკისი, სიმღერა და გასწრებულების ძახილი, გზადაგზა ჰსწყვეტდენ ნაირ ყვავილებს და იჭერდენ ფრთებ ჭრელა პეპლებს.

უკვე მთის წვერზე წამოგებული მზე ხალისიანად ბრწყინავდა და ფოთლებზე ცვარი კამკამებდა.

დაწინაურებული თადეოზი და მარო ტყემ დამალა.

უეცრათ მარომ კალათი იქვე დააგდო და ელვის სისწრაფით განზე ისკუპა.

— მომეხმარე, მომეხმარე თადეოზ!

აყვირდა ბუჩქთან ნამიან ბალახებში ხელებ ჩაფლული მარო.

თადეოზი მაშინვე მივარდა და ჩაიჩოქა.

მათი თავები ისე ახლო იყო ერთმანეთთან, რომ თადეოზი უცნაურმა, აღდგომას განცდილის განმეორების სურვილმა აიტაცა.

— რა ქაჯი ხარ!

ჩურჩულით წარმოსთქვა მან და მაროს ტუჩებს დაეკონა.

ამასობაში მოზრდილი ბაჭია მაროს ხელიდან გაუსხლტა და გაქრა.

— ეს რა ქენი, ეს რა ქენი?

წამოიძახა მარომ და აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— რას აკეთებთ მანდ?

თითქმის ერთხმად მიაძახეს ორთავეს, წამოწეულმა ამბანაგებმა.

— ჩვენ, ჩვენ კურდღელი დავიჭირეთ, მარა გაგვექცა...

არევით თქვა მარომ და ბუჩქები გადაწია, თუმცა იცოდა, რომ ბაჭიას უკვე ცხრა მთა ექნებოდა გადარბენილი.

— ვის ატყუებთ, კურდღელი კი არა მგელი იქნებოდა.—

დაცინა ვიღაცამ მათ და ატყდა სიცილი.

— ღმერთმანი კურდღელი იყო... შავი. ჰო...

აუბორძიკდა ენა თადეოზს და წამოდგა.

მარო კვლავ განაგრძობდა ბუჩქში ცქერას, შემდეგ ისიც წამოდგა და ამხანაგებს მოუყვა თუ როგორ დაინახა, როგორ დაიჭირა და... მერე გაექცა იმიტომ, რომ თადეოზი დროზე ვერ მოეხმარა.

ბავშებმა თითქმის დაიჯერეს და სოკოების ძებნამდე გადასწყვიტეს ესაუზმათ.

თავიანთ კალათებიდან ამოიღეს—ზოგმა ლობიანი ჭადი, ზოგმა ყველი და ჭადი, მწნილი პრასი, ვაზის ფოთლებში გახვეული ნადული და გაქცეულ კურდღელზე ლაპარაკით შეუდგენ დანაყრებას.

შუადღემდე სოკოებით სავსე კალათებით უკან სიმღერით დაბრუნდენ.

ორშაბათს სკოლაში თან წაიღეს რამდენიმე სოკო, ყვავილები და ასანთის კოლოფებში ჩალაგებული პეპლები.

— ვთქვათ, რომელიმე თქვენგანს მივეცი ერთი თუმანი და დავავალე— იყიდოს სრული ასი თავი რამე და თუმანიც ისე დახარჯოს, რომა არც კაპეიკი მოემატოს და არცა დააკლდეს. ნაყიდ ნივთებს კი უნდა შეადგენდეს მხოლოდ კაპეიკათ, აბაზათ და ორ აბაზათ ღირებული ნივთები. აბა მითხარით, რას და რამდენს იყიდიდით!

ბავშებმა ოქროპირის ნათქვამი ჩაიწერეს და დაიწყეს ვარაუდით ანგარიში, თუ რამდენი უნდა ეყიდათ კაპეიკიანი, აბაზიანი, ან ორაბაზიანი, რომ ნაყიდი ნივთები გამოსულოდათ ასი და თუმანიც სრულად დაეხარჯათ.

დიდიხნის ფიქრის შემდეგ თადეოზმა იკითხა:

— უჩიტელო, მომეცი ნება ერთი რამე მაინც ვიყიდი ორ კაპეიკიანი!

— არ შეიძლება!

მკაცრათ ესროლა ოქროპირმა და ამოცანა კვლავ მკაფიოთ გაიმეორა.

გუშინ ეს ამოცანა ოქროპირს სახალისოდ უთხრა ერთმა გონება მახვილმა გლეხმა და ოქროპირმა იმავე გლეხის დახმარებით ძლივს იხსნა თავი სირცხვილისაგან.

ოქროპირმა იცოდა, რომ მისი მოწაფეები ამ ამოცანას ვერაფერს გაუგებდენ, მაგრამ საცდელათ მაინც თქვა.

ბავშები თავს იმტვრევდენ, მაგრამ თუმანზე ხან აკლდებოდათ, ხან ემატებოდათ და არც ნავაჭრი გამოუდიოდათ სათვალავში.

— აპა, ვინ იყოჩაღა, ჰა. რა ქენით! ცნობილაძე ვერც შენ გამოიყვანე?

— ბატონო უჩიტელო, ჯერ მომეცი თუმანი და ანგარიშს მერე ჩაგაბარებ.

უეცრათ წამოიძახა მარომ და ბავშებმა უჩვეულო ხარხარი ატეხეს.

ოქროპირმა როგორც იყო დააწყნარა ბავშები და გაშეტალ[illegible] მარო გამოიძახა:

— ცნობილაძე, გამოდი დაფასთან!

მარო დარცხვენით გაჩერდა დაფასთან და ცარცი მოიმარჯვა.

ოქროპირმა დაიწყო კარნახი და დაფაზე გაჩნდა თეთრი, ლამაზათ გამოსახული სიტყვები და ციფრები.

დაფაზე წერის ღროს მაროს მოსუსხული ჩითის ძველი კაბა, მის გაუგებლად, სახელოს ძირში გაეხლეჩა და ოქროპირმა გარკვევით დაინახა მაროს ღინღლიანი ღლიავი.

ოქროპირს მზერა გაუმახვილდა და კარნახი აერია.

ის დიდიხანია ასე არ შეუბოჭავს გულისთქმას.

ოქროპირს თვალები თითქო ეხლა აეხილა და პირველად იხილა ადრე ტან აყრილი და მკერდ აკოკრებული მარო, რომელსაც შავი მსხვილი ორი ნაწნავი დარგვალებულ თეძოებამდე წვდებოდა.

— ქალი ყოფილა, დახატულს გავს!

გაიფიქრა ოქროპირმა და კარნახი განაგრძო.

მარომ ინსტიქტიურათ ღლიავში ოქროპირის თვალთა ისრების ჩხვლეტა იგრძნო და ზედ მარცხენა ხელი მოისვა.

როცა თითები ხორცს შეეხო, მაროს რაღაცამ თვალებში წამოანათა და სცადა შიშველი ხელით დაეფარა.

დიდი გაჭირვებით მარომ დავალება შეასრულა და ოქროპირის წინ თავდახრილი გაიარა.

ფეხზე წამომდგარი ბავშვები კი დაფას შეცქეროდენ და გაოცებული ამბობდენ.

— რა იოლი ყოფილა?

XI

ოქროპირი თავ აუღებლივ სწავლობდა მარქსისტულ მოძღვრებას და უკვე მარქსისტულ ფილოსოფიის მცოდნეთ მოქონდა თავი.

წიგნებში ჩრჩილივით ჩამჯდარი მისთვის სადაო აზრებს კომენტარიებს უკეთებდა და ავტორებს ეკამათებოდა, თუმცა ოთახში მის მეტი არავინ იყო.

მაგიდაზე ედგა თუნუქის ლამფა და შუშას მომტვრეულ თავის მაგიერ, რვეულის ფურცელი ჰქონდა გაკეთებული.

კედლებზე დიდიხნისწინათ გაკრული ვარდებიანი შპალიერი ზოგან ჩამოხეული იყო და ალაგ-ალაგ ჩამოსულ წვიმას ზედ უცნაური ცხოველები გამოეხატა. მეტ წილად კი შპალიერის გახუნებული ვარდები დაფარული იყო დამსკდარ ადგილებზე გაკრულ გაზეთის ნაჭრებით.

ლოგინთან ეკიდა მღვდლათ კურთხევისას გადაღებული კიმოთეს სურათი, სხვა ოჯახის წევრებისა და ნათესავების სახეები. სურათების ნაირი ჩარჩოები დამკილული და ბუზებისაგან დასვრილი იყო.

მაგიდასთან კი ეკიდა უცნობ მხატვარის მიერ დახატული შოთა რუსთაველის სურათი, აკაკის, ილიას, ტოლსტოის და მამია გურიელის ეგზემპლარებიდან ამოხეული პორტრეტები. ხოლო გამოჩენილ სოციალისტების და ბელადების სურათები ოქროპირს შენახული ჰქონდა სიფრთხილისათვის.

ოქროპირს ხშირათ დათენებია წიგნების კითხვაში და წაკითხულის შეფასებაში.

ის დარწმუნებული იყო საკუთარ ცოდნის სიღრმეში და ეს რწმენა კიდევ უფრო გაუორკეცდა, როცა მან ქუთაისის პარტიულ საოლქო კომიტეტის ორგანოში გაზ. „მერცხალში“ თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებული თავისი წერილი წაიკითხა.

მალე მისი რამდენიმე წერილი პარტიის მორიგ ამოცანების შესახებ, იმავე გაზეთში მეთაურათაც კი დაიბეჭდა და ოქროპირი სულ ჩაიკეტა ოთახში.

ის გამუდმებით სწერდა და კითხულობდა.

სკოლიდან პირდაპირ შინ მიდიოდა და ოთახში არავის უშვებდა.

მოუცლელობის გამო ოქროპირმა არალეგალურ კრებებზედაც შესწყვიტა სიარული, თუმცა თეოფილე ხშირად თხოვდა როგორც ტყიბულის მუშებში, ისე რამდენიმე ხნის წინათ დაარსებულ გლეხების წრეში სახელმძღვანელო მოხსენების გაკეთებას.

მისი ცხოვრება სრულებით აღარ ჰგავდა რევოლიუციონერის დაუდგრომელ ყოფას.

ოქროპირი ნამდვილ განდეგილივით ატარებდა დროს.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე.

უკანასკნელ ხანებში ოქროპირს მოულოდნელი ცვლილება დაეტყო და ყველას გასაკვირათ წვერი გაიპარსა, სუფთად ჩაიცვა და ღიმილით დაიწყო ლაპარაკი.

ოქროპირი თვითონაც გრძნობდა სხვათ ქცევას და ხანდახან ჩიტივით უნდოდა გაფრენა.

თანაც უკვირდა, თუ რამ ჩაურგო გულში ყვავილები, ან რატომ აქამდე ვერ ამჩნევდა ამ ლურჯ ქათიბიან მთებს, ანკარა წყაროებს, მოკრიალებულ ცის კაბადონებს და ყველაფერს იმას, რასაც სილამაზე ჰქვია.

ბნელში ნამწყვდევ მოზვერივით ბუნების ბრწყინვალება ოქროპირს თვალს სჭრიდა და წიგნების მტვერით დაშრეტილ ძარღვებში ხალასმა სისხლმა უწყო ჩქეფა.

მას უხაროდა მზიანი ტაროსი და სწყენდა, როცა ცა პირქუში იყო, თუმცა ამინდის ავკარგიანობას დღემდე სრულებით არ აქცევდა ყურადღებას.

— რა მემართება? რაც ეხლა ასე მიზიდავს, ხომ წინათაც არსებობდა!.. დიახ, არსებობდა, მაგრამ მე არ ვარსებობდი. მე დავიაბდე... როდის? ნუ თუ ის ბავშია ყველაფერ ამის მიზეზი?

მოსთხოვა აღსარება ერთ საღამოს თავს ოქროპირმა და შედრკა, საიდუმლოების გამხელა ვერ გაბედა, მაგრამ ვერც ნაგრძნობი უარყო.

— რა ჰქვია ამას, სიყვარული? ვინ მისცა მას ამდენი ძალა, საკუთარ გზიდან ამაცდინოს! ან როგორ შემიძლია მიყვარდეს ჩემი ...ბა, ...ური და სხვა ცხოვრებისათვის დაბადებული? უგნურებაა!

ჩაკეტა გულის კარები ოქროპირმა და სცადა განეგრძო ერთი თვის წინად დაწყებული წერილი, მაგრამ სიტყვები ერთმანეთს არ ეგუებოდენ და აზრი თილისმას ემორჩილებოდა.

თილისმა კი მაროს ჰქონდა და ყოველი ბწკარი მის ნაწნავებს აგონებდა ოქროპირს.

ხან ასოები ხეებათ იქცეოდენ, წერტილები ბუჩქებათ და ყველა ერთად კი ტყეთ, ტყეში ალი იყო და ალი მაროს ჰგავდა, ნადირობაში შემოღამებულ ოქროპირს რომ ულიმოდა და ოქროს წყალში ნაბანი თმა მხრებზე ტევრათ ეყარა. ოქროპირი მისკენ მიიწევდა და ალი კისკისებდა, სამოს შემოძარცულ ტანს ფოთლებში იმალავდა და ფოთლებს ცეცხლი ეკიდათ. აი ოქროპირი მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ ალი გაუსხლტა და ფოთლები ძირს დაცვინდა.

— ოქროპირ, ივახშმე შვილო, გაცივდა!

მოესმა დედის ხმა ოქროპირს და შემკრთალი წამოდგა, საფეთქლები დახეთქაზე ჰქონდა და მოჩვენების ტანის სურნელით თავი უბრუოდა.

ოქროპირი ძალდატანებით გავიდა აივანზე.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და მთვარის ამოსვლის მოლოდინში გაზაფხულის ბორიო ფოთლებს აშრიალებდა.

სადღაც ტურები ჰკიოდენ და ბუ იძახოდა.

—

დილას მოგვიანებით წავიდა სკოლაში.

ცინცხალა მზე ნაპერწკლებს ჰყრიდა.

სკოლის ეზოში უკვე ბავშვების ჟრიამული იდგა და მიახლოვებისთანავე ოქროპირს სმენა მოსტაცა მაროს კისკისმა.

ოქროპირი ფერმკრთალი შევიდა სკოლის ჭიშკარში.

ერთბაშად სიჩუმე დამკვიდრდა და ბავშვები მასწავლებელს მიესალმენ.

ოქროპირმა წყნარათ გაიარა მათ შუა და განაპირებით მდგარ მაროს ქუდულათ შეხედა.

მაროს ვარდებიანი ლაინის ახალი კაბა ეცვა და იღიმებოდა.

მალე ზარი აწკრიალდა და ბავშვები ყიჟინით აცვინდენ აივანზე.

ბავშვები დღეს უკანასკნელად იყვნენ ამ ჭერქვეშ, სადაც რამდენიმე წელი გაატარეს და ბუდიდან გადმოსაფრენ ბარტყებივით გრძობდენ თავს.

ჩვეულებრივ თადეოზმა სხარტათ წარმოსთქვა „ბამაო ჩვენო“ და ოქროპირმა ენის ბორძიკით გააბა საუბარი, მაგრამ მალე სისუსტეს დასძლია და სიტყვებმა თავის თავად იწყო დენა.

ოქროპირის ხმა ხან ხავერდივით რბილი იყო, ხან მძაფრი.

ბავშვები სულგანაბული უსმენდენ ოქროპირს და ტანზე ბურძგლები უჩნდებოდათ.

მათ თვალწინ ეხატებოდათ მომავალი ცხოვრება და ყველას, სამშობლოვან და ხალხისათვის სასარგებლო კაცად გახდომის სურვილი იპყრობდა.

ოქროპირმა მგრძნობიარეთ დაასრულა საუბარი და ბავშებს სიყვარულით გადახედა.

დარბაზში ერთ წუთს სიჩუმემ დაისადგურა.

მაგრამ მალე ოქროპირი შეუდგა „ატესტატების“ დარიგებას და ბავშები ხმაურით წამოიშალენ.

ატესტატების მიღებისთანავე ბავშები ხტუნვით გარბოდენ გარეთ და დარბაზი იცლებოდა.

ბოლოს მარტო რამდენიმე ბავში დარჩა ოქროპირთან და მათ შორის იყო მაროც, რომელიც მოუთმენლად ელოდა თავის გვარის გაგონებას.

როცა ყველა გაისტუმრა, ოქროპირმა ანთებული თვალები შემკრთალ მაროს შეანათა და ათრთოლებული ხელით გაუწოდა „ატესტატი“, რომელიც მან მაშინვე თავაზიანად ჩამოართვა და ტოლებს დაედევნა.

ოქროპირმა საშინელი გულისტკივილი იგრძნო და დაგესლილივით მოიკრუნჩხა.

ის დიდხანს იჯდა გარინდებული.

ამ დროს კი მარო თადეოზთან ერთად ხმიანი სიცილით შინისკენ მირბოდა და თან მიჰქონდა ოქროპირის ხელმოწერილი ფარატინა ქაღალდი, რომელშიც აღნიშნული იყო:

„1914 წელს, მარიამ თეოფილეს ასულ ცნობილაძემ წარჩინებით დაამთავრა სოფ. ძმუისის სამინისტრო სკოლა“.

იმავე ხანეში ომი გამოცხადდა და ოქროპირი სოფლიდან წავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალ. აბაშელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალი სარკეში

(გაგრძელება*)

VIII

გედა ნუავე

(კაროს დღიური)

ამხანაგო გურგენ! ვიდრე ჩემი დღიურის კითხვას შეუდგებოდეთ, მინდა პატარა განმარტება წავუმძღვარო მას. ცხადია, როცა ამ დღიურს ვწერდი, მე სრულიად არ ვფიქრობდი, რომ მას ვინმე წაიკითხავდა; ამიტომ იგი, როგორც ყოველი დღიური, რომლის დანიშნულებას შეადგენს მეხსიერებისათვის საჭირო წერტილების აღნუსხვა, იწერებოდა მხოლოდ ავტორისათვის გასაგები ნახევრად დაშიფრული ენით. მაგრამ გარემოებამ მოითხოვა, რომ ეს დღიური თქვენ წაგეკითხათ და მეც ავიღე და ვთარგმნე იგი თქვენთვის. თარგმნის დროს მე ვეცადე, რამდენადაც ეს ჩემთვის შესაძლებელი იყო, გამეადვილებია თქვენთვის დღიურში მოთხრობილ ამბავთა გაგება. ამ მიზნით, ბევრი გაუგებარი ადგილი სრულიად გამოვტოვე, ზოგიერთი ადგილი უფრო დეტალურად ავწერე და ზოგან საჭირო შენიშვნები ჩავურთე. ვხედავ, მიზანს სავსებით მაინც ვერ მივაღწიე: გაურკვეველი და ბუნდოვანი ბევრი რამ დარჩა დღიურში. მაგრამ ვფიქრობ, მოვლენათა მთავარი ნასკვი, რამაც მე თქვენს ქვეყანაში მომიყვანა, ნათელი გავხადე თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში მე ბოდიშს მომხდის ინგლისური ენის უცოდინარობა: სიტყვების მეტად მცირე მარაგი არ მაძლევდა დიდ გასაქანს.

K—R.

P.S. დღიური დათარიღებულია მარსის წელთაღრიცხვით. მოქმედების დედამიწაზე გადმოტანის შემდეგ თარიღიც აქაურია. საჭირო შემთხვევებში მარსის თარიღები შეფარდებულია დედამიწის წელთაღრიცხვასთან.

K—R.

---

*) იხ. „მნათობი“ № 5—6.

CD—17-9. მეორეჯერ შევხვდი დღეს. შემდეგ წავიკითხე ერთი ძველი წიგნი. გამიკვირდა: რა დიდი განსხვავებაა ძველსა და ახალს შორის და ამავე დროს ზოგი რამ როგორ უცვლელად შენახულა ჩვენში!..

დავიცდი. სადღაც, უჩინარ სამყაროში, შუქი მოძრაობს. მოსჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი. დრო გავლის, პასუხიც მოვა.

— **17—11.** თითქო ჩვეულებრივი შეხვედრა იყო, მაგრამ ახალი შუქით განათდა ჩვენი საუბარი.

— შენიშნე თუ არა, რა მშვენიერია ამ სალამოს ობრა?*—მკითხა გახარებულმა.

— გვიახლოვდება.

— მე კი არა ვარ მომზადებული, როგორც საჭიროა.

— რა გაკლია? შენი უკანასკნელი რეფრაქტორი ხომ მზად არის?

— მზად არის და შენი დახმარება მჭირია.

— ჩემი?—გამიკვირდა.

— დიახ, შენი. რამდენჯერ იყავი ედონზე?

— ვინ დასთვლის?

— გუანაზე?**

— მრავალჯერ.

— ცხადია, ჰაერი არც ერთზე არ არის.

— სამწუხაროდ.

— ამჟამად ჩემი მიზნებისათვის, პირიქით, ეს ფაქტი მეტად სასიხარულოა.

— არ მესმის.

— ჰაერი აბრკოლებს ჩემი რეფრაქტორის მუშაობას: ოდნავ აბრმავებს მას, აელამებს.

მე მივხვდი, რაც უნდოდა მას: რაც უფრო მეტად აახლოვებს ობიექტს ტელესკოპი, მით უფრო დიდია ატმოსფერის უარყოფითი მოქმედება ინსტრუმენტზე. თუ ტელესკოპის დადგმა მოხერხდა უჰაერო მთვარეზე, მაშინ მოახლოებული ობრას შესწავლა გაცილებით უფრო ადვილი იქნება.

— ეხლა-კი მივხვდი,—მივუგე.—მაგრამ არ ვიცი, როგორ გინდა მოაწყო უჰაერო სხეულზე ობსერვატორიის სადგური? ტელესკოპს ხომ თან უნდა ახლდეს ცოცხალი არსებაც?

— ტელესკოპთან ჩვენ ვიქნებით.—მიპასუხა ქალმა.

— როგორ, ჩვენ?

— მე და შენ; რა თქმა უნდა, თუ დამთანხმდები.

---

*) დედამიწა.

**) ედონი და გუანა—მარსის ორი მთვარე, თქვენებურად: ფ ო ბ ო ს ი და დ ე ი მ ო ს ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუთუ ჩემი ორი თვალიც დასჭირდა ნუავეს?*

— ცხრას თერთმეტი არა სჯობია?—ღიმილით მიპასუხა

— სადგურს მთვარეზე როგორ მოაწყობ?

— სადგურს აქ მოვაწყობთ და გადავიტანთ გუანაზე.

— რატომ გუანაზე და არა ედონზე?

— ედონი თუმცა უფრო ახლოა, მაგრამ მისი მეტის-მეტად ჩქარი მოძრაობა ტელესკოპის მუშაობას ხელს შეუშლის. როგორც იცი ედონი ისე სწრაფად მიჰქრის, რომ დღე-ღამეში სამჯერ უვლის გარშემო ჩვენს პლანეტას, ხოლო გუანა შედარებით უფრო ნელა მოძრაობს: მისი ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათს.

— სადგურს როგორ მოაწყობ?—გავიმეორე ჩემი შეკითხვა.

— სადგურის შესახებ დიდი ხანია მაქვს ერთი გეგმა, მაგრამ არ ვიცი, გაიზიარებ თუ არა შენც ჩემს აზრს?

— მე გისმენ.

— ვშიშობ, უარი არ მითხრა.

ქალი მიცქეროდა ვედრებით სავსე თვალებით და ვგრძნობდი, რომ რაც უნდა ეთხოვა, უარს ვერ ვეტყოდი.

— ოღონდ შევიძლო და მზადა ვარ.

— სადგური უნდა მოეწყოს შენს რაუნიტზე**.

მე დიდხანს არ დავფიქრებულვარ: ნუავეს აზრი რამდენად უბრალო იყო, იმდენადვე ბრწყინვალე და მიზანშეწონილი.

— მე ვკისრულობ რაუნიტზე შენი ტელესკოპის მოთავსებას,—ვუპასუხე გახარებულ ნუავეს.—ხვალიდანვე შევუდგები საჭირო სამზადისს...

ქალი წავიდა საამო ფიქრებით განათებული.

მეც გულში სინათლე ჩამიდგა.

კარგია, როცა გამბედაობა და ცოდნა ერთად არიან.

—

— **17—25.** რაუნიტი პატარა ობსერვატორიად გადაიქცა. ნუავე დარწმუნებულია, რომ ეს პირველი მოძრავი ობსერვატორია იწყებს სამყაროს შესწავლის ახალ პერიოდს. მეც ვეთანხმები და მიხარია, რომ ეს გამარჯვება დაკავშირებული იქნება ჩემ რაუნიტთან.

—

— **17—31.** ხვალ გავფრინდებით. ნუავემ გუშინ საღამოს გადაიღო ობრას სურათი.

მარწმუნებს, რომ აღმოაჩინა ახალი ხაზები და წერტილები, რაც წინანდელ ფოტოგრაფიებში არ არის.

---

*) ნუავე—„ცხრათვალა". ასე უწოდეს იმიტომ, რომ მან ააგო გასაოცარი თვისების ტელესკოპი, ცარა ლინზით მორთული. ლინზების მრავალგვარი კომბინაციის საშუალებით ტელესკოპში შეერთებული იყო რეფრაქტორისა და რეფლექტორის ფუნქციები. ლინზებში იყო სამი მიკროსკოპი და ორი სარკე.

**) რაუნიტი—ჩემი საფრენი მანქანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე განვაგრძობ ჩემი ძველი შეხედულების დაცვას.

გუანაზე შესაძლოა ბევრი რამ გამოირკვეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ნუავეს გადაჭარბებული ოპტიმიზმი არ გამართლდება.

—

— 17—32. გუანას ბრუნვის პერიოდი უდრის 30 საათსა და 18 წუთს, ედონის — 7 საათსა და 41 წუთს, ხოლო სანორის*) დღე-ღამე შეიცავს 24 საათსა და 37 წუთს. ამის შედეგი ის არის, რომ ედონი დღე-ღამეში თითქმის სამჯერ შემოუვლის ჩვენს პლანეტას და უცნაური მიმართულება აქვს: ამოდის დასავლეთიდან და ჩადის აღმოსავლეთზე. გუანა-კი ცოტა უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე სანორ თავის ღერძის გარშემო, ამის გამო იგი თითქმის ორი დღე-ღამე დგას ცაში ამოსვლიდან ჩასვლამდე. ამიტომ არჩია ნუავემ ტელესკოპის გუანაზე გადატანა.

დილის 4 საათზე რაუნიტი უკვე პოლჯუსზე იყო.

4 ს. და 21 წ. პოლჯუსი დავტოვეთ.

წამოვედით იმ ანგარიშით, რომ გუანას შევხვედროდით ცის მეცხრე მერიდიანზე (ასე ვიყავით შეთანხმებული ჩრდილო-ობსერვატორიის დირექტორთან).

გზაზე შეუწყვეტლად გვენთო შორეული ხილვის ეკრანი, რომლითაც ნუავე დაკავშირებული იყო ობსერვატორიასთან.

სწორედ დანიშნულ დროს დავეშვით გუანაზე.

გუანას უჰაერო ცის ერთი ნახევარი, ჰორიზონტიდან ზენიტამდე, დაფარული იყო სანორის უზარმაზარ ელვარე დისკოთი, ხოლო მეორე ნახევარი შავი ხავერდის კარავსავით იყო გაშლილი. შავ ხავერდზე დახატულივით მოსჩანდა მზე და არაჩვეულებრივად აკაშკაშებული ვარსკვლავები.

ობსერვატორიას გადავეცით საჭირო ცნობები და ეკრანი ჩავაქრეთ. ობრა გუანას მეორე მხარეზე იყო და ჩვენც იქით გავსწიეთ. თანდათან ჩაიძირა სანორის დისკო და მზეც ჩავიდა.

რაუნიტი შევიდა გუანას უკუნეთ ღამეში და გამოჩნდა ლურჯად მოკამკამე ობრა.

ნუავემ მოიმარჯვა თავისი ცხრათვალა ტელესკოპი და მუშაობას შეუდგა.

—

— 17—35. ახლოვდება CD—18—27** დიდი მზადებაა.

ეკრანების რიცხვი 2000-მდე აიყვანეს.

ნუავე შეუსვენებლად მუშაობს.

მაოცებს მისი ენერგია და ენტუზიაზმი.

გუშინ მიჩვენა გუანაზე დამზადებული რუკების ალბომი.

გულდასმით დავათვალიერე: სანუგეშო ვერაფერი ვპოვე.

ეწყინა.

*) სანორ—მარსი.

**) 1924 წლის აგვისტო.

— მე არ ვამტკიცებ ობრაზე სიცოცხლის შეუძლებლობას,—შევარბილე ჩემი სკეპტიციზმი.—მაგრამ მეტად საეჭვოდ მიმაჩნია მისი მაღალი ფორმა.

— რატომ ფიქრობ ასე?—გულნატკენად მკითხა.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,—ვუთხარი მე,—ვერ წარმომიდგენია სიცოცხლის ჩვენთვის ცნობილი უმაღლესი ფორმის არსებობა პლანეტაზე, სადაც ამდენი წყალია.

— განა ცოტაა ხმელეთი?

— შეადარე ზღვას. ობრა თითქმის მხოლოდ ზღვაა, ხმელეთის უმნიშვნელო კუნძულებით.

— ამ კუნძულზე მაინც არის მაღალი სიცოცხლე!—დაჟინებით წამოიძახა ნუავემ.

— სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არა ხმელეთზე, არამედ წყალში. ობრაზე ბატონობს წყალის სტიქია. წყალში-კი შეუძლებელია სიცოცხლის მაღალი ფორმა.

— ნუ გაიწყდება, რომ ობრას ხმელეთი იმდენად დიდი მაინც არის, რომ სანორის მთელ ზედაპირს უდრის.—თანდათან ცხარდება ნუავე. თუ სანორზე ასე განვითარდა სიცოცხლე, რატომ არის ეს შეუძლებელი ობრაზე?

— ჩვენი პლანეტის ჰავა სხვაგვარია.—ვცხარდები მეც.—ობრაზე მუდამ ქუხს და ელავს. წარმოუდგენელი ძლიერების გრიგალი მძვინვარებს განუწყვეტლივ. მუდამ ბურუსიანი ჰაერი სავსეა გამანადგურებელი ძალებით. სიცოცხლის მაღალი ფორმა ვერ დამკვიდრდება ასეთ მერყევ და მძაფრ ნიადაგზე...

ეხლა ვზივარ და ვფიქრობ:

— რატომ გავცხარდი? რატომ მაღელვებს ყოველთვის ნუავეს დაუსაბუთებელი გატაცება და დაუჯერებელი დასკვნები?

სადღაც, გულის უჩინარ კუთხეში, შუქი მოძრაობს. ჯერ მოსჩანს მხოლოდ ჩრდილი, შუქის ჩრდილი.

დავიცდი.

დრო გაივლის, პასუხიც მოვა.

—

— **17—40.** გუშინ სიგნალის მომწყობი სექციის სხდომა იყო.

დილით, სხდომის წინ, ნუავემ დამირეკა:

— ხომ იქნები სხდომაზე?

— ვიქნები.

— შენი ნახვა მინდა. დამიცადე. სხდომაზე ერთად წავიდეთ.

— სიამოვნებით.

შემოვიდა ჩუმად. ხელში ეჭირა მისი საყვარელი სუანერ*. ფანჯარასთან დაჯდა.

სახეზე ენთო მოზღვავებული სიხარულის განგებ შებურვილი სინათლე.

---

*) ლურჯი ყვავილი, „ობრას ყვავილად“ წოდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა (არ ვიცი, რატომ) დაუტევნელი სიამის დაფარვა და ბრიდა წამწამებს.

მაგრამ შეკავებულ ღიმილივით ცახცახებდა თვალებში [illegible] ბოლოინვალე ფრთა.

— რაღაც კარგი გაქვს გულში დამალული,—ვკითხე.

შემომხედა: თვალებიდან თითქო ორი ფრინველი ამოფრინდა და სახეზე სხივების ფრთები მომანათა.

— შენ ჩემი არა გჯერა, მაგრამ მე ვხედავ ყველაფერს.

— რას ხედავ?

— მე ვხედავ, როგორ იბრძვის ობრაზე ჩვენი მსგავსი არსება და როგორ იკაფავს გზას ჩვენსკენ მისი მაღალი გონება.

— საჭიროა ჩვენც დაგვანახო.

— გახსოვს, ორი თვის წინად ობრას ჩრდილო-პოლჯუსზე ცეცხლის სვეტები რომ იქნა შენიშნული?

— მერე?

— მაშინ ის ვულკანურ მოვლენად ჩასთვალეს, მაგრამ ეხლა სულ სხვა რამ ირკვევა ჩემთვის.

უცებ წამოდგა და აივნის ფარდა გასწია.

ოთახში მოულოდნელ ნიაღვარივით შემოიჭრა ოქროს სხივების შადრევანი და თბილი შუქით შემოსა ქალი.

— მაინც რა ირკვევა?—შევეკითხე.

— ეგ ობრას შუქური სიგნალია.

აივანზე გავედით. მზე მაღლა აწეულიყო და ცხელი ღვარი გადაესხა ფართე-ფოთლებიან ბიმუდუს * ხეივნისათვის.

— როგორ დაასკვენი?—ვკითხე და სკამი შევთავაზე.

დაჯდა. მარჯვენა ხელი აივნის მოაჯირზე დააყრდნო, მარცხენა მე გამიწოდა.

ჩამოვართვი პატარა ჩიტივით აფართქალებული ხელი და ფრთხილად მუხლზე დავასვენე.

— შენ ჩემ დასკვნებს არ სწყალობ. ვიცი, არც ამას გაიზიარებ.

— პირიქით, მე ვცდილობ დავიჯერო, მაგრამ საკმაო საფუძველს ჯერ ვერ ვხედავ.

— მაინც გეტყვი ჩემს მოსაზრებას, რადგან შენი დახმარება მჭირია.

— მზადა ვარ, როგორც ყოველთვის.

— გუანაზე გადაღებულ სურათებიდან სჩანს, რომ ობრას ჩრდილო-პოლჯუსის მიდამოები მუდმივი ყინულით არის მოჭედილი. ყინულის არე ვაკესავით სწორად არის გაშლილი და არსად ჩრდილის ლაქებს არ იძლევა. ეს ამტკიცებს, რომ ყინულს ქვეშ წყალია. ელვარება-კი სწორედ ყინულოვან ზონაზე იქნა შენიშნული. აუცილებელია დასკვნა, რომ ცეცხლის ზოლები არ იყო ვულკანური წარმოშობის.

*) ვაშლის მაგვარი ხეხილი.

— შენ ჰფიქრობ, მაშასადამე, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული ასხივება?

— სხვაგვარი ახსნა შეუძლებელია: მოქმედი ვულკანის ნიშნები მე იქ ვერ აღმოვაჩინე. ამას გარდა ძალიან დამაეჭვებელია სხივების ზოლების სიმეტრიულობა,—ვულკანი ამგვარად სივრცეს ვერ გაანათებდა.*

— როგორც მახსოვს,—ჩავურთე მორიდებით, რადგან არ მინდოდა კიდევ ხაზი გამესვა ჩემი სკეპტიკური განწყობილებისათვის,—ელვარების რადიუსი ძალიან დიდი იყო.

— ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვენი სიგნალის სისტემაა,—მიპასუხა ნუავემ, ხელი წამართვა და გამწყრალი თვალები მრისხანედ მოაბრუნა ჩემკენ.

— მერე რას ნიშნავს ეს სიგნალი? ვკითხე მცირე პაუზის შემდეგ.

— საქმეც ის არის, რომ მათ ჩვენი სიგნალი ვერ გაუგიათ. ალბად ჩვენს მუქ ზოლებს ისინი ჩვენი პლანეტის ბუნებრივ ხაზებად სთვლიან. ვინ იცის, იქნებ მღინარეები, ან მთები ჰგონიათ!

— კარგი მიხვედრაც ჰქონიათ!—წამომცდა ირონიული შენიშვნა, რამაც უფრო გააბრაზა ნუავე:

— ჩვენ არ ვიცით, როგორი ხელსაწყოებით სარგებლობენ ისინი და როგორ მოსჩანს ჩვენი პლანეტა მათს ინსტრუმენტებში. ამიტომ უმჯობესია ნაჩქარევ დასკვნებს მოერიდო.

კარგად ვგრძნობდი, ვისი დასკვნები იყო ნაჩქარევი, მაგრამ ნუავეს შეუდრეკელი რწმენა თავისთავად იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ძალაუნებურად იმორჩილებდა ჩემს ეჭვიან სიფრთხილეს.

— ახლა უნდა გითხრა, რისთვის მოვედი შენთან,—მომმართა ნუავემ და გამწყრალ სახეზე ღიმილი აათამაშა,—დღევანდელ სხდომაზე შემაქვს ერთი წინადადება, რასაც მინდა წინასწარ გაგაცნო.

— ჩვენი სიგნალის შესახებ?

— დიახ. როგორც გითხარი, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ობრაზე ჩვენი სიგნალი ვერ გაიგეს. შეიძლება ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნებოდეს, რომ ზოლები, მიუხედავად სისტემის ცვალებადობისა, მუდმივია. ამას შეეძლო ისეთი შეხედულების წარმოშობა, თითქოს ეს ზოლები პლანეტის ორგანიული აღნაგობის თავისებური კონტურები იყოს.

— შენი მოსაზრება უთუოდ ანგარიშ-გასაწევია,—შევნიშნე მე,—მაგრამ როგორ გინდა გამოასწორო მდგომარეობა?

— ჩემი წინადადების აზრიც ეგ არის.—ობრას მოახლოების დროს ჩვენ უნდა შევცვალოთ სიგნალიზაციის მეთოდი.

— როგორ?

---

*) ნუავეს ეს შემცდარი დასკვნა მე მხოლოდ აქ ჩამოსვლის შემდეგ გამოვარკვიე. თქვენ, უეჭველია, მიხვდებოდით, რომ მარსიდან დედამიწის პოლუსზე შენიშნული სხივების ზოლები ნუავეს რომ სიგნალი ეგონა, იყო ეგრეთ-წოდებული „ჩრდილოეთის ელვარება". მარსის ატმოსფერის განსხვავებული პირობების გამო ასეთი მოვლენა იქ შეუძლებელია და ამიტომ იყო ჩვენთვის ძნელი მისი ბუნების ახსნა.

— საჭიროა სიგნალმა ობრაზე შექმნას რიტმიული ციალის შეცვლილება. ამ მიზნით ყოველ დღე 12 საათის განმავლობაში სიგნალიზაციის მთელი სისტემა უნდა ჩაქრეს. ფიგურების ციკლი უნდა გადაიცეს 12 დღეში, თითო ფიგურა ყოველ დღე. ციკლის მოთავების შემდეგ სიგნალი სრულებით უნდა მოიხსნას. თუ ობრაზე შენიშნული აქვთ ჩვენი სიგნალის ზოლები, შეუძლებელია გადაცემის ამ ცვლილებამ არ მიიპყრას ობრანთა ყურადღება.

ნუავეს გეგმა მართლაც მოსაწონია.

სიამოვნებით დავუდასტურე.

— სავსებით ვიზიარებ შენს მოსაზრებას და ვფიქრობ სექციაც მიიღებს მას, თუ რაიმე ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი.

— მე უკვე მქონდა ამის შესახებ საუბარი პროექტორების გამგესთან,— მითხრა ნუავემ,—ტეხნიკურად ჩემს გეგმას არაფერი დააბრკოლებს. *

— მით უკეთესი!—ვუთხარი მე და წამოვდექ: სხდომაზე წასვლის დრო იყო.

სექციამ ერთხმად მიიღო ნუავეს წინადადება.

—

— 18—1. გუანაზე მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ასტრონომიას უდიდესი პერსპექტივა გაეშალა. ობსერვატორიამ გადასწყვიტა ორივ მთვარეზე ააგოს ასტრონომიული სადგურები. ინჟენერმა გოუმ წარმოადგინა სადგურების გეგმა.

—

—18—15. დღეიდან დაიწყო სიგნალიზაცია ნუავეს გეგმით.

ობრა სწრაფად გვიახლოვდება. ამჟამად იგი უბრწყინვალესი ვარსკვლავია ჩვენს ცაზე.

ყველა აღელვებულია სასიხარულო მოლოდინით.

ყველაზე მეტად ღელავს ნუავე.

—

—18—27. გუშინ მოთავდა სიგნალიზაციის ციკლი. **

დღეს ობრა უახლოეს წერტილზე ბრწყინავს.

ორი ათასი ეკრანის უსინათლო თვალები ელექტრო-წამწამების შეუწყვეტელი ხამხამით მისჩერებია მოლურჯო ცეცხლით აბრიალებულ მნათობს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ანთებულა ჯერ შორეული ხილვის სიხარულით.

—

*) სიგნალიზაციისათვის მოწყობილი იყო უბარმაბარ პროექტორების სისტემა. პროექტორები მუშაობდენ Zine-სხივებით, რომლის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს მზის სხივების შთანთქმა. Zine-სხივებით გაშუქებული არე მზის სხივებს არ აირეკს და შორიდან შავად მოსჩანს.

**) მარსის ეგრეთწოდებული „არხების“ წაკითხვის შესახებ თქვენთან რომ საუბარი მქონდა, მე ცოტა განსხვავებულად გადმოგეცით მაშინ ჩვენი სიგნალიზაციის გეგმა. მაგრამ მე იმ დროს ელაპარაკობდი, როგორც თქვენი პლანეტის მკვიდრი და არ შემეძლო მეთქვა ის, რაც დედამიწის მეცნიერებისათვის უცნობი იყო. მე დღემდის არ ვიცი, თქვენმა ტელესკოპებმა რატომ ვერ შეამჩნიეს მაშინ მარსის სიგნალის ციალი და რად დაიღუპა უნაყოფოდ ნუავეს მახვილგონიერი გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 18—28. ორი დღეა გუანაზე ვმუშაობთ.

ნუავემ დაამზადა სურათების სერია.

ბევრი რამ არის ახალი და საგულისხმო.

პირველ ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს წყალის რაოდენობა.

მართლდება წინა-თაობათა მოლოდინი: ობრა, მართლაც, წყალის დაულეველი რეზერვუარია, რამაც უნდა გამოაცოცხლოს ჩვენი პლანეტის სისხლ-ნაკლები სხეული და დაუბრუნოს მის დამშრალ ფესვებს ცხოველმყოფელი სინედლე.

—

— 18—30. არის თუ არა ობრაზე გონიერი არსება?

ის მასალა, რაც დაგროვდა ამ ერთი თვის დაკვირვებით, სანუგეშოს არაფერს ამბობს. თუ არის სიცოცხლე—უთუოდ დაბალ საფეხურზე. მხოლოდ ერთად-ერთი ნუავეა დარწმუნებული, რომ სიგნალიზაციის უნაყოფობა ჯერჯერობით ჩვენთვის გაუგებარ მიზეზებით არის გამოწვეული. მას სჯერა, რომ არსებობს მაღალ-გონიერი ობრან, სჯერა გადაჭარბებული გატაცებით.

— ხომ ხედავ ამ ნათელ ლაქებს?—მკითხა გუშინ, როცა მის მიერ შედგენილ რუკებს ვათვალიერებდით.

— ვხედავ,—ვუპასუხე,—მაგრამ არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მაღალი კულტურის ნიშნებია.

— ეგ არის ობრანთა საცხოვრებელი ადგილები.

— მესმის. ჩვენს შორეულ წინაპრებსაც უცხოვრიათ ამგვარად.

— სოციალური ბუდეები.

— მეც ეს მაფიქრებს. ასე ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრება კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია.

— როცა ამ რუკებს ათვალიერებ,—დამტუქსა ნუავემ—უნდა მოიშორო ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა გზით მიდის იქაური კულტურის განვითარება.

— ამ მხრით ორთავენი ერთნაირად ცუდ მდგომარეობაში ვართ,—შევნიშნე მე,—მოვლენის უცოდინარობა არ იძლევა არავითარ უპირატესობას მისი ან ავად, ან კარგად შეფასებისთვის.

— შენ უკვე დასცინი ჩემს ოპტიმიზმს,—იწყინა ნუავემ და სახე მოიღრუბლა.

მე შევეცადე საჩქაროდ გამომესწორებია ჩემი უტაქტობა.

— მე სრულებით არ უარვყოფ ობრაზე სიცოცხლის ნიშნებს,—შევძახე გულწრფელად.—მე მხოლოდ ბოლომდის ვერ ვერკვევი, საიდან ლებულობ შინაგანი დაჯერების ეგზომ მოუდრეკავ პათოსს.

— ჩემი უბედურებაც ეგ არის,—მითხრა ქალმა,—მეცნიერულად გამართული არგუმენტები ჯერ არ მომეპოება, მაგრამ შინაგანი დაჯერება მართლა იმდენი მაქვს, რომ უბრალო რამ ნიშანი ჩემთვის უფრო ბევრის მეტყველია, ვიდრე შენთვის თვალსაჩინო ფაქტების მთელი გროვა.

— სამწუხაროდ, ასეთ საქმეში მარტოოდენ ინტუიცია არ არის საკმარისი.

— არც მე ვემყარები მხოლოდ ინტუიციას: ობრას ასევე, მისი ფიზიკურ-ქიმიური პირობები ერთის მხრით, ხოლო მეორის მხრით სიცოცხლის ის ნიშნები, რაც შენთვისაც აშკარაა, განსაკუთრებით-კი შუქური სიგნალიზაციის ცდები,—მე ვფიქრობ ყველაფერი ეს იძლევა ჩემი დასკვნებისათვის საკმაოდ დამაჯერებელ საფუძველს.

— შუქური სიგნალი მე ძალიან მეეჭვება,—ფრთხილად შევაპარე სკეპტიციზმის წვეთი.—ეგ რომ მართლა სიგნალი ყოფილიყო, ამ იშვიათ მოახლოების დროს უფრო ნათლად და გარკვევით უნდა გამოჩენილიყო მისი ციმციმი.

შევატყვე, რომ ნუავე შეშფოთდა.

— ვიმეორებ, მე არ უარვყოფ ობრაზე სიცოცხლის არსებობას,—დავსძინე საჩქაროდ, რომ შენენელებია ჩემი უკანასკნელი სიტყვების შთაბეჭდილება.—მაგრამ, როგორც გითხარი, იქ წყალის სტიქია ბატონობს და სიცოცხლეც ამ სტიქიის შესაფერი იქნება.

— მაშასადამე?—ჩამეკითხა ნუავე.

— მაშასადამე შენი საყვარელი ობრან ჩვენს მოკავშირედ ვერ გამოდგება.—მოულოდნელად წამომცდა მწარე დასკვნა.

ნუავე ისევ მოიღუშა.

—

— **19-7.** ობრა ისეთივე სისწრაფით გვშორდება, როგორითაც გვიახლოვდებოდა.

გამოქვეყნდა აუარებელი მასალა, მათ შორის განირჩევა ნუავეს დეტალურად დამუშავებული რუკები.

რუკები კულტურის ნიშნების მიხედვით ზონებად არის დაყოფილი.

ნუავე თავის განმარტებებში იძლევა მრავალ გონება-მახვილ და საგულისხმო მოსაზრებას. მაგრამ სჭარბობს ინტუიცია.

მე ვამზადებ გამოსაქვეყნებლად ჩემს დასკვნებს, მაგრამ (საოცარია!) მერიდება ნუავესი.

ჩვენ შორის ბრძოლაა. მე ვგრძნობ, რომ ამ ბრძოლას აქვს არა მხოლოდ მეცნიერული საფუძველი, რაღაც სხვა რამ, მეცნიერების გარე მყოფი, ამძაფრებს ჩვენს ურთიერთობას. მეცნიერული დავა თანდათან უახლოვდება პიროვნულ კონფლიქტს.

მე ვერიდები ამ კონფლიქტს და ამიტომ ჩემს წერილს ხელს არ მოვაწერ.

—

— **19 – 12.** მე ვამტკიცებ, რომ G და D ზონები, სადაც ნუავეს მაღალი კულტურის ნიშნები მოეჩვენა, წარმოადგენს ობრას დასახიჩრებული კანის ნაწილს, რაც შედეგია გეოლოგიური ფორმაციის კატასტროფიული ხანის. ამ ზონებში შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა. რაც შეეხება B, C, K და R ზონებს, განსაკუთრებით K და R-ს მიდამოებს, მცირეოდენი დაძალებით შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ ობრას ზედაპირს მართლაც ეტყობა გონიერ არსებათა ზედმოქმედების ნიშნები.

წერილს მოვაწერე: K—R.

— 19 — 14. დაიბეჭდა ჩემი წერილის პასუხი. ხელს აწერს ვინმე G—D. დიდის ენერგიით ილაშქრებს ჩემი დასკვნების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

— 19 — 30. კამათმა ფართო ხასიათი მიიღო.

მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ჩემ ფრთხილ დასკვნებს უჭერს მხარს. G—D-ს მხოლოდ ახალგაზრდობა მიემხრო.

—

— 19 — 35. დილით, როცა ჩემი რაუნიტი სანორს მოშორდა, კაბინში შემოვიდა ნუავე.

— ხელი ხომ არ შეგიშალე?—მკითხა მორიდებით.

— შენს რუკებს ვათვალიერებ,—ვუპასუხე.—G—D-ს მოსაზრებებმა ცოტა დამაფიქრეს, მაგრამ მაინც მე ვარ მართალი.

— მაშ K—R შენ ყოფილხარ! — და ნუავემ ცბიერად გაიღიმა.—მე ეს დიდიხანია ვიცი.

— მეც ვიცი, ვინ არის G—D.

— Ka—Ro! Ge—Da! * —მე მომწონს ეს სახელები.

და უცებ დაუმატა:

— Karo! რატომ მებრძვი, ხომ გრძნობ, რომ მართალი ვარ?

— Geda! განა სულ ერთი არ არის, ვინ დარჩება მართალი?

— რატომ არის სულ ერთი?—მკითხა გაკვირვებით.

— მსოფლიო სავსეა სიცოცხლის თესლით. ზოგან მწიფეა ნაყოფი, ზოგან ახლა ისხამს ყვავილს ხე სიცოცხლისა. ალბად არის ქვეყანა, სადაც მარადი მთესველი ახლა ჰყრის სიცოცხლის მარცვლებს. ყოველგან არის სიცოცხლე და სულ ერთია, რა ასაკის არიან ობრანები.

გედა ჩაფიქრდა. კარგა ხანს იჯდა თავდახრილი.

— ჩემთვის არ არის სულ ერთი.—სთქვა ბოლოს და შემომხედა მუდარებით სავსე თვალებით.—მე ტყვედ ვყავარ მოუშორებელ წარმოდგენას. თვალწინ მიდგას შორეული მეგობრის სახე და მეძახის, მეძახის ბრწყინვალე მოჩვენების გაუქრობელი ლანდი! თითქო გასაჭირშია და ჩემგან ელის შველას. ამაყი ბავშვი ზღაპრებით სავსე თვალებით მომჩერებია შორიდან და მელის. მე-კი ვასკდები ყველა ფანჯარას, მაგრამ არ იღება არც ერთი, და ვფართხალებ გულიკივ სამყაროს ოთხ კედელ შუა. ვიცი, მასაც ვესიზმრები მე, მასაც ჩემკენ გაუწვდია ხელები, მაგრამ ბავშვია ჯერ იგი და ფრთებს ახლა ისხამს. მე მესმის მისი ძახილი, გაზაფხულის ქუხილივით რომ მოარღვევს ცას, ვხედავ როგორ ელავს მის თვალებში ახალგაზრდობის ჭარბი სისხლი და მე მინდა მისი ნახვა, კარო, მინდა მისი ნახვა და შენ კი არ გჯერა მისი არსებობაც...

და გედა ნუავე დაემხო მაგიდის ყურეს და აქვითინდა...

---

*) ჩვენებურად ეგ ასოები ასე გამოითქმის.

სადღაც, გულის მივარდნილ კუთხეში შუქი ამოძრავდა. დოემდის მხოლოდ ჩრდილი მოსჩანდა, შუქის ჩრდილი. ახლა ვხედავ შუქში გახვეულ სახეს. სახე გაფითრდა, ხელებზე დაემხო და აქვითინდა...

— რატომ სტირი, გედა? დაიცადე, როგორც მე ვიცდიდი. დრო გაივლის და შენი გულისთქმის პასუხიც მოვა...

—

— 22 — 7. დღეს საუბარი მქონდა წყალთა მოურავთან.

მკითხა, როდის მოხერხდება ობრაზე ექსპედიციის მოწყობა.

— ტეხნიკურ სექციას თავისი ამოცანა შესრულებული აქვს,—ვუპასუხე,— ჯერი ქიმიურ სექციაზეა.

— ჰაერის კონსერვები?—მკითხა მოურავმა.

— დიაღ.

— აკი მოგვარდა შეკუმშული მეავბადის მომარაგების საკითხი!

— ვარსკვლავთა შორის ფრენისთვის საჭირო ჰაერის დამზადებას გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეხვდა.

— მაშ როგორ დაფრინავთ გუანაზე?

— ჩვენი მანქანის საჰაერო აპარატის მუშაობა საკმარისია ახლო მანძილზე, მაგრამ დიდ მარშრუტებისთვის არ კმარა, ვინაიდან ცდებმა დაგვიმტკიცა, რომ ხელოვნურად შეზავებული ჰაერით სარგებლობა კოსმიურ სივრცეში შესაძლებელია ხუთ თვემდე. შემდეგ, გაუგებარ მიზეზების გამო, ჰაერი თანდათან უვარგისი ხდება.

— რას ამბობენ სპეციალისტები?

— მიზეზი ჯერ აუხსნელია. ჰაერის შემადგენელ ელემენტების პროპორცია არ ირღვევა, მაგრამ ჩნდება რაღაც ახალი ფაქტორი, რაც სცვლის ჰაერის თვისებებს.

— ცდებს სად აწარმოებენ?—შემეკითხა მოურავი.

— ედონზე, უჰაერო სივრცეში. სპეციალისტებს დაებადათ ერთი ჰიპოტეზი, რამაც შეიძლება ახსნას ეს გაუგებარი მოვლენა.

— რა ჰიპოტეზია?

— ცნობილია, რომ სამყაროს უჰაერო სივრცეში დაჰქრის მრავალგვარი კოსმიური სხივები, რომელთაც „სიკვდილის სხივებს“ ეძახიან. ორგანიული ნივთიერებისთვის გამანადგურებელია ამ სხივების მოქმედება. ჩვენს პლანეტაზე ამ სხივებისგან სიცოცხლეს იცავს ჰაერის საბურველი. მაგრამ უჰაერო სივრცეში მათ არაფერი აკავებს. ჩვენს საფრენ მანქანებს, როგორც იცი, აქვს ბროლის გუმბათი და წინა-კედელი. მიუხედავად კარგად გაკეთებულ ფარისა, როგორც ჰფიქრობენ, „სიკვდილის სხივების“ ნაწილი მაინც ახერხებს მანქანაში შემოჭრას და სწამლავს ჰაერს.

— ჰაერს რომ სწამლავდეს ეგ უჩინარი სხივები, განა ჩვენი პლანეტის ჰაერი, ყოველი მხრით ამ სხივებით რომ არის შემოსეული, აქამდის არ მოიწამლებოდა?—საბუთიანად იკითხა მოურავმა.

— ნუ დაგავიწყდება,—ვუპასუხე მე,—რომ ჩვენი ჰაერის ელემენტები სრულებით არ ჰგავს იმ ჰაერს, რითაც ჩვენ ვსუნთქავთ. ამას [illegible] ათის გამორკვეული, პირდაპირ ჰაერზე მოქმედებს ეს სხივები, თუ სხვა ნივთიერების დაშლით გამოწვეული ელემენტებით სწამლავს მას.

— საგულისხმო მოსაზრებაა,—სთქვა მოურავმა,—მაგრამ რა საჭიროა მაინცდამაინც ფანჯრებიანი მანქანებით ფრენა? განა არ შეიძლებოდა მანქანების დახურვა?

— შორეული ბარშრუტების დასაძლევად აუცილებელია მანქანას ჰქონდეს გეზის გასამართავად ღია თვალები. დახურულ მანქანაში ფრენის დროს მოსალოდნელია ათასი ხიფათი სამყაროში მოხეტიალე პატარა სხეულებთან შეხვედრისგან.

— ერთი წლის ვარაუდი მაინც რა საჭიროა ობრაზე გასაფრენად?—არ მომეშვა მოურავი.

— ასეთ დიდ მანძილზე ჯერ არ გავფრენილვართ,—მივუგე მე.—არ ვიცი შეგვეძლება თუ არა ობრას ჰაერით სარგებლობა. უცნობია აგრეთვე ჩვენთვის იქაური სიცოცხლის სახე და ხასიათი: ვინ იცის რა პირობებში მოვექცევით? იქნება ბრძოლაც მოგვიხდეს ობრანებთან. ყოველ შემთხვევისათვის ერთი წლის განმავლობაში უნდა შეგვეძლოს მანქანაში გაძლება.

— როგორც სჩანს,—დაღონებით წარმოსთქვა წყალთა მოურავმა,—ვიდრე ეს დაბრკოლება არ მოიხსნება, ობრას წყლის რეზერვუარს ჩვენ ვერ გამოვიყენებთ?

— ამიტომაც სწარმოებს ლაბორატორიებში შეუწყვეტელი მუშაობა,—ვუპასუხე დაფიქრებულ მოურავს.

—

— 23 — 4. მიმძიმს გედასთან საუბარი.
ჩვენი გზები სცილდება ერთმანეთს.
გედა მეტეორივით მიჰქრის სადღაც.
მის მობრუნებას არც მოველი: ძალიან შორს გაჰყვა მაცდურ ოცნებას.
მე რას გავაწყობ?
ვინ შეაჩერებს ცაში მეტეორს?..

—

— 23 — 30. რაუნიტს გამოვუცვალე თაღი და ფანჯრები ობსერვატორიის ლაბორატორიაში ახლად დამზადებული ბროლით, რომელიც უფრო გამჭვირვალ ლითონსა ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ მინას.

ვნახავ, დაგვიფარავს თუ არა ეს ახალი გამოგონება „სიკვდილის სხივების“-გან.

გამოცდა მე მომანდეს.

— ისევ გუანაზე გამოსცდი?—მკითხა ნუავემ.

— არა, ამჟამად უფრო დიდ მანძილს ვირჩევ.—მივუგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ობრა უკვე ძალიან დაგვშორდა,—სთქვა მან დაღონებულ.

— ვიდრე იგი მობრუნდებოდეს, მე მაქვს განზრახული ერთი ხანმოკლე მგზავრობა.

— რომელი?—მკითხა ნუავემ და ცრობისმოყვარეობით შემომაცქერდა.

— ცაში წყალის ახალი მარაგის საძებრად.

— რომელ წყაროზე ლაპარაკობ?—გაუკვირდა ნუავეს.

— მცირე პლანეტა ზერ B 17.*

— რატომ ჰფიქრობ, რომ ზერ ჩვენთვის წყალს ინახავს?—შემეკითხა ნუავე.

— ვინაიდან იქ ატმოსფერის ნიშნები აღმოჩნდა, მე ვფიქრობ—მოსალოდნელია წყალიც იყოს.

— შესაძლოა, თუმცა დიდი იმედი არ უნდა იქონიო.—მითხრა ნუავემ.— მაგრამ როგორ გინდა მიუახლოვდე ზერს? ის ხომ ობრაზე უფრო შორს არის ახლა ჩვენგან?

— მართალია, მაგრამ ამ დღეებში ჩვენს პლანეტას ახლოს გაუვლის ეტლი, რომელიც იკისრებს ჩემს გასეირნებას მცირე პლანეტათა შორეულ მიდამოებში.

გედა ერთი წამით ჩაფიქრდა.

უცებ თვალები პროჟექტორებივით მომანათა:

— ნ ო გ ო ს უ?

— დიაღ, ნ ო გ ო ს უ,** — ეუპასუხე და მოვშორდი, რადგან ვერ ავიტანე მის თვალებში ანთებული უზომო საყვედურის ალი.

რად მიცქერის აგრე? მე ხომ მისთვის არაფერი დამიშავებია?

პირიქით: მან დამიბინდა გულის მიუვალ კუთხეში ამოძრავებული შუქი და იქ ეხლა მხოლოდ ჩრდილი დარჩა.

კარებთან წყალთა მოურავი დამეწია.

— მე თქვენი საუბარი მესმოდა.—სთქვა მან.—კარგად ვერ გავიგე, რა ეტლზე ლაპარაკობდით?

— ზეგ ნოგოსუ ჩვენსკენ იბრუნებს პირს, მინდა მას შევხვდე და მერე გავყვე თან.

— რატომ ობრაზე წასვლა არ ირჩიე?

— ობრა ძალიან დაგვშორდა და თანდათან უფრო გვშორდება, გარდა ამისა, ახალი ბროლის ღირსება ჯერ ნაცადი არ არის.

— ამ მხრივ არც ნოგოსუზე მგზავრობა არის ნაკლებად სახიფათო: განა იქაც უჰაერო სივრცეში არ იქნები?

— განსხვავება დიდია. ობრას მიმართულებით სულ თვალღია მანქანით უნდა მეფრინა და თუ ბროლი უვარგისი გამოდგებოდა, კატასტროფა აუცილებელი იქნებოდა.

— ნოგოსუზე რა უპირატესობა გექნება?—მკითხა მოურავმა.

---

*) თქვენებურად ასტეროიდი ვ ე ს ტ ა.

**) ასტეროიდი ე რ ო ს ი.

— ნოგოსუ ხომ არაჩვეულებრივად მოძრაობს? მე მინდა გამოვიყენო მისი მოძრაობის უცნაურობა. როგორც ცნობილია, ჩვენი პლანეტისა და ნოგოსუს ორბიტები ჯაჭვის რგოლებივით გადაბმულია ერთმანეთს. ამიტომ ნოგოსუ შემოდის ჩვენი პლანეტის სფეროში და ახლო გაუვლის ჩვენს ორბიტს. მისი გზის პერიგელი ძევს ობრასთან ახლო, ხოლო აფელი—მცირე პლანეტების მიდამოებში, ჩვენი ორბიტის გადალმა მხარეს. ამჟამად იგი ჩვენი გზის შიგნით არის, ობრას საზღვრიდან დაბრუნებული და ჩვენ გვიახლოვდება. მე ვაპირებ გზაში შეხვედრას. როცა ჩემს რაუნიტს ნოგოსუზე დავაბინავებ, შემეძლება ახალი ბროლის დამშვიდებით გამოცდა. თუ შევატყვე, რომ ბროლი კოსმიურ სხივებს ვერ აკავებს, მაშინვე დავხურავ მანქანას და ვიქნები შიგ უკან მობრუნებამდე. როცა სანორს მოუახლოვდები, ავხდი რაუნიტს წამწამებს და ჩემს პლანეტაზე დავბრუნდები. მოახლოებულ ნოგოსუდან ჩვენ ქვეყანამდე შედარებით პატარა მანძილისთვის ჰაერი საკმარისი მექნება ჩემს რაუნიტში.

— წყალი?—იკითხა მოურავმა შეშფოთებით.

— წყალიც საკმაოდ მექნება.

— რაუნიტზე არ მოგახსენებ!—გაცხარდა მოურავი.—წყალს მოსძებნი თუ არა?

— ზერს ყოველ შემთხვევაში დავზვერავ.—დავამშვიდე მოურავი,—და თუ წყალი აღმოვაჩინე, ექსპედიციასაც მოვაწყობ.

კმაყოფილი მომშორდა.

ზეგ მივდიეარ...

—

. . . . . .

. . . . . .

—

ვინაიდან ეროსზე (ნოგოსუ) ჩემს მგზავრობას არა აქვს პირდაპირი კავშირი თქვენთვის საინტერესო საკითხთან, მე გამოვტოვე დღიურის ის ადგილი, სადაც აწერილია ეს მგზავრობა. საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ ერთი ეპიზოდის გადმოცემა, რომელმაც შისცა დასაბამი მოვლენათა სწრაფ განვითარებას.

ეროსმა ჩემი იმედი გაამართლა. კმაყოფილი ვბრუნდებოდი ორბიტის მეორე გვერდით ვესტას საზღვრიდან.

ვუახლოვდებოდი მარსს. დაბრუნებას არ ვაპირებდი, განზრახული მქონდა დედამიწის შესწავლა ახლო მანძილიდან. ამიტომ გადავწყვიტე გავყოლოდი ეროსს და მისი ორბიტის პერიგელიდან დამეთვალიერებია დედამიწა ტ დაკვირვებით შემესწავლა გედას მიერ გადაღებულ სურათებში აღნიშნული რაიონები, განსაკუთრებით ის ადგილები, რომელთა ინიციალები: G—D და K—R ჩემი და ნუაეს სახელებად გადაიქცენ.

მე განუწყვეტელი კავშირი მქონდა რაუნიტიდან ეკრანის საშუალებით მარსის ობსერვატორიასთან და ჩემმა ქვეყანამ ჩემი მგზავრობის ყოველი დეტალი კარგად იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროსის ერთ მშვენიერ დილას, როცა ქრონომეტრს ესიხარულდი მარსის თარიღის გამოსარკვევად, უცბად ეკრანმა დარეკა.

რამდენიმე წამის შამდეგ ეკრანზე გამოჩნდა ნუავე.

მომანათა შეშფოთებული თვალები.

— კარო, შენ ობრასკენ მიემგზავრები?—მკითხა და პასუხის დაულოდინებლად დაუმატა:—მე ვიცი, რომ ასე გაქვს გადაწყვეტილი, მაგრამ მინდა გთხოვო შესცვალო მარშრუტი.

— რა მოხდა?—ვკითხე მე,—რადა ხარ ასე აღელვებული?

— საჭიროა შენი აქ ყოფნა. შესწყვიტე მგზავრობა. დაბრუნდი.

შევატყვე, რომ ქალს სასოწარკვეთილების მოურევნელი გრძნობა ეუფლებოდა.

— მზადა ვარ დაგეხმარო, ოღონდ მითხარი, რა მოხდა?—ანგარიშ-მიუცემლად შევაგებე თავაზიანი სიტყვები.

ნუავეს სახეზე სიამემ ელვა დაანათა.

— დაბრუნდები? მაშ დაბრუნდები?—სიხარულით წამოიძახა და ხელები ფრთებივით შეათამაშა.

— დავბრუნდები.

— რაც შეიძლება მალე. დღესვე აუშვი რაუნიტი.

— ამ საათში მოვიხსნები აქედან, მაგრამ რად არ მეტყვი, რა მოხდა?—ვკითხე განმეორებით.

ქალმა თავი დაღუნა. დაფიქრდა.

უცებ ამართა თავი და შემომხედა. სიხარულის ნატამალი არ იყო მის გაფითრებულ სახეზე.

მუდარებით სავსე თვალები შავი ცეცხლით იფერფლებოდა.

— ჩემი არავის სჯერა,—სთქვა მან.—გოუ თავისას გაიტანს, თუ შენ არ დამიჭერ მხარს.

— რად არ იტყვი, რა მოხდა?—მოუთმენლად შევსძახე.

— ობრას კოსმიური კატასტროფა ემუქრება.—ხაზგასმით წარმოსთქვა მან და შეშინებულ ბავშვსავით გაუფართოვდა თვალები.

—რანაირად?

— კომეტა ცე უახლოვდება.

— ვინ ამტკიცებს?

— გოუ.

— ანგარიში სწორია?

— სწორია.

— მაშ დაჯახება აუცილებელია?

— აუცილებელია.

— როდის უნდა მოხდეს კატასტროფა?

— CK-5—18-ს *).

*) 1933 წლის ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საჩქარო არაფერი ყოფილა,—დამშვიდებით ეუთხარი

— რომ ჩამოხვალ გაიგებ, საჩქაროა თუ არა.

— მაშ ნახვამდის. ეხლავ მოვიხსნები.

— გელი მოუთმენლად.—მომაძახა და ეკრანიც ჩაქრა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი რაუნიტი სულდაუთქმელად მოჰქროდა მარსისკენ.

—

CR—17-I. დღეს დილის 10 საათზე რაუნიტი გარაჟში დავაბინავე. გასაწმენდია ნოგოსუს ყვითელი ქვიშისა და უჰაერო სივრცის კოსმიური მტვერისაგან.

შეიტყო თუ არა ჩემი ჩამოსვლა, ნუავემ დამირეკა და იმ წამსვე მესტუმრა ხვალ გოუ მოხსენებას ჰკითხულობს მეცნიერთა კოლეგიაში ობრას კატასტროფის შესახებ.

ნუავე მარწმუნებს, რომ გოუ „გულგრილად" არის განწყობილი ობრას მიმართ და სრულიად არ აწუხებს მას ჩვენი მეზობლის მოსალოდნელი დაღუპვა.

მეცნიერებისთვის იშვიათი მოვლენის დემონსტრაციად სთვლის თურმე ამ კატასტროფას.

მთხოვს, მივემხრო მის მოსაზრებას, რომ ჩვენი მოვალეობაა მივეშველოთ გასაჭირში მყოფს ჩვენს თანამოძმეს.

არის კი ვინმე მიშველების ღირსი?

ნუავე დარწმუნებულია ისევ, რომ ობრაზე ჩვენი თანამოძმენი ჩვენზე ჰფიქრობენ.

მე ძალიან მეეჭვება.

მაინც დავპირდი.

— თუმცა არა ვარ დაჯერებული, რომ შენი მოსაზრება სწორია,—ეუთხარი მე,—მაგრამ განზრახვა იმდენად კეთილშობილურია, რომ მეც შენთან ვიქნები.

ნუავემ მადლობა მითხრა და წავიდა.

მეტეორივით დაჰქრის მისი გონება ობრას უცნობ ცაზე.

ვინ იცის, რა ელის მას?

იქნებ მეტეორივით ჩაიწვას უსიცოცხლო ობრას მიუკარებელ ჰაერში ნათელი სიზმრით გატაცებული სული!..

—

— **17—2.** სხდომამ საღამომდის გასტანა.

გოუს მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ ეს კატასტროფა იშვიათი და განუმეორებელი მოვლენაა ჩვენს სისტემაში და მთელ რიგ პრობლემების გადასაჭრელად მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუავე შეუპოვარი გამბედაობით და უმაგალითო პათოსით ებრძოდა გოუს მოსაზრებებს.

— რა უფლება გვაქვს ჩვენ,—ანთებდა იგი ცეცხლიანი სიტყვების კოცონს,—შორიდან გულზე ხელდაჭდეული შევცქეროდეთ, როგორ იღუპება სამუდამოდ სიცოცხლით სავსე ქვეყანა, როგორ ისრისება უაზრო სტიქიონის ბრმა ძალთაგან ჩვენს გვერდით აყვავებული თავისებური სიცოცხლის ერთად-ერთი და განუმეორებელი სახე? განა მეცნიერებისათვის გეოლოგიისა და ელექტრომაგნიტური პრობლემების კატასტროფის პრიზმაში განხილვა უფრო საინტერესო და საჭიროა, ვიდრე სიცოცხლის ახალი, ჩვენთვის უცნობი ფორმის გადარჩენა და შემდეგ მისი გაცნობა? შეიძლება ბევრს არ სჯეროდეს, რომ ობრაზე ამჟამად სიცოცხლის უმაღლესი სახე იყოს, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ის არ წარმოადგენს ჩვენთვის მიუწვდომელ მიღწევათა უდიდეს ასპარეზს სიცოცხლის მომავალ ფორმათათვის? ჩვენთან შედარებით ობრა ჯერ ჭაბუკობის ხანაშია. ვინ იტყვის რას უმზადებს მსოფლიოს მისი დავაჟკაცება? როგორ შეგვიძლია ჩვენ ფიზიკურ მოვლენათა შესასწავლ ლაბორატორიად ვაქციოთ მსოფლიოს უდიდესი ტრაგედია? ჩვენ გვაქს ტეხნიკური საშუალება, გადავარჩინოთ დაღუპვას ჩვენი მოძმე ქვეყანა. მე მოგიწოდებთ თქვენ სიცოცხლის უზენაესი კანონის სახელით, ჩვენი მომავალი კავშირის სახელით, დავეხმაროთ ობრას და ვიხსნათ იგი სიკვდილისაგან.

გოუ აუღელვებლად, დამშვიდებით ასაბუთებდა თავის აზრს:

— რა საჭიროა უაღრესად მეცნიერული ხასიათის საკითხში რომანტიული გატაცება და სანტიმენტალური არგუმენტაცია? ვინ არ იცის, რომ სიცოცხლე ბევრგან არის შესაძლებელი? მაგრამ განა ყოველგვარ სიცოცხლეს ვიცავთ ჩვენ? სიცოცხლის უმაღლესი ფორმა იბრძვის არსებობისათვის და სპობს უმდაბლეს ფორმებს. ჩვენს მსოფლიოში სიცოცხლის უმაღლესი მწვერვალი გვიპყრია ჩვენ და ჩვენს ნებას ემორჩილება ჩვენს გარეშე მყოფი სიცოცხლის ყოველი სახე. რა არის ობრა? უბრალო პლანეტა, რომლის მსგავსი მრავალია ჩვენს სისტემაში. იქ სიცოცხლე თუ არსებობს—უმდაბლესი სახის. რამდენი საუკუნეა ვცდილობთ ობრასთან კავშირის დამყარებას, მაგრამ არაფერი გამოდის, ვინაიდან ცდა ცალმხრივია: ობრას არ ესმის ჩვენი ძახილი და ვერც გაიგონებს,—რამდენი ცხოველი დაღოღავს ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ ჩვენს მოკავშირეებად ისინი ვერ გამოდგებიან! მოსალოდნელი კატასტროფა-კი ისეთ მასალას მისცემს მეცნიერებას, რომლის მნიშვნელობა განუზომელი იქნება. ჩვენს თვალწინ ორი ციური სხეული ერთმანეთს დაეჯახება. დაჯახება იქნება კატასტროფიული, სწორედ ამიტომ ნათელი გახდება ჩვენთვის ქვეყნის წარმოშობისა და მისი განვითარების ბევრი ბუნდოვანი მხარე. განა მეცნიერება სიცოცხლის უზენაესი ფორმის უღრმესი ფუნქცია არ არის? რას მისცემს სიცოცხლეს ამაზე მეტს კატასტროფას გადარჩენილი ობრა? თქვენ გსურთ დაიცვათ ობრას მნიშვნელობა? მე ვამტკიცებ რომ კატასტროფიული სიკვდილით ობრა მეტ სამსახურს გაუწევს სიცოცხლის უნივერსალურ განვითარებას, ვიდრე თავისი უბადრუკი პირველყოფილი პროტოპლაზმების უაზრო ცახცახით.

— ჩვენ ჰკლავთ ცოცხალ არსებას,—აენთო ისევ ნუაგე.—ჰკლავთ, რათა დოსტაქარის დანით გასჭრათ მისი სხეული და გაიგოთ, როგორ არის აშენებული ხერხემლის ძვალი. მეცნიერება არ არის სიცოცხლის ბატონი, იგი მხოლოდ იარაღია მისთვის, თქვენ კი საშუალება მიზნად დაგისახავთ. ნუ ვიქნებით მკვლელები და დავიცვათ ობრა ხიფათისაგან.

— ჩვენ არავის ვკლავთ, —უპასუხა გოუმ.—ჩვენ მხოლოდ არ ვერევით კოსმიური პროცესის ბუნებრივ მსვლელობაში. თუ ობრა ატარებს მომავალი სიცოცხლის დიდ პოტენციას, კატასტროფა სამუდამოდ არ დაღუპავს ამ შესაძლოებას: გაივლის ხანი და ანთებული პლანეტა ისევ გაცივდება და თავის მოწოდებას შეასრულებს. მარადიული სიცოცხლისათვის კი მნიშვნელობა არა აქვს რამდენიმე ათეულ მილიონ წელს. ამის გარდა, თუ ობრაზე, როგორც თქვენ ამტკიცებთ, არიან მაღალ გონიერი არსებანი, ისინი თვითონ დაიცავენ თავის ქვეყანას კატასტროფისაგან.

— თუ მოვალეობის გრძნობა თქვენზე არ მოქმედობს,—შეედავა ნუაგე,—შებრალება მაინც იქონიეთ უმცროს ძმის მიმართ. თუ ძალა შესწევს, თავს თვითონ დაიცავსო, —ამბობთ თქვენ. მითხარით, ვინ დაუწყებს შორიდან ცქერას, როცა ბავშს მბეცი უახლოვდება და ვინ იტყვის: თუ შეუძლია—საფრთხეს გაუმკლავდესო? არ გესმით, როგორ ჰკივის ბავში და გვთხოვს შველას? მე მესმის კივილი ბნელ სივრცეში საშინელი ხიფათის წინ მდგარი ბავშის და მოგიწოდებ თქვენ, მივეშველოთ მას! მაგრამ თუ თქვენზე არც სიბრალულის გრძნობა მოქმედობს, გაიხსენეთ თქვენი საკუთარი გასაჭირი—უწყლობა. მოისაზრეთ, წყალის რა დაულეველ მარაგს ჰკარგავთ ობრას დაღუპვით და ამ მიზნით მაინც დაიცავით თქვენთვის საჭირო მეზობელი.

— წყალი ზერზედაც აღმოჩნდა,—მიუგო მომხსენებელმა—არის კიდევ წყალის უფრო დიდი რეზერვუარი, ვიდრე ობრაა, პლანეტა ნირ *. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მალე შევსძლებთ იქიდან წყალის მოტანას. მორეულ მომავალში, შემდეგ თაობათათვის, ობრას წყალიც ჩადგება ისევ თავის ძველ კალაპოტში. სამუდამოდ არაფერი იკარგება.

ვილაპარაკე მეც.

ვამტკიცებდი, რომ მართლა დაუშვებელია ამოდენა ქვეყნის დაღუპვა მეცნიერების პრობლემატიურ მიღწევებისათვის. ძნელი იქნება აგრეთვე წყალის საკითხის მოგვარება, თუ ობრა დაიღუპება. ზერ მცირე სხეულია და წყალიც ცოტაა იქ. რაც შეეხება ნირს, იქ, მართალია, წყალი ბევრია, მაგრამ ჩვენთვის ძალიან გაძნელდება ნირის კოლონიზაცია, ადგილობრივ-კი არავითარი ბაზა არ ექნება ჩვენს მოქმედებას პლანეტის პირველყოფილ მდგომარეობის გამო. ამიტომ მხარი დავუჭირე ნუაგეს წინადადებას: გაგზავნილ იქნას ობრაზე ექსპედიცია, რომელსაც მიენდოს ადგილობრივ პირობების მიხედვით დახმარების საკითხის გადაწყვეტა.

დიდი კამათის შემდეგ კოლეგიამ მიიღო ნუაგეს წინადადება.

დაისვა საკითხი ექსპედიციის მეთაურის შესახებ.

*) ვენერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუავემ მე დამასახელა.

მოპირდაპირე ჯგუფმა—გოუ.

ორთავე კანდიდატმა სხდომა დავტოვეთ.

შინ დავბრუნდი.

მშვენიერი საღამო იდგა.

ჩემი ოთახის ღია აივანს დაჰკაშკაშებდა ბრწყინვალე ობრა.

თითქმის წელიწადი *. შესრულდა ნოგოსუზე ჩემი გამგზავრების შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში ობრამ ორჯერ შემოურბინა მზეს და ახლა ისევ ჩვენს პირისპირ დგას.

ათასი ფიქრი შემომესია.

ვიჯექ აივანზე. გავცქეროდი ლურჯად აბრიალებულ ობრას, აივნის მოაჯირზე თითებს ვათამაშებდი და ეს ღარიბი აკომპანიმენტი მუსიკის გრიალივით მისდევდა ჩემი ფიქრის უჩინარ გრიგალს...

— კარო, შენ გგზავნიან?—მომესმა უცებ გახარებული ჩურჩული და აივანზე ჩიტივით დაეშვა ქალი.

— გადაწყდა?

— თითქმის ერთხმად! და ჩემ შუბლზე გედას ხავერდის თმები დაიღვარა.

— შენ უნდა შეასრულო დანაპირი, რაც უნდა დაგიჯდეს.

და მე მათრობს ქალის ცხელი სუნთქვა, გულში-კი უჩინრად მოძრაობს ჩრდილი, და ჩრდილი თითქო კვნესის:—ვისთვის, ვისთვის არის ეგ თვალები ანთებული? ვინ იტაცებს ამ სუნთქვას, უხილავი და უცნობი?..

— შევასრულებ.—ვეუბნები და წელზე ხელს მოვხვევ.

ქალის სხეული კანკალებს, როგორც ხელში ჩაბღუჯული შაშვი და სწვავს ჩემს ხელს.

— ზედმეტად ღელავ, გედა.—ტკბილად ვეალერსები.—სიცხე გაქვს. შენ დასვენება გჭირია. მენდე, შევასრულებ. თუმცა ვიცი, საით მიქრის შენი ოცნება. გედა, რათ იღუპავ თავს?

— კარო, ჩემო კარო! ჩურჩულებს ქალი.—მე განწირული ვარ, მაგრამ ტკბილია ჩემი ტყვეობა!.. დიდია უფსკრული, მაგრამ მე ვხედავ შორეულ ნაპირს და მესმის ძახილი, აუტანელი ბედნიერების დაუძლეველი ძახილი...

— შევასრულებ!—ვიმეორებ და ქალს თვალებში ჩავაცქერდები.—მაგრამ რომ დაიმსხვრას ოცნება? შორიდან მიმზიდველი ობრა ნ პირუტყვივით რომ აბღავლდეს?

ჰაერში ოქროსთვალებიანი ხომალდი გაიშხუილებს და აივანს ელვა გაანათებს.

— მაშინ დავიღუპები.—ძლივ გასაგონად ჩურჩულებს ქალი და ოცნებით ანთებულ თავს ყვავილის დამძიმებულ ყლორტსავით დახრის და მხარზე დამადებს...

*) დედაბიწის ორი წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, რა მოელის ამ ქალს?

მეტეორსავით იზიდავს მას უცხო ქვეყნის მომჯადოებელი ელვარება.

რას ეძებს ობრაზე მისი დამშეული თვალები?

ვინ გადააბა მისი ზღაპრული სიყვარულით სავსე გული შორეულ ვარსკვლავს გაუწყვეტი ჯაჭვით?

მეტეორივით დაჰქრის პატარა ქალის დიდი გული ობრას უცნობ ცაზე.

რა ელის იქ მას?

იქნება მეტეორივით ჩაიწვას უსიცოცხლო ობრას მიუკარებელ ჰაერში ნათელი სიზრმით გატაცებული სული!..

—

— **17 — 20.** მივდივარ და თან მიმყვება გედას ანთებული თვალების ცეცხლოვანი მუდარა: „არ გასწირო ობრა, არ გაიმეტო დასაღუპავად მზის სხივების ახალი ყანა, რაც უნდა უმნიშვნელოდ გეჩვენოს ნათესი!..“

—

— **17 — 36.** მიჰქრის გამალებით რაუნიტი უნაპირო სივრცეში, წამში 50 კილომეტრის სისწრაფით.

სანორ ვარსკვლავივით ციმციმებს ვარსკვლავთა შორის.

პირდაპირ ჩემსკენ მოჰქრის ცის უმშვენიერესი ჟინჟღილი—ობრა.

არც დღე, არც ღამე.

უფრო ღამე, მაგრამ ცა მზიანი.

ცა შავი, კრიალა ვარსკვლავებით მოფენილი.

უამრავი ვარსკვლავები შავი ცის ფონზე და შუაში მზე.

უკუნეთი ღამე, გაყინული სივრცე ირგვლივ და ცაში მზე, აუტანელად მცხუნვარე და სხივოსანი.

მიჰქრის რაუნიტი და ობრა თანდათან იზრდება.

უკვე მოსჩანს პატარა მთვარე, წიწილასავით რომ მისდევს გაფრენილ ობრას.

—

— **17 — 38.** რაუნიტმა გადალახა 78 მილიონი კილომეტრის მანძილი.

დარჩა ობრამდე კიდევ 5 მილიონი კილომეტრი.

მანქანა გრძნობს უკვე, რომ ობრას მიმზიდველობის სფეროში შევიჭერით.

რა პატარა ვარსკვლავია ახლა სანორ!

უზარმაზარი ობრა დღესავით ანათებს რაუნიტის გახურებულ ლითონს.

გეზი ჩრდილო-პოლჯუსისაკენ!

მშვიდობით, სანორ! ტკბილო, სანორ!..

—

— **17 — 40.** პოლჯუსის ყინულოვანი სივრცე ნისლით არის დაბურული.

ნისლით დახუთული ქარიშხალი საზარლად ღმუის და ყინულის ნამსხვრევებით ჰხევს ღრუბლის აფრიალებულ კალთებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაუნიტი მიჰქრის ეკვატორისკენ.
ვათვალიერებ ნუავეს რუკებს და ვეძებ დანიშნულ ადგილებს.

—

— — საოცარია! მოულოდნელი!
მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა უფრო ახლო გავეცნობი ყველაფერს.
ნუავეს ვახარე გამარჯვება.
როგორ ელავდა ეკრანიდან მისი თვალები!

—

1928 – 27—XII. K და R ჩრდილოეთ ამერიკის შუა ნაწილი აღმოჩნდა.
დავბინავდი ჩიკაგოში და ვსწავლობ ინგლისურს.

—

1929 – 3 – III. კატასტროფას არავინ ელის.
საჭიროა ფრთხილად მოქმედება.
პირველყოვლისა უნდა მოვიპოვო ნდობა.

—

– 10 – V. ვეძებ მოკავშირეს.
დამაინტერესა ინჟ. კამარელის წიგნაკმა: „ელექტრონული ენერგიის ცვალებადობა“.
კამარელი მუშაობს საბჭოთა კავშირში.
რევოლუცია შესაფერი ნიადაგია ჩემი გეგმის განსახორციელებლად.

—

– I – X. G და D ორ პატარა ზღვას შუა მდებარე მთებია. ჩიკაგოს განივზე, აღმოსავლეთით.
კავკასიონი.

—

– 10 – XII. მაწუხებს საათვალისა და სიმძიმის შემნელებელი აპარატის მუდმივად ტარების აუცილებლობა. ადვილად ვიქანცები.
ვწერ წიგნს დედამიწის შესახებ.
ვფიქრობ, ნუავე კმაყოფილი დამრჩება.

—

1930 – 20 – II. გასაოცარია სიცოცხლის ფორმების ერთგვაროობა მსოფლიოში! გარეგანი სახე თითქოს მრავალფერია, მაგრამ ეს სხვადასხვაობა ერთ პრინციპზეა აგებული. სულ რამდენიმე დედა-სახე განსაზღვრავს უთვალავ ფორმათა მოჩვენებითს მრავალფეროვნობას.
ერთია მსოფლიოს შენობის ფიზიკური საფუძველი. ერთია სიფოცხლის ფორმათა საფუძველიც.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 2 — XI. დავასრულე ჩემი წიგნი. დარწმუნებული ვარ, მეცნიერთა კოლეგია გაიზიარებს ჩემს დასკვნებს და დედამიწის მიმართ სრულიად გაიმარჯვებს ნუავეს პოლიტიკა.

—

— 4 — XII. ინჟ. კამარელი აღმოჩნდა ტომით ქართველი, G—D-ს რაიონში მცხოვრები.

გასაკვირია ეს შეხვედრა.

უნდა ვაცნობო გედას.

—

— 5 — XII. ჩემი წიგნი ეკრანიდან გადაიღო გედამ. ხვალ ჩააბარებს კოლეგიას.

მაჩქარებს კამარელის გაცნობას.

—

1931 — 15 — I. საქართველოში მიემგზავრება ინჟენერთა დელეგაცია. მეც ჩავეწერე.

ჩემი წიგნი კოლეგიამ მოიწონა.

—

— 6—II. რაუნიტი მოვათავსე მიუვალ ადგილს.

უკანასკნელად ვესაუბრე დღეს გედას: საქართველოში ჩასვლამდი ახალ ეკრანს ვერ ავაგებ. *)

—

— 12 — IV. ერთი კვირაა საქართველოში ვარ.

დღეს კამარელს წერილი გავუგზავნე.

14 აპრილს ვესტუმრები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

*) თქვენ უკვე მიხვდებოდით, თუ რისთვის შევთხზე მე თქვენთან საუბრის დროს შორეული ხილვის ეკრანის აგების ისტორია. ჩემის წარმოდგენით დედამიწაზე ეკრანი სწორედ ისე უნდა აეგოთ, როგორც მე გადმოგეცით, მარსის სიგნალი რომ აუხსნელი არ დარჩენილიყო.

დ. ხულიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორეული

(დასასრული [1])

XXII

ყველა თავდაცვაზე ჰფიქრობდა. აღარ იყო მწყობრი ორგანიზაციული ქმედობა. თვითეული ჰფიქრობდა თავის გადარჩენაზე. წინ მიდიოდენ ორგანიზაციის წევრები და რაზმელები, უკან მისდევდა ცეცხლი და სისხლი.

ოო!.. კალამმა როგორ უნდა ასწეროს ეს სუსხიანი რეაქციის ხანა!..

ჯერ კიდევ ქუთაისის ბაღში დადიოდენ დაბნეული ამხანაგები და ერთმანეთს ეკითხებოდენ, თუ სად შეეფარებინათ თავი, საით წასულიყვნენ. ვინმე უფრო მოხერხებული ორგანიზაციიდან იღებდა ფულს და მიდიოდა ბათომისკენ ან სოხუმისკენ.

ხონის რევოლიუციონური ორგანიზაცია ჯერ კიდევ დაშლილი არ იყო. მოსახლეობის ჩვეულებრივი ცხოვრება თავის გზით მიდიოდა. ქუთაისიდან ხონისკენ მიმავალი დაგლეჯილი დელიჟანი სავსე იყო ხალხით. ყველა ალიხანოვის დამსჯელ რაზმის შესახებ ლაპარაკობდა.

პარტიის დამხმარე მოსახლეობა კითხულობდა ამბავს რაზმის მოქმედების შესახებ და თუ პირველ ხანებში მხიარულად და სტუმარმოყვარეობით გხვდებოდენ, ორიოდე დღის შემდეგ გრძნობდი, რომ უკვე მძიმე ტვირთი იყავი მისთვის.

— სამტრედიაში ჩამოსულა დამსჯელი რაზმი. ათი დუქანი გადაუწვავთ. მოსახლეობა გახიზნულია. მალე ხონში მოვლენ! ვინც გასვლა ვერ მოასწრო, თურმე ყველა დაიჭირეს... გეუბნევა მასპინძელი ათრთოლებული ხმით.

თავდაცვის ინსტიქტი გამახვილებულია. და ამ დროს მაგონდება რომ მარტვილში სცხოვრობს ჩემი ნათესავის ¦შორეული ნათესავი ვინმე დეკანოზი გაწერელია, და ვფიქრობ—ეს მივარდნილი კუთხეა, მისი ოჯახი საკმარისად უზრუნველყოფილია რეაქციის თავდაცემისგან, პატარა ხანს შევაფარებ იქ თავს და შემდეგ უკანვე დავბრუნდები ტფილისში წასასვლელად.

— თქვენ? საიდან? როგორ? —მეკითხება დიასახლისი მოლიმარი სახით.

— მოვხვდი აქეთ! გინახულეთ!

ჩემს ტანისამოსს აკვირდება: ღიმი, სახის უცნაური გამოხედვით შეიცვლება.

[1]) იხ. მნათობი №№ 2-3, 4, 5-6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მობრძანდით, დაბრძანდით!

— როგორ ბრძანდებით ბატონო! ხომ კარგათ!

— გმადლობთ! თქვენ? დედა ხომ კარგათ არის! სად ჭიოფილხარ?

— ხონში გახლდით!

— რა ამბებია იქით!

— არაფერი ისეთი!

— გადასწვესო ხარაგოული, ზესტაფონი და სამტრედია?

— კი, დასწვეს ორიოდე სახლი!

— ცუდათ გათავდა ეს ამბავი, ცუდათ!

— არაფერი ბატონო ასეთი, და ბოლოს გამარჯვება მაინც ხალხისაა!

— კაი დაგემართოთ! ჩემი შვილი ქალაქშია! კაი ხანია მისგან ცნობა არ გვაქვს! ისიც ამ საქმეში უნდა იყოს ჩარეული!

— რა უნდა უჭირდეს ქალაქში!

— იმას იქნებ არაფერი უჭირს, მარა მშობლები უნდა გეცოდებოდეთ შვილო, მშობლები!.. რა ფიქრში არიან ახლა შენი მშობლები!

იმ ღამეს სუფთა ლოგინში, თეთრ ზეწარ გადაფარებულ ლეიბზე და ბუმბულიან ბალიშზე ტკბილად მეძინა. დილას, ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი, მეორე ოთახიდან ჩურჩული შემომესმა,—„რაღა გვეშველება, ხომ დევიღუპეთ!“. „ნეტა რამდენ ხანს აპირებს აქ დარჩენას!..“ „არა, შენ უნდა მოახერხო როგორმე!..“ „ხომ იცი ჩვენი სახლი შარა გზაზეა და უსათუოდ შემოელენ!..“

მეორე დღეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ალიხანოვის ჯარი სწვავს და ანადგურებს, რასაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა რევოლიუციასთან— ჩემს მასპინძლის ოჯახში გაძლიერდა. შიშმა მოიცვა ყველა ოჯახის წევრი, ზანდუკში მოძებნეს ნიკოლოზ მეორის სურათი, ჩარჩოში ჩასვეს და კედელზე ჩამოკიდეს. ამბობდენ: ჩვენი სახლი სწორედ, შემოსავლელ გზაზეა და უსათუოდ პირველად აქ შემოვლენო...

ყველაფერი ეს ჩემსკენ იყო მომართული, რასაკვირველია, და მეც იძულებული ვიყავი მეორე დღესვე გავბრუნებულიყავი უკანვე.

ხონში გავიარე და კვლავ ქუთაისში მოვხვდი.

პარტიული ორგანიზაცია არ იყო მთლიანად მოშლილი. ლიდერები წასულ იყვნენ. მუშური ნაწილი დარჩენილიყო. განაგრძობდენ მუშაობას. წინადადება მომცეს ჭიათურაში წავსულიყავ სამუშაოთ. ერთი ამხანაგიც თან გამაყოლეს. ვიქირავეთ ცხენები და გავუდექით გზას, რადგან მატარებლით წასვლა შეუძლებელი იყო.

ჭიათურელი ამხანაგებიც გაფანტულიყვნენ. შიგ ჭიათურაში მუშაობა ძნელი იყო. ამიტომ მის გარშემო მყოფ სოფლებში განაგრძობდენ მუშაობას. მათთან ერთად გადავდიოდი სოფლიდან სოფელში. ვმართავდით კრებებს, ვაწყობდით დანგრეულ ორგანიზაციას.

ხოლო რეაქცია თანდათან სოფელსაც ედებოდა, როგორც მოვარდნილი წყლის ნაკადები მინდვრებს. ახლა გლეხებსაც ეშინოდათ ჩვენი შენახვა. ალარ იყო ხალისი, გატაცება და რწმენა. მჭმუნვარე სახე და უმწეობა გამოიცქირებდა, როგორც ჩამქრალი ღუმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა წავიდეთ ტფილისში! სხვა გზა არ არის!.. მეუბნევა ამხანაგი.

— კი, მაგრამ როგორ? რკინის გზით წასვლა შეუძლებელია!

— არა, ფეხით! მხოლოდ ტფილისამდე კი არა! გადავიდეთ სურამში და იქიდან მატარებლით!

— მერე, გზა იცი?

— ეგ არაფერი! თუ გადასწყვიტავ ერთად წავიდეთ!

— მაშ თუ ეგრეა გავიაროთ სურამში, ჩემ სახლში!

— მხოლოდ ღამით! არავინ დაგვინახოს!..

გზა იყო თოვლიანი. მივდიოდით მთების ძირში, მდინარის პირად. იმ საღამოს ერთი გლეხისას გავათიეთ. ხოლო დილას ფეხსაცმელს რომ ვიცვამდი, მუხლი ვერ მოვღუნე. ტკივილი ვიგრძენი. ფეხი გამციებოდა. წინ დღით ერთი მთა გადმოვიარეთ მუხლამდის თოვლიანი. მასპინძლისას ვერ მოვახერხე შარვალი გამეშრო და მუხლიც განეთბო. გზას მაინც გავუდექით და იმავე საღამოს სურამში გადავედით.

ბინდისას უკანა ეზოდან ჩემს სახლს მივადექით. არ მელოდენ. განცვიფრდენ.

— შვილო, შვილო! მამა შენი აღარ იყო შენი ჯავრით. ათასნაირი ხმები მოდიოდა! მალე მოვიდეს მაინცა საცოდავი და გინახულოს თავის თვალითა!— ფუსფუსებდა დედა ჩემი.

— სხვა, აქ რა ამბავია დედა!

— უბედურება შვილო, უბედურება!—და დედა მომიყვა როგორ შემოვიდნენ სურამში კაზაკები, რამდენი სახლი დასწვეს, ვინ მოჰკლეს და შეიპყრეს.

— შენ ამაღამვე წახვალ შვილო! ხომ იცი ჩვენი სახლიც დასაწვავ სახლების სიაშია მოქცეული. უბედურ მამა შენს მთელი ღამე არ სძინავს. სახლს გარშემო უვლის, ჰყარაულობს...

მალე მამა ჩემიც შემოვიდა. ჩემი ნახვა გაეხარდა, მაგრამ მჭმუნვარე სახე მის კაეშანს ამჟღავნებდა. არაფერი უთქვამს. მიცქერდა მდუმარე გამომეტყველებით და თვალებში მრავალი კითხვა, გულისწყრომა და გამოუთქმელი მწუხარება გამოკრთოდა.

— ახლა სად წახვალ შვილო?—შემეკითხა.

— ტფილისში!

— მერე, იქ რას გააკეთებ!

— არ ვიცი, ვნახოთ!

დიდ ხანს სახლში დარჩენა არ შეიძლებოდა. ხაშურში ფეხით უნდა წავსულიყავით და ღამის მატარებელით ტფილისში გავყოლოდით.

დილა იყო ტფილისში რომ ჩამოვედით. მოვნახეთ ამხანაგები. აქ არ იყო ისეთი სასოწარკვეთილება და სევდიანი განწყობილება, როგორც დასავლეთ საქართველოში. პროვინციიდან ჩამოსული ამხანაგები აქ იფარავდენ თავს. გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი. გაზეთის სარედაქციო შენობა იყო, სადაც ვიყრიდით თავს და კვლავ მუშაობის გაგძელების გეგმას ვადგენდით.

ამხანაგების დავალებით ისევ ხაშურში წავედი სამუშაოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXIII

დღეები და კვირეები მისდევდენ ერთმანეთს, როგორც დამწუხრებული შემოდგომის ღრუბლები. რეაქციის სუსხიანი ბრეჭყალები ჰკაწრავდა გულს და ტყვიასავით მძიმე სევდა ჰხუთავდა სხეულს.

ფიქრები, მწარე დამცინავი ფიქრები ავარდნილ კორიანტელივით ჰქროლავდა თავში. აწ რაღა დამრჩა?.. გათავდა ბარიკადული ბრძოლა. ახლა? ისევ ძველი, ნელი და ყოველდღიური მუშაობა... ისევ წრეები, ისევ პროგრამული თუ ტაქტიკური კითხვები, ისევ პროპაგანდა და აგიტაცია.

რასაკვირველია, არ გათავდა ყველაფერი, მხოლოდ გადაიდო! პროლეტარიატი კვლავ მოიკრებს ძალღონეს და ახალი იერიშით კვლავ შეუტევს თვითმპყრობლობას და დაანგრევს მის კედლებს... ეს ასეა! მართალია... მაგრამ!...

წმუოდა გული. თითქო იმსხვრეოდა სხეულის ნაწილაკები, ტკივილებს გრძნობდა თავი და ბურუსში ეხვეოდა ტვინი. ფიქრები, მწარე დამცინავი ფიქრები გველური სისინით ყირავდებოდა თავში...

მამა ჩემი ვენახში ვაზის ფოთლებს არჩევდა, უვარგის ყლორტებს აცლიდა. დაიღონებდა და შრომით კმაყოფილი, ნამუშავარს გახედავდა. რიგებათ ჩამწკრივებული, შეკრული ვაზის ყლორტები ქორფა ბავშის გაბანილ სხეულივით ციმციმებდა და მზის სხივებზე ციალებდა. ციალებდენ მამა ჩემის თვალებიც. ნამუშევარი მას ახარებდა. დაღლილობას არ გრძნობდა. თვითეულ ვაზს ხელს შეავლებდა, მოუალერსებდა და კვლავ დაჩოქილი ფოთლებს არჩევდა, ყლორტებს ჰკრავდა, ძირში ბალახს აცლიდა...

აფორიაქებულ ფიქრებით სავსე დავიარებოდი, გაურკვეველ ზრახვებით გარემოცული.

ხაშურში მუშაობის გაგძელება ალარ შეიძლებოდა. ადგილობრივ ჟანდარმებმა ჩემი ვინაობა და მოქმედება გაიგეს. ამიტომ ბორჯომში წავედი, სადაც თურმე უფრო მეტი საფრთხე მომელოდა.

ჩასვლისთანავე გავიგე რომ იქ ბინადრობდენ ის ჯარის კაცები, რომელთაც ხარაგოულში იარაღი ავყარეთ. ვფიქრობდი ვერ მიცნობდენ და შეხვედრითაც მათ არსად შევხვდებოდი და ამიტომ არაფერ კონსპირაციას არ მივმართე.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ, როცა მე და ერთი მუშა კრების ჩატარების შემდეგ სავახშმოთ რესტორანში შევედით, შევამჩნიე რომ მეორე მხარეს ორი ჯარის კაცი მაგიდასთან დაჯდა. თითო ჭიქა ლუდი დალიეს და ისევ გავიდნენ.

ჩვენ ვახშამი გავათავეთ. ნახარჯს ვისტუმრებდით. ამ დროს ოთხი ჯარის კაცი დაღლილი და აქლოშინებული შემოვიდა. ერთმა მათგანმა ჩემსკენ მოათითა—„აი, ეს არის ბელაგორში, რომ იარაღი აგვყარაო"—სთქვა და ხელი მომკიდა. დანარჩენებიც მომცვივდენ. ხელები მომხვიეს და გარეთ გამიყვანეს.

დავიბენი, მაგრამ მალე ისევ გონს მოველი. იმედი, რომ ამხანაგი ზომებს მიიღებდა ჩემს გასანთავისუფლებლად, დიდი მქონდა. ვხედავდი ოთხი უიარაღო სალდათის გარდა არავინ იყო ჩემს გარშემო, შემეძლო ძალა მეხმარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიდან დავსხტომოდი და გავქცეულიყავ, მაგრამ ამხანაგმა ხელი ბანა—მოიცა საქმე გაკეთდებაო...

იმას იმედი ჰქონდა, რომ სალდათებს მოლაპარაკებით დაიყოლიებდა, მოიქრთამებდა. ერთი მათგანი კიდეც მოიშინაურა, მაგრამ დანარჩენები თავისას არ იშლიდენ, მკლავებში მაგრად ხელს მჭიდებდენ და შუა ქუჩით მიმათრევდენ. ერთმა მათგანმა მკლავზე ფიჯაკის ტოტი დაიხვია, რომ უფრო მაგრად ვყოფილიყა შეპყრობილი.

გამატარეს ქუჩა. მერე დაბლა კიბეზე ჩამიყვანეს. უეცრად მათი უფროსის ოთახში ამოვჩნდი სალდათებით გარშემორტყმული.

მხოლოდ ახლა, როდესაც კომანდირის ოთახში ვიდექი—ისეთი გულის ტკივილი, ისეთი უმწეობა, ისეთი წმუილი ვიგრძენი სადღაც სხეულის წიაღში, როგორსაც იგრძნობს ალბათ ნადირი, როცა მას მონადირე ყელში დანას გაუყრის. იქით დარჩა ჩემთვის შორეული თავისუფალი ქვეყანა, სადაც ხალხი ლაღათ დაიარება, სადაც ყველა თავის თავს ეკუთვნის, სურვილები აქვს და თავისუფალია, ხოლო აქეთ ვიმყოფები მე, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ თავისუფლება მქონდა და ახლა კი მოწყვეტილი ამ ბედნიერებას, ოთხი სალდათით ვარ გარშემორტყმული და წინ რა მომელის ამას ჯერ კიდევ ვინ გამოიცნობს...

მეორე ოთახიდან გამოვიდა უფროსი. იმავე ჯარის კაცმა, რომელმაც რესტორანში ჩემზე მოათითა, მედიდურათ უფროსის წინაშე კვლავ ის სიტყვები გაიმეორა—აი, თქვენ აღმატებულებავ, რომელმაც ჩვენი კომანდირი დავიდოვი მოჰკლაო...

— აა!.. ვაჟბატონო, მოხვდით ხომ ჩვენს ბადეში!.. ყოჩაღ, სერდიუკ, ყოჩაღ!...—შეაქო ჯარის კაცი.

— ახლა კი ველარსად წახვალთ! მოკლული დავიდოვის სული შურის საძიებლად გვიხმობს...

— მე არ ვყოფილვარ იქ! ესენი სხვას მამსგავსებენ.—ვეუბნევი.

— როგორ არა! ეს იყო ნამდვილათ, კარგათ მახსოვს ამის სახე. მაშინ ყაბალახი ეხურა. ეს იყო ნამდვილად!.. ამან გაგვისტუმრა ჰიათურაში.

— არა ყმაწვილო, ველარ მოგვატყუებთ! ვიცით, ვიცით! ახლა აქ ჩამოხვედით კვლავ დასაზვერავათ?.. ყვირის უფროსი.

პატარა ხნის შემდეგ მეორე ოთახიდან სხვა აფიცრებიც შემოვიდნენ. დამათვალიერეს. რაღაც მკითხეს და ისევ გავიდნენ.

იმ ოთახიდან მესმოდა ჩურჩული. მალე უფროსიც იქ გავიდა. რაღაც განკარგულებებს იძლეოდა. ცხარობდა.

მალე ბოქაული მოვიდა. ჩემი სახელი და გვარი უბის წიგნაკში ჩაიწერა და ისევ წავიდა. მეგონა ბოქაულს გამაყოლებდენ. მაგრამ მალე ოთახში შვიდი თუ რვა კაზაკი შემოვიდა.

ახლა ჯარის კაცები შორი ახლო გაჩერდენ. უფროსმა კაზაკებს უბძანა:
— აბა წაიყვანეთ და ბრძანებისამებრ მოიქეცით!

როცა კაზაკები გარს შემომერტყენ, უფროსს მივმართე და ვთხოვე ებძანებინა კაზაკებისთვის და სალდათებისთვის არ ეცემნათ ჩემთვის გზაში.

— აა! მაშ თქვენ ცემისაც გეშინიათ! გესმით! — მიმართავდა ... თითიც არ მიაკაროთ, გესმით! ხოლო, თუ გაქცევა მოინდომოს იმ წუთსვე მოჰკალით!..

და ეს სთქვა ცივი ხმით, ლურსმანსავით რომ ჩაეჭედო ჩემს მსმენელობას.

მერე რატომ ასე დამზარა ტანში? რათ შეკრთა სხეული? რისთვის იყო ეს სიტყვები ასე შემზარავათ ნათქვამი?

ღამეა, თორმეტ საათს გადაცილებული. ქუჩაში აღარავინაა. გაბრუებული, დაბნეული, კაზაკებით გარშემორტყმული მივყვები ყრუ ქუჩას. ნეტა სად უნდა წამიყვანონ?

იმავე რესტორანის წინ გავიარეთ. ბნელ ქუჩისკენ გავუხვიეთ და გავცილდით ქალაქს. ერთი მხრივ მტკვარი, ხოლო მეორე მხრივ მინდორი. „თუ გაიქცეს მაშინვე მოჰკალით!..“ მომაგონდა უფროსის სიტყვები. მაგრამ მე ხომ გაქცევას არ ვაპირებ? მაშ რა არი საშიში?.. კი მაგრამ...

აზრი ჩერდება. ფიქრი აღარ მოძრაობს. დაბნეული და მოდუნებული მივყვები კაზაკებს.

ჯერ კიდევ ქალაქის შენობებს არ ვიყავით გაცილებული, ერთი ახალგაზდა აფიცერი მოგვეწია. ჩქარი სიარულისგან დაღლილი ჩვენთან შეჩერდა და სალდათებს ჩემს შესახებ გამოკითხვა დაუწყო. შევატყე ქართველი იყო. მომიდგა გვერდში და ჩვენთან წამოვიდა.

აფიცრის დაკითხვიდან გამოირკვა რომ მე სალდათებს საზაფხულო ბანაკში მივყავდით, რომელიც ორი ვერსით იყო დაშორებული ქალაქიდან. აფიცერიც იქ მოდიოდა.

მისი დინჯი, ლმობიერი საუბარი სალდათებთან, ჩემში მისდამი ნდობას იწვევდა. ის არიგებდა მათ, რომ არ მომპყრობოდენ ცუდათ, რადგან უკვე ტყვე ვიყავი, რომელსაც სასამართლო გაასამართლებს და კანონიერ სასჯელსაც მისცემს.

ცა იყო ვარსკვლავიანი. წყნარი იყო ღამე და მყუდროებას არღვევდა კაზაკების ფეხის ხმა.

უეცრად ისინი ალაგს მოსწყდენ. ერთ მხარეს გაიფანტენ. ჩახმახებს ჩხარუნი აუყენეს და ერთმანეთს ეძახდენ: стреляй, стреляй!“ მოულოდნელი მდგომარეობა! შეიცვალა ყველაფერი!.. თავში ერთმა აზრმა ელვის სისწრაფით გამკრა — „თუ გაიქცევა, მაშინვე მოჰკალითო!..“ არ ვაპირებ გაქცევას... მაგრამ... თვით ისინი რათ გაიფანტენ! ეს რას ნიშნავს?..

არა, ბევრი არ მიფიქრია მაშინ! უფრო ინსტიქტი მოქმედებდა და ამ ინსტიქტმა მიკარნახა იქვე მდგომ სალდათისთვის მომეკიდა მკლავში ხელი. ახალგაზდა აფიცერიც ამოღებული ხმლით ჩემს წინ დადგა... ის მოიქცა ნამდვილ მხედრულათ. (როგორ შეიძლება დატყვევებულის მიტოვება!..)

კიდევ ისმოდა ჩახმახის ჩხარუნი და ძახილი: стреляй, стреляй!..“ მაგრამ სროლა არ შეიძლებოდა, რადგან სალდათსა და აფიცრის შუა ვიმყოფებოდი... გასროლილი ტყვია ერთ მათგანსაც მოხვდებოდა... მომენტი გაუშვეს...

პატარა ხნის შემდეგ კაზაკები დაბრუნდნენ. აფიცრის შეკითხვაზე, თუ რისთვის გაიფანტენ, კაზაკებმა უპასუხეს: ჩვენ მოგვეჩვენა, თითქო იქით ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და გვეგონა დატყვევებულის გასანთავისუფლებლად დაგვიცდენდნენ. არავინ აღმოჩნდა...

— მერე თქვენ ხომ დატყვევებულს არ უნდა მოსცილებოდით?..

— ჩვენ თქვენი იმედი გვქონდა!

აფიცერმა არაფერი უპასუხა. შეიძლება იცოდა რაშიც იყო საქმე და არ გამოედავა.

გზას გავუდექით. მალე გამოჩნდა სალდათების თეთრი ბატებივით გაფანტული კარავები. ჩვენს მოსვლაზე გამოცვივდენ ნამძინარევი ჯარის კაცები. გამოიკითხეს ამბავი. შემომერტყენ გარს და დამიწყეს თვალიერება.

ჩემი გულისყური აფიცრისკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ ის იყო ჩემი იმედი. გარშემორტყმული კაზაკები და სალდათები იგინებოდენ, ილანძღებოდენ. კონდახს ასწევდენ სახეში ჩასარტყმელად, მაგრამ ისევ დასწევდენ. აფიცერი შორი-ახლო იდგა და რაღაც განკარგულებებს იძლეოდა.

კარავებიდან გამოცვიენული ჯარის კაცები აგინებდენ ჩემს მომყვან ჯარის კაცებს.

— ოო!.. თქვენი დედა კი... როგორ ვერ მოჰკალით გზაში და ცოცხალი მოიყვანეთ... ან დაჭერის დროს რატომ არ მოულეთ ბოლო! თუ იარაღი არ გქონდათ, ქვა ვეღარ ი'ზოვეთ?..

— რატომ არ მოჰკალით, რატომ? ახლა რა იქნება!.. ახლა სასამართლოში მისცემენ. იქ შეიძლება გაამართლონ კიდეც! ან კატორღაში გაგზავნონ, სხვა ხომ არაფერი? აი, თქვენი დედა კი... თქვენი...—გაიძახდა მეორე.

— თქვენო აღმატებულებავ!—მიმართავდა რომელიმე მათგანი აფიცერს.— რათ გინდათ ამისთვის რომ კარავს აცლევინებთ! მოგვეცით, ჩვენ კარავში დავაწვენთ, ხელფეხს შევუკრავთ!.. ვერსად გაგვექცევა!..

აფიცერი არაფერს ეუბნებოდა. მან დააცლევინა ერთი კარავი, რომელშიაც ერთ მკერავ ჯარის კაცს ეძინა. შემიყვანა შიგ. გამოიწვია სამი ჯარის კაცი. ორი კარავის წინ დააყენა, ერთი უკან და მისცა ბძანება:

— არავინ არ შეუშვათ კარავში, გესმით!.. არავინ!... თქვენ უნდა იდგეთ მუდამ მზათ და კარავში არც ერთი ჯარის კაცი არ უნდა შეუშვათ!.. გესმით!.. ასე! ახლა თქვენ დაწყნარდით და დაიძინეთ!..—მიმართა შეგროვილ ჯარის კაცებს, კაზაკები კი უკანვე გაუშვა.

კიდევ იტრიალა კარავის წინ. თითქო რაღაც უნდა მოიგონოსო. კიდევ მიმართა სადარაჯოთ დამდგარ ჯარის კაცებს:

— თუ ტუსაღმა გარეთ გასვლა მოითხოვოს—გაიყვანეთ. მხოლოდ თუ შეამჩნიოთ, რომ გაქცევას აპირებს, თქვენ სამჯერ უნდა დაუძახოთ—შეჩერდი, შეჩერდი, შეჩერდი!.. და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ესროლოთ! გესმით?..

სთქვა ეს. კარავში შემოიხედა და წავიდა.

მის წასვლასთან ერთად ჩემს გულს მძიმე ლოდივით სევდა მოაწვა. იქნებ ჩვენი თანამგრძნობია? იქნებ იცოდა რაც მომელოდა და მხსნელად წამოვიდა?

ჯარის კაცები მაინც არ დაწყნარდენ. კარავის წინ მბჟუტავ ფარანთან კვლავ თავი მოიყარეს და იგინებოდენ, ილანძღებოდენ...

— ეი!.. ძმებო!.. იცით რა? მთელმა ასეულმა რომ პირველ[illegible]ხიტებით ავიღოთ და მტკვარში გადავაგდოთ, გეფიცებით რომ [illegible] გვიზამენ!..—გაიძახდა ერთი ქერა გამხმარი ჯარის კაცი.

— არა, როგორ მოგვიდათ, რომ ცოცხალი მოიყვანეთ?

იკითხებოდა მეორე.

— იღბალი მოსვლია, იღბალი!.. მაგრამ იცით რა? წამოდით კარავთან!..

და ჯგუფი ჯარის კაცებისა მოდიოდა კარავის წინ. შემოსვლას ვერ ბედავდენ. იქვე ჩერდებოდენ, იგინებოდენ, ილანძღებოდენ. სიბრაზისგან ბილებს აკრაჭუნებდენ, არ წყნარდებოდენ.

ვგრძნობდი, თუ კარავში შემოვიდოდნენ ან ცემით მომკლავდენ, ან ყელში წამიჭერდენ და დამახრჩობდენ. ეს იცოდა ალბათ აფიცერმა, როცა ბძანება მისცა დარაჯებს კარავში არავინ შემოეშვათ...

დასაკლავათ დამწყვდეული ნადირივით დავიარებოდი კარავში. და უამრავი ფიქრი კორიანტელივით გაიქროლებდა თავში... ყველამ რომ მოინდომოს... ხომ შეიძლება?.. მაგრამ არა! ოღონდ ამაღამ გადავრჩე, კიდევ ერთხელ ვიხილო მზე, მამა... და მერე... მერე კი რომ მომკლან არ დამენანება... ოღონდ ამაღამ ნუ!.. ერთი მზე, კიდევ ერთხელ მზე... ამას ამბობს გონება წრფელის გულით.

ბნელი ღამე. წინ მგელებივით მომდგარი ჯარის კაცები. გაურკვევი მდგომარეობა... მწვავე ფიქრები და უმწეო პირობები...

კარავის წინ ერთ ჯარის კაცს, დარაჯად რომ იდგა—დავაკვირდი. შევამჩნიე ქართული სახე. შევეკითხე. მიპასუხა ქართველი ვარ. შემდეგი გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ ჩვენებური ყოფილა, მამა ჩემის ნაცნობი. მითხრა:

— არხეინათ იყავი, შენი ჭირიმე! აბა, ჩვენებური ყოფილხარ და თავს როგორ დავიზოგავ შენთვისა! ნაბძანებიც რომ არ მქონდეს როგორ შემოვუშვებ მაგ უნიფხვო შვილებსა, მაგათი დედა კი ვატირე!... ნუ გეშინიათ, არხეინათ იყავი შენი ჭირიმე!...

სადღაც დაჭიმული ძარღვი მოეშვა. დავწყნარდი. ჯარის კაცებიც მოიღალენ. ახლა შორი-ახლო იდგენ, მეკითხებოდენ, ხომ მართლა მე ვიყავი ის ყაბალახიანი, თოფით ხელში, განიარაღების შემდეგ მათთან რომ იყო მიჩენილი...

მე მაინც უარზე ვიყავი და ეს იყო მათ რომ აღელვებდა.

— არა! შენ იყავი ნამდვილათ! ხომ ეს იყო მიტრუხა?

— ეს იყო, ეს!...

— ჰე! აბა! ეხლა რაღას იტყვი?

პატარა ხნით თითქო მიწყნარდენ. შორით მტკვრის დუდუნი მოისმა. საგნები თითქო დაშორდენ ერთმანეთს. ეხლა უფრო გარკვევით მოსჩანდა მტკვრის გალმა ტყე. მინდორზე ცალკეული ხეები გამოჩნდენ. შორით თეთრი, განიერი გზატკეცილი. სიბნელე ქურდულათ ტყეში მიძვრებოდა და გარემოს თეთრი ზეწარი ეფინებოდა. ნელ-ნელა მიდიოდენ თავიანთ კარავებში ჯარის კაცებიც.

თენდებოდა. ტყეში ჟივილ-ხივილი მოისმოდა და მის ნაპირად მოდუდუნე მტკვრის ჩხრიალი ფრინველების ჟღურტულს ეხმატკბილებოდა. ცოტა ხანიც და მთის მწვერვალიც აბზინდა. მერე პროჟექტორის სვეტივით დაბლობზე დაეშვა და ხის ჩრდილები გაგძელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის სხივები რბილად და საამურად ჩაეშვა გულში, და ალამისავით დაალბო იგი და დაამშვიდა.

მზე!... კვალად ვიხილე იგი!... ოო!.. კალამმა როგორ უნდა ასწეროს გულის გახარება!.. არა არა!.. არასდროს არ დავთანხმდებოდი სიკვდილს, არას დროს!.. არც მეორე დღეს, არც მესამეს... არასდროს!...

მზემ უკვე მოიცვა მინდორი, ველი, მთები და ჩემი კარავის წინ დახარა დისკო. ის ახალგაზრდა აფიცერი წინ ლამით ხომ მხსნელად მომეევლინა მეორე ახალგაზრდა აფიცერთან დასეირნობს. ორივე ცნობის მოყვარეობით მიმზერენ. ჩემზე ლაპარაკობენ.

პატარა ხნის შემდეგ ჩემთან კარავში შემოდის და მეკითხება—ვიყავი თუ არა განიარაღების დროს". მასაც უარს ვეუბნები. „აი ჯარის კაცები კი თორმეტი კაცი ყველა გადაჭრით ეუბნება გამომძიებელს, რომ თქვენ იქ იყავით".

ვგებულობ, რომ გამომძიებელი აფიცერი მეც დამკითხავს, ვემზადები—როგორი ჩვენება უნდა მივცე.

დაკითხვის შემდეგ გასამგზავრებლად ამზადებენ გამცილებელ ჯარის კაცებს. გორში უნდა წამიყვანონ. როცა ჩემი კარავის წინ გაჩერდება ჯგუფი ჯარის კაცებისა—ვატყობ რომ სწორედ ისეთები არიან შერჩეული, რომელნიც წინ ლამით ყველაზე მეტს იგინებოდენ და მტკვარში გადაგდებას აპირებდენ.

მალე ჯარის კაცები გარს შემომერტყენ. ჯერ ტრიალი მინდორი უნდა გაგვეველო. ჩემს წინ კვლავ წამოიჭრა საფრთხე ჯარის კაცების მუხანათობისა. მაგრამ მზე იყო პირ მცინარე და რატომღაც მისი იმედი მქონდა.

მზისით ხომ ყველაზე ნაკლები ბოროტმოქმედება ხდება?... ეს უდაოა!.. მზეს სინდისიერი თვალები აქვს!...

გზაში ჯარის კაცები მაინც არ მასვენებდენ. უკან მოდიოდა ის ქერა ჯარის კაცი, ამხანაგებს რომ ურჩევდა ხიშტებით მტკვარში გადაგდებას. ჩახმახს აწვალებდა. უკან მივიხედავდი—ქერა ულვაშები, წითელი წარბებით და სიღრმეში წასული თვალების თვალებით, უშნოთ მიღიმებდა და შემეკითხებოდა—რაა, გეშინია რომ გესროლო?!.. „აბა, წინ გაიარე!.." „ნუ მიეჩქარები! შუაში იარე!.. გვერდზე ნუ იხედები!... ფეხებს ნუ მიათრევ:... შუაში, შუაში, თორემ!!!. და მეც ვცდილობდი შუაში მევლო.

შევედით ქალაქში. გავიარე ის ადგილი სადაც დამიჭირეს. ქუჩას გავყევით და... მზე ხომ ვიხილე!...—ეხლა მამა ჩემიც!.. ფილაქანზე გამვლელთა შორის აჩრდილივით იდგა. გაფითრებული სახით, სიღრმეში წასული თვალებით, წინ წამოზიდული წარბებით, განცვიფრებული, სვეტივით აყუდებული მიცქერდა. როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა, ან რა ზომა მიეღო—არ იცოდა. მის სახეზე გამოიხატებოდა მწუხარება, სინანული და უზომო სიყვარული დაჭერილი შვილისა.

მის გვერდით გამატარეს. შევხედე თვალებში. არაფერი უთქვამს. არც მე მითქვამს არაფერი... მის სახეზე გამოიხატებოდა—„რა მიყავი შვილო, რისთვის დამლუპე!"..

საცოდავი მამა! იმ ღამეს მასაც არ სძინებია! ნაცნობ ტელეგრაფისტებს გადაეცათ სურამში სადგურის უფროსისათვის ჩემი დაჭერის ამბავი. მამასთვის

ეცნობებინათ სწორედ იმ დროს, როცა მატარებელი მიდიოდა ბორჯომში. იმ ღამეს და დილასაც ბევრი ეძებნა, ბევრი ეკითხნა, მაგრამ ვერაფერი გაიგო, თუ სად წამიყვანეს. მისი გული გრძნობდა ალბათ შვილის მდგომარეობას!..

ჯარის კაცებმა უფროსთან მიმიყვანეს. უფროსმა პატაკი გადასცა და წამიყვანეს სადგურზე. უკან მომდევდა მამა და ნაცნობები.

ბოროტეულად განწყობილი ჯარის კაცები თითქო მოლბენ. ნაცნობებმა ხილეულობა და პაპიროსები გადმოგვცეს, როცა ვაგონის ფანჯრიდან გავცქერდი მიმავალ ველ-მინდორს, ტელეგრაფის ბოძებს და ორთქლმავალის ბამბასავით გაპენტილ კვამლს—ჯარის კაცებმა ადამიანური სახე მიიღეს და ახლა ჩვეულებრივი კილოთი მეკითხებოდენ—„მართალი მეთქვა, ვიყავი თუ არა მათი განიარაღების დროს ხარაგოულში...

მალე მივედით გორში. როცა მის ქუჩებს გავყევით, გული აჩქროლდა. გორი ის ქალაქია, სადაც სასწავლებელში ყოფნის დროს ჩემი ბავშობა გამიტარებია. ხშირად ახტურმა და წრელახტი მითამაშნია ციხის გვერდით მინდორზე. მაშინ ციხე უმნიშვნელო შენობა იყო ჩემთვის, როგორც სხვა ათასი შენობა. ეხლა კი მენატრებოდა მალე მის კედლებში მოექცეულიყა, რომ ჯარის კაცებისაგან განვთავისუფლებულიყა და დავმშვიდებულიყა, დამძინებოდა...

როცა ციხის კარი გაიღო, მის ზღუდეს გადაეადგი ფეხი, ეზოში მოსეირნე ტუსაღები დავინახე... როცა ტუსაღთა შორის ნაცნობების და მეგობრების სახე გავარჩიე—შვება ვიგრძენი, როგორსაც იგრძნობს ხოლმე დაღლილ-დაქანცული კაცი ბინაზე რომ მივა... „ბიჭოს, შენც აქ?... „როდის დაგიჭირეს? როგორ?“.. შეკითხვები და მეგობრული მისალმება.

ეხაროდა გულს, რომ ამხანაგებთან ერთად ციხის კედლებში ვიმყოფებოდი...

XXIV

გორის ციხიდან მალე ზესტაფონის ციხეში გადამგზავნეს ქუთაისში

ღამე იყო ქუთაისის ციხეში რომ შევედი. თაღიანი დერეფანი გამატარეს, კამერის დარკინული კარი ჩხრიალით გააღეს. მერე ისევ დაკეტეს. ტუსაღებს ეძინათ. კედელზე ოდნავ ბეუტავდა გამურული ლამფა. ოფლის სუნი და დახუთული ჰაერი სუნთქვას მიძნელებდა.

აი ციხე! მხოლოდ ახლა ვიგრძენი მთელის სიმწვავით, რომ აქედან გასვლა არც ისე ადვილი იქნებოდა, როგორც ეს მეხატებოდა გორის და ზესტაფონის ციხეში.

მძინარე ტუსაღების სახეებს ვაკვირდები. არავინ არის ნაცნობი. ერთი ტუსაღი შეიშმუშნა, თავი წამოყო. დამაკვირდა.

— თქვენ ახლა მოგიყვანეს, ამხანაგო?—მეკითხება.

— ჰო, ამ წუთში!

— რა საქმეზე დაგიჭირეს?

— მაბრალებენ ხარაგოულში ჯარის იარაღის აყრას.

— ჰო, მაგ საქმეზე ბევრია აქ მოყვანილი!

— ვინ არიან! ვერ მეტყვით?

და მე ვგებულობ, რომ აქ არის ბევრი ამხანაგი. ეს [illegible] ნათქო მახარებს, მახარებს რომ მარტო არ ვიქნები. მინდა მალე გათუნდეს, რომ [illegible] ისინი! გავიგო მათი დაჭერის ამბავი და ჩვენი პროცესის მსვლელობა.

პირველი დღეები ციხეში ცხოვრებისა უდარდელად, თითქმის მხიარულად მიდიოდა. მეორე დღესვე ქვედა კამერიდან ამხანაგებმა ზედა სართულში გადამიყვანეს. ციხეშიც არის ტუსაღების დაყოფა საზოგადოებათ. არის ზედა ფენა და ქვედა ფენა. ზედა ფენას ეკუთვნიან ინტელიგენტი ტუსაღები. ესენი არიან ყოფილი პროპაგანდისტ-აგიტატორები, ორგანიზატორები, კომიტეტის წევრები და საერთოთ პარტიაში ცნობილი პირები. ასეთი ტუსაღები ცალკე იყრიან თავს.

იმ ხანად ციხეში ტუსაღებისათვის საკმარისი თავისუფლება იყო. კამერები არ იკეტებოდა. დავიარებოდით ერთმანეთთან, ვსაუბრობდით, ვთამაშობდით ნარდს, შახმატს, დომინოს და სხ.

პირველ ხანად ამხანაგების გაცნობაში, ციხის ცხოვრების გარკვევაში გადიოდა დრო. მახალისებდა ნახევარ საათიანი „პროგულკა“, ციხეში ახალი ამხანაგების მოყვანა, წარსული რევოლიუციონური ამბების მოგონება, საუბარი, კამათი და ტუსაღების მიერ ციხეში მიღებული სათამაშოები... დრო შეუმჩნევლად გადიოდა...

ხოლო შემდეგ, როცა ზამთრის გძელი ღამეები დაიწყო,—სევდა მოაწვა გულს. სატუსაღოს მოწყენილი დღეები მიცოცავდენ, როგორც ნათესავების ნაბიჯი მიცვალებულის გასვენების დროს. ყოველ დღე იღებოდა სატუსაღოს კარი და ციხის კედლები ივსებოდა ახალ მოსულ ამხანაგებით.

ბევრი ამხანაგთაგანი ციხეშივე დავკარგეთ. ციხეში გარდაიცვალა ახალგაზდა ენერგიული, კარგი მომუშავე ამხანაგი და მეგობარი დანიელ რაზმაძე. ცოცხალი, მუდამ მოძრავი ანთებული თვალებით და მოღიმარი სახით.

გაცივდა. ციხის საავადმყოფოში დაწვა. ადმინისტრაციამ მაინც არ გაანთავისუფლა და ციხის კედლებში დალია სული. კუბოთი გაიტანეს ციხის ეზოდან. ამხანაგებსაც კი არ მისცეს ნება გვამს გამოთხოვებოდენ. მხოლოდ ფანჯრიდან ვხედავდით, როგორ თავისუფლად გაიტანეს კუბოში ჩასვენებული მისი გვამი...

„დანიელი გაანთავისუფლეს“...—წამოიძახა მწარედ ერთმა ამხანაგმა და ყველას ცრემლები, ცხარე და ხშირი წამოცვივდა თვალთაგან. დიდ ხანს ყრუდ, ჩუმად ვქვითინებდით ციხის კედელს მიყრდნობილნი.

ციხის კედლებშივე გარდაიცვალა ბაჩუა ჩუბინიძე, ხარაგოულელი რაზმელი. გადაცვალების წუთებში დედა მისს ნება დართეს შვილის ნახვისა, მაგრამ მას უკვე ენა ჰქონდა ჩავარდნილი და ლაპარაკი აღარ შეეძლო. მოხუცი, შავებში ჩაცმული დედა, მომაკვდავი ტუსაღი—ორივე შემომცქეროდა რაღაც გაურკვევი სევდიანი თვალებით. დუმილი, გამოუთქმელი მწუხარება, ბოლმა და გესლი გვახრჩობდა სამივეს.

შემდეგში საკატორღო ციხეში გარდაიცვალენ—გიორგი ხომერიკი, ვასილ კიკნაძე—ხარაგოულის რაზმელები და სხვები, რომელთა გვარებს ეფემერონდება. ეს უჩინარი რევოლიუციის შვილები, მისი მოამაგენი [illegible] ციმბირში, რომელთა ხსოვნა ახლა დავიწყებულია.

ციხიდან გამოქცევის შემდეგ დაიღუპენ—თომა ჩუბინიძე, ისმაილა ჭუმბურიძე, ამბაკო სამანიშვილი—მერკვილაძის რაზმელები და სხვები. თომა ჩუბინიძე ერთი გამოჩენილ რევოლიუციონერთაგანი იყო. მას ჰქონდა შეუცნობი ძალა მიმზიდველობისა. დინჯი პატიოსანი და ერთგული მეგობარი.

ჩვენი პროცესის გამოძიების საქმე ძალიან ნელა მიდიოდა და ჯერ კიდევ საბრალმდებლო ოქმს არ გვაბარებდენ. გამორკვეული იყო, რომ საქმე სამხედრო სასამართლოზე იყო გადაცემული. ამნაირად პროცესი ძალიან სერიუზულ ხასიათს ღებულობდა. ჩვენ უკვე შერიგებული ვიყავით იმ აზრს, რომ კატორღა არ აგვცდებოდა.

ხშირად ვსაუბრობდი კატორღიდან გამოქცეულ ტუსაღებთან და იქაურ ცხოვრებას ვეცნობოდი შერიგებული ვიყავი იმ აზრს, რომ კატორღაში მომიხდებოდა გამეტარებინა ჩემი ცხოვრება. ასეთ ცხოვრებას ვაფერადებდი, ოცნების თვალებით ვუცქეროდი და არც ვგრძნობდი ტანჯვებს, როცა გავითვალისწინებდი ამ ცხოვრებას.

იდეალურად წარმოვიდგენდი იქ გატარებულ დროს, დაოჯახებას, მოხუცებას და უკან დაბრუნებას. ასეთი ფიქრები მიზიდავდა კიდეც, მიტაცებდა და ლაღათ დავცურავდი კატორღულ ცხოვრების ტალღებში...

ხოლო, როცა დაისმებოდა კითხვა—იქნებ სამხედრო სასამართლომ კატორღა კი არა დახრჩობა გადამიწყვიტოს—მაშინ ათრთოლდებოდა მთელი სხეული. წარმოვიდგენდი მთელ სურათს სახრჩობელამდე—ჯერ გასამართლება, მერე გადაწყვეტილების მოსმენა, სატუსაღოში დაბრუნება... შემდეგ სასიკვდილო სეკრეტში ყოფნა და მალე დახრჩობის დილა... ჩემ თავს ვამხნევებ, ყოჩაღათ მინდა მეჭიროს თავი... ვემშვიდობები ამხანაგებს... სანახავად მოჰყავთ მამა... მეხვევა, ქვითინებს... მეც ვტირი... მივდივარ, არ მეშინია სახრჩობელასი... აგერ გაგვიყვანეს შავ ეზოში. ფანჯრებიდან იცქირებიან ამხანაგები... დილაა, სუსხიანი დილა... ჯერ კიდევ, სძინავს ქალაქს... აგერ სახრჩობელაც... ავდივარ სკამზე... მარყუჟში გავყავი თავი... და მერე სწყდება ფიქრი... საფიქრელი აღარაფერია... გათავდა ყველაფერი... და რომ სწყდება ფიქრი—მაშინ ვგრძნობ ტკივილებს, ტვინი თითქო იკუმშება... სხეული თრთის...

ჩვენ გვქონდა ვიწრო წრე ამხანაგებისა. ციხეში შევხვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით მე და ლეო ქიაჩელი, პოლიკო გოგიაშვილი, ჭიჭიკო ასათიანი და სხვები.

ლეო ქიაჩელი ზუგდიდის მაზრის რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იყო დაჭერილი და მასაც კატორღა მოელოდა. ბედნიერმა შემთხვევამ—ციხის ხვრელის გაყვანამ და მისმა კარგად დამთავრებამ—გადაგვარჩინა კატორღის ცხოვრებას და შეიძლება სიკვდილსაც...

ყოველი ტუსაღი, რომელსაც დიდი სასჯელი მოელის, მუდამ წამს ციხიდან გაქცევაზე ფიქრობს. ეს არის მისი ოცნება, მისი ფიქრი. მრავალნაირი გეგმა

გაივლის თავში, მრავალი შესაძლებლობა ისახება თითქო, მაგრამ ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომების გამო ყველა განზრახვები მარცხდებოდა.

გადიოდა დღეები. რეაქცია მტკიცდებოდა. გაიღებოდა ციხის კარი და ახალი და ახალი ტყვეები ამხანაგებისა ემატებოდა ციხის კედლებს. იმ წელს ტუსაღთა რიცხვი სამჯერ-ოთხჯერ გამრავლდა და ამიტომ იყო რომ ციხის ადმისტრაციაც მცირე შტატის შემადგენლობით ჯეროვან ყურადღებას და სიფხიზლეს ვერ იჩენდა ტუსაღებისადმი.

როცა ციხეში ზაქარია გურული მოიყვანეს, ყველა შეწუხდა. ჩვენის აზრით მას სიკვდილით სასჯელი არ ასცდებოდა. ამიტომ თავიდანვე მივიღეთ მხედველობაში, რომ მისი გაქცევა აუცილებელია, საჭირო ზომები შევიმუშავეთ. ამ მიზნით მას უნდა ეცხოვრა ისე, რომ ტუსაღების ფართე მასას არ გასცნობოდა და ციხის ზედამხედველებისთვის სახე არ უნდა ეჩვენებინა. კბილის ტკივილის მიზეზით ყბა შეხვეული ჰქონდა, კამერიდან გარეთ არ გამოდიოდა და არავის ეჩვენებოდა.

მის განთავისუფლებაზე ვფიქრობდით. დაბოლოს ერთ გადაწყვეტილებას დავადექით. საჭირო იყო ზედამხედველის მოსყიდვა, მაგრამ არა ერთის მხოლოდ, არამედ ორის. ამისთვის საკმარისი ფული უნდა გვეშოვა. თვით გაქცევა უნდა მომხდარიყო ასე: ტუსაღების სანახავათ ციხის ადმინისტრაცია ნათესავებს და ნაცნობებს თავს უყრიდა პატარა ვიწრო დერეფანში, რომელიც სიგძეზე იყო გაყოფილი ფიცრულით და მავთულის ბადით.

ერთ მხარეს დგებოდენ ტუსაღები და მეორე მხარეს მოსულები. ამ ფიცრულს დატანებული ჰქონდა პატარა სარკმელი, რომლის მეორე მხარეს დგებოდა ზედამხედველი და მნახველის მიერ მოტანილ ამანათს, გაშინჯვის შემდეგ დანიშნულებისამებრ ტუსაღს გადასცემდა. ამ სარკმელში უნდა გამძერალიყო ზაქარია გურული ნახვის დროს... მოსყიდული ზედამხედველი ვერ დაინახავდა ამ ამბავს და იქით მხარეს მოქცეული ზაქარია გურული გაყვებოდა მნახველებს.

— იცით რას გეტყვით? თუ ეს შემისრულეთ, თუ მე ციხიდან გავიქეცი და თავისუფალი ვიქენი—გეფიცებით მეგობრობას, გაძლევთ რევოლიუციონურ სიტყვას, არაფერზე არ ვიფიქრებ, თუ არა თქვენს განთავისუფლებაზე... ამისთვის მე ერთი გეგმა კიდეც მაქვს თავში დამუშავებული... ეს მოხდება გარედან, ხვრელის შემწეობით. ჩვენ დავიქირავებთ აი, იმ სახლს ქუჩის მეორე მხარეს რომ არის და იქიდან გამოვიყვანთ ხვრელს სწორედ ამ სეკრეტში, სადაც მე ვზივარ... მე ხომ ჭიათურის მაღაროებში ნამუშევარი ვარ და ხვრელის გაყვანაც ვიცი!..

— ეგ ამბავი ძნელია! შეუძლებელი!—ვეუბნებოდით ჩვენ.

— არა, შეუძლებელი აქ არაფერია! მხოლოდ არ უნდა გახმაურდეს. ოთხის მეტმა არავინ იცოდეს!..

კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ გატაცებით და აფთოვანებით, ხვრელის გარედან მოწყობის შესახებ. ძნელი საქმე უფრო ადვილად მოგვეჩვენა, როცა დეტალურად განვიხილეთ და მხიარული და ოცნებიანი დავბრუნდით ჩვენს ადგილებზე.

ახლა უფრო ენერგიულათ შეუდექით ზაქარიას განთავისუფლებას. ზედამხედველი დავითანხმეთ. ფული ვიშოვეთ. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი მომენტის შერჩევა, როცა ნახვის დროს ციხის უფროსი არ იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს ციხეში ძალიან ბევრი მნახველი მოვიდა. ციხის უფროსი დაიღალა და თავის კაბინეტში წავიდა. ეს იყო ბედნიერი შემთხვევა! მოსყიდულ ზედამხედველმა გვანიშნა, ზაქარია მოგვეყვანა.

სამნახველოში იყო ჟივილი და ყვირილი. ფიცრულს გაკრული ტუსაღები მოსულ ნათესავებს და ნაცნობებს ხმა მაღლა ელაპარაკებოდენ. ბადის მეორე მხრიდან, როგორც ჩარჩოში მოსჩანდა მნახველების სახეები. ტუსაღების მხრიდან ჩოჩქოლი შეიქნა და ყველასათვის მოულოდნელად, ვიწრო სარკმელში წვერიანი ტუსაღი გაძვრა და მნახველებში ჩადგა. მოულოდნელმა სანახაობამ ყვირილი შეაჩერა, როგორც მიმინოს გამოქროლისას შეჩერდება ჩიტების ჟივილ-ხივილი...

— ნუ გაჩუმდებით! განაგრძეთ ლაპარაკი ამხანაგებო!.. შესძახა ერთმა ტუსაღმა.

ტუსაღები მიხვდენ რაშიც იყო საქმე და კვლავ ხმა მაღლა ლაპარაკი განაგრძეს. ზაქარია კი ბადის მეორე მხრიდან იცქირებოდა გაფითრებული.

ამ დროს ციხის უფროსიც გამოვიდა.

„Свидание закончить!..“ განაცხადა მან.

ნელა და ზლაზვნით გავიდნენ მნახველები. ზაქარიამ ნაცნობ ქალს გაუყარა მკლავში ხელი და მნახველებთან ერთად ჭისკარს მიადგა. აი, გაიღო ციხის კარი და მნახველები სათითაოდ გადასცდენ ზღუდეს.

ფანჯრიდან ვუცქერით კარის კაცს. ხომ არ შეამჩნევს ზაქარიას?.. აგერ იგიც მივიდა კართან. თავი გვერდზე მიაბრუნა, ზღუდეზე ფეხი გადადგა, გადავიდა, გავიდა ქუჩაზე და კარიც დაიხურა...

ჩვენი დაჭიმული ძარღვები მოეშვა... სირბილით და ხტუნვით ავცეივდით კიბეზე და ჩვენ კამერებისკენ გავემართეთ...

XXV

დავიარებოდით ციხის კედლებში და ველოდით ხვრელის დაწყების ნიშანს. გადიოდა დღეები, კვირეები და ერთი თვის შემდეგ მივიღეთ ცნობა.

სახლი ციხის პირდაპირ უკვე დაქირავებულია. შიგ ცხოვრობს მარო ბოჭორიძე, რასაკვირველია სულ სხვა გვარით, როგორც ჩულქების მკერავი. მას ჰყავს ფიქტიური ქმარი. ხვრელის თხრა უკვე დაწყებულია. ოთახს აქვს სარდაფი. ამ სარდაფიდან ხვრელი გაივლის ქუჩის ძირში, მიადგება ციხის კედელს და ამოვა სეკრეტში.

ციხის ფანჯრიდან გადავიხედავთ ახლა ჩვენთვის მიმზიდველ სახლისკენ და მის ეზოში ვამჩნევთ თოკზე დაკიდებულ ჩულქებს და გარეცხილ საცვლებს, როგორც ეს მყუდრო ოჯახს შეშვენის.

ვფიქრობდით რომ ხვრელი დამთავრდებოდა ერთ კვირაში, მაგრამ გადიოდა დღეები და კვირეებიც. მოგვდიოდა ცნობა, რომ ხვრელის ხუთიოდე

საკენია მხოლოდ გათხრილი და რადგან მიწა ფხვიერია თხრა ძნელდება, შემდეგ გავიგეთ, რომ ზაქარია ავათ გახდა და მუშაობასაც დაანება თავი. სამაგიეროთ საქმეს სათავეში ჩაუდგა კოტე ცინცაძე და სხვა ამხანაგები.

ვოცნებობდით მალე განთავისუფლებაზე, კვლავ არალეგალურ პირობებში რევოლიუციონურ მუშაობაზე. გვწამდა, რომ რეაქციას მალე ბოლო მოეღებოდა და რევოლიუციონური ტალღები კვლავ აზვირთდებოდა.

ხშირად ვფიქრობდით თხუნელსავით ხვრელში მომუშავე ამხანაგებზე. გონების თვალით ვხედავდით მათ მოლუნულებს, გამტვრიანებულებს, გასვრილებს, დაღლილებს და გაოფლიანებულებს. იქით იყო მიმართული გულისყური და ყოველ დღე ველოდით ცნობას.

ღამე იყო. უკვე ლოგინი გავშალეთ დასაწოლათ, რომ ამ დროს იმ მხრიდან, სადაც ხვრელი ითხრებოდა სროლა მოისმა. მას მოჰყვა სტვენა, ყვირილი, გაძახილი, სირბილი და კიდევ სროლა...

სუნთქვა შეჩერდა საფეთქელმა გამალებით იწყო ცემა. ერთმანეთს ეუცქერდით დამუნჯებული, გაშტერებული თვალებით. ერთი და იგივე აზრი გვიელვებდა ყველას თავში. შეყინული სვეტივით, გაცრეცილი სახით, გულისყური იქით გვქონდა მიპყრობილი. ხმა ამოუღებლად ვიდექით. ხოლო როცა სროლა შეწყდა, ერთ ადგილს დაჭიმული ძარღვი გაიხსნა.

— დავიღუპეთ!..—სთქვა ერთმა.

— ჩვენ კი არა, დაიღუპენ ისინი!..

— კი, ისინი!..

კიდევ სიჩუმე. ცეხის კედლები. უმწეობა. მდუმარება და სევდა...

— მოიცა, იქნებ სხვა რამ გამოირკვეს!..

— მართლაც, სტვენა რად იყო საჭირო? თუ კვალს მიაგნეს პოლიციელებიც ხომ თან ეყოლებოდათ!

— იქნებ ჩვენებმა დაუწყეს სროლა!

— მერე ისინი ასე მოუმზადებლად მივიდოდნენ?

— როგორ გავიგოთ! რა ვქნათ?

დერეფანიდან ზედამხედველის ფეხის ხმა მოისმა და გასაღებების ჩხარუნი.

— ბიჭო, ჭიჭიკო, აბა ერთი ფედორს დაუძახე. ის გვეტყვის რამეს!

„სეკრეტის“ კარებში გამოჭრილ ჩარკინულ სარკმელიდან მალე წვერ გაბურდნული ზედამხედველის სახე გამოჩნდება, მისგან ვგებულობთ, რომ იქვე მახლობელ სახლში ვიღაც როსკიპ ქალებთან ჯარის კაცებს მოსვლიათ ჩხუბი. სროლაც და სტვენაც ამისგან იყო გამოწვეული.

შეკუმშული კუნთები მოეშვენ. დაჭიმული ნერვები მოდუნდენ და ლაღათ მივეშვით ლოგინებზე.

— უჰ!.. გადავრჩით, გადავრჩით!.. რა მდგომარეობაში იქნებოდენ ბიჭები?

ხვრელი კედლის ძირში უნდა გაეთხარათ და სეკრეტის კედელს ამოჰყოლოდენ. მთხრელები ვერ გრძნობდენ როგორი ხმაური გაჰქონდა მათ მუშაობას

წერაქვის დარტყმასთან ერთად, რაკიღა ხვრელი ზევით წამოვიდა, მიწას გაჰქონდა ხრიალი. იმ სეკრეტში მჯდომნი გაფითრებულნი ისხდნენ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი სასტიკათ იყო დაცული. პირველად მიდიოდენ უფრო მძიმე სასჯელის ბრალდებულნი...

XXVI

დერეფანში გავლა და აქედან სეკრეტში შესვლა უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ ამ დერეფნის ზედამხედველი ერთ ამხანაგს ჰყავდა დაპატიჟებული ციხის „დუქანში", რომელიც მას ქათმით, ლიმონადით და ღომით უმასპინძლდებოდა, რათა მას სეკრეტის კარი ღია დაეტოვებინა.

მალე დაიძახა ზედამხედველმა: „на прогулку"... გამალებით აძგერდა გული.

— მოდი აქ, შემოდი!—მიწვევს თავის სეკრეტში თომა ჩუბინიძე.

— რა გინდა?

— დალიე აი, ეს კონიაკი! გაგამაგრებს!..—დაასხა ჭიქაში და მომაწოდა.

ბორკილების ჩხარა-ჩხურით ტრიალებდა „სეკრეტში" და გამსვლელ ამხანაგებს უხმობდა.

— ბორკილებს რას უშვრები?

— დაჭედილი არ არის! „ვინტები" აქვს გაკეთებული!

— ხვრელში ეგრე გახვალ?

— მაშ!

— მერე, იქ მოიხსნი ოთახში?

— ჰო!.. მერე იქნებ გავახვიო კიდეც და თან წავიღო სანახსოვროთ!..

ყველა გაფითრებული ვართ. კონიაკის ბოთლი დაიცალა და მართლაც მაგარ გუნებაზე დავდექით.

— აბა, ახლა ჩავიდეთ ეზოში. აქედან რიგ-რიგობით მივადგებით სეკრეტს.

„პროგულკაზე" ჩვეულებრივ სიარულში, ახტურმას თამაშში და საუბარში არიან გართული ტუსაღები. ჩვენ ერთმანეთს ვადევნებთ თვალყურს. აგერ წავიდა პირველი წყვილი—თომა ჩუბინიძე და სტეფანოვი. შემდეგ მე და ისმაილი მივდივართ. ვუცდით ნიშანს. აი, ცხვირსახოცი ცხვირთან. მივდივართ როგორც მთვარეულები.

გავიარეთ დერეფანი. მივადექით სეკრეტს. შევედით შიგ და განცვიფრებული შევდექით, რადგან ჩუბინიძეც და სტეფანოვიც გაფითრებული იქვე ისხდენ ტახტზე. ვეკითხებით:

— რაშია საქმე, რატომ არ გახვედით? რას უცდით?

— ასფალტი არ არის ჯერ კიდევ მოთხრილი!

ისმაილს ბევრი არ უფიქრია. უბეზე გაისვა ხელი, ამოიღო დანა მოუსვა ასფალტს, ჩაჭრა წიხლი და ხვრელიც ჭურის თავსავით შავ წერტილათ გამოჩნდა. ჯერ თვითონ ჩაეშვა, მას მიჰყვა თომა, შემდეგ სტეფანოვი და მერე მე... ხოლო როცა ხვრელთან დავიჩოქე ჩასაძრომათ, ვხედავ ხვრელში გაჭედილ პალტოს... დავიბენი—აღარ ვიცოდი პალტო თან წამეღო თუ სეკრეტში დამეტოვა. ამოვაძრე და იქვე ვისროლე.

ჩავეშვი ხვრელში. იდაყვებზე და მუხლებზე დაყრდნობილ-შეცოცავ-უცბათ ხვრელი განათდება. ერთ ადგილას სანთელი დგას და ბნელ სინათლე ისეთი სიძლიერით და მიმზიდველობით ანათებს ხვრელს, როგორც ეს სანთლიანი ელექტროს ლამფა. თითქო მესალმება, გზას მილოცავს, კიაფობს, ხტუნავს იღიმება, თამაშობს...

ქუჩის ქვეშ ვარ და მაშასადამე ციხის კედლებს გაცილებული. წინიდან ბორკილების ჩხარუნი მესმის. ხვრელს პირდაპირ ოთახში მივყევართ და უეცრად დღის სინათლეში ავიმართები ფეხზე.

ოთახის ფანჯრიდან ახლა ციხის კედელს გავცქერი! უცნაურია, უცნაური!.. ამ ხუთიოდე წუთის წინ იქ ვიყავი მომწყვდეული!..

ოთხი ამხანაგი, გაფითრებული და დაბნეული არეულად ვიარებით. ერ ნ მანეთს შევხედავთ, გიჟივით გავიცინებთ, ვჩქარობთ, ვთრთით... ამხანაგები ბორკილებს იხსნიან, ერთი ამბობს—„მოდი თან წავიღებ“!.. „აჰ, რა დროს ეგაა! დაანებე თავი“!..

მაგიდაზე ტანისამოსის საწმენდ ჩოთქს ვამჩნევ. მინდა გასვრილი შარვალი გავიწმინდო. მაგრამ რომ ვკანკალებ, ხელი იმ ადგილს არ ხვდება, სადაც გასვრილია... ჩოთქს ისევ მაგიდაზე ვისვრი.

ვხედავ ამხანაგს ფურცელი უჭირავს და დასცქერის. მერე მე მაჩრის ხელში. „აჰა წაიკითხე, ვერ გავარჩიე რა სწერია!“

ეს ამხანაგებისგან დატოვებული ფურცელია,—ვინ საით წავიდეს და რა რიგით. ფურცელს ვიღებ ხელში მაგრამ ვერც მე ვკითხულობ. ხელი თრთის და ასოები ხტიან... ერთი სიტყვა რომ ზევით ავარდება მეორე ძირს დაეშვება... ბოლოს მაინც გავარჩიე—თომა და ისმაილი მარცხნივ წავლენ, მე და სტეფანოვი მარჯვნივ. ქუჩის ბოლოზე დაგვხვდება ამხანაგი ეტლით.

გავდივართ ქუჩაზე ციხის კედლების მხრივ,—სხვა გზა არ არის. თავჩაღუნული მივდივართ და ეს ფართე ჰორიზონტი და სინათლის სიუხვე გვაოცებს.

აგერ დუქნის წინ ეტლი. მალე გამოჩნდება ბაჭუა კუპრაშვილი, იღიმება და თეთრ კბილებს აელვარებს. მოდის ჩვენსკენ, „აბა, ჩასხედით! რამდენი ხანია გიცდით, რათ დაიგვიანეთ“?..

ეტლი მიჰქრის, უკან რჩება ციხე და იქ განვლილი ხანა... მიჰქრიან ქუჩებიც... აბნეული ფიქრები თავში გაურკვევლათ რბიან... ახლა სულ სხვა ცხოვრება იწყება... თავისუფალ მოქალაქეებში ვიქნები, მაგრამ მე სულ სხვა ვიქნები—ისინი სხვა.

ჩემს შემდეგ გამოსასვლელ ამხანაგებს რა დაემართა, ამას როდის გავიგებ? იქნებ აღმოაჩინეს ხვრელი და დანარჩენებმა ვერ მოასწრეს გამოსვლა?..

ეტლი გაჩერდა. ავედით კიბეზე.

— აი, ტფილისიდან ჩამოსული დელეგატები!—ეუბნევა ბაჭუა კუპრაშვილი მასპინძელს.

— აჰ! დათიკო, შენ?—შესძახებს ჩემი ძველი ნაცნობი ბუღუტი მიქელაძე.

— თუ ერთმანეთს იცნობთ, ეს უფრო უკეთესი!—იტყვის ბაჭუა კუპრაშვილი და იმავე ეტლით ეშურება, რონ გაიგოს სხვა ამხანაგების ამბავი და დაეხმაროს.

ბულუტი მიქელაძესთვის ეთქვათ, რომ ქუთაისის კონფერენციაზე ტფილისიდან ჩამოვლენ დელეგატები და რომ ორი მათგანი მასთან უნდა დარჩეს ბინაზე. ისიც დათანხმებულიყო, ხოლო როცა გაიგო ჩვენი ამბავი, ცოტა შეწუხდა, განსაკუთრებით მისი ახალგიზრდა ცოლი.

იმ ღამეს იმასთან დავრჩი. ხოლო საშა სტეფანოვი კი სხვაგან წაიყვანეს.

სასტუმრო ოთახში გამიშალეს ლოგინი, მაგრამ რა დამაძინებდა! ვბორგავდი. ლული არ ეკარება თვალს. გავსცქერდი ფანჯარაში ხის ტოტი რომ ქანაობდა და ვფიქრობდი იმაზე თუ რა დაემართებოდათ ჩემს შემდეგ გამოსასვლელ ამხანაგებს—ლეოს, ჭიჭიკოს, პოლიკოს და სხვებს... რა მდგომარეობაში არიან ახლა ისინი!... ისევ ციხეში? გარეთ? სად? როგორ?

იქნებ ხვრელი აღმოაჩინეს და იქვე მოჰკლეს ვინმე? იქნებ ნაცემ-ნაბეგვი ამხანაგები ახლა ციხის კარცერში ჰყრიან? რა მოხდა შემდეგ, რა!.. როდის გავიგებ!.. შევხვდებით კიდევ ერთმანეთს? მოუყვებით ამბავს, თუ როგორ გავიარეთ ხვრელი!.. თუ, იქნებ ველარც კი ვიხილოთ ერთმანეთი!..

დილას ადრიან წავიდა ბულუტი მიქელაძე ქალაქში ამბების გასაგებათ. დაბრუნდა გაფითრებული, ათრთოლებული. გამოირკვა,—ციხიდან გამოქცეულა ყველა ამხანაგები. ახლა მთელს ქალაქს ალყა აქვს შემორტყმული. ქალაქს გარეთ არავის უშვებენ. სადგურზე და ქუჩებში დაძრწიან ციხის ზედამხედველები. კაზაკები გაფანტული არიან ქალაქის გარეთ და გაქცეულებს ეძებენ. მთელი ქალაქი განცვიფრებულია ამ ამბით და ყველა ამაზე ლაპარაკობს... ხმებია—ერთი დაუჭერიათ ქალაქს გარეთო. პოლიციამ იცის, რომ უმრავლესობა ქალაქის მოსახლეობასთან იმალება და სასტიკი ზომებია მიღებული... გამოქცეულან ოცდა თუთხმეტი ტუსაღი.

ხვრელი მაშინ აღმოუჩენიათ, როცა ტუსაღის ტანისამოსით გასულან კატორღა გადაწყვეტილი ტუსაღები... გაცემულია განკარგულება, ახლო-მახლო სოფლებში უცხო პირი არ გაატარონ... სადგურებში ყველას წვერსა და ულვაშებს უშინჯავენ, გაკეთებული ხომ არ აქვსო...ამთავრებს გაფითრებული ბულუტი მიქელაძე.

სიხარული და ამასთანავე რაღაც სევდა და მწუხარება თან ახლავს ამ ამბავს...

აქედან იწყება სიმძიმე თავის გადარჩენისა.

ბულუტი მიქელაძე მთელი დღე ქალაქში იყო. ვგრძნობ, რომ მას ეძნელება ჩემი სახლში დატოვება. არც გასამტყუნარია! ახლა ისეთ ვინმეს ეძებს, ვინც დათანხმდება ჩემს შენახვას კიდევ ერთი დღით. მერე ამხანაგები მოიცლიან, პასპორტს მომიტანენ და როგორმე ქალაქიდან გავალ. წავალ ბათომში ან ტფილისში.

ბულუტი მიქელაძის ცოლი გეგმას აწყობს,—„მე გავანთავისუფლებ ერთ ოთახს დავდგამ ტახტს ლოგინით და მაგიდით. თქვენ გუშინ იქირავეთ ჩვენგან ოგი. გვაძლევთ თვეში ათ მანეთს ქირას. ჩვენ არ გიცნობთ თქვენ...

— კარგია, კარგი!..—ვთანხმდები, რასაკვირველია.

და მას უხარია, რომ ასეთი გეგმა თუ გასაჩხრეკათ მეფეს გადაარჩენს მის ოჯახს დაღუპვისაგან. მაგრამ საღამოს ბულუტი მოდის ... ელოდ ... ელის თანხლებით და მეუბნევა.

— აბა, ამაღამ ამასთან წახვალ! ამის ბინა უფრო მოხერხებულია და შენც იქ გირჩევნია! რა ვქნა! ჩემი ბინა ისეთ ალაგას არ არის, რომ...

— რასაკვირველია, რასაკვირველია! ვეუბნევი და მე მივსდევ ახლად გაცნობილს.

ძალზე დაღამებული იყო ახალ მასპინძლისას რომ მივედით, ბალახვანის ქუჩაზე. ეზოში შევედით. აივნიან სახლს გვერდი შეუარეთ და ბეღლის წინ გავჩერდით.

— ბოდიშს ვიხდი ამხანაგო, მაგრამ აქ დაიძინებთ როგორმე, ამ ბეღელში. სახლში ვერ შეგიყვანთ რადგან ჩემი უფროსი ძმა არ დათანხმდება. თუ ჩხრეკა იქნება და გიპოვნიან, ეტყვით რომ თქვენ თვით შეხვედით ბეღელში ჩვენს დაუკითხავად. ბოდიში ამხანაგო!..

და გამიღო პატარა ბეღლის კარი, ისევ მოხურა და წავიდა.

ბნელა. ხელით ვათვალიერებ ჩემს ბინას. ორი ნაბიჯი სიგანით და სამი ნაბიჯი სიგრძით. პატარა ბეღლის წინა თვალი კუბოსავით ვიწროა. ერთ კუთხეში კარტოფილი ჰყრია. ვჯდები იატაკზე, მაგრამ ფარღალალა იატაკის ქვეშიდან ცივი ქარი ჰბერავს და მცივა. პაპიროსის მოწევა არ შეიძლება, რადგან ჯერ კიდევ არ სძინავთ და სანათს რომ გავკრავ, ჭუჭრუტანებში სინათლე გავა.

შუაღამეს რომ გადასცდა აცივდა. სიცივისგან ვთრთი. არც დახველება შეიძლება. ხმაურობა საშიშია. რომ სიცივისგან თავი დავიცვა, ერთ ადგილას ვდგევარ, რადგან სიარული არ შეიძლება და ვარჯიშობას ვიწყებ ხელებით და ფეხებით. ავდგები, ისევ დავჯდები. ხელებს გავწევ, ისევ მოვკუნტავ. რა გაათენებს ამ ღამეს!...

საათმა სამი დაჰკრა. ღამის მიწყნარებულ არეში წკრიალით გაისმა მისი ხმა. ახლა ვუცდი ვიდრე ოთხს დარეკდეს და რომ დრო გავიდეს ვითვლი. აღარ მახსოვს ასი ათასამდე დავთვალე თუ მეტი. ერთი საათი საუკუნეთ იქცა. შორიდან დიდხანს ძაღლის ყეფა ისმოდა. ნეტა რა აყეფებდა ამ ძაღლს?..

კალამი როგორ ასწერს ამ უძილო, ტანჯვეით სავსე ღამეს...

გამიძნელდა და ვინატრე— ნეტა ისევ ციხეში ვიყო, ჩემს სეკრეტში და ჩემს ლოგინში ვიწვე მეთქი!.. ფიქრები გახურებულ შამფურივით სჩვრეტდენ ტვინს... სხვები სად არიან! როგორ პირობებში!.. შემდეგ რაღა იქნება?.. ხვალ, ზეგ, მაზეგ და შემდეგ...

ქალაქს სძინავს... შორიდან რიონის ჩხრიალი მოისმის. გამიგონია ერთი წუთით ღამეში მდინარეც შეწყვეტს შსვლელობას თა დაიძინებსო... მე ერთი წუთითაც ვერ უნდა დავიძინო... ეს უკვე მესამე ღამეა...

ტრედის ფრად რომ ინათა, ბეღლის კარი გაიღო და შიგ გადმოეკიდა მოხუცი დედაკაცის თავი. შემომხედა. მომესალმა. მერე უბიდან რაღაცა ამოიღო, ორივე ხელით გამოიშვირა და წაიბუტბუტა: რა ვქნა შვილო, სტუმრის პატივისცემა ეგრე არ ვიცი, მაგრამ რა ვქნა! ეს ჩურჩხელა და ყურძენი ცოტას შეგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრებს, მალე ჩემი უფროსი შვილი სამსახურში წავა და სახლში შაშინ გაგიყვანთ.

მოიხურა ისევ კარი და წავიდა.

ეს დედა იყო ჩემი მასპინძლის. მისი უფროსი ძმა სასამართლოში მსახურებდა, კარგი ალაგი ეჭირა და რევოლიუციონერებს არ სწყალობდა. დედა მისი კი, მოხუცი ადამიანი, მზათ იყო ყოველი დახმარება აღმოეჩინა ლტოლვილისთვის.

ჩურჩხელას და ყურძენს მადიანად შევექეცი. მერე პაპიროზიც მოვწიე და თითქო გავთბი კიდეც. მალე მზემაც მოათბუნა ბელელს და ჰუჰრუტანებიდან პროექტორის სვეტებით ჩამოეშვა იატაკზე...

ცხრა საათი იქნებოდა ახალგაზრდა მასპინძელმა ბელლიდან რომ სახლში შემიყვანა.. გავთბი და იქვე ტახტზე მივდე თავი. ოთახში უხვად შემოდიოდა მზის სხივები. სამი ღამის უძინარმა ბანგ დალეულივით დავიძინე.

როცა გავიღვიძე და თვალი გავახილე—ჩემს წინ ბაჭუა კუპრაშვილი იდგა.

— ბიჭოს! შენ ძალიან ძილი გცოდნია?

— ორი ღამე არ მძინებია, განა გასაკვირია? შენ ეს მითხარი, სხვები საღ არიან, როგორ არიან! ხომ არავინ დაუჭერიათ!..

— ქალაქს გარეთ დაიჭირეს ვასო კიკნაძე. სხვა არავინ ჯერჯერობით! ხოლო, ხომ იცი, ხერელის გაყვანა არ გაგვჭირვებია ისე, როგორც თქვენი შენახვა და აქედან გასტუმრება. უნდა ნახო ბარონა ბიბინეიშვილი მთელი დღე ქუდმოგლეჯილი დარბის, ბინების საშოვნელად. ლეო და პოლიკარპე ვიღაც დიდ მოხელის ოჯახში არიან. ზოგი სახლის სახურავის ქვეშ იმყოფება და ყველას პატრონობა უნდა! აგერ ახალი კოსტიუმი ჩაიცვი, ეს მასწავლებლის ქუდი დაიხურე, ყოჩაღათ იყავი! მალე გაგისტუმრებთ! საღამოზე, შეიძლება, სხვაგან გადაგიყვანოთ!

— თუ ძმა ხარ გადამიყვანე სადმე! აქ აღარ შემიძლია ღამე გავათიო!

— კარგი, კარგი ვეცდებით! ახლა მეჩქარება, სხვებიც უნდა ვინახულო! ნახვამდის!..

იმ საღამოს ჩემმა ახალგაზრდა მასპინძელმა იმავე ქუჩაზე მღვდლის ოჯახში მიმიყვანა!

მღვდელი კარებშივე დამხვდა სახე მოღუშული, დაღვრემილი, დაძმარებული. აშკარად სჩანს, ჩემი შენახვა უძნელდება. მაგრამ რათ დათანხმდა? ალბად მერე მიხვდა პასუხისმგებლობას და მის სამწუხარო შედეგს. ახლა ჩემი ფიქრი იქითკენ იყო მიმართული, რომ მღვდელის მდგომარეობა შემემსუბუქებინა. ვეუბნეოდი, თუ მოვლენ ასეთი ჩვენება მივცეთ—დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, არ იცოდით რომ მე ციხეში ვიყავი. შემხვდით ქუჩაზე. მეც დაგიმალეთ ჩემი მდგომარეობა და თქვენ დამპატიჟეთ სახლში და ღამეც გამათევინეთ. ამნაირად თქვენ ვერაფერ ბრალს გამოქცეულ ტუსაღის დამალვაში ვერ დაგდებენ...

იმ ღამეს სასტუმრო ოთახში მეძინა, ხოლო მეორე დღეს მღვდელი მთელი დღე ანაფორა ამოკარწახებული დადიოდა ქალაქში რომ ვინმე ეპოვნა ისეთი ვისაც გადამცემდა. და საღამოს მოიყვანა კიდეც დიაკვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემს თანადასწრებით გაიმართა მღვდელსა და დიაკვანს წერილს ვაჭრობა. მღვდელი ამტკიცებდა რომ მისი ბინა ისეთ უბანშია, სადაც პირველ რიგში მივლენ გასაჩხრეკათ, ხოლო დიაკვნის სახლი ქალაქის ნაპირად გორაკზეა განცალკევებული და მოხერხებულიც. ამიტომ იმან უნდა წამიყვანოს თავისთან. დიაკვანი ცდილობდა წინააღმდეგი დაემტკიცებინა, მაგრამ უფროსის დაჟინებით მტკიცებას, ხელქვეითი ვერ უძლებდა და ძლეულიც შეიქნა.

XXVII

დიაკვნის სახლი არქიელის გორაზეა, ძველი ციხის ნანგრევებთან. ერთი ოთახისგან შედგება, ქვეშ დაბალი ოთახი ნახევრად მიწაშია შესული. საქათმესავით გადმომდგარა გორაკზე და ამწვანებულ ქუთაისს და რიონის ხეობას დასცქერის.

დიაკვანს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ამხანაგებთან. დადიოდა მათთან და მოჰქონდა ამბები. ამხანაგების გამგზავრება თანდათან ეწყობოდა. მზადდებოდა პასპორტები. ბარონ ბიბინეიშვილის და კოტე ცინცაძის მიერ მოწყობილი გაძოქცეულ ტუსაღთა დამხმარე ორგანიზაცია ენერგიულათ მუშაობდა.

ჩემს გამგზავრებას არ აჩქარებდენ, რადგან ბინა მართლა კონსპირატიული აღმოჩნდა. დიაკვანიც ხელს მიწყობდა და არ ცდილობდა ჩემს მოშორებას. მეც ცოტა ამოვისუნთქე. საღამოობით გავდიოდი ციხის ნანგრევებზე და გადავცქერდი რიონის ხეობას, ახლა იმედი მქონდა თავისუფლად გავიდოდი ქალაქიდან. ამხანაგებიც პასპორტის მზადებაში იყვენ, მეოთხე, მეხუთე დღეები ციხიდან გამოქცევის შემდეგ დამშვიდებული და წყნარი იყო. თითქოს საშიშარმა ხანამ გაიარა. პოლიციამაც თავი მიანება რეპრესიებს, ცოტა მოვისვენეთ, დავმშვიდდით და აუღელვებლათ შევუდექით ქუთაისიდან გასვლის საქმეს.

ასეთი იყო მდგომარეობა. გამარჯვებას ვდღესასწაულობდით! მაგრამ პოლიცია სიურპრიზს გვიმზადებდა...

დიაკვანი მუდამ ადრე დგებოდა ხოლმე. ერთ დილას ადრიანათ მაღვიძებს. მისი სახე გაფითრებულია, თრთის, ღელავს და დაბნეული ენით მეუბნევა:

— ადექი, ადექი! ტანთ ჩაიცვი!..

— რაშია საქმე?

— ადექი! არაფერი! გარს ალყა გვარტყია სახლების ჩხრეკაა!..

ისე იყო უკვე დაწყნარებული გული, რომ ამ ამბავმა არაფერი შთაბეჭდილება არ მოახდინა. დამშვიდებით ავდექი. ჩავიცვი და ფანჯარაში გავიხედე.

— აგერ ქვემოდ ორ ჯგუფად დადიან. ჩხრეკა ღამის თორმეტ საათზე დაუწყიათ. იქიდან მოყვებიან ჩვენსკენ. წრეა შეკრული. არავის უშვებენ. აგერ ხომ ჰხედავ შეგირდებიც კი დგანან და ვერ მიდიან!

ახლა კი საფეთქელმა გამალებით დამიწყო ფეთქა. წმუილი დაიწყო გულმა.

— მაშ, მე გავალ ქუჩაზე, თუ მე დამიჭერენ შენ მაინც გადარჩები! თრთოლით ვეუბნევი.

— არა! შენ ნუ გახვალ გარეთ! აქ იყავი ჩაკეტილი ქალაქ ... ...

მაგრამ შეუცნობი სევდა მოაწვა გულს და მართლა უკვე უბრუნველყოფილი ბინა, საფრთხეთ მომეჩვენა. აღარ მინდოდა იქ დარჩენა, ნაღველით ივსებოდა გული, სწუხდა, კვნესოდა. იქნებ ეს იყო რეაქცია, დაღლილობის შედეგი. მოუსვენარი და გესლით სავსე ველარ ჩერდებოდა ამ ბინაზე. მაგრამ წასასვლელი ალაგიც არსად მქონდა...

უკვე შებინდებული იყო. შორი-ახლოდან ჩემი სახელის ძახილი შემომესმა. წამოვხტი, გავიხედე კარებში—ამხანაგი მთრთოლარე ხმით იძახის:

— აბა, ჩქარა, დაიხურე ქუდი და წამოდი!

— რათა, რაშია საქმე!—ვეკითხები.

— ახლა მაგის დრო აღარ არის, ყოველი წუთი დამღუპველია! მერე გეტყვი, წამოდი ჩქარა!..

დავიხურე ქუდი და გავედი.

ამხანაგი თითქმის მირბის. მეც უკან მივდევ. გავცილდით ქუჩას, ქალაქ გარეთ გავედით. სოფლის საურმე გზით ტყის ნაპირს მივადექით.

— ახლა მაინც არ მეტყვი, რაშია საქმე?

— ჰო, ახლა პაპიროსი მოვწიოთ, დავისვენოთ და გეტყვი.

— დღევანდელი ჩხრეკა ჩვენთვის მოსალოდნელი იყო. საქმე იმაშია რომ ჩვენ ეჭვი გვაქვს ერთ მოხელეზე, რომელიც ჩვენ პარტიას კარგა ხანია ეხმარება პასპორტების შოვნით და რომელსაც კავშირი აქვს ბარონ ბიბინეიშვილთან—ეს მოხელე გაპროვოკატორდა. დღევანდელი ჩხრეკა მისი დასმენით უნდა იყოს მოწყობილი. მან იცოდა რომ ამ უბანში სამნი იმალებოდით, შენ, სტეფანოვი და პოლიკო გოგიაშვილი, ხოლო მან არ იცოდა რომელ სახლებში იყავით. ამიტომ გაჩხრიკეს მთელი უბანი. შენ გადარჩი და პოლიკომაც ღამით მოასწრო წრიდან გასვლა. საღამოს, როცა დიაკვანმა ამბავი ჩამოიტანა და გვამცნო რომ შენ უვნებელი ხარ და მის სახლში იმყოფები—ეს გაიგო მან. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით... და აი, საღამოს ვხედავ აქეთ მომავალ ბოქაულს, ციხის უფროსს და პოლიციელებს. მაშინვე დამკრა თავში აზრმა—ესენი იქ მიდიან მეთქი და გამოვეშურე შენსკენ... ეხლა ისინი ალბათ დიაკვნის ცარიელ ოთახს სჩხრეკავენ და სახტათ დარჩენილები არიან!..

— საწყალ დიაკვანს დაიჭერენ!

— არა, ისინი ხომ ვერ იტყვიან, ჩვენ ვიცოდით რომ ეს და ეს კაცი შენთან იმალებოდაო...

— ახლა სად მივდივართ?

— აი, ამ ბილიკს დავადგებით, შევალთ ტყეში, იქ არის პოლიკოც! ღამით რომ ჩხრეკა დაიწყო ნათესავებს მისთვის ჩოხა-ახალუხი ჩაუცმევიათ და მეზობლისას ქორწილში წაუყვანიათ. ამნაირად დილამდის ქეიფსა და ლხინში გაუტარებია დრო...

ბილიკს გავყევით და ტყეში შევედით. შემოდგომის წყნარი დამშვიდებული ღამე იყო, მხოლოდ დაცვენილ ხის ფოთლებს გაჰქონდათ შრიალი ფეხ ქვეშ. ამხანაგი შედგა. დაუსტვინა. შორი-ახლო გაისმა საპასუხო სტვენა.

— თქვენა ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენა ვართ ჩვენ, პოლიკო! სტუმარი მოგიყვანე!

ციხიდან გამოსვლის შემდეგ პირველად შევხვდით ერთმანეთს. სიცილი, კოცნა, ხითხითი, ხვევნა, ალერსი... საუკუნე გავიდა რაც ერთმანეთი არ გვინახავს, თუ?.. ასე ძიელ გვიყვარდა ერთმანეთი?

— კარგია, კარგი, აქ ტყეში! ცოტას მოვისვენებთ!

— ჰო და ვიყოთ აქ! ამხანაგები დღისით საჭმელს მოგვაწვდიან, ღამით ნაბდებში გავეხვევით. არც არავის შევაწუხებთ, არც არავინ შეგვაწუხებს...

ბუნებასთან დიდი ხნით დაშორებული,—მყუდროებაში გაშლილმა ტოტებმა და ფოთლების ჩურჩულმა—ამიტაცა... და შეერთდა ცა დედამიწასთან. კუნთებში სისხლმა იწყო ჩხრიალი. გული აჩქროლდა, როგორც ტანჯვების შემდეგ მიზან მიღწეულ ადამიანისა...

ანთებულ საცეცხლურებივით იყო ჩამოკიდული ცის გუმბათზე ვარსკვლავები. ცა იყო სილრმეში წასული... შემოდგომის ნიავი ხის ტოტებს არხევდა.

გავეხვიეთ ნაბდებში. ამხანაგები წავიდნენ ქალაქში. წამოვწექით გოროხიან მიწაზე. გვერდებმა ჯერ ტკივილი იგრძნო, ვბორგავდი რომ მოხერხებულათ დავწოლილიყავი. დიდ ხანს ვიხოხე სხვადახვა ადგილს. შემდეგ მოვეწყე და ბანგ დალეულივით დავიძინე.

ორ კვირამდე გაგძელდა ჩვენი ტყეში მალვა. ამხანაგს მოჰქონდა ყოველ დღე სანოვაგე, პაპიროსები და გაზეთები. უმეტესად ტყეში გვეძინა. ხანდახან ტყის ნაპირად მცხოვრებ გლეხთან. ველოდით პასპორტებს. მაგრამ ჩვენი დამხმარე ამხანაგები ახლა თავის დაცვის ამბავს უნდებოდენ. გაპროვაკატორებული მოხელე, მიხვდა რომ ბარონ ბიბინეიშვილს და კოტე ცინცაძეს ეჭვი ჰქონდათ მასზე, ამიტომ მათი დაჭერაც გადასწყვიტა. ხოლო რაკიღა ამხანაგები დარწმუნდენ მის პროვაკატორობაში, აღარ აცალეს საქმის გაგრძელება და ახალგაზდა ტერორისტის ძეშვეობით გამოასალმეს წუთისოფელს.

ამ პროვოკატორის წყალობით დაიჭირეს სადგურზე უკვე პასპორტებით და ბილეთებით გამზადებული სამი ამხანაგი. ამის შემდეგ მან დამხმარე ორგანიზაციას დაუწყო დევნა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ამიტომ იყო, რომ ჩვენ მიტოვებული ვიყავით და საჭირო დახმარებას გასვლის შესახებ ვერ ვლებულობდით. იქ ყოფნა ძალიან მოგვეზრდა. ამიტომ ჩვენ თვითონ გადავწყვიტეთ წავსულიყავით ფეხით ხონში, იქიდან სამტრედიაში და მატარებლით ჩამოვსულიყავით ტფილისში.

ამხანაგი, რომელიც ჩვენ საჭმელს გვიზიდავდა, ჩვენს წინადადებაზე—გამოგვყოლოდა ხონში, რაგან მან გზა იცოდა—დაგვთანხმდა.

გზა ხონამდის უნდა გაგვევლო ღამით და დილით ბაზრობის დროს შევსულიყავით ხონში.

მე ვიცოდი სახლი, სადაც სცხოვრობდა პოლიკო კიკალეიშვილი. მივედი მასთან. მან გაზეთებიდან უკვე იცოდა ჩვენი ამბავი. მიგვიღო ამხანაგური სიყვარულით. შესაძლებელი გახდა ხონში ჩვენი დარჩენა. მე ვცხოვრობდი ჩემს ბიძაშვილ ტრიფონ თაბუკაშვილთან, რომელიც ხონის სამასწავლებლო სემინარიაში მასწავლებლობდა.

ორი კვირა დავრჩით ხონში. მერე კი ვარლამ ხუროძემ ალმოგვიჩინა დახმარება; გამოგვყვა სამტრედიაში, აგვიღო ბილეთები და ღამის ეტაპრებლით გაგვისტუმრა ტფილისში.

XXVIII

რეაქცია უკვე ხვადი კატასავით ბრჭყალებს ჰბასრავდა და იკაწრებოდა. მოშლილი იყო პარტიული ორგანიზაციები. ტფილისში ბევრი იყო პროვინციიდან თავშესაფარად ჩამოსული ამხანაგები, რომელნიც ცდილობდენ მუშაობის განახლებას, მაგრამ მუშაობა ჯგუფურ ხასიათს იღებდა. ყოველ ჯგუფს თავისი ლიდერი ჰყავდა და თავისებურათ ესმოდა მუშაობის ახალი ტაქტიკა.

ექსპროპრიაციის საკითხი მთლიანად და გარკვევით არ იყო გადაჭრილი და არც უარყოფილი. ამიტომ ბევრი ამხანაგი გაიტაცა ახალმა მიმზიდველმა ბრძოლის მეთოდმა, მაგრამ ამავე დროს ბევრიც დაღუპა.

ქალაქის მოსახლეობა გატაცებისა და აღფრთოვანების შემდეგ დაწყნარდა, გაინაბა. ცარიზმის მიერ გადმოსროლილ სათათბიროს არჩევნებში ჩაერია და რევოლიუციონური მოძრაობა მიატოვა. პარტიებიც ამით იყვნენ გართულნი და გატაცებულნი:

ძნელი გახდა ღამის გასათევი ბინის შოვნა. ჩხრეკა-დაპატიმრება ხშირი იყო, ამიტომ არც ნათესავები, არც ნაცნობ-მეგობრები აღარ იყვნენ განწყობილი ჩვენი გადარჩენის და თავის დაცვის ხელის შეწყობაში. ამავე დროს ტფილისში ჩამოვიდნენ ქუთაისის ზედამხედველები, რის გამო ქუჩაზე სიარული აღარ შეიძლებოდა.

თანდათან იხუთებოდა და იხშობოდა ის წრე, რომელიც ჩვენ დახმარებას ცდილობდა. ამიტომ იყო ბაქოში წასვლა რომ გადავწყვიტე—უცნობი ალაგი უფრო იოლი იქნებოდა თავის შენახვისთვის.

წასვლის წინ მამა ჩემი ჩამოვიდა სანახავად. ოო! რა ცოტა ლაპარაკი იცოდა მამა ჩემმა, მაგრამ როგორი მეტყველი იყო მისი თვალები!..

— ახლა, შვილო, რა უნდა ვქნათ? ბაქოში წასვლა გადასწვიტე?

— ჰო, იქ არ მიცნობენ! თავს უფრო შევინახავ!

— მერე ვისთან იქნები, როგორ იცხოვრებ!

— ისევ პარტიაში ვიმუშავებ, ვიცხოვრებ როგორმე!

— როგორ, კიდევ არ ანებებ თავს მუშაობას?

— თავს რატომ დავანებებ! მაშ, რა უნდა გავაკეთო!..

— რა გითხრა შვილო, აბა რალა გითხრა! დაღუპე, შენი თავიც და მეც!..

მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ თვალები რამდენ რამეს მეტყველებდენ, ეს თვალები!..

ბაქოში პირველად მივდიოდი. უცნობი იყო ჩემთვის ეს ქალაქი. ჭადრის ხეებსავით მაღლა აზიდული ნავთის კოშკები ჩემს მხედველობას იზიდავდა. პირველად აქ ვინახულე ნამდვილი პროლეტარი—მუშა მრავალრიცხოვანი და ძლიერი. პარტიული მუშაობაც არ იყო მინელებული, ხოლო რეაქცია თანდათან სასტიკათ იკაწრებოდა და მუშაობაც ნელდებოდა.

მალე ჩავები პარტიულ მუშაობაში, დავიარებოდი შავ ქალაქში, ვინადროობდი პავლე საყვარელიძესთან (დიდი პავლე). მის შესახებ წინადაც ქონდა გაგონილი, როგორც ფრიად მცოდნე და მომზადებულ მომუშავე ამხანაგზე. რეთში იტყოდენ ხოლმე „ის კაცო, პროპაგანდისტთა-პროპაგანდისტიაო". ბაქოში მას პატივისცემით ეპყრობოდენ და ლიდერათ სთვლიდენ. როცა მან თავისი პირველი წერილები მოათავსა ტფილისში გამოსულ ბოლშევიკურ გაზეთში, ამან უფრო განამტკიცა მის შესახებ მიღებული აზრი და უკვე დაიწყეს ლაპარაკი, როგორც მომავალ ძალაზე.

ბაქოში მაშინ მრავალი ქართველი სცხოვრობდა. საქართველოდან რეაქციის გამო წამოსული მომუშავე ამხანაგებიც ბლომათ იყო. მაგრამ რეაქცია აქაც მაგრდებოდა. პავლე საყვარელიძის ბინაზე ჩემი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგან მრავალი ნიშანი იყო იმის შესახებ, რომ იგი ჯაშუშების მიერ უკვე მიკვლეულია და დღეს თუ ხვალ ესტუმრებოდენ გასაჩხრეკად.

ყოველ დღე ვგებულობდით ამა თუ იმ ამხანაგის დაჭერის შესახებ. ციხე ივსებოდა პოლიტიკური ტუსაღებით.

გაერთწერტილებული ფიქრი მხოლოდ თავის გადარჩენის საშუალებაზე იყო ალესილი. მწვავე ტკივილებს ვგრძნობდი, როცა მოსალოდნელ დაჭერის შესახებ დავიწყებდი ფიქრს. ქუთაისიდან ჩამოსული ამხანაგები შავი ხაზებით ამიწერდენ ქუთაისის ციხეში ტუსაღების გამოქცევის შემდეგ შემოღებულ ულმობელ—სასტიკ რეჟიმის შესახებ.

ჩვენი გამოქცევის დროს ციხის უფროსად ვინმე ქართველი აბშილავა იყო. ცხადია, მას რომ თავის მდგომარეობა შეენარჩუნებინა ყოველ სისასტიკეს მიმართავდა ტუსაღების წინააღმდეგ. ამხანაგების გადმოცემით მან სავსებით აკრძალა ნათესავების მიერ ტუსაღების ნახვა, კარებები ჩაჭკეტა და დაკანონებულ „პროგულკაზედაც" არ უშვებდა ტუსაღებს. აუტანელი შეიქმნა ციხის რეჟიმი. მაშინ გარეთ მყოფ ამხანაგებმა გადასწყვიტეს ციხის უფროსის მოკვლა და მოჭკლეს კიდეც, როცა ის ეტლით თავის მცველთან ერთად ბრუნდებოდა ციხეში პოლიცმეისტერთან ვიზიტის შემდეგ.

სხეული ირთოდა, გული წმუოდა, თავი მტკიოდა, როცა წარმოვიდგენდი ისევ ციხეში დაბრუნებას.

ოო! კალამმა როგორ უნდა ასწეროს ეს სულიერი მდგომარეობა!..

დღე დღეს მისდევდა და მყუდრო მოსვენებულ ცხოვრების შესაძლებლობა არ სჩანდა.

— სად შეიძლება პავლე წავიდე, რომ თავი დავიცვა. აღარ შემიძლია ამდენი ფიქრი!..

— ერთად ერთი საშუალებაა, საზღვარ გარეთ წასვლა!..—მითხრა პავლე საყვარელიძემ.

ოო!.. როგორც ხელში დაჭერილ თევზი ისე აფრთხიალდა გული! საზღვარ გარეთ! მიუწდომელი ოცნება!.. ცხადია,—მხოლოდ იქ შეიძლება კვლავ ცხოვრება ვიგრძნო! და ათრთოლებული ნერვებით ვიწყებდი ოცნებას კვლავ საზღვარ გარეთ გასვლის შესახებ. სად წავალ? ისევ ლეიპციგში! ისევ სწავლა, მეცადი-

ნეობა, მომზადება... მალე რეაქცია დამარცხდება, კვლავ რევოლიუციონური ტალღები აზვირთდება და მომზადებული ისევ დავბრუნდები სამშობლოში!..

ოცნებაა! ამაზე ფიქრი ტყუილია! სად შეუძლია მამას ხელი შემიწყოს! რომ შესძლოს კიდეც ახლა აღარც მოინდომებს! გაუცრუვდა ერთხელ იმედი!... მაგრამ სხვა გზა რომ არ არის? მაშ, რა ვქნა?... და კვლავ ალესილი ფიქრი იმავე მიმართულებით. და ასე... ფიქრები მოუსვენარი, ცუღლუტი ფიქრები არ მასვენებენ...

მაინც მივწერე წერილი მამას, რომ ერთად ერთი ხსნა საზღვარ გარეთ წასვლაა, თან შევატყობინე რომ ტფილისში მივდივარ და იქ მინახულოს მოსალაპარაკებლად,

ტფილისში ჩემთან მამა არ ჩამოვიდა. დედამ მინახულა. მამა გამწყრალია შენზეო,—მითხრა. ავუხსენი დედას მდგომარეობა. გადმოყარა ცრემლები. დაიწყო ფუჩფუჩი, მოთქმა. მაგრამ მაინც დამაიმედა—წავალ, იქნებ გზის ფული როგორმე, ზოგი სესხით, ზოგი ვახშით მოვაგროო...

და მართლაც ერთი კვირის შემდეგ დედა ჩემმა ჩამომიტანა ათი თუმანი.

ჩემს სკოლის მეგობარს რომან ბებიაშვილს უნდა აელო თავის სახელზე პასპორტი და მისი სახელით გამევლო საზღვარი.

XXX

პასპორტიც დამზადდა, ფულიც ჯიბეში მაქვს, გასამგზავრებლად მზათა ვარ. მივდივარ საზღვარგარეთ! სრულდება ოცნება!...

მაგრამ რატომ არ უხარია გულს? რატომ არ ეკარება ლიმილი სახეს?.. ეს დიდი სიხარული რატომ მიყუჩდა?.. ოო!.. ჯერ ნაადრევია სიხარული! საქმე ისაა როგორ გადვივლი საზღვარს... იქნებ გაიგონ რომ ყალბი პასპორტით მივდივარ!.. საქმე ისაა—საზღვარის გავლა!..

და აი, პასპორტით და ფულით ჯიბეში ვაგონში ვზივარ. ბილეთი ჯერ მხოლოთ ბაქომდის მაქვს ნაყიდი, ვეთომ კონსპირაციის მოსაზრებით. დაიძრა მატარებელი. ეცილდები ქალაქს, მარტო ვარ. ნაცნობი არავინაა მგზავრებში. ფიქრი კორიანტელივით იბნევა თავში. დაავადებული გონება, ნერვიული კუნთები, მხოლოდ ერთ ფიქრზეა გაერთწერტილებული და ინტენსიურად მუშაობს—გავალ საზღვარ გარეთ, თუ ვერა?

ეს დიდი ბედნიერება გონებას არ სწამს.—ვერა, ვერ გახვალ! წამოსვლის დროს შენ რომან ბებიაშვილი არ გინახავს! ის კი დაიჭირეს, გაიგეს რომ პასპორტი შენთვის აიღო და ახლა, როცა შენ საზღვარზე მიხვალ და მის გვარს იტყვი, გათავებულია შენი საქმე!—ასე მიკარნახებს ბოროტი სისინით ერთი ნაწილი გონებისა.

მატარებელი ხრიალით მიჰქრის. ვაგონის ვიწრო ფიცრის კედლები ლაწუნობენ. დახუთულია ჰაერი და გახურებულია თავი. ვერა, ვერ ვიშორებ თავიდან მწარე ფიქრებს...—მერე, ასე მალე როგორ აცნობებენ ყველა საზღვრებს?..—ტელეგრამებით! ტელეგრამებით!..—მერე ყოველგან? ყოველგან? რამდენ ალაგას არის საზღვარს გასასვლელი ალაგი?.. რამდენიც უნდა იყოს!.. ყველგან გაგზავნიან...

ასე იბრძვის დაავადებული გონების ორი ნაწილი ერთმანეთში!...—მაშ, რა უნდა ვქნა? განვაგრძო გზა თუ შევჩერდე?.—ამ კითხვაზე ორივე ნაწილი გონებისა ჩერდება. პასუხი არ არის...

მატარებელი სრიალით სადგურზე ჩერდება. ზოგი ფანჯარაში გადიხედავს, ზოგი ბარგს ჩამოიღებს და გადადის, ზოგი ამოდის. ეს ცვლილება ჩემზე მოქმედობს ცოტა ხნით მამაშვილებს.

მაგრამ აგერ მატარებელი დაიძრა, ახრუგუნდა და ფიქრები კვლავ აფორიაქდენ.—ბაქოში დავრჩები ორიოდე დღე. წერილს მივწერ სახლში შემატყობინონ ბაქოს მისამართით, მართლა დაჭერილია რომანი თუ არა და პასუხის შემდეგ განვაგრძობ გზას. ამ გადაწყვეტილებით დავმშვიდდი.

ბაქოში ჩამოვხტი. მინდა წერილს დავუცადო. ფიქრი გძელდება—რისთვის დავკარგო დრო და გავწიო ზედმეტი ხარჯი. გზას გავაგრძელებ და სანამ ვარშავაში ჩავალ, წერილი, მოვა ბაქოში, წერილის შინაარს ტელეგრამით—ვარშავის ფოსტაში ადრესატის მოკითხვამდე,—გადმომიგზავნის ბაქოელი ამხანაგი...

მივემგზავრები. ბილეთს ვარშავამდე ვყიდულობ. ფიქრები კვლავ აფორიაქდებიან. გარინდული ვზივარ ერთ ადგილს. სხვები რომ ლაპარაკობენ, იცინიან, სადგურზე გადავლენ, ისევ ამოვლენ—მე ამას კერ ვბედავ. და მგონია ყოველი მოქმედება გამცემს. ვიღაც შემამჩნევს, რომ მე ბებიაშვილი არა ვარ და დაიღუპება საქმე. არაფერს ვჭამდი, არც ვსვამდი.

ვარშავას რომ ვუახლოვდებოდი, ერთი ებრაელი მომიჯდა გვერდით. დამიწყო გამოკითხვა. „სად მიხვალთ? რისთვის მიხვალთ? რა სამსახურის კაცი ხართ?..

მთელი სხეული თრთის. ვფიქრობ—ალბათ ჯაშუშია ეჭვი მოიტანა, უნდა გამომტეხოს; მაგრამ ტყუილებს მაინც ვახერხებ. პასუხებს ვაძლევ.

— მეც ვარშავაში მოვდივარ!—მეუბნება ებრაელი.—ეტლი ერთად ვიქირაოთ! უფრო იაფი დაგვიჯდება.

ახლა კი სავსებით გამაცხელა. თავი ამტკივდა. რა ვუპასუხო აღარ ვიცი. როგორ ჩამოვიცილო!

ვარშავის სადგურზე მოვახერხე ებრაელის შეუმჩნევლად გავსულიყავ ბაქანზე. ეტლში ჩავჯექი და მთავარ საფოსტოსკენ წავედი. ვიკითხე, ხომ არ არის ტელეგრამა მოსული ბებიაშვილის სახელზე. არ აღმოჩნდა...

ახლა რაღა ვქნა? გავაგძელო გზა? დავრჩე თუ წავიდე? ნებისყოფა მოდუნებულია. რომელიღაც იდუმალ ხმას მივყვები. ქუჩის აურ-ზაური, მიმოსვლა, ხრიალი გაძახილი—ქაოსათ არის ქცეული. ვიტრინებში გამოწყობილი ნივთები, მაღაზიებში შემავალ ხალხის სახეები, ტრამვაი, მისი ბოძები და მავთულები—ბურუსით მოცულია. ერთ მხარეს არის ეს ხილული ქვეყანა და მეორე მხარეს ჩემი დაავადებული გონება...

მაინც მივდივარ სადგურზე. ვგებულობ რომ მალე გავა მატარებელი საზღვარ ალექსანდროვოსკენ. ვყიდულობ ბილეთს. მატარებელიც მიჰქრის. რა მოშელის? იქნება დაღუპვისაკენ მივდივარ!.. და მტკივნეული ფიქრი ამუშავდება. წარმომიდგება უკანვე ეტაფით გავლა სატუსაღო ვაგონით ქუთაისის ციხემდე...

ბორგავს, აკვანსავით ირწევა ვაგონი. სკამზე ჩამომსხდარი მუხლები, მხრებზე დალაგებული თავები—ქანაობენ. ფანჯრის მილმა ტელეგრაფის ბოძები და მავთულები, ხან აიწევიან და ხან დაიწევიან. ჩემი სხეული თრთის. ეუახლოვდები ალექსანდროვოს.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აგერ სადგურიც. ყველა მგზავრი ჩამოდის. მეც პატარა კალათით გადავდივარ ბაქანზე. ვერევი ხალხში. ბარგის მზიდავი ხელიდან მართმევს კალათს. მერე მომთხოვს პასპორტს ყუთში ჩასაგდებათ...

გაჩირაღდნებულია სადგურის დარბაზი. მე კი მტკივნეული თავით არ ვიცი სად გავჩერდე. სხვები მიდიან ბუფეტთან, სასმელს მოითხოვენ, საჭმელს იგემებენ, იცინიან, ლაღობენ... მე სულ სხვა ვარ მათში. გულში დაგუბებული ბოღმა და გესლი ყელში მაწვება.

მალე მატარებელი მოვა, ბილეთი უნდა ვიყიდო ბერლინამდის ან ლეიპციგამდის... არა, რათ უნდა ვიყიდო ლეიპციგამდის, ზედმეტი ფული რათ დავხარჯო, ხომ სულ ერთია დამიჭერენ... თუ გადავრჩი მაშინ ბერლინში ვიყიდი ლეიპციგის ბილეთს...

მივდივარ სალაროსთან. იქვე სდგას ჟანდარმი. და ვფიქრობ—ვიყიდი თუ არა ბილეთს, ხელს მომკიდებს და წაგიყვანს. მაგრამ არა! ბილეთი ვიყიდე. უკან გამოვბრუნდი. ხმა არ გამცა. და ვფიქრობ—როცა ვაგონში პასპორტებს უკან დაგვიბრუნებენ მაშინ დამიჭერენ.

შევდივარ ვაგონში. უკვე საზღვარ—გარეთის ვაგონები!.. აქ გადაწყდება ყველაფერი. გავყვები მას, თუ დამტოვებენ აქვე?.. რამდენიმე ასეული ნაბიჯის იქით უკვე საზღვარია, გადაველი ამ საზღვარს, თუ ოცნებაში დარჩება ეს მიახლოება?..

ელექტროს შუქით გაჩაღებულია ვაგონი. გამოწყობილი, თავაზიანი ვაჟნი თუ ქალნი, იჭერენ ალაგს. უკვე ტრიალებს საზღვარ-გარეთის ატმოსფერა... ისინი ყველა ბედნიერია... მე კი... არ ვიცი რა მომელის.

აგერ გრძელ კორიდორში მოდის ორი ჟანდარმი. არიგებენ პასპორტებს. დიდი წიგნი უჭირავთ ხელში და იქ ანაბანაზე დალაგებული პასპორტები უწყვიათ. მხოლოდ ერთ მათგანს თითებში უჭირავს ერთი პასპორტი. და ვფიქრობ—აი, ნამდვილათ ეს არის ჩემი პასპორტი. ვეტყვი თუ არა გვარს მომკიდებენ ხელს და გამიყვანებენ...

მოუახლოვდენ ჩვენ კუპეს. ეკითხებიან გვარებს. მე ვფიქრობ—არ დამავიწყდეს, რომ პასპორტში აღნიშნული გვარი ვთქვა... მეკითხებიან—ეუბნევი, ბებიაშვილი! ეძებენ წიგნში. ამოიღებენ ჩემს ნაცნობ პასპორტს. მაძლევენ ხელში და მიდიან...

ახლა? პასპორტი ხელში მიჭირავს. ჟანდარმები წავიდენ... მაშ!.. გადავრჩი?.. გაბრუებული ვიცქირები ფანჯარაში...

აგერ მესამე ზარიც დარეკეს. მატარებელიც დაიძრა. აგერ საზღვარი. მიჰქრის მატარებელი... მაშ, გადავრჩი? გავცდი საზღვარს?..

მალე უკვე გერმანიის პატარა სადგური ტორნო. აქ გამომივლია წინადაც... მაშ, საზღვარ-გარეთ ვიმყოფები? მერე რატომ არ ამოვარდება გული სიხარულისაგან?.. რატომ ვარ ასე მოლუშული?.. გონებამ იცის რომ უნდა გავიხარო, მაგრამ გრძნობა მოდუნებულია... ამდენი ხნის ტანჯვებისაგან ძნელია განთავისუფლება...

ტრიალ ვაკეზე გატყორცნილი ისარივით მიჰქრის მატარებელი. ბერლინს ვუახლოვდები. ახლა შემიძლია მეც სხვებსავით მოვიქცე, გავიარო, დავილაპარაკო, თავი მაღლა ავწიო!.. სადგურიდან ვგზავნი დეპეშას სახლში.— „კარგათ ვარ, ვიმყოფები ბერლინში“..

ი. ლიბედინსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირის დაბადება

რ ო მ ა ნ ი

...ხომ თავდება რომანები
ან ქორწილით ან სიკვდილით.
ხოლო გმირის დაბადებით
ეროდეს გათავებულა.

ბ. ლიხარევი.

„ლიტერატურული მონოლოგი“.

თავი პირველი

1

ცისარტყელასავით აფერადებული საპნის ბუშტი ჯიკავით ადის მაღლა-მაღლა, მტრედისფრად და ოქროს ვარაყად ბრწყინავს იგი და მთელი ოთახი—ლოგინი, კამოდი, მწვანე ფარდა, კუთხეში მიყრილი სათამაშოები,—ყველაფერი გამობურცულად იხატება შიგ და ცახცახებს... შიშველი ქალი თავს იბანს, მის თითებში თეთრი ქაფი ბუშტულებად იქცევა და საპნიანი წყლის ბრჭყვიალა ნაკადები ყვითელს ლინოლეუმზე მისრიალებს. ქალი გაიმართა, გამჭვირვალე—ვერცხლისფერი, თითქმის მტრედისფერი ჩრდილები აციალდა შაგვრემან ზურგზე და განიერს თეძოებს ორი ერთნაირი ფოსო დააჩნდა, ოდნავ მიჩრდილული და ნაზი. ქალმა ამოიოხრა, და მასთან ერთად ამოიოხრა შოროხოვმაც, უკან დაიწია და კარი ისევე ჩუმად მიხურა, როგორც გააღო, როცა ტალანის ბინდის შემდეგ თვალი მოსჭრა ამ ბრწყინვალე საშიშვლემ. და აი იგი კვლავ ტალანშია, ოთახის კარიც მის წინაა, ეს ახალგაზრდა და საშიშარი ტანი კი იქ—კარს იქით. ეს ლიუბაა, ნატაშას და. გარდაცვლილი ცოლის სახელი ჩვეულს, თითქმის მაშინალურ მწუხარებას იწვევს და ასეთი სიტყვების ხმარებას აიძულებს: „მერე რა, არაფერია! კარი არ ჩაუკეტნია... არც მე დამიკაკუნებია... ჰო, და არც მას გაუგონია რამე. თითქოს არაფერიც მომხდარა“... მაგრამ იგი გრძნობს... ინგლისურს ბრტყელ კლიტეს, მაგრად რომ დაუმუჭნია და ხელისგულში შეჭრია. „აი, ვიღებ პაპიროსს, აი, კიბეზე ჩავდიევარ, გავალ ქუჩაში... აი, შესავალ კარებში ვდგევარ, პაპიროსს ვეწევი და... ამასობაში იქაც ყველაფერი გათავდება...“

მის წინ სატახტოს ცენტრალური მოედნის ასფალტი იყო, სისველით აბრჭყიალებული, და მას მზესავით თვალსა სჭრიდა ვარვარით აბრწყინებული მინები უნივერსალური მაღაზიისა, სადაც ხალხის მოძრაობა და ელექტრიალი ჰგუგუნებდა. თითოდ და ჯგუფებად ხალხი უფრო და უფრო ეჯახებოდა მას; ისინი იმას ელტვოდენ, რომ უნივერსალურ სავაჭროს შთაენთქა იგინი, და ისიც ჰყლაპავდა მათ—მოუსვენართა და აწრიალებულთ—და იმავე დროს კი პირიდან ჰყრიდა სხვებს, თავიანთი ნავაჭრის გამო უკვე დადარბაისლებულთ, რომლებიც მთელს იმ ფართო მოედანს ეფინებოდენ.

სადღაც, სახლების მწკრივს გადაღმა, უხილავად ჭახუნებდა და ხრიალებდა რკინის ფიცრები. კავშირთა სახლის თავზე დიდი დროშა ალისფერობდა და ფრიალებდა. შოროხოვის ახლოს გაიარა ვიღაცამ; ფრთხილად, განზე გაზიდული მიჰქონდა აფორფიჯებული სათამაშო ცხენი. იმ კაცს სქელი, ჯერ კიდევ მოუთელავი პალტო ეცვა, დიდრონი ღილები რომ სიშავით უბრწყინავდა, და იგი მორცხვად და ალერსიანად იღიმებოდა თვისი მოღლილი ლოზების მთელი მშვენიერი ნაოჭებით, ხელში ნაჭერი ცხენი კი გულუბრყვილოდ და მხიარულად იკრიჭებოდა. სტეპან გრიგორიჩი რაღაც ახალი მღელვარებით უსმენდა ყრუდ მოჩუხჩუხე თხრილებს, სადაც ბზრიალით, ხან მალულად, ხანაც აშკარად, მისცურავდა ასანთის ღეროები, პაპიროსის ნამწვები, ქაღალდის ნახევები, ჩალის ნამსხვრევები, ცხენის ჩონჩორიკი—ქალაქის მთელი ის ნაგავი, რომლის ლპობაც ყინულს შეეფერხებინა და რომელიც ახლა მღვრიე წყალში იხსენებოდა, ასე ცხარედ და გამაღიზიანებლად რომ ჰყარდა. ვერცხლად და ცისარტყელად ჭიაფებდა შიგ მზის სხივი, და მალხობი თოვლის ნამჯები ქაფად ეხოკებოდა ქვაფენილებს, და ავტოს შავ ფრთებს უხვად აჯდებოდა წინწკლები, რომელთა ცრიაგ სიღრმეში კვლავ და კვლავ ქვეყანა იხატებოდა. შოროხოვმა დარგვალებული ნესტოებით შეისუნთქა ჰაერი და იგრძნო გაზაფხულის მიწის მარტივი და ძლიერი სუნი, რომელიც ქალაქის ბენზინ-მწარე სუნნელებას გამორჩეოდა სწორედ ისე, როგორც იქ საპნისა და ოდეკოლონის მტკბარ ოშხივარს გამოჰყოფოდა იგი... შოროხოვმა მყისვე ჩაიხშო ყველაფერი ეს, თითქოს ელექტროს სანთურის შტეპსელი გამოაძროო. მაგრამ აცახცახებული ნაღვლი მაინც დარჩა, შხოლოდ ნაღვლი იგი მდუმარე გახდა.

შოროხოვს მოაგონდა სულთმობრძავი და უძრავი დღე ცხრამეტსა თუ ოცი წლის ზამთარში: ესევე მოედანი, ესევე დროშა კავშირთა სახლის სახურავზე და რამდენიმე ადამიანის ნელი მოძრაობა, რუხი, გახუნებული სახლთა სახურავები, მკაფიო ჭახუნი მოედანზე მიმქროლავ ცხენოსანთა ნაწილისა და ტრამვაის მიწყნარებული ფართქალი, გასაჩერებლებზე რომ სრულიად მიიძინებდა ხოლმე. ახლა კი, ტრამვაი თითქოს ფერხულს ამბობს მოედნის ირგვლივ: რონდები იძვროდა და სდგებოდა, მერე რეკვითა და ზანზარით ისევ მისრიალებდა და მათი სრბოლის რთული რიტმი თითქოს მძლე გამომხატველი იყო მთელი მრავალმილიონიანი ქვეყნის მოზარდი ადიდებისა. მან თავისი ბინის კარს დააკაკუნა. ყველაფერი ისე ეჩვენა, თითქოს მხოლოდ ახლა დაბრუნებულა შინაო.

— სწორედ რომ დროზე მოხვედი, სტიოპა—ესაა თავის ბანას მოვრჩი...

მძიმე ნაწნავი მუქი თმისა, რომელსაც წითური ბრწყენა დაჰკრავდა, ვარდისფერ თავსახვევიდან შუბლზე გამოსძვრა; ქალმა გაისწორა [illegible] ალმაცერად შეავლო თვისი ცისფერ-მომწვანო თვალი და გაიღიმა,—და [illegible] თითქოს პირველად იხილა ეს ნაცნობი თავსახვევიც, ის, ლიუბას დამახასიათებელი, ალმაცერა, სწრაფი ცქერაც, მისი წითელი და მოლასლასე ტუჩებიც, მისი ქათქათა წვრილი კბილებიც, მისი ხმაცა და სიცილიც—ოდნავ ჩახლეჩილი, თითქო სითხით გაჟღენთილაო, ნაზად და დუნედ მოელურტულე ხმები.

აპრილის მტრედისფერი დღე ფანჯარაში იღვრება; გარეცხილი ლინოლეუმი რილოებად შრება; ჰაერში ძლივს იგრძნობა უნაზესი და გამაღიზიანებელი სუნნელება. და, თითქოს შეშინდაო, სტეპან გრიგორიჩმა თვალი მოარიდა ლიუბას.

— ბავშები სადღა არიან?

იკითხა და ამ სიტყვებმა მაშინალურად და მოულოდნელად რომ ენაზე მოადგა და ჩვეულ ქვეყანას დაუბრუნა იგი, სიხარული აგრძნობინა მას.

თითქოს ფეხ-ქვეშ ნიადაგი იგრძნოო, ოდნავ მოხუჭული თვალი, როგორც ძლიერი სინათლის დროს, შეავლო ლიუბას და ქუთუთოები თანდათან გააღო—ქალის ახალი საშინელი მშვენება გაჰქრა: მის წინ შინაური ლიუბკა იდგა, წითური გოგონა. და მან დაღლილი სიმშვიდე იგრძნო...

ლიუბა ენაწყლიანად უამბობდა ბავშებზე. და ბავშებიც მაშინვე მოცვივდენ—აღელვებულნი და მხიარულნი; მათ თან მოიტანეს გაზაფხულის ქუჩის იგივე მწვავე სუნი. შოროხოვი სახეთა ჩვეულ ცვლას დაემორჩილა და მისმა ტუჩმა გარდაცვლილი ცოლის სახელი წაიჩურჩულა.

„აი ყველაფერი ძველებურ კალაპოტს დაუბრუნდა“...—თავისთვის წაილაპარაკა მან, რა კი ნახა, რომ დაუდეგარი, ლავიწგანიერი და შავგვრემანი ბორისი, რომელიც მთლად შოროხოვების თათრული და მჭლე ჯიშის გამოსახულებაა, რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობს, ხოლო უტყვი, ნათელთვალა, თმახუჭუჭა, დედის მგვანე ვალკა გულმოდგინედ უსმენს მას, ჭამით წამოწითლებული ლიუბა კი იღიმება და ჯამ-ჭურჭელს რეცხავს. და რათა ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა, რომ ყველაფერი ძველებურადაა, მან ისე დაიწყო გარდაცვლილზე ლაპარაკი, თითქოს იგი ცოცხალი ყოფილიყოს, ხოლო შინ არმყოფი, და მაგიდას გადმოწვდილნი ხარბად უსმენდენ მას ბორისი და ჩაფიქრებული ვალკა, და, წარბშეკუმუხვნით, ჭურჭელს რეცხავდა ლიუბა... მას კი თვისი ჩვეული გრძნობისთვის პირი ეჩინა და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა...

— დიახ, ყველაფერი ძველებურადაა... ერთხელ კიდევ დაადასტურა მან, როცა ლაპარაკი დაასრულა, და მყისვე შეშფოთებით აღნიშნა ბორისის თვალებსა, მისი ტუჩებისა და წარბების ოდნავ მოძრაობაში ჩასახული მღელვარე სინაზე, ვალკას მდუმარებაში—მისი განსაკუთრებული მეოცნებეობა და უცნაური, ახალი და საშიშარი ძალა—ლიუბას მოულოდნელ გაცინებაში...

2

სტეპან გრიგორიჩი გულმოდგინედ ასწორებდა ბორჰარდის ჯერ კიდევ გაუჭრელის, მაგრამ უკვე გათხუნული და გაცრეცილი წიგნის ფურცლებს.

— განა შეიძლება წიგნებს ასე მოეპყრო, ა? ზედ ხომ არ გისადილნია?

უთხრა მან ლიუბას და გაჯავრებულმა მიუთითა ფურცლის შუაგულს ქონიან ლაქაზე.

უკმაყოფილო იმ გარემოებით, რომ შესწყდა გულდასმით გასინჯვა სტატისტიკური ცხრილებისა, იგი უნებლიედ განაგრძობდა ფიქრს ამ ცხრილებში მოქცეული ციფრების რთულ მოძრაობაზე და წიგნისთვის შეურაცხყოფილმა თვალი მიაპყრო ლიუბას. ქალი თითქმის გვერდით ედგა, ისე ახლოს, რომ მან შეამჩნია მის ხელზე აქროსფერებული უნაზესი ქინქლი. ქალი დინჯად და დანაშაულივით იცინოდა, ხელში ეჭირა მძიმე, მუქ-ყანგისფერი კონა გაშლილი თმებისა და მან აღნიშნა სიწითლე მისი ტუჩებისა, მუქი ვარდისფერი მისი ლოყებისა და სითეთრე შუბლისა ფართო და ოქროსფერ წარბებს ზემოდ.

— ჰო და, აი კაპიტალისტები სძარცვავენ მუშებს...—მთქნარებითა და ზმორებით ამბობდა ქალი... ცხოვრებაში მართლაც ასეა. და ასეც უნდა დაიწეროს. აქ კი, ზედმეტი ღირებულების ნორმაო... აი შენ ამიხსენი, სტიოპა, რათ არის ეს, ა?

ლიუბას სუბუქი თითები შეუცნობელი და ჩვეული გრაციით ხლართავდა სქელსა და მოკლე ნაწნავს, და სტეპან გრიგორიჩიც უცქერდა ამას იმ უნებური ყურადღებით, როგორითაც კედლის საათის ბორბორელის მონოტონური ქანაობის ბრწყინვას უცქერენ ხოლმე, თანაც ვრცლად და უგუნებოდ უხსნიდა ზედმეტი ღირებულების თეორიას...

— ხომ გაიგე?—ჰკითხა მან და თანაც ჰგრძნობდა, რომ იმ ძირითადს, რაზეც დამყარებულია პოლიტეკონომია და რაც ლიუბას ვერას გზით ვერ გაეგო, მისი ახსნა სულაც არ შეხებია.

— ჰო, გავიგე...—მაგრამ უჯეროდ ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა და ვაჟმაც ერთხელ კიდევ შენიშნა ეს მოქნილი და რბილი მოძრაობა.—გმადლობ, სტიოპა...

ქალი უკვე ოთახში აღარ იყო, მაგრამ შოროხოვი მაინც ხედავდა მისი უბრალო, ძველი კაბის ნაოჭთა ჩქარსა და სუბუქ რხევას, რაც ქალის მხიარულ მოძრაობას ესაბამებოდა, და რაც თითქოს რაღაცას უამბობდა ქალის შესახებ. „როგორი ტანწვრილი და მკერდგანიერია...“ მაგრამ მყისვე თავისი თავი შეაყენა: ამის შემჩნევა როდი შეიძლებოდა. „წითურა...—თითქმის გასაგონად წარმოსთქვა მან ქალის ბავშობის ზედმეტი სახელი.

— კი, მაგრამ იგი ხომ წითურა არაა, იგი მოშავოა—თითქმის ისეთი, როგორც ნატაშა... ნატაშა,—თავისთვის ჩაილაპარაკა—აი ამაზე უნდა ვიფიქრო...“

იგი უსმენდა ლიუბას მხიარულ მოძრაობას მეზობელ ოთახში და სცდილობდა წარმოედგინა ნატაშა. მაგრამ აგონდებოდა მხოლოდ საგლოვიარო ბაფთა წითელი კუბოს სახურავზე და შავი სიტყვები: „მებრძოლ ამხანაგს, ბოლშევიკს...“ იმეორებდა ამ სიტყვებს და ვეღარ მისწვდომოდა მათს მწუხრულსა და საზეიმო აზრს; უსმენდა ტანისამოსის შრიალს, რკინის საწოლის ხვეულთა მოყრუებულ წკრიალსა—და უეცრად შეკრთა. ეს ბიძგი იყო სამოქმედო, მაგრამ ეს მოქმედება შეუწყნარებელი იყო. და მან თვალი ისევ სტატისტიკურ ცხრილებს მია-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პყრო. ხოლო ციფრები უსიცოცხლო და მჩატე იყო—ვერ შეძლო [illegible] ᲐᲖᲠᲘᲗ მათი ავსება. თვისი ოჯახის ცხოვრების წყობაზე სურდა მას ფიქრი.

მაგრამ ამ წყობის ფუძე ლიუბა იყო. სწორედ იგი ზრუნავდა შინ ყველაფერისთვის ნაზად და ხალისიანად, ბავშვებისთვისაც და სტეპან გრიგორიჩისთვისაც—ეს წითური გოგონა, რომელმაც მის ხელში დაიწყო „რ“ და „ლ“-ს გამოთქმა, ისწავლა წერა-კითხვა, რომლისთვის ზრუნავს, როგორც პატარასთვის, იგი ჩვეული იყო, და სწუხდა, როცა დიდ ხანს ვეღარ ხედავდა, ხოლო შეხვედრისას ამბავს გამოჰკითხავდა ხოლმე.

ხოლო ის წითელი თავსაფარი. კომუნისტური წითელი ნიშანი ბლუზაზე, ახალი წკრიალა სიმღერები, იღლიაში წიგნები, სუბუქი და მხიარული მოძრაობა,—ყველაფერი ეს საკუთარს უფროს ქალიშვილს ოლგას აგონებდა, რომელიც მამას გაჰყვა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე, თურქისტანში, და იქვე დარჩა სამუშაოდ. ამ ახალმა და ახალგაზრდამ მასში სათუთი ნაღვლი აღძრა, რაც ცოლის სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა სწორედ მაშინ, როცა სტეპან გრიგორიჩი თავის თავს შეუთანხმდა, რომ მისი პირადული ცხოვრება გათავდა და დარჩა მხოლოდ მისი რევოლიუციური საქმიანობა. „აი ეს რევოლიუციის ახალი თაობა“...—ჰფიქრობდა იგი, თითქოს ლიუბა მხოლოდ ახლა გაზრდილიყოს ტანითა და დღეს დაეწყოს სხვანაირი კაბების ჩაცმა. მაგრამ აი სწორედ ასეთს, როგორც ახლა, უსიტყვო ბიძგების მომენტში მისი ჩვეული აზრებისა და გრძნობების ჯაჭვი სწყდებოდა. სტეპან გრიგორიჩს ხშირად შეუმჩნევია თავისთვის, რომ იგი უტყვად და დაჟინებით ათვალიერებს ლიუბას, და რა მნიშვნელობა აქვს იმას,—კომახალგაზრდათა უჯრედის კრებიდან დაბრუნდა იგი თუ სასპორტო მოედნიდან. ქალი კი მის წინაშე სდგას და სუბუქად სუნთქავს, ტუჩთა ყურეში ღიმი უციალებს, ჟანგისფერ თმებში კი—მზე. აგერ ბორისს ღილს აკერებს იგი—გაუხდელად; ბავში ვერ ისვენებს, და ლიუბა ჯავრობს წარბშეკრული, წითლდება გულმოსული და მიბინდული. ან წიგნს კითხულობს, თავი ხელებზე დაუყრდნია, რომლებიც რაღაც განსაკუთრებული თეთრი გაუხდა, ცოცხალი რძისფერი სინათლით თითქმის აშუქებული. ყველაფერი ეს იმ წუთიდან დაიწყო, როცა მისი შიშველი ტანი დაინახა. მაგრამ მას როდი სურდა ამაზე ფიქრი.

და როგორც კოცონს დამპალ ფოთოლს მიაყრიან ხოლმე, მანაც ისე, რაკი ეს მწველი და უსიტყვო ბიძგი იგრძნო, მიაყარა მას ყოფა-ცხოვრების წვრილმანები— ხელი მიჰყო მუშაობას, გაზეთის კითხვას თუ მოსაუბრის ძებნას. და როგორც დამპალ ფოთოლმიყრილი კოცონი მწარედ და ტუსით ჰბოლავს, შოროხოვის ცხოვრებაც ასეთი მუდმივი სიმწარითა და შფოთით იყო გაბოლილი. და ყოველი ასეთი ბიძგის შემდგომ მისი შეგნების ზღრუბლზე უფრო და უფრო მკაფიოდ ისახებოდა ახალი ლიუბას სახე.

ქალი თითქოს კვლავ მის წინაშე იდგა, თითქოს ეკითხებოდა, ეს კი პასუხს ერიდებოდა და ეკონომიური სტატისტიკის ცხრილებს ჩაჰკირკიტებდა—მაგრამ მუშაობა აღარ შეეძლო. „ეს იმიტომაა, რომ დავიღალე... ძილია საჭირო...“—ჩაილაპარაკა და გახდას შეუდგა. თანაც დაჟინებით ათვალიერებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისი ოთახის ჩვეულ მოწყობილებას, პაწია თაიგულების დამაწყნარებელ განრიგებას შპალიერზე და ყველა ამ მყარ-უძრავსა და ჩვეულს უკან თითქოს დამალვას ლამობდა.

ელექტროს შუქი ჩააქრო და ცახცახით ჩასთვლიმა საკუთარი ტანის უტყვი ლტოლვით შეშფოთებულმა, რადგან ტანი მისი გონების კონტროლს გაურბოდა, ეს ლტოლვილება ლიუბას ხელშესახებ—მკვრივ იერს იღებდა. იგი—ლიუბა იზიდავს თავისკენ თბილი და უტყვი სუნნელებით და, როგორც ცხადად, შიშველია იგი, და როგორც ცახდად, აკრძალულია იგი და იმიტომაც საშიში, და სტეპან გრიგორიჩმა, როგორც ცხადად, იცოდა, რომ საჭიროა გახსენება რაღაც სიტყვებისა და ამ სიტყვებით განხორციელება იმისა,—თავისი, გამჭრალისა. მაგრამ ეს სიტყვები არსად იყო, და ეს ახალი და შიშველი, აკრძალული და მიმზიდველი მძიმე სიცოცხლით ღუვდებოდა.

— ნა...ტაშა...—წაიჩურჩულა მან.

მაგრამ ეს იგი როდი იყო, რასაც მისი ხსნა შეეძლო.

— ნა...ტაშენკა... ნა...ტალიუშკა... ტალიუშკა...

თითქოს მისმა ტუჩმა თვით იპოვნა ეს დიდის ხნით დავიწყებული, პირველი სასიყვარულო სახელი ცოლისა და ერთბაშად იგრძნო სულ ახლოს მისი განსაკუთრებული ღამური ჩურჩული, და მხოლოდ მისთვის კუთვნილი, ცოცხალი ალერსი ტანისა.

„შენ ხომ არ გამჭრალხარ!..—აღტაცებით ჰფიქრობდა იგი და ისე გადაჭრითა და სავსებით უარყოფდა სიკვდილს, როგორც მხოლოდ ძილშია ხოლმე შესაძლებელი.—შენ—აი შენ ისა. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ ცოცხალი ხარ, ცოცხალი“. ბედნიერების ამ შეგრძნობამ იგი გააღვიძა და ერთბაშათ მიხვდა, რომ იგი მის გვერდით არაა, მაგრამ ის ბედნიერება, რაც მან ძილში იპოვნა, კვლავ დარჩა.

— ტალია... ტალიუშკა...

ჩურჩულებდა იგი.

„მერე რა: მე მომწონს ლიუბა... მე ჯერ კიდევ არა ვარ მოხუცი...—მხიარულად გაიფიქრა მან.— და აქ ის შემთხვევითი ამბავი, რომ იგი დავინახე მაშინ... მაგრამ ეს აღარ უნდა იქნეს. საჭიროა თავი შეეიკავო—და შეეიკავებ კიდეც, მოვახერხებ. ტალია, ტალიუშკა ხომ... ჩემი საყვარელი ამხანაგია“... და ამ სიტყვებმა ახლა უკვე დაჰკარგა თვისი საზეიმო—მწუხრული, განსასვენებელი იერი და იგინი ისე გახმაურდა სტეპან გრიგორიჩისთვის, როგორც მოგონება იმ განსაკუთრებული და მაღალი სინაზისა, რაც მასა და ტანაშას ჰქონდათ.

3

ცოლის სიკვდილის შემდეგ სტეპან გრიგორიჩი, რათა წუხილი არ ეგრძნო, სცდილობდა არ მოჰგონებოდა მათი სიყვარულის თვით უწვრილმანესი, მხოლოდ მისთვის და ნატაშასთვის გასაგები გამოხატულებანი,—ეს იყო სახუმარო და საბუკვარი მეტსახელები, საალერსო და ჩვეული შეხებანი, რაც თითქმის მაშინალური გახდა... მაგრამ მას შემდეგ, რაც ძილში კვლავ იპოვნა ცოლის პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიყვარულო სახელი, იგი ისე ეხვეოდა ამ მოგონებებში, როგორც განსაკუთრებულს თბილს ჰაერში,—და ეს განსაკუთრებულს მხიარულ გუნებას უქმნიდა მუშაობაში. „ტალია"...—ტუჩის გაუნძრევლად—მხოლოდ აზრის მოძრაობით ეძახდა იგი და ნატაშაც, თითქოს ოთახიდან გამოდისო, განიდან უცქერდა მას და უღიმოდა, და სტეპან გრიგორიჩი, ყოველთვის ალერსიანი და ყუჩი მუშაობის დროს, ამხანაგებთან რაღაცნაირად განსაკუთრებული მხიარულ-მეგობრული იყო.

ახლა, თვისი სამსახურის კაბინეტის ზღურბლზე მდგომარემ, შოროხოვმა ერთბაშად გაიგო მდგომარეობა: გვიანი საღამო, უზარმაზარ დაწესებულებაში არავინ ჭაჭანებს, ხოლო ივანე ალექსანდრეს-ძე ეიდნუნენი, შოროხოვის თანაშემწე და მოადგილე, მის, შოროხოვის, საწერ მაგიდასთან სდგას და ისე ალაგებს მას, როგორც კაბინეტის თითქმის საზეიმო მოწყობილობას შეეფერება. ეიდნუნენის მხრით კარგი არ იყო ამ მუშაობის დაწყება თვით შოროხოვის გაუფრთხილებლად, ხომ შეეძლო ეიდნუნენს ერთმანეთში აერია და განეშორებინა შოროხოვის მიერ დალაგებული მასალები. შოროხოვი ისე აფასებს იმას რასაც ეიდნუნენი აკეთებს, როგორც მის წინააღმდეგ შემოტევის ერთგვარ სახეს. მაგრამ მას არ სურს ეიდნუნენის წაკიდება, არც მისი წყენა—განა ამ სისტემატიზირებული და კლასიფიცირებული წესისთვის არ აფასებს იგი ეიდნუნენს, რაც ამ უკანასკნელს მუშაობაში შეაქვს. და შოროხოვი ალერსიანად უღიმოდა ეიდნუნენს, რადგან უყვარდა იგი და სურდა ეამბნა მისთვის იმ გამარჯვების შესახებ, რაც ერთს მეტად მნიშვნელოვან სხდომაზე მოიპოვა. სწორედ ამისათვის შემოიარა აქ ამ უდროო დროს.

მაგრამ შევიდა თუ არა შოროხოვი, მყის ღირსეულ-განაწყენებულმა გამომეტყველებამ დაჰფარა ეიდნუნენის წყაზარი და ვარდისფერი სახე და იგი თითქოს ამით გაემიჯნა შოროხოვის მისალმებას, მის ალერსიან ღიმილს, დაღლილ კმაყოფილებას, მის ხმაში რომ გამოკრთოდა.

ეიდნუნენი თავაუღებლად განაგრძობდა ქაღალდების ლაგებას. შოროხოვი იმ სხდომის შესახებ უამბობდა, რომლიდანაც ესაა დაბრუნებულიყო,—ეიდნუნენს მის ხმაში შეუწყნარებელი თავის ქება ესმოდა. თუმცა თავისი კმაყოფა მასაც განეცადა ხოლმე და თავის ქების სურვილიც არა ერთხელ უგრძნია ამხანაგების წინაშე, მაგრამ იგი სცდილობდა ყველაფერი ეს ისე მოეხერხებინა, რომ ტრაბახობად არავის ჩამოერთმია. გარდა ამისა, ის, რის შესახებაც შოროხოვი ლაპარაკობდა, მისი, შოროხოვის მუშაობის მთელი ერთი ფარდის შედეგი იყო, რასაც ეიდნუნენი მთლიანად არ იზიარებდა, და რომელსაც შოროხოვი მისი მოსაზრების წინააღმდეგ აწარმოებდა. და, ითმინა რა მანამდე, სანამ შოროხოვი კმაყოფილებით დაამთავრებდა: „და აი, რეზოლიუციაც მიიღეს—ყველა მუხლი ჩემია",—ეიდნუნენმა თავდაჭერით სთქვა:

— კარგია, რომ რეზოლიუცია „შენი მოხსენების შესახებ ბოლოს და ბოლოს მიღებულია. მე უკვე დავალაგე ყველა ის მასალა, რომლითაც შენ ემზადებოდი, და მინდა იგი აი იმ თაროზე—„სამი ბ"—ჩამოვდო, და ეიდნუნენმა ის თარო ანიშნა, რომელსაც იგი „სამ ბ"-ს ეძახდა, მის მიერვე შემუშავებული სისტემის თანახმად, რითაც იგი ამაყობდა.

— აი სწორედ მისი იქ დაწყობა სულაც საჭირო [illegible] ბაზარ-ბაზარ-ბაზარ-

„მას უყვარს ეს სამუშაოდ ... ძიება, გამოტეხა, გამოკითხვა, ბრალდება. და იგი იგონებს ... მოტივებს, პასუხისმგებლობას პარტიის წინაშე“...—გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა, მაგრამ იმავე დროს ჰგრძნობდა, რომ თანაშემწე მართალი იყო—ერთობ ბევრი საქმე იყო დაწყებული და დაუმთავრებელი. მაგრამ ყველა ეს გაუთავებელი საქმე, და განსაკუთრებით კი უკანასკნელი, ტაშკენტისა, იმ რამდენიმე, უმთავრესი აზრის გამომხატველი იყო, რომელიც შოროხოვს სჩვეოდა და რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში რთულდებოდა და ზუსტდებოდა. ეს აზრები აძლევდა იმ გაუთავებელ საქმეებს რაღაც პირადს ღრმა ინტერესს, გრძნობას, რომ მხოლოდ მას—და მეტს არავის—შეუძლია მათი გაკეთება, ნამდვილად ისე, როგორც პარტიას უნდა. მან იცოდა, რომ თურქისტანის ბოროტმოქმედებათა გამოაშკარავება ისე, როგორც საჭიროა, მხოლოდ მას შეეძლო, იმ საქმეს კი, რომელიც ოფიციალურად მას აბარია, სხვაც გააკეთებს. მაგრამ შოროხოვი არ ცდილა ყველაფერი ეს ეიდნუნენისთვის აეხსნა. ეიდნუნენს რომ შოროხოვისა რამე გაეგო, საამისოდ საჭირო იყო, რომ მასაც შოროხოვისავით ისეთივე შეგრძნობა ჰქონოდა სახელმწიფოს სიახლისა, უწიფველობისა, სცოდნოდა, რომ სახელმწიფოს არ შეესაბამება ის უდეგი ფორმები, რომლებიც ხანდახან უდროოდ იფიტება და რომ სახელმწიფოს არსი თანდათან ღრმავდება.

ეიდნუნენი კი ყველაფერს უკვე დამყარებულად, გამიჯნულად და თითქოს გაქვავებულად სთვლიდა. მაგრამ ეს მისი უპირატესობაც იყო შოროხოვის წინაშე—მას შეეძლო გულდაჯერებითა და გარკვევით ემოქმედა და ამით ეხმარებოდა კიდეც შოროხოვს.

შოროხოვმა ბოლომდე მოისმინა ეიდნუნენის გრძელი სიტყვა, მაგრამ კამათი აღარ დაუწყია, რადგან არ სურდა მისი გაღიზიანება. საჭირო იყო რაღაც სხვაზე სიტყვის ჩამოგდება. შოროხოვმა გაუპარსავ ლოყაზე ხელი შეისვა და ჰკითხა.

ერთი მითხარი, ივან ალექსანდროვიჩ! სად შეიძლება ახლა წვერის გაპარსვა?

ჰკითხა და მაშინვე მიხვდა, რომ თუ ჰკითხა, მხოლოდ იმიტომ, რომ ლიუბას ამ საღამოს წვეულება აქვს.

„ეს რა მომდის?“—დარცხვენით გაიფიქრა მან, და განცვიფრებულსა და ნაწყენ ეიდნუნენს ჯერ კიდევ პასუხი ვერ მოესწრო, რომ წამოწითლებულმა და წარბშეკრულმა შოროხოვმა საჩქაროდ დაურთო:

— თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ხვალ დილასაც. წავედი შინ.

პალტოს საყელო აიწია, ეიდნუნენს ხელი დაუქნია და გავიდა.

„უცნაურია...“—გაიფიქრა ეიდნუნენმა შოროხოვზე და ამ სიტყვით გამოხატა ის მთავარი, გაუგებარი და ალერსიანი ურთიერთობა მისდამი, რომელიც მათი პირველი შეხვედრისთანავე დამყარდა.

„ამხანაგ შოროხოვთან მდივნად“ გაგზავნილი ეიდნუნენი ელოდა, რომ მის ოთახში იგი ნახავდა სამხედრო ორკესტრულ ზეიმს, დროშების მეწამულს. კედლებზე ლოზუნგების წკრიალა ოქროს, თაროებზე მარქსის წიგნებს, ხოლო სა-

წერ ფართო მაგიდასთან—ქაღარას, დარბაისლურად ჩასუქებულ კაცს—რომელიც რაღაც ყოვლის შემცველ სიტყვებს წარმოსთქვამს და—ეიდნუნენი ცოლობაშად, როგორც სამხედრო ორკესტრში, მის წინ დადგება და შოროხოვს, როგორც დირიჟორს, თვალთვალს დაუწყებს. მაგრამ როცა ნახა საბჭოთა დაწესებულების ჩვეულებრივი ოთახი, ფიცრის კედლები, ჩაგლეჯილი სავარძელი და არადარბაისლურად სწრაფი, გამხდარი და შავგვრემანი ადამიანი, რომელიც ოთახში მიმოდიოდა და ქაღალდს ისე კითხულობდა, ეიდნუნენმა ყოველივე ამას მაინც არ დაუჯერა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს იქ სწორედ ისეთივე კეთილგანწყობილი მორთულობა ყოფილიყო, როგორსაც თვითონ ელოდა.

მაგრამ შოროხოვმა როდი აცალა ეიდნუნენს ლაპარაკი თავისი რევოლიუციური მუშაობის შესახებ, არამედ მოულოდნელად ჰკითხა, რა განათლებისაა ეიდნუნენი და როცა გაიგო, რომ ეიდნუნენს სავაჭრო სკოლა გაუთავებია, დაინტერესდა რა ხელობისათვის ემზადებოდა ცხოვრებაში ეიდნუნენი.

ბუხჰალტრობისთვის...—დუმილის შემდეგ მიუგო ეიდნუნენმა (თვითონაც კინაღამ დავიწყებოდა, რომ ოდესმე ბუხჰალტრობა უნდოდა). მაგრამ ცხრაას თოთხმეტში— სწორედ, როცა გავათავე—ჯარში გამიწვიეს.

— მაშასადამე, მეფე-ბატონისთვისაც გიმსახურნიათ?

ჰკითხა შოროხოვმა

— სამხედრო ორკესტრში კორნეტ—ა—პისტონს ვუკრავდი.

ცოტა აბნევით მიუგო ეიდნუნენმა.

— ეს რა საკრავია ასეთი

— ესა... აი მუდამ თან დამაქვს...

და ეიდნუნენმა ზურგის ჩანთას დაჰკრა ხელი.

აქ შოროხოვი უეცრად გამხიარულდა, თვითონ ამოაძრო ეიდნუნენის ჩანთიდან პატარა, უცნაურად მოკაუჭებული, მქრალად აყვითლებული საყვირი და დაჟინებით სთხოვდა ეიდნუნენს დაეკრა რამე. ეს სრულიად შეუწყნარებელი იყო, მაგრამ რაკი ასეთი პატივცემული კაცი სთხოვდა, ეიდნუნენიც დაემორჩილა,—და, აჰა, შოროხოვის კაბინეტში გაისმა დუდუნა და მხედრული ხმები, ხოლო ეიდნუნენს წყაზირი სახე წამოუწითლდა, მუქ-ლურჯი თვალები წამოეხიდა და ფეხიც ბაკუნით აჰყვა ჩქარსა და სწორ ტემპებს.

— კარგად უკრავ, მაგრამ უგრძნობოდ,—ამოოხვრით სთქვა შოროხოვმა.— მუსიკაში კი გრძნობა—მთავარია... დიდი ხანია, დაც უკრავ?

რაკი ეიდნუნენს, თვითონაც რომ არ ელოდა ისე, ეწყინა, თითქოს მართლაც უგულოდ უკრავდეს, ამიტომ უპასუხა, რომ ეს მისი საყვარელი მიდრეკილებაა და დაკვრაც ჯერ კიდევ სავაჭრო სკოლაში დაიწყო, თუმცა მათი წვრილჩინოვნიკური ღარიბი ოჯახისთვის პეტერბურგში, ძალიან ძნელი იყო ასეთი საკრავის შეძენა... იგი ლაპარაკობდა, შოროხოვი კი უდასტურებდა და მისი სახეც უფრო და უფრო კეთილი და ეშმაკური ხდებოდა, ხოლო ეიდნუნენი უამბობდა თავისი მოსაწყენი ბავშობისა და მარტოობის შესახებ, როცა იგი სამხედრო სამსახურში იყო ყველა ამ სამუსიკო კომანდის ჯარისკაცთა, გადამწერთა, ფერშალთა, უნტერთა, კაპტენარმუსთა შორის,—უამბობდა აგრეთვე თავის პირველ რევოლიუციურ გატაცებათა შესახებ.

„რევოლიუციური გატაცებანი“, „პარტიის პროგრამა“, „ყოველი მეგნებული ჯარისკაცის მოვალეობა“,—ეუბნებოდა იგი შოროხოვს, თვითონ კი სხვა გაახსენდა: ჩვიდმეტი წელი და განიერი სიტყვა „თავისუფლება“! გაიგონა იგი თუ არა, ეიდნუნენმა თავისუფლად და მხიარულად ამოისუნთქა და ეს სიტყვა მიტინგზე სთქვა, რის შემდეგაც მას ყველგან ირჩევდენ. ახლა საზრუნავი ისაა, საით წაიყვანოს მისი ამომრჩეველი ხალხი და აი იგიც კითხულობს გაზეთებს, წიგნაკებს; მას აწუხებს ის გარემოება, რომ გარშემო ყველაფერი ირყევა, ინგრევა, მისი წადილია მოაწყოს ყოველივე,—და აი მხოლოდ ერთ პარტიას გამოუდის ესა, და მაშინ იგი პარტიაში შედის.

ეიდნუნენს როდი უთქვამს ეს, მაგრამ ყოველივე ამან მის ტვინში გაიარა და იგი გრძნობდა, რომ შოროხოვი სწორედ ამას ხვდება.

ასე დაიწყეს მათ მუშაობა, შოროხოვის მუდამ ვერ გამგები და წუნმდებელი, ეიდნუნენი ყოველთვის სისტემისა და კლასიფიკაციის დამყარებას ცდილობდა, რასაც შოროხოვი უნებლიედ არღვევდა, მაგრამ ეიდნუნენი შეეჩვია შოროხოვსა და უკვე უყვარდა იგი. შოროხოვის შეხვედრამდე ეიდნუნენს მუდამ სტანჯავდა იმ თავის ნაკლთა შეგნება, რომლებიც კომუნისტისთვის შეუწყნარებელი ეჩვენებოდა, მაგრამ ურომლისოდაც მას სიცოცხლე არ შეეძლო. მაგრამ რაკი შოროხოვში იმის მუდმივ დარღვევას ხედავდა, რასაც ეიდნუნენი კომუნისტისთვის საჭიროდ სთვლიდა, და მიუხედავად ამისა, დღითი-დღე უფრო და უფრო აფასებდა პარტიისათვის შოროხოვის მნიშვნელობას, ეიდნუნენიც ამით ამართლებდა თავის ყველა სისუსტეს. აი ახლაც: შოროხოვი უკვე წავიდა,—ეიდნუნენს არ სურდა ქალალდების ჩხრეკა, რადგან იგი წელან იმიტომ ჩაჰკირკიტებდა, რომ დაემტკიცებინა თავისი სიკარგე და ხაზი გაესვა შოროხოვის სიმტყუნისთვის. და მოულოდნელმა და შეუწყნარებელმა კითხვამ გაპარსვის შესახებ და შემდეგ შოროხოვის დარცხვენამ ერთბაშად თავისი გაახსენა: უპარტიო თეთრონა ცოლი,—და მყისვე აჩქარებით შეუდგა ჩაცმას, ხოლო თავის ნაკლს შოროხოვის ნაკლით ამართლებდა, თითქოს შოროხოვი ის უზარმაზარი და წინააღმდეგობით სავსე სამყარო ყოფილიყოს, რომელშიც იგი, პატარა ეიდნუნენი, იმყოფება, და რომლის კანონებიც,—თუნდ ისინი მისი, ეიდნუნენის აზრით უკანონო, მაგრამ მაინც ბუნებრივი, მძლე კანონები—მისთვის სავალდებულო იყოს.

4

შინ რომ დაბრუნდა, შოროხოვმა ზღრუბლიდანვე მოავლო თვალი გამოცვლილ ოთახს: კედლებზე მიდგმულ საწოლებს, თეთრ სუფრაზე აჭრელებულ საუზეულობას და ღვინოს, ბოთლებში რომ თბილად და ალისფრად კამკამებდა.

— ლხინი გააბოსთ, ამხანაგებო!

მიმართა მან ამ ახალგაზრდა და მხიარულ სახეებს, რომლებიც ლხენისა, დარცხვენისა და პატივისცემის სხვადასხვანაირი იერით შეეგებენ მას.

ამ სიტყვებით იგი თითქოს აქეზებდა მათ, ხოლო თავის კმაყოფილ დაღლილობას, ნაზსა და თბილ ნაღვლს კი უფრო ადასტურებდა.

და სურდა თავის ოთახში შესულიყო, მაგრამ ასტყდა ბანაკში ყიჟინა: გარს შემოეხვივნენ, ყველაზე წინ ლიუბა გასძვრა და სტეპან გრიგორიჩს ძალტოს საყელოში სტაცა ხელი!

— არა, სტიოპა! არ გაგიშვებთ,—უთხრა მან—არა!..

ქალი მუდარითა და ალერსით ულიმოდა, და ვაჟი თვისი ტუჩების სწორა ხედავდა მის მომწვანო-ლურჯ თვალებს, მუქ-წითური, აჩქერებული და მოვარაყებული წამწმებით რომ იყო შებორბლილი. რაღაც რისხვიანი გამოკრთოდა ამ სიხარულით გაბრწყინებულ თვალებში, და სტეპან გრიგორიჩი უეცრად ერთის წუთით აიბნა,—პალტო ერთბაშად გახადეს და სუფრას მიუსვეს და ვიღაც ჩასუქებულმა და ფერმკრთალმა ქალიშვილმა, რომლის გვერდითაც იგი მოხვდა, უკვე მისთავაზა შაშხის ბუტერბროდები.

თავისი თავის უკმაყოფილო იყო, „თუმცა წვრილმანი რამეა...“ გაივლო გულში და ხუმრობა დაიწყო იმის გამო, რომ ღვინო კი არავინ მიაწოდა.

— ჰო და, მე თვითონ დავისხამ. აი ასე...

ისხამდა, სვამდა, სჭამდა, თვითონ კი გამჭრიახედ, ულეველის ინტერესით ათვალიერებდა ყველას. პირველად მისი ყურადღება გიტარიანმა ყმაწვილმა მიიპყრო; იგი შოროხოვის ფერმკრთალ და ჩასუქებულ მეზობლის მეორე მხარეს იჯდა.

აჰ, ძვირფასო, სანუკვარო,
მტრედო ფრთაშეეერცხლილო,
ნუ, ნუ იცვამ ფეხებზე
ე მაგ ყვითელ თათმანებს...

მღეროდა იგი ჩახლეჩილი, მაგრამ სწორი ხმით, გიტარა კი მორჩილად მოსძახებდა, როგორც შეყვარებული უჩკუო ქალწული. მისი უბრალოდ შეკერილი, აბრეშუმივით მბრწყინავი ახალი ბლუზა ნაირ-ნაირად შრიალებდა; სიმღერამ ყველა გააცინა, შოროხოვმაც გაიღიმა და სიამოვნებით დაუწყო თვალიერება ამ შაველა ბიჭს, რომელსაც ვარდისფერ ლოყებზე შავი ხალები ასხდა, მაგრამ აი ფარდას უკან, სადაც ლიუბას საწოლი იდგა, მას ლიუბას მხიარული ხმა მოესმა, და ერთბაშად დაეკარგა სიმჩატე და თავისუფლება.

— ვალოდია, კი მაგრამ, განა საშიში არაა?

ჰკითხა ქალმა.

— არა, ლიუბაშა... აი გერმანიის ფრონტზე, არტილერიით შემხადების დროს—ჰო! დაზვერვა კი—არაფერია.

ხმა არ იყო მაღალი, მაგრამ წმინდა, ალერსიანი და სიტყვებს ხუმრულად ამბობდა.

— კი, მაგრამ... გარშემო ხომ მტერია, ათასი მტერი... არა, ძალიან საშიშია...

აჩქარებით ალაპარაკდა ლიუბა.

— მერე რა, რომ ათასებია... მათ ჩვენი არა იციან რა, ჩვენ კი მათი ვიცით. მტრის ფრონტის ზურგი—საუცხოვო რამეა! მახსოვს ცხენოსანთა ერთი დავლური: ჩვენ რაღაც ასიოდე ვართ, ისინი კი ორი პოლკია. და აი, ღამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ მივადექით სოფელს; ცხენები ნაჩვევი არიან—მიდიან, არც კი ფრთქვენენ. ავკრიფეთ მათი გუშაგები...

— დახოცეთ?

ეკითხება ლიუბა და ხმაში მიამიტი აღტაცება, თანაც საშინელება ისმის.

— ჰო მოვრჩით... შემდეგ „ურა!“ და სოფლისკენ... მტერი გვნებდება, მათი აღმატებულებანი უნიფხო გარბიან; ვინც ცხენამდე მიასწრო, ხომ კარგი,— ვინც ვერა—დაიჩოქებს, შებრალებას ითხოვს... სასაცილოა!..

— ხომ შეიძლებოდა, რომ შენც მოეკალით!

იძახის ლიუბა.

— მაშ, ომი რისია! ახლა კი, აი ვზივართ და ვქეიფობთ...

უმატებს იგი და მის ხმაში ისეთი მფარველობითი—ნაზი და ეშმაკური რაღაც ირხევა, რომ შოროხოვი უნებურად სდგება, ფარდას უკან შეიხედავს და მის მუქ-ქერა ხუჭუჭა და ვაჟკაცურ ბეჭ-ქოჩორს ჰხედავს.

„მებრძოლი ბიჭია?“ თავის თავს ეკითხება შოროხოვი და ბუნდოვანად გაინცდის მისი მოთხრობის უცხო, მტაცებლურ ვაჟკაცობას.

მაგრამ მან დაინახა ლიუბას სახე.

— რა მამაცი ხარ!

ეუბნება ქალი და აღტაცება ელვარებს მის სახეზე.

და სტეპან გრიგორიჩს ტანჯვა და მოუსვენრობა დაეუფლა, მაგრამ მალე განდევნა იგი და თვალი დაასო ჩოფურასა და ყბაჩა შავბლუზიან ბიჭს, რომელიც ეტაჟერთან იდგა მოშორებით და ლიუბას სახელმძღვანელოებს ჰფურცლავდა. თუმცა ეს ბიჭიც მონაწილეობას იღებდა საერთო მხიარულებაში, თავი გადაეხარა და ბოლის გამო თვალმოხუჭული ეწეოდა მახორკის ხელითნაკეთებ ციგარკას; მან ყური მიუგდო ფარდას იქით ბაასსა და ჩაიცინა. ალბად ყველაფერი, რასაცა იქ ამბობდენ, მისთვის კარგა ნაცნობი იყო და იმიტომაც ეკიდებოდა დაცინვით. შოროხოვსაც სწორედ ეს მოეწონა.

— მოწყენილობა გვეპარება...

სთქვა ამ ჩოფურამ და წიგნი ეტაჟერზე დასდო.

— ჰო და ლოგარითმის ცხრილები მაინც გადაგვეთვალიერებინა...

მიუგო მეგიტარემ და კვლავ ყველას გაეცინა.

— ცეკვაა საჭირო, ცეკვა...—ღიმილით სთქვა ჩოფურამ, ეტაჟერს მოშორდა და ბლუზის ბოლო მისწი-მოსწია.—ბულავინ, უნდა იცეკვო, ბულავინ!

— სწორია, სწორი, ვალოდია!—აფეთქდა ლიუბას ჩქარი ხმა—იცეკვე, ჰო, იცეკვე! გთხოვ...

ქალი შეირხა და ხელით ეწეოდა იმ ბიჭს, ვისაც ვალოდია ბულავინს ეძახდენ, იგი კი უარობდა და წყნარად, თუმცა კისკისით იცინოდა...

— აბა, ალიოშა, დაუკარ! თვითონ გამოვა!

სიცილით იძახდა ლიუბა.

მინდა ერთი ჩავბუქნო,
წალები არ მომყვება;
შალვარიც კოჭებში მცემს—
გოგოების საცინლად...

ჩაიმღერა გიტარისტმა და შემდეგ გიტარამაც იგივე გაიმეორა; და შოროხოვმა ვერც კი მოასწრო ამ შაირის ნაღელის მიწვდომა, [illegible] გიტარისტმა გაშლილი ხელი ერთბაშად დაადო სიმებს, თითქოს მათი [illegible] ელერის წაშლა უნდა, და რაღაც ერთობ მხიარულად დაიყვირა:

— აბა, ბულავინ, გაუტიე, გაუტიე, გაუტიე!..

და მყის გიტარაც ალაპარაკდა ჩქარა მონოტონურად და ღულუნით, მწყობრად მიაყოლეს ტაშიც და იგი, მკლავებგაშლილი, უკვე გამოდიოდა ოთახის შუაგულს, არა მაღალი ტანისა, წელწვრილი, ოქროფერალა და შაგვრემანაღუებული.

— მომეცით ქუდი!.. უქუდოდ როდი იქნება...

სთქვა მან და დადინჯდა, თითქოს მუშაობას იწყებსო. და ყუბანური ქუდი რომ კეფაზე წამოიდო, სპეტან გრიგორიჩმა სწორედ იმით გამოიცნო, რომ იგი კაზაკია.

— აბა, ჰე, აბა, ჰე, სონიჩკა, გამოდი! გა!..

ამბობდა იგი და ოთახში დასრიალებდა; მისი მოძრაობა თანდათან ეთანხმებოდა გიტარის ტაქტსა და აჰა, მის დასაჭილ ფეხთა სრიალი და გიტარის მწყობრი ჟღერა შეერთდა, ერთს განუყრელ მთლიანად იქცა; ბიჭმა მხრები შეარხია და თავმომწონედ და ვაჟკაცურად დაუქროლა, გიტარა კი უკვე მას მისდევდა.

მან შოროხოვის ახლოს გაიარა, და შოროხოვმაც ტაშის კვრაში დაინახა მისი ალერსიანი, უდიერი, სერიოზული და ოქროვან-თაფლისფერი თვალი, მოცეკვავემ კი უკვე ჩაუარა შოროხოვის სუქანსა და ფერმკრთალ მეზობელ-ქალს, გიტარისტსა და კიდევ ვიღაცას, რომელიც იმას იქით იჯდა, და გაუსვა და გაუსვა. ყველამ ტაში გაახურა, რადგან იცოდენ, რომ მოძრაობის იმ ენაზე, რომლითაც იგი ახლა ლაპარაკობდა, ეს გასმა და ბუქნა იმისი ნიშანი იყო, რომ იწვევდა, ითხოვდა, უბრძანებდა მოცეკვავე ქალს. და ტაშსაც უფრო და უფრო უმატეს, სახეებიც ძალზე აწითლდა და შოროხოვიც, თვალით რომ ყველას უვლიდა, გაცხარებული უკრავდა ტაშს..!

და, აჰა, ქალი დარცხვენით წამოდგა; რაღაც დაუწყობელი სჩანდა: ცალი მხარი თითქოს უფრო მაღალი ჰქონდა, ფეხებიც მეტად მხმარი და წვრილი უჩანდა შალის რუხ წინდებსა და მაღალ ფეხსაცმელებში. მაგრამ აი გაშალა ხელები, მორცხვად, ალერსიანად გაიღიმა, და თუმც ტუჩია ულაზათო ჰქონდა— თხისებური—და კბილებიც უსწორ-მასწორო, მაინც რაღაც აენთო მის გრძლადგაჭრილს ებრაულ თვალებში; ქალი სუბუქად და მანჭვით გაეშურა მისკენ. თითქოს რაიმე უნდა აუხსნასო, მაგრამ ვაჟი უკვე თავმომწონე ვაჟკაცობითა და მისი ქალობისადმი გულგრილობით თანდათან შორდებოდა მას.

— ვრანგელ! დამიბრუნე ჩემი ფეხი! მინდა სონასთან ვიცეკვო.

სთქვა გიტარისტმა, როცა მოცეკვავე ქალმა გვერდს ჩაუარა.

„აი, თურმე რა სჭირებია“... —გაიფიქრა შოროხოვმა და მაშინ გაიგო მისი თითქმის ფრანტული ჩაცმულობაცა და ის ნაღველიც, ხანდახან რომ თავს წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყოფდა ხოლმე. და, როცა ეს სიტყვები ბულავინის მამაცურ ნაამბრბს გადაება, მისთვის ერთბაშად გასაგები გახდა ამღამინდელი ქეიფის ... მნიშვნელობა.

„ყმაწვილი ბიჭები—აი, ის ახლები, რომლებიც ჩვენ გამოგვცვლიან და რომლებიც სამოქალაქო ომში შევიდენ, რევოლიუციაში ამოდიან... და მხიარულობენ. მართალიცაა...“—ალერსით ჰფიქრობდა იგი და ჩვეულებრივად ლიუბასაც ამ ახლებისა და აგალგაზრდების წრეში ათავსებდა.

მაგრამ სტეპან გრიგორიჩმა უეცრად დაინახა მისი სახე. გაუმაძღრობა ვარვარებდა მისი თვალების ციალსა და ლოყების სიწითლეში. ტუჩები ოდნავ გაეხსნა და პირის თბილ-მეწამულ ბინდში წვრილი კბილები უქათქათებდა. მუსიკის ხმას რომ მხრებს აყოლებდა, თვალს ვალოდიას სახეს არ აშორებდა, ის კი ფეხს გამალებით უსვამდა და დოინჯშემოყრილი უახლოვდებოდა ლიუბას, ხოლო ვაჟს უკან პრანჭია ნაღვლით, მხრებისა და წარბების ებრაული ქცევით, ისარივით ურყევი სრიალით მიჰქროდა სონია, ვაჟი კი უფროდაუფრო შორდებოდა მას.

„აი, თურმე რა ყოფილა“... გაიფიქრა სტეფან გრიგორიჩმა, თითქოს ის სიტყვა იპოვნა, რომელიც შეიძლება იმ ნაღვლიანსა და ყრუ წვალებას დაერქვას, რის შემოტევასაც იგი დილიდანვე ჰგრძნობდა,—და ერთბაშად ვითომ ქარს წაეღოს ღვინით, ჭამითა და მუსიკით გახურებული, ნაღვლიანი და გულჩვილი ფიქრები.

„დიახ, ეს ახალგაზრდები მხიარულობენ. და ასეც უნდა იყოს. მაგრამ მე აქ რა შუაში ვარ?..“

უკვე სხვანაირად გაიფიქრა შოროხოვმა.

გიტარისტი უკვე ანელებდა ცეკვის ტემპს. იგი თითქოს საზეიმო ფარდას უკან მალავდა საბოლოო აკორდებს, რომლებითაც ცეკვა უკვე აღარ შეიძლებოდა არამედ ხელჩაკიდებულთ თავი უნდა დაეკრათ დამსწრეთათვის საერთო ტაშისცემასა და მხიარულ ღრიანცელში. და, როცა ეს დაინახა, თითქოს იგი მის წინააღმდეგაა მიმართულიო, სტეპან გრიგორიჩი ადგა და თავის ოთახში გავიდა. საკუთარ ოთახში რომ ყველაფერი თავ-თავის ადგილს დაინახა, მოულოდნელად სიხარულმა მოიცვა. საჩქაროდ დაიწყო გახდა. მას ესმოდა კარს უკან მოყრუებული ნაზად მოლუღუნე სიცილი ლიუბასი და ნამდვილად იცოდა, რომ იმ ბრგე ბიჭს თავისი ქერა და ხუჭუჭი თავი ლიუბას ყურთან მიუტანია და რაღაც სახუმარო სისულელეებს ჩასჩურჩურებს. სტეპან გრიგორიჩიც თავის ადრინდელ ყმაწვილობაში ასე ჩასჩურჩულებდა ქალიშვილებს.

„მერე რა? ასეც უნდა იყოს... და ეს მისი ცხოვრებაა, რომელიც არ შეიძლება მე მაინტერესებდეს. ეს სულ სხვაა, ახალგაზრდული. და იგი რომ კიდეც მოსწონდეს ქალს“..

მაგრამ ახლა იგი შეკრთა, თითქოს დაეწვა რამეო; ტკივილი სადღაც შიგნით შეეჭრა და შეშინებულმა უკან მიიხედა.

მეზობელ ოთახში კი სკამები აახრაგუნეს, უფრო აპრაკუნდენ და ხმა-მაღლა ალაპარაკდენ. შემდეგ კარი ზედიზედ რამდენჯერმე მიაბრახუნეს—და ყვე-

ლაფერი ერთ ბაშად მიყუჩდა. შორეხოვი ნახევრადგახდილი იდგა და გამძაფრებული ელოდა ჭურჭლის ჩხაკუნს, ფეხის ხმას, მხიარულ სიმღერას [illegible] ტანისამოსის შრიალს,—რაც ჩვეულებრივი იყო ხოლმე საღამოობით [illegible] ოთახში. მაგრამ ყველგან სიჩუმე იყო, ორთქლსათბობში წყალი ჩუჩყუნებდა და კიდევ რაღაც ხმაურობა ბუნდოვანად ცახცახებდა უზარმაზარი სახლის წიაღში.

„წავიდა?“—იკითხა სტეპან გრიგორიჩმა და კვლავ გააკვირვა აღძრულმა ტკივილმა. „მოდი, წავიდე და გავიგო, იქ არის თუ არა“.

ჰგრძნობდა, რომ არ უნდა წასულიყო, რომ ეს თავის დამცირებაა. მაგრამ მაინც, ფიჯაკი წამოისხა, ნამძინარევი და უწყინარი იერი მიიღო, კარი გააღო და შეიხედა—სიჩუმე და სიცალიერე.

გიტარა ლოგინზე ჰგდია, სუფრა სავსეა თავღია ბოთლებითა და გახსნილი თუნუქებით; ყოველივე ამას უაზრო და გაყინული ლხენა დაჰქრის. „წავიდა“... უეცრად გაახსენდა თვისი სახის ყალბი იერი. „რაო, ნუ თუ ბებერ ეშმაკს თავისი ცოლიდა შეუყვარდა?“—მწვავე სირცხვილითა და შიშით ჰკითხა თავის თავს. მაგრამ პასუხის ნაცვლად, მის წინ აღიმართა ეს ორი სახე—თეთრ-წითელი ლიუბასი და შავგვრემან-ლაჟვარდა ვალოდიასი; ეს სახეები მის წინაშე მიჰქროდენ და ცახცახებდენ, როგორც ორი ლაქა დახუჭულ თვალთა უბეების ქვეშ. „არაფერია. შეიძლება როგორმე მოგვარდეს, ა?“—ბლუკუნითა და უმწეოდ წარმოსთქვა მან და კვლავ თავისი ოთახის ბინდს შეერთო.

„ნატაშა, ტალია... ტალიუშკა...“

მაგრამ ეს მხოლოდ ტუჩების მოძრაობა იყო: ეს სიტყვები უძლური გამოდგა ნაღვლისა და სინაზის გამქრალი თბილი მყუდროების კვლავ აღსადგენად. და მთელი მისი არსება ლიუბას დაბრუნებას ელოდებოდა. მისი სმენა ბნელი ღამის მყუდროებაში იჭრებოდა, მთელი მისი არსება მახვილ ყურად ქცეულიყო; თითქოს მთელი ამ უზარმაზარი ბნელი და მძინარი სახლით ელოდა მის დაბრუნებას; სურდა, კიბის საფეხურებად, ამ ფეხითგაცვეთილ ქვებად ქცეულიყო და ისე მიეღო მის მხიარულ და სუბუქ ფეხთა შეხება. და ყოველი წარმოუდგენლად წყნარი ხმები თავში უკაკუნებდა, მაგრამ იგი ის როდი იყო, რასაც ელოდებოდა; და იგი კიდევ და კიდევ აბრუნებდა მალი-მალ გახურებულ ბალიშს, კვლავ ჩასთვლემდა და, თითქოს უბიძგესო, ისევ იღვიძებდა. და კვლავ თვალ წინ ედგა ეს ორი ახალგაზრდა სახე, მას რომ ასე ულმობელად უარჰყოფდა და ერთი-მეორეს ეძლეოდა.

„ჰო, ჰო... იგი მასთანაა...“—და მან კვნესით ამოისუნთქა, ხოლო, როცა თავისი კვნესა გაიგონა, იდაყვზე წამოიწია და სირცხვილით მიმოავლო თვალი ოთახის სიბნელეს. „ეს რა მომდის?“—თავის-თავს ეკითხებოდა იგი იმ შეუწყნარებელი ტანჯვის გამო, რომელიც მას ჰგლეჯდა და უფრო და უფრო ძლიერდებოდა,—იმ ტანჯვის გამო, რაც წინედ არაოდეს განუცდია და რაც, თითქოს, მუდამ კი ახსოვდა.

ასე ეგონა, ველარ გავუძლებ, აცახცახებულ ყბას ავუშვებ და ავღრიალდები, ვით ხაფანგში გაბმული მხეცი, მაგრამ კბილებს ერთმანეთს აჭერდა თავს იკავებდა, უეცრად გაიგონა, როგორ გადატრიალდა კლიტე ინგლისურ

გასაღებში, შემდეგ—ფრთხილი გაღება კარისა, წყნარი, მაგრამ სამყაროს ფეხის ხმა, რამაც ერთბაშად გაჰფანტა მისი აბოდებული სამყაროს ეროსიული გრგვინვა. ქალის ფეხის ხმა მამშვიდებელი და გრილი ბედნიერება იყო მისთვის. აი გიტარამაც გაიჟღერა—და მან ნათლად წარმოიდგინა, როგორი სიფრთხილით იღებს ქალი გიტარას ლოგინიდან. გულით სურდა დარწმუნებულიყო ყოველივე ამ უბრალოსა, ხელშესახებსა და სასიხარულო რამეში. და აი ტანთ იცვამს, მიდის იქ და ჰხედავს: ფეხმორთხმული ზის იგი თავის ლოგინზე, ტანისამოსი უკვე გაუხდია, და მის თეთრ სუქან მკვლავზე, იდაყვს ზემოდ იგი ამჩნევს ყვავილის ანაცრელს. ქალი ფეროვანია, თვალები უბრწყინავს, ხოლო წარბებს შუა ნაოჭი ჩასწოლია—ნიშანი რაღაც ზრუნვისა. დაინახა თუ არა, ქალმა მეგობრულად გაიღიმა და ნაოჭიც გაქრა.

— რათ არ გძინავს, სტიოპა?

ეკითხება იგი.

და ამ ნათესაური ალერსით და იმითაც, რომ მას, როგორც შინაურს, არა რცხვენია,—ყოველივე ამით იგი ჩვეულ ლიუბასა სცნობს.

— წიგნმა ოდნავ გამიტაცა...

ამბობს სტეპან გრიგორიჩი, მერე თავისუფლად ამოისუნთქავს და გრაფინით წყალს დალევს.

— შენ წიგნს გაუტაცნიხარ, მე კი—სეირნობას, ძია სტიოპ...

მიამიტად ხუმრობს იგი და იმ სახელს ეძახის, რასაც ბავშობაში ეძახდა.

შემდეგ დაწვება და თავიან-ფეხებიანად საბანში გაეხვევა.

„ძვირფასი, სანუკვარი გოგონა!“...—ნაღვლიანად და ნაზად ჰფიქრობს სტეპან გრიგორიჩი, აქრობს სინათლესა და თავის ოთახში მიდის...

უეცრად, თითქოს ვიღაც უბიძგებს. ჰხედავს, რომ სინათლე ჩაუქრობელია და იგი კვლავ ოთახში სდგას, ლუბაც ფეხმორთხმული ისევ ლოგინზე ზის, და მას არ უკვირს, რომ ყველაფერი განმეორდა და, ქალის შიშველი ხელებისა და კისრის საშინელი ბრწყინვით მიზიდული, იგი ლოგინისკენ მიაბიჯებს.

შოროხოვი შეკრთება და გაიღვიძებს. იგი სულ მარტოა ბნელაში. გული უძგერს. მას ერთბაშად ვერ გაუგია, რომ ყოველივე ეს ამ წუთს ესიზმრა, ხოლო როცა გაიგებს, შიში აიტანს, მისი დაბრუნებაც ხომ სიზმარი არ არისო. იგი ადგება და წყნარად გააღებს კარს, ესმის მისი სუნთქვა და გული ცემას უმატებს იმ აუტანელი ფიქრის გამო, რომ ბავშები ნაცნობებთან არიან დახიზნული იმ პატარა ლხინის მიზეზით, და რომ ლიუბა მარტოა იქ..

„ტალია... ტალია“...—ჩურჩულებს იგი და სურს კვლავ მოიშველიოს სამყარო ნაღვლიანი და უმაღლესი სინაზისა, მცხუნარე თრთოლვა სასიყვარულო წვრილმანებისა, მაგრამ, შეგნებისგან ძალით გამოწვეულნი, ისინი ისე უსულონი და ფერმკრთალნი წარსდგებიან მის წინაშე, რომ იგი კრთომით უკუაგდებს მათ. და ტყუილ-უბრალოდ ჩურჩულებს ცოლის სახელს; თითქოს ბნელაში გასაღების ნახვრეტი ვერ უპოვნია და კარს უადგილო ადგილს უკიტინებს კლიტესო, და ამ ნახევრადბოდვიანი ასოციაციით ცთუნებული კვლავ აღებს სინათლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში ყველაფერი ჩვეულებრივია და ეს ამშვიდებს მას.

„იგი მომწონს... ჰო, მომწონს. მე მსურს იგი...—თავისთვის ამბობს იგი გარკვეულად და ერთბაშად სისუბუქეს ჰგრძნობს.—მერე, რისთვის არ შემიძლიან მასთან?"—უეცრად აღმოცენდება ისეთივე ადვილი კითხვა. მაგრამ მას როდი სჯერა მისი სიადვილე და კვლავ იმეორებს ამ კითხვის, წინედ რომ შეუწყნარებლად ეჩვენებოდა, და გრძნობს, რომ შეიძლება ასე იკითხოს. და გონებაში იკითხავს თუ არა ამას სრულის ხმით, ის ძალა—მტანჯველი და უაზრო ძალა—რომელიც დაუყოვნებლად ლუბასთან მისასვლელად აქეზებდა, მყისვე შეუშვებს ხელს. „ასე როდი შეიძლება ამის ჩადენა... შეშინდება... უნდა ვუთხრა ყოველივე...—ჰფიქრობს იგი და უფრო მოეშვება, უფრო მეტ თავისუფლებასა გრძნობს.—მაგრამ რა უნდა ვუთხრა: შეგირთავ-თქო?"—შიშითა და გაკვირვებით ეკითხება თავს. მაგრამ არაფერს უპასუხებს, ხოლო უეცრად თითქოს სულ სხვანაირის სიმწვავით ჰგრძნობს იმას, რაც დიდი ხანია იცოდა, რომ მისი ოჯახის ურთიერთობაში ლიუბამ უკვე დაიკავა ნატაშას ადგილი.

და ეს ახარებს მას.

„ხოლო, იგი რომ ჩემზე უმცროსია, ეს არაფერია. მე გადავცემ ჩემს რევოლიუციურ გამოცდილებას, ბოლშევიკად აღვზრდი მას და ისეთივე მეგობარი გამიხდება, როგორიც ნატაშა იყო".

ეს აზრები საამოა, მაგრამ მათ ისეთი გახმაურება აქვს, თითქოს ეიდნუნენის ნათქვამი იყოს.

„რევოლიუციურ თაობათა თანამიმდევრობა. და საჭირო როდია ჩვენს ისედაც რთულ საქმეებში ინტელიგენტურ მსჯელობათა შეტანა",—თითქოს კიდეც ესმოდეს მას ეიდნუნენის ბალტიური მტკიცე გამოთქმა.

„და ლიუბა ხომ ნატაშაზე უფრო ლამაზია"—უცბად გაიფიქრებს იგი და ნაფიქრის შეეშინდება. მაგრამ მაინც როცა დებს ადარებს, მოაგონდება, რომ ნატაშა ბეჭებში იყო მოხრილი და რაღაც სავსებით წესიერი ვერ იყო მისი ნაზი და წვრილი კისრისა და ფართო და ფერმკრთალი სახის შეფარდებაში. ის, რაც ნატაშაში მხოლოდ ოდნავ ისახებოდა, ლიუბაში თითქოს საბოლოოდ დასრულდა, მიიღო სიკარგისა და ძალის გამოხატულება და მთლიანად გამოჭკვეთა იგი. კი, მაგრამ მას ხომ უყვარს ი ყაზახის კაი ბიჭი?... ნუ თუ სასაცილო არაა მასთან გატოქება!., „კი, მაგრამ განა შეუძლია ჩემი შეყვარება? მერე როგორ ვყვარებივართ! მერე, მე განა მოხუცი ვარ?—ეკითხებოდა თავის-თავს.—მე ხომ არავინ—ნატაშაც კი—არ მდომებია ასე..." და უეცრად მოაგონდება, რომ ნატაშას იგი შემთხვევით შეეყარა—საგაზაფხულო საერთო გუშაგობაზე, რომ დაორსულებამდე ფიქრადაც კი არ ჰქონია მასთან ცხოვრება და, მიუხედავად ამისა, მისდამი იყო რაღაც ისეთი, რაც ლიუბას მიმართ არ არსებობს: რაღაცნაირი განსაკუთრებული სიწმინდე და სინაზე.

ოთახის ჰაერი გამჭვირვალე და რუხი შეიქნა. მაგრამ სანამ ყვითელი და სისხამი დილა არ დამწიფდა, სანამ ქუჩაში ტრამვაის პირველი მკაფიო წკრიალი არ გაისმა, შოროხოვი სულ ჰფიქრობდა და ფიქრობდა, თითქოს გზაჯვარედინიდან ერთ გზას დასდგომია, მაგრამ მიმხვდარა, რომ ნამდვილ გზას ას-

ცდენია, კვლავ უკან დაბრუნებულა და ახალ გზას ეძებსო... ერთ-ერთ ამ უნაყოფო მოღვაწეობას ბოლო მოღებოდა, მან გადასწყვიტა ადგომა და გარეულ გასვლა.

თითის წვეროებზე მიდიოდა, რომ ლიუბა არ გაეღვიძებინა, და სანამ წავიდოდა, ერთი გადახედა მას. ქალი ბალიშს მოხვეოდა, ოდნავ მუცელს დასწოლოდა, ფეხი მუხლში მოეხარა და საღი სიამით ეძინა, და ვაკი ხედავდა უბრალოდ ჩამოქნილს, თითქმის ბავშურ ცხვირსა და სწორი თმების ნახვევებს წამოწითლებულ ყურზე. თვითონ კი მოთენთილი და თითქოს ნაღეჭი იყო და განცვიფრებული უცქერდა ამ უბრალო გოგონას და არც კი სჯეროდა, რომ იგია სწორედ ის მიმზიდველი და მრისხანე, ვინც მთელი ღამე სტანჯავდა მას.

თავი მეოთხე

5

წასვლისას სტეფან გრიგორიჩმა კარი მიიბრახუნა და ლიუბამ თვალი გაახილა. მან ვერ გამოიძინა, მაგრამ რაკი გარშემო წუხანდელი ლხინის ნაგავი და არეულობა იყო, ძილი ერთბაშად გაუქრა. ის მოძველებული რუხი კაბა, რომელიც მან ახლა გადაიცვა, თითქოს დიასახლისურ მზრუნველობას ჰფარავდა თავის რბილ ნაოჭებში,—და აი იგიც წრიპინით ხეხავს ჭიქებსა და სულ იმაზე ჰფიქრობს, რა მოხდა წუხელის მასსა და ვალოდიას შორის, როცა ისინი მიძინებულ ქალაქში დადიოდენ, რომელსაც გაზაფხულის ნესტიანი და თბილი ქარი დაჰფოფინებდა. ლიუბას გაახსენდა მისი მოქნილი და მტკიცე ტუჩების გამაღიზიანებელი გემოვნება და ღიმმორეულს ჭურჭლის საწმენდიანი ხელი უნებურად გაუჩერდა.

ლიუბამ პირველად ნახა იგი შარშანდელ საგაზაფხულო ფეხბურთის შეჯიბრებაზე. თამაშობა ასპარეზის თავში სწარმოებდა და ლიუბამაც ამით ისარგებლა, რათა მეგობარ ქალთან გადაერბინა ასპარეზის მეორე მხარეს. უეცრად ასტყდა ყიჟინა და, თითქოს ქარმა შეარხიაო, ხმაურობა უფრო გაძლიერდა: ბურთი ხტუნვით მოგორავდა მის მხარეს და მოთამაშეთა ჭრელი და ახმაურებული ცენტრიც მას მოსდევდა, ხოლო ყველაზე წინ მოჰქროდა ვალოდია, რომელიც ბურთს ეწეოდა და თითქოს თავის ლტოლვას უზიარებდა მას, რაკი არ იცოდა, რა ექნა, ლიუბა შესდგა, ვაკმა თვალი შეავლო ქალს და, თუმცა მის ცქერაში ქალის მოწონების ნაპერწკალმა იელვა, მაგრამ მაინც ბურთსა ჰკრა და განზე გააგდო, და იმ წუთს, როცა მობურთავეთა გაალმასებული სრბოლა იქით მიიქცა, ვალოდიამ მეორე ფეხის შემოკვრით უკვე გამოიტაცა ბურთი და ლიუბას გვერდით გაატარა იგი სამიოდე ნაბიჯზე. ქალმა სულ ახლოს დაინახა მისი გაოფლიანებული საფეთქლები, სხეულს ნიავივით დაჰქროლა სირბილით გახურებული ტანის ცხუნარე ძალამ და ვაკმა მაინც კვლავ წუთით მოავლო ნაზი და გაუმაძღარი თვალი; ბურთი კი უკვე ცარიელ მინდორზე მიგორავდა პირდაპირ მოწინააღმდეგის კარებისკენ, რომლის წინაც დაუცველი გოლკიბერი დაწრიალებდა.

შემდეგ ლიუბამ ბევრი რამ გაიგო მის შესახებ სხვებისა და თვით მისგანაც. გაიგო, რომ იგი უკვე ათავებს ინსტიტუტსა და რომ პარტიაში იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვრამეტი წლიდანაა... მაგრამ ეს ცოდნა ადვილდასავიწყებელი ... ...

მთავარი, რასაც ვალოდიაში წინად ასე აფასებდა, ახლა ერთბაშად რაჰქრა, იგი უცხო და საშიში შეიქნა, და ქალის ფართო ოქროვან წარბებს შუა ნაოჭი ჩაწვა და მანამდე არ გამქრალა, სანამ ბავშები არ დაბრუნდნენ შნიარულნი, მოყიკინენი იმის გამო, რომ ღამე სხვაგან გაათიეს. და მან განსაკუთრებული სინაზით დაჰკოცნა ორივე. მძაფრად—თავდამცველ ფიქრთა შემდგომ ქალმა სიხარულით იგრძნო თავისი თავი თბილი ყოველდღიურობის მშობლიურ სამყაროში.

ბორია უკვე ჩაიდანს მიაჩხაკუნებდა მდულრის მოსატანად, რომ მეორე კარი გაიღო და ლიუბამ სტეფან გრიგორიჩი დაინახა.

— აი... მე მეგონა, გეძინა. შენ კი ჩემზე ადრე რათ ამდგარხარ? და რაღაც კარგათ ვერა ხარ დღეს...

უთხრა მან ალერსითა და შეშფოთებით, როცა შენიშნა ნაოჭებიც, თვალებს ქვემოდ რომ დასჩნეოდა, უპეებისა და ცხვირის ავადმყოფური სიწითლეც და თითქოს ჩაცვივნული, დამაჭიკებული, მოჭაღარო ჯაგრით დაფარული ლოყებიც.

— მე კი ცოტა გავიარ-გამოვიარე... დილის ჰაერზე.

და რაღაც უცნაურად, თითქოს ზერელედ შეავლო თვალი და თავის ოთახში წავიდა.

ლიუბა შიშით უცქერდა მიხურულ კარს. „იქნებ გუშინდელი საღამოს გამო მიჯავრდება“?.. მაგრამ ეს როდი სჩვევია მას. „ალბად დაიქანცა—ერთი საღამოც ხომ შინ არ არის ხოლმე“. მზრუნველობით აქნევდა თავს და სუფრაზე საჩაიე ჭურჭელს აწყობდა. ოთახში ბრახუნით შემოიჭრა ბორია, რომელსაც აორთქლებული ჩაიდანი ეჭირა ხელში, და ლიუბამ, მიაცაცხანა, თანაც უკმაყოფილოდ ჰფიქრობდა: „მე კი სულელმა, ვიპოვე რაღა დრო საღამოების გასამართავად“!..

მსახურმა აშიშხინებული ძეხვიანი ერბო-კვერცხი შემოიტანა.

ლიუბა დახურულ კართან მივიდა, დააკაკუნა და ალერსითა და ოდნავ დარცხვენილ-ით დაუძახა:

— სტიოპა, მოდი, საუზმე მზადაა.

შემოვიდა, შეხედა ქალის სახეს, და გაკვირვებულმა ლიუბამ შეამჩნია, რომ მან უცნაურად წაჭუტული თვალები მოარიდა და მისი შავგვრემანი ლოყაც რაღაცნაირად გაკრთა.

— მამა, შენ ავადა ხარ?

ჰკითხა ბორიამ და წარბი შეიკრა ისე, როგორც ლიუბამ.

ყველა სდუმდა. ვალია ადგა და ფუნთუშა ლოყა დაადო სტეპან გრიგორიჩის ფართო ხელს.

— რას ამბობთ ბიჭუნებო?—ყრუდ მიუგო სტეპან გრიგორიჩმა და ხელი მოუცაცუნა ვალიკოს ფუნთუშასა და ცივ ლოყაზე—კარგადა ვარ, მხოლოდ წუხელის მუშაობა მომიხდა... და მშია კიდეც.—სუფრას მიუჯდა და უკვე მხიარულად დაუნატა:—ნეპის მორიგი მიღწევა—ძეხვიანი ტაფამწვარი! შენ კი ე ლურჯი ლაქა რათა გაქვს შუბლზე, ბორია? ან იქნება ეგ პიონერებისთვის კაკარდის მაგიერია?

ბორია ხმამაღლა უამბობდა საიდანაა ლაქა; ლიუბა სიცილით ირიგებდა ჩაის, ჩაიდანს მხიარული ორთქლი სდიოდა, აჩხაკუნდა დანა-ჩანგალი. ეს იყო დილის ჩვეულებრივი საამო ჩაი,—ყველაზე უფრო მხიარული დრო ამ ოჯახში, სადაც ყველა ადრე შორდებოდა ერთი-მორეს, საღამოობით გვიან იკრიბებოდა და ძვირად სადილობდა ერთსადაიმავე დროს.

მხიარულ მასლაათში ლიუბა თვალს არ აშორებდა სტეპან გრიგორიჩს, და, როცა მსახურმა ჭურჭელი აალაგა, ბორისმაც წვრილს შავგვრებან კისერზე წითელი გალსტუკი გაისკვნა და წავიდა, ხოლო ვალკა ოთხკუთხედების თამაშში ჩაება იატაკზე, ქალი მივიდა მასთან, თვისი რბილი და თბილი ხელი მის დიდსა და ცივ ხელს დაადო და უთხრა:

— ძია სტეპ...—და ალერსიანი სინაზე და მზრუნველობა ათრთოლებდა მის ხმას (ვალკამაც კი შეამჩნია).—შენ ხომ ავადა ხარ, ძია სტეპ! ადე და ერთი ორიოდე კვირით დასასვენებელ სახლში წადი, ა? ასე როგორ შეიძლება?

იგი იჯდა, ქალი მის ახლოს იდგა, და მან, თითქოს რისამე თქმა სურსო, ქვემოდ ახედა. და როცა ქალმა ამ, ჩვეულებრივად მხიარულსა და მამაც თვალებში ჩახედა, იგი ერთბაშად განაცვიფრა მათმა განსაკუთრებულმა, ტანჯულმა და ნაღვლიანმა გამომეტყველებამ. ასე ეგონა, იგი რაღაცას სიბრალულით ითხოვს და ითხოვს სწორედ ჩემგანო. ქალს ვერ გაეგო ეს გამომეტყველება, მაგრამ მან უეცრად ააღელვა იგი და, თვითონაც არ იცოდა რატომ, დაიხარა და მისი თავის მოჭაღარო, მოულოდნელად რბილი ჯაგარი დაჰკოცნა, დაჰკოცნა და მყის დაიწივლა—ისე მძლავრად ჩაბღუჯა მან ქალის ხელი, შემდეგ უცნაურად აქვითინდა, სწრაფად წამოდგა და თავის ოთახში გასწია.

„რა კარგი, საყვარელი და მშვენიერია!.. მეტად, მეტად ახლობელი"!..—დაულაგებლად ჰფიქრობდა ლიუბა და უეცრად იგრძნო, რომ თვალები ცხელი სითხით ევსება.

ქალი ბუნდოვანად ჰგრძნობდა, რომ იმაში, რაც წელან მას და სტეპან გრიგორიჩის შორის მოხდა და რამაც წუთით დაარღვია მათი ურთიერთობის ყოველდღიურობა, არის რაღაც ისეთი, რაც მას შიშით აგონებს დილინდელ ფიქრებს ვალოდიას შესახებ, და იგი ფანჯარისკენ მიბრუნდა და წყნარად ატირდა. ეგონა, რომ სტეპან გრიგორიჩისადმი სიყვარულითა და სიბრალულით ვტირიო, და ეს ფიქრი საამო იყო.

6

სტეპან გრიგორიჩი თავის სამუშაო კაბინეტში შევიდა. ვიღაც ბრგე კაცი, სამხედრო მწვანე კოსტიუმით, ეიდნუნენის მაგიდასთან იჯდა და წყნარად და თითქოს უმიზნოდ ალაგებდა საწერ მოწყობილებას. ამ კაცის გაპარსული სახე სიმშვიდისა და უბედობის გამომხატველი იყო.

— ...მე კი არ ვიცი,—ძალიან ნელა ამბობდა ეს კაცი,—არა, მე, რა თქმა უნდა მეგონა, რომ ის ქალი მასთან არ სცხოვრობს-მეთქი. ის კურსანტია. მუდამ აღრიცხული... მოგეხსენებათ, სამხედრო სკოლა.

— მაშასადამე, თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ ქალი არ გღალატობდათ? მერე რათ-ღა ესროლეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად მიახალა ეიდნუნენმა და წერა შესწყვიტა.

„ეს, ალბად, სოლოვიოვია, ცოლს რომ ესროლა“.

მიხვდა შოროხოვი და ბუნდოვანად მოაგონდა ეიდნუნენი—მეგობარ ნაბობი რაღაც.

სოლოვიოვმა დუმილის შემდეგ მიუგო:

— მთელი დღეობით ვერ ვხედავდი. მხოლოდ ღამით მესმოდა ხოლმე მისი ქშენა... ჰო და, აი...

ყოველ სიტყვაზე ახველებდა, თითქოს მათი წარმოთქმა ეძნელებაო. შოროხოვმა სწრაფად შეავლო თვალი და დაინახა, რომ იგი წინანდებურად, შუბლ-მოჭმუხვნილი ანძრევდა საწერი მაგიდის მოწყობილებას; და შოროხოვი მიხვდა, რომ სოლოვიოვი სცდილობდა რაღაცნაირი სიმეტრიული განწყობა მოეძებნა მათთვის მაგიდაზე. ეიდნუნენი სოლოვიოვს არ უცქერდა და გამალებული სწერდა. შოროხოვს მოაგონდა გუშინდელი ბაასი ეიდნუნენთან, გაახსენდა აგრეთვე მისი ხმის კმაყოფილი ინტონაციები და გაეცინა, ამავე დროს კი რაღაც უცნაური, წინედ განუცდელი მტრობა იგრძნო მისდამი.

— წინედ კი, იყო რაიმე გაუგებრობა თქვენსა და ცოლს შუა?

ჰკითხა ეიდნუნენმა.

— არა,—უპასუხა სოლოვიოვმა:—ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრებდით.

და, როცა ეიდნუნენის სახეს გაკვირვება შეამჩნია, მან დაუმატა:

— როცა ერთმანეთს შევეყარეთ, მე ვუთხარი: „ლიზა, იცოდე, რომ მე როგორც კომუნისტი, იჭვნეული არ ვიქნები, და შენ სრულიად თავისუფალი ხარ ცხოვრებაში!“ და ასეც იყო მუდამ!

შოროხოვმა მის ხმაში რაღაც ამაყი აღფრთოვანების ნაშუქი გამოიცნო, რომელიც ახლა უკვე გამქრალიყო.

— მაშინ რაღად ესროლეთ?

გაჯავრებით ჰკითხა ეიდნუნენმა.

— მე უკვე გითხარით, ამხანაგო, რომ ვეღარ მოვითმინე.

— ეს რა თქმა არის „ვეღარ მოვითმინე?“ ამბობდა გაბრაზებული ეიდნუნენი.—იქნებ თქვენ ანტისაზოგადოებრივი ელემენტი ხართ და წინედაც გამოგიჩენიათ ასეთი რამ? მაგრამ არა,—თქვენ წითელი არმიის კომისარი ხართ, დისციპლინის მქონე, მტკიცე. იქნებ თქვენ იხრწნებით ყოფა-ცხოვრების მხრით, მაშინ როცა სამუშეაოში კარგი კომუნისტი ხართ?—ასეთი ვარიანტი შესაძლებელია. ხოლო რაც თქვენი ცოლის ურთიერთობის შესახებ ილაპარაკეთ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს იდეალურ კომუნისტური ურთიერთობაა... უკეთუ ეს, რა თქმა უნდა, მართალია.

— მე სიმართლე ვთქვი!—სოლოვიოვმა, ალბად, იწყინა და ხელი მოარიდა საწერ მოწყობილებას.—ვიცი, სადაცა ვარ.

ქუჩაში საბარგოები ხრაგუნებდა. ეიდნუნენი და სოლოვიოვი ნაწყენად და გაუგებრად უცქერდენ ერთმანეთს. და შოროხოვმა უეცრად წარმოიდგინა, რომ ჩვენებას ართმევს სოლოვიოვი, ხოლო ცოლს კი ეიდნუნენმა ესროლაო.

„და ყველაფერი სწორედ ასევე იქნებოდა... ისინი ასევე განაწყენდებოდენ ერთმანეთისგან“... — გაიფიქრა შოროხოვმა. მერე დაამთქნარა და მოკუმულებული თვალები ამოიწმინდა.

ეიდნუნენმა მხრები აიჩეჩა და სოლოვიოვს ჩვენების ქაღალდი გაუწოდა.

წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ.

უთხრა მან და თანაგრძნობის ძებნაში სიბრალულის თვალი შოროხოვს მიაპყრო.

სოლოვიოვმა ხელი მოაწერა და წავიდა.

— აი, — სთქვა ეიდნუნენმა: — გაიგონე? ორ წელს ერთად უცხოვრიათ. ორივეს ჩვენებით — არც ერთი ჩხუბი. ხომ გაიგონე, როგორ ლაპარაკობდა თავის ყოფაზე? და უეცრად სულელური ეჭვიანობა — ტკაც! — ესროლა... მერე სად? პარადის შემდეგ სამხედრო სკოლის ლხინზე, ეგ ხომ სამხედრო კომისარია, იგი კი — ფრანგული ენის მასწავლებელი. კარგია, რომ არავის მოხვდა... მაგრამ საზოგადოებრივი ეფექტი! და რას ნიშნავს — „ველარ მოვითმინეო“? არ მესმის.

— რაღა არ გესმის?

გაჯავრებით ჰკითხა შოროხოვმა.

— მე მგონია, აქ რაღაც იმალება... — იდუმალად უთხრა ეიდნუნენმა. — იგინი რაღაცაზე სდუმან, ორივენი! ხომ არ შეიძლება, რომ ასეთი ნამდვილი კომუნისტური ურთიერთობიდან უეცრად ამნაირი ექსცესი აღმოცენდეს!

— როგორი „ნამდვილი კომუნისტური“ ურთიერთობა? — ჰკითხა შოროხოვმა, წარბი შეიკრა და ხელი საფეთქელს მიიდო. — ისა, რომ ეგ კაცი სდუმდა და მუნჯად სწამებდა, ვინ იცის, რას იმის მაგიერ, რომ სულ უბრალოდ ეკითხნა, სად და ვისთან დაიარებოდა?

გაცხარებით წამოიძახა მან და მყის გაახსენდა, როგორ ალაგებდა სოლოვიოვი საწერ ხელსაწყოებს.

„ასე რამ გამაცხარა?“ — შინაგნურად შეაყენა თავი და ამ გაცხარებაში წუხანდელი და შფოთიანი რაღაცას გამოხმობა იგრძნო.

— შენ ხლართავ ყოველივე ამას! — თვალის ფახუნით სთქვა ეიდნუნენმა. — რასაც შენ აბობ, ეგ ინდივიდუალური ფსიქოლოგიაა. მე კი უნდა გითხრა, რომ ამით ჰაერია ახლა გაჟღენთილი — ჩვენი პარტიულების ამ სასიყვარულო ისტორიებით! საჭიროა რაიმე მტკიცე მორალური დებულებანი მოიძებნოს.

ამბობდა იგი და რიტმიულად ირხეოდა; სტეპან გრიგორიჩიც მტკივნეული დაჟინებით მიშტერებოდა მას და უსმენდა მისი ხმის თანაბარ კილოს.

მან უკვე კარგა ხანია იცოდა ეიდნუნენის ეს აზრები. მას ეს აზრები ისე ესმოდა, რომ ეიდნუნენს რაღაც ზოგადი სისტემა უნდა, რადგან ეშინია, თუ ასეთი სისტემა არ ექნა, მაშინ იგი თითოეულის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას უნდა ჩაუკვირდეს, იძულებული გახდება ყველა გაამართლოს და ველარავის დასჯისო.

გარეგნულად აზრთა ამ სისტემას სისწორის ყოველი უპირატესობა გააჩნდა. მაგრამ პრაქტიკულად შოროხოვისთვის მას არაოდეს არაფერი აუხსნია. შოროხოვს თავისთვის არავითარი სისტემა არ შეუმუშავნია. იგი მუდამ იმას სცდი-

ლობდა, რომ ადამიანურად და გაგებით შესულიყო იმის მდგომარეობაში, ვისაც ასამართლებდა. მას შეეძლო ყოველი დანაშაული გაეგო, თავისი თვალსაზრისზე დადგებოდა, და სწორედ ამიტომაც შეეძლო [illegible] და შეუმცდარად გაესამართლებინა ეს დანაშაული თავისი თვალსაზრისის მიხედვით და როცა სჯიდა, ამას რწმენითა და გაბედულად სჩადიოდა, რადგან მას თავისი თავი არ ახსოვდა და არც იმაზე ჰფიქრობდა, როგორ და რატომ გამოდის ისე, რომ მის მოქმედებაში პარტიული სამართლიანობა ხორციელდება.

იგი დასცინოდა ეიდნუნენს, რომელიც ეთიკის სფეროში თეორეტიული დებულებებით, ყოფის პრობლემებით იყო გატაცებული. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ ეიდნუნენისეული დამახასიათებელი თეორია, იმისთვის შექმნილი, რომ სოლოვიოვის საქმე აეხსნა და რომელიც მან, ცხადია, ვერ ახსნა, მთელი თავისი უმართლობით ეხებოდა თვით სტეპან გრიგორიჩს, იმას, რაც მასა და ლიუბას შუა ხდებოდა, და შოროხოვს აღარ შეეძლო სოლოვიოვის საქმეს ჩაჰკვირვებოდა იმიტომ, რომ არ შეეძლო თავისი თავის დავიწყება და ეს აორებდა მას: მისი ერთი ნახევარი ასამართლებდა, მეორე—გასასამართლებელი იყო და ველარც სოლოვიოვის დასჯა გამოდიოდა.

კარი გაიღო. ოთახში წყნარად და სუბუქად შემოვიდა ვინმე შაველა ბიჭი, რომელსაც ხამი ტილოს საზაფხულო საცმელი ეცვა. ხელში გაშლილი წიგნაკი ეჭირა—ალბად, სიარულში კითხულობდა. ეს იყო უკეთესი პარტიულთა იმ ჯგუფიდან, რომელთაც ც. კ., შოროხოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციის თანახმად, ახლა თურქისტანში ჰგზავნიდა.

— ა, გორლინ!..— სიხარულით წამოიძახა შოროხოვმა და რაღაც სიმჩატე იგრძნო, რომ შინაგან სამყაროს დახლართულ და ბუნდოვან სფეროდან სამუშაოს მომქმედ სამყაროში გადავიდა.—აბა, დაჯექ... დაჯექ!..

გორლინმა რბილად და მტკიცედ ჩამოართვა ხელი სტეპან გრიგორიჩს დაჯდა და ფეხი-ფეხზე შემოიდგა.

— ემანუილ ენჩმენისაა,—სთქვა და წიგნაკს მიუთითა.—ძალიან მავნე, გამმარტივებელი და ფსევდო-მეცნიერული მწვალებლობაა. თუმცა ჩვენს სვერდლოვსკში ზოგიერთი გატაცებულია ამით. ამჟამად ვებრძვით, გადაჭრით ვებრძვით ყოველივე ამას!

გორლინის მთელი შესახედაობა—მისი სიგამხდრე, მოყვანილობა, შავგვრემანობა, მისი ამაყი და ფართო შუბლი, შავად-შეღერებული, სახის გამგრძელებელი ნიკაპი და ქვედა ჩარბი, რომელიც წინ იყო ოდნავ წამოწეული და რაღაცნაირ თვითნებობის გამომეტყველებას აძლევდა მას,—ყოველივე ეს მოსწონდა სტეპან გრიგორიჩს და იგი მშვიდდებოდა ხოლმე, როცა მისი ხმის რბილად აღმატებულსა და დამაჯერებელ ინტონაციას, რასაც იგი მაგიდაზე თითების ოდნავ მოძრაობას აყოლებდა ხოლმე.

„დიახ, ეს ბოლშევიკია, ნამდვილი ბოლშევიკი!—გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა და თვითოხაც ვერ შეამჩნია, რომ ამ აზრის აღფრთოვანებული ელფერი მისთვის უცნაური და უჩვეულოა.—ჰო, იქ ეგ გამოდგება, ძალიან გამოდგება!..“

— მაშ, მიდიხარ, ეგ არის, ა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა შოროხოვმა და ამ სიტყვებით დაადასტურა თვისი არჩევნის სისწორე.

— საკითხი გადაჭრილია!—ნათლად და გარკვევით შეუგო გორლინმა.—ინსტრუქციებისთვის შემოვიარე.

— რა ინსტრუქციები...—შოროხოვმა ენჩმენის წიგნაკი აიღო და გააქნ-გამოაქნია.—აი ეს მხლართველი ბალღია იმ ქადაგებებთან შედარებით, რასაც იქ გაიგონებ... რას არ ხლართავენ იქ მარქსიზმში!..

— არაფერია, ჩვენ გამოვხსნით! ახლა ისე საჭიროა მარქსიზმის სიწმინდისთვის ბრძოლა, როგორც არაოდეს!

გორლინმა რომ ესა სთქვა, მისი სახე აღმაფრენითა და კდემით გაალისფერდა. შოროხოვმა რატომღაც თავისთვის გაიმეორა ყოველივე ეს, თითქოს მისი შემოწმება სურსო. მაგრამ ყველაფერი კარგად იყო ნათქვამი. ეს სიტყვები მართალი სიტყვები იყო, სწორედ საჭირო იქ, სადაც გორლინი მიდიოდა.

— ჰო და, ძალიან კარგი!..—კმაყოფილებით სთქვა შოროხოვმა და ისევ გორლინის სიყვარულობაში ჩავარდა.—როგორც მიხვიდე, მაშინვე მოსძებნე კომკავშირის საოლქო კომიტეტში ჩემი ქალი ოლღა... მაგრამ იმისთვის კი არა, რომ მამილოსგან მოსაკითხი გადასცე,—დაუმატა მან სიცილით, როცა გორლინის გაკვირვებულს, რუხ-ნათელ თვალს შეეყარა.—ყოველივე ეს მისი წერილით დაიწყო... ნეტავ, რა იქნა?

მაგრამ წერილი მაგიდაზე აღარ იყო, არც ჯიბეში. ეიდნუნენმა ქაღალდებიდან თავი ასწია და მძრახველად დაიწლუკუნა, რაც ნიშნავდა: „რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ საჭიროა მაგიდაზე წესი იყოს-მეთქი“. შოროხოვმა მისკენ ხელი ჩაიქნია და დარცხვენით შეხედა გორლინს; ეს კი ფანქრით რაღაცას ნიშნავდა წიგნაკის არეებზე და მისი აწეული შავი წარბების მძრახველი გაკვირვება და თავის მტუქსველი გაქნევა აშკარად ემანუილ ენჩმენს ეკუთვნოდა.

— გამიგონე ერთი, ამხანაგო გორლინ!—უკმაყოფილოდ უთხრა შოროხოვმა, რადგან გორლინი ჩამოშორდა მასთან ბაასს,—რასაც გეუბნები, ყველაფერი გამოგადგება თურქისტანში.

გორლინმა თვალი მოაშორა წიგნსა და სტეპან გრიგორიჩმა თანდათანის გახურებით დაიწყო ლაპარაკი. იმ შეშფოთებულ და მომქმედ ყურადღებას, რასაც იგი ან ნაყოფიერი და ღარიბი, მრავალი საუკუნის განმავლობაში ბრმა და სტიქიური ყოფით მცხოვრებ ქვეყნისადმი იჩენდა, შეიძლებოდა სიყვარულიც დარქმეოდა და სიძულვილიც; და ამჟამად, როცა იგი აწეული იყო უძილო ღამითა და საფეთქლებში პულსის ცემას ჰგრძნობდა, სტეპან გრიგორიჩი განსაკუთრებულის ენებით სცდილობდა გადაეცა გორლინისთვის თავის მიერ ამ ქვეყნის შეცნობა. გორლინი რამდენიმედ გულჩახმობილი უსმენდა და როდი ეხმაურებოდა შოროხოვის სიცხარეს. მაგრამ იწერდა იმათ გვარსა და სახელს, ვისაც შოროხოვი იხსენიებდა, და მის გაცხარებულ ლაპარაკს რამდენიმე ისეთი სიტყვა ჩაურთო, რომლებიც იმისი მაჩვენებელი იყო, რომ გორლინი უკვე ეცნობოდა იმ წიგნებს, წერილებსა და მასალას, რაც წინედ დაუსახელა მას სტეპან გრიგორიჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეთხოვენ ერთმანეთსა და გორლინი წავიდა, ხოლო ზღვუბლიდანვე კვლავ წიგნაკის კითხვა დაიწყო.

„ალბად, გზაშიც სულ ასე იკითხავს!..“

ალერსით გაიფიქრა შოროხოვმა, როცა გორლინი რონოდის ზემო თაროზე და მოჯაყჯაყე ურემში წიგნზე დახრილი წარმოიდგინა.

— კარგი ბიჭია!—მიმართა სტეპან გრიგორიჩმა ეიდნუნენს.—თეორეტიულად დაჭედილია — ერთი! მტკიცეა—მეორე! ნახე, როგორ ლაპარაკობს ამ ენჩმენის შესახებ! და, დასასრულ, მესამეც—მშვიდი და მდუმარეა. აი მე, თუმცა მიყვარს მასლაათი, მაგრამ მდუმარეს პატივსა ვცემ.

— დიახ,—მიუგო ეიდნუნენმა.—საუცხოო ამხანაგია და ნაცადი კომუნისტი. საამო სანახავია სწორედ!

შოროხოვი მოიღრუბლა: ეიდნუნენის ხმამ ერთბაშად გადაიყვანა იგი იმ წუხანდელი, ჯერ კიდევ მოუსრულებელი აზრების სამყაროში, რომლებშიც ეიდნუნენის ეს ინტონაციებიც იღებენ მონაწილეობას. „რაღა მიშლის ხელს, რომ ლიუბა ცოლად შევირთო?“—კვლავ კითხულობდა იგი და თავის წინაშე ედავდ ა მას.

თარ. არ. ჭ — ძის.

გაგრძელება შენდეგ ნომერში.

კრიზისი მეცნიერებაში
ეუბნებიანური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. ბოკრდელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორგანიული მიმართულება სოციოლოგიაში

სოციოლოგიურ მიმართულებათა შორის ორგანიულ სკოლას უსათუოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის არის ნატურალისტური მიმართულების ერთ-ერთი სახეობა და უკვე ამ გარემოებით როგორც მთლიანად, ისე თავისი ნაწილებით, ის ყოველთვის იყო მექანიკური. ჰერბარტ სპენსერი არის ამ მიმართულების მესიტყვე სოციოლოგიაში და ამასთან ერთად ის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნეთაგანია მე-XIX საუკუნეში. სპენსერს ახასიათებს არა მარტო შორსმჭვრეტელობა და ფართო ჰორიზონტი, არამედ კიდევ უფრო მეტად დიდი ცოდნა და ჩახედულობა მეცნიერული აზრის იმ დროინდელ განვითარებაში; ამ მხრივ ის უსათუოდ მთელი თავით მაღლა იდგა ბევრ თავის თანამედროვეზე და ძალიან მცირე იყო იმათი რიცხვი, ვისაც სპენსერი ჩამოუვარდებოდა. სპენსერს ქებით იხსენიებდენ ისეთი გამოჩენილი მოაზროვნენი, როგორიც იყო ჩარლზ დარვინი, ჰექსლი, ჯონ სტიუარტ მილი და სხვ. დარვინი უწოდებს მას „უდიდეს ინგლისელ ფილოსოფოს ცოცხლებს შორის, ის კი არა, თანატოლს ყველა ადრინდელი დიდი ინგლისელი ფილოსოფოსისა.“ ჰექსლი ფიქრობდა, რომ „ერთად ერთი მეთოდიურად სრული დალაგება განვითარების თეორიისა მან იპოვნა ჰერბარტ სპენსერის ფილოსოფიურ სისტემაში. ინტერესს მოკლებული არც იმ გარემოების გახსენებაა, რომ კარლ მარქსმა საჭიროდ დაინახა სპენსერისათვის გაეგზავნა „კაპიტალის“ ერთი ეკზემპლიარი. ეს წიგნი, რასაკვირველია, გაუჭრელი დარჩა სპენსერს ამ გაუსწორებელ ემპირისტს და კონსერვატორს პოლიტიკური ცხვრების საკითხებში, ასეთი წიგნების საკითხავად, ცხადია, რომ არ ეცალა.

საერთო ყურადღება სპენსერმა, რასაკვირველია, არა მარტო ფართო და ყოველმხრივი განათლებით მიიპყრო, არამედ უმთავრესად იმით, რომ მან შეჰქმნა ე. წ. ევოლიუციის თეორია. მისი შრომის ძირითადი ნაწილი განვითარების იდეიის დასაბუთებისათვის არის მიძღვნილი. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ევოლიუციის თეორია სპენსერისათვის იყო ის გზის მაჩვენებელი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ყველა მოვლენის ახსნა-განმარტების დროს; საზოგადოებრივი მოვლენები, რასაკვირველია, გამონაკლისის საგანს არ შეადგენდენ. მიუხედავათ იმისა, რომ ამ წერილებში ჩვენ სპენსერს ვიხილავთ, როგორც სოციოლოგს, მაინც შეუძლებელია მისი ევოლიუციონური თეორიის მხედველობიდან გაშვება. სპენსერის საზოგადოების ორგანიული თეორია განუყოფელია მისი ევოლიუციონური თეორიისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპენსერის სოციოლოგიური შეხედულებანი და მასთან ერთად მეორე ორგანიული მიმართულება სოციოლოგიაში დღეს თვალსაჩინო ყურადღებით და პოპულიარობით თვით ბურჟუაზიულ მეცნიერთა ბანაკშიც კი აღარ სარგებლობს. იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლიუციების ეპოქას თანდაჰყვებიან ისეთი მოვლენები, რომლებიც ორგანიული სოციოლოგიის უკანასკნელი აჩრდილის არსებობასაც კი უკანონოდ და შეუძლებლად ხდიან. ორგანიული თეორია გვასწავლიდა, რომ რამდენად რთული და მრავალმხრივია საზოგადოების კლასებად დაყოფა და შრომის განაწილება მასში, იმდენად ნაკლებად შეუძლია საზოგადოებას რაიმე ცვალებადობა განიცადოს, სწორედ ისე, როგორც რთული ცხოველი ორგანიზმში არ უშვებს მოულოდნელ და გარდამტეხ ცვალებადობას თავის აგებულობაში. დღეს ეს თეორია ბრჟუაზიის მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს და ამიტომ ის (ბურჟუაზია) უფრო გამოსაყენებელ და მოსახმარ თეორიებს მიმართავს.

მაგრამ ნათქვამი, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ორგანიული თეორია ჩვენ არ უნდა შევისწავლოთ. ისტორიული მატერიალიზმის მეცნიერული შესწავლისათვის მისი შესწავლა ისევე აუცილებელია, როგორც ყველა სხვა არა მარქსისტული თეორიისა. გარეშე ამისა, სპენსერის შესწავლას თავისი ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. ის ჩვენ გვაჩვენებს, თუ რა სოციალ-ეკონომიური პირობებისა და გარემოების გამო იცვლება ბურჟუაზიული მეცნიერების დამოკიდებულება საზოგადოებრივ მოვლენათა გაგებაზე. მეცნიერული აზრის ამა თუ იმ მოვლენას ჩვენ, უმთავრესად, ვსწავლობთ იმ საზოგადოებრივი ყოფის შესწავლასთან ერთად, რომლებმაც ეს მიმართულება წარმოშვეს. სპენსერის ორგანიული თეორიის შესწავლა ამ მიმართულებითაც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. აქ ჩვენ ვნახავთ, თუ რა ობიექტიური პირობების გამო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროინდელი ბურჟუაზია საზოგადოებას განიხილავდა როგორც ერთგვარ ნაყოფს ადამიანთა შორის დადებული „ხელშეკრულებისა" (ფრანგი განმანათლებლები, ჟან-ჟაკ-რუსსო და სხვ.), ხოლო აგივე ბურჟუაზია მე-XIXსაუკუნის შუა ათეულ წლებში საზოგადოებს ორგანიზმთან აიგივეებს.

სპენსერის შესწავლა სხვა მიმართულებითაც აუცილებელია. ეჭვს გარეშეა, სპენსერის მოძღვრებას დღეს ბევრისათვის ის ინტერესიც აქვს, რომ ბ უ ხ ა რ ი ნ ი ს სოციოლოგიის კონცეპციის მექანისტური საფუძვლების გამოაშკარავებასთან ერთად ნათელი გახდა, თუ როგორ ბუხარინი ბოგდანოვის გზით სპენსერის უნივერსალიზმს და სქოლასტიურ აბსტრაქტობას ეზიარა. სპენსერის მოძღვრების ახლო გაცნობა, განსაკუთრებით მისი ევოლიუციის თეორიის, გვიჩვენებს, რომ ბუხარინი ძალიან ბევრ რაიმეში მისგან არის დამოკიდებული, აბა იმაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია, რომ ბოგდანოვმა სპენსერისაგან უამრავი რამ ისესხა. ბუხარინის თეორია წონასწორობისა თავის გადამწყვეტი ნაწილებით,—მაგ. საკითხში გარემოს დამოკიდებულებისა საზოგადოების განვითარებასთან, თვით განვითარების გაგება როგორც ანტაგონისტურ ძალთა შედეგისა და სხვ. ულაპარაკოთ წარმოადგენს სპენსერის წონასწორობის თეორიის უახლეს გამოცემას. ბუხარინის მოძღვრების ფესვები უსათუოდ სპენსერთან უნდა ვეძიოთ.

ცნობილია, რომ ბუხარინის მსოფლმხედველობას განუყოფელად თან დაჰყვება უნივერსალიზმი, ეკლექტიზმი, სქოლასტიურობა, არანისტორიულობა და აბსტრაქტულობა. ეს ის თვისებებია, რომლებიც სპენსერის მოძღვრების სულსა და გულს შეადგენენ. ლენინი ტყუილად კი არ უსაყვედურებდა ბუხარინს უნივერსალური სქემებით გატაცებას, ისტორიული მოვლენის კონკრეტული ხასიათის დავიწყებას, ე. ი. იმ სპეციფიური კანონების დავიწყებას, რომლებსაც ზოგად კანონებთ ან ერთად და მათ გვერდით თვითეული ისტორიული მოვლენისათვის აქვს გარკვეული ძალა და მოქმედება. ასე მაგალ. ბუხარინის ცნობილი წიგნის „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა"-ის ქვესათაურს: „ტრანსფორმაციული პროცესის ზოგადი თეორია, ლენინმა ამ სპენსერული ტერმინოლოგიით გაკვირვებულმა მიაწერა შემდეგი შენიშვნა: „რაო?? ზოგადათ??, a Slapesner?" (იხ. „ლენინის კრებული" XI. გვ. 348). ლენინის ეს შენიშვნა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ისეთი დღეს დავიწყებული და არქივში გადაცემული ბურჟუაზიული სოციალოგიის შესწავლა, როგორიც ჰერბერტ სპენსერია, თვით თანამედროვეობის თვალსაზრისითაც საჭირო და აუცილებელია.

I საზოგადოების ორგანიული თეორია

ჩვეულებრივად სპენსერის მოძღვრებას,—როგორც ორგანიული სკოლის მეთაურისას—იმ საყოველთაოდ ცნობილი გარემოებით იწყებენ, რომ სპენსერი საზოგადოებას ინდივიდუალურ ორგანიზმს ადარებს, მათ შორის დაგვარ თვისებებს ნახულობს და აქედან გამოყავს კანონები საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უდაოა. მაგრამ საკითხისადმი ასეთი მისვლიდან ის გაურკვეველი რჩება, თუ რატომ სპენსერი დასახელებულ ანალოგიას მიმართავს. სპენსერის მოძღვრებას ბურჟუაზიული ინტერპრეტატორები სავსებით რომაა ვერ ერკვევიან ამ საკითხში. თვით სპენსერი თავისი სოციოლოგიური ნაშრომის პირველსავე გვერდებზე ისეთს მითითებებს იძლევა, რომ მისი მოძღვრების დეტალების სუსტი მცოდნეც კი უნდა გარკვეულიყო იმაში, თუ რა გზით წარიმართება ზემოდ დასახელებული საკითხის გადაწყვეტა. მართლაც და აბა რა დასაშვებია, რომ სპენსერი ერთ მშვენიერს დღეს, ყოველივე წინასწარი პირობისა და გარემოების გარეშე იგივეობის ნიშანს სვამს საზოგადოებასა და ცხოველის ორგანიზმს შორის. მისი მოძღვრების ახლო გაცნობა სულ სხვა რაიმეზე ლაპარაკობს. საზოგადოების ძირითადი საკითხის, ე. ი. მისი კლასობრივი მოტივის მხედველობიდან გაშვებით იწყებს სპენსერი ძიებას და ბევრს წვალობს ზოგადი ჭეშმარიტების აღმოჩენაზე, რომელიც მისი შეხედულობით არის გამოხატულება ყოველივე არსებობისა და არსებულის არსებისა. მთლიანობა მსოფლიო პროცესისა, რომელმაც თავის კერძო გამოვლენაში სპეციფიურობა არ იცის და რომელიც გამოხატავს მატერიის ინტეგრაციის და დეზინტეგრაციის მთლიან უნივერსალურ კანონს—აი ის ჭეშმარიტება, რომელიც მთლიანად ახასიათებს მისი მსოფლმხედველობის ხასიათს.

რა არის სპენსერისათვის საზოგადოებრივი ცხოვრება? სხვა არაფერი, *ვიდრე კოსმოსის ერთ-ერთი ნაწილი, ორგანიული სიცოცხ-*

უშუალო გაგრძელება: ზოგად მოყვანილი ზოგადი კანონებით უნაკლოთ შეიძლება მისი ახსნაც. საზოგადოებრივი ცხოვრება შექმნილია იმ სფერის გრძნობიერ ცვლილებისაგან, რომელიც თავისი სტრუქტურით მასთან ყველაზე უფრო ახლო იყო, ე. ი, ის შექმნილია მსოფლიო პროცესებისგან; განსხვავება ამ პროცესის მაღალ და დაბალ ფორმას შორის თავის ადგილზე რჩება იმის შემდეგაც, როცა მაღალი ფორმის წარმოშობის პროცესი სისრულეშია მოსული. ასე მაგალ. როცა სპენსერი მიუთითებს ისეთს ფაქტებზე, რომლებიც საზოგადოებრიობას გამოხატავენ, მაგრამ ადამიანებს გარდა ბევრ სხვა ცხოველს და მწერს ახასიათებს, სწერს: „უმაღლესი ზეორგანიული განვითარება იმაზე უფრო მაღალი ორგანიული ვითარებიდან არ წარმოსდგება, ვიდრე არის ის, რომელიც სხვადასხვა ფორმით და გამოვლინებით გვხვდება მთელს ცხოველთა ქვეყანაში საერთოდ“.[1])

ის კი არა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სპენსერს შესაფერისი სახელწოდებაც კი არ გამოუნახავს. შემთხვევითი როდია ის, რომ საზოგადოებას სპენსერი ზეორგანიულობას უწოდებს. რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება უბრალო გაგრძელებაა ბიოლოგიური და ორგანიული სიცოცხლის საერთოდ, ამიტომ ძალიან ადვილად შეგვიძლია განვმარტოთ იგი, როგორც ზეორგანიული, ე. ი. ამ უკანასკნელზე ცოტათ მაღლა მდგომი. ვისაც ასეთი შეხედულება აქვს საზოგადოების წარმოშობაზე და მის დამოკიდებულობაზე ორგანიულ სიცოცხლესთან, ცხადია, რომ იგი სპენსერსავით გააიგივებს საზოგადოებას და ინდივიდუალურ ორგანიზმს. აბა რას შეუძლია აქ რაიმე ეჭვი გამოეწვია ერთი კანონზომიერების მეორესთან გაიგივებაში? რასაკვირველია, არაფერს! მაგრამ არა მარტო ამის გამო მიდის სპენსერი დებულებამდე, რომ საზოგადოება და ორგანიზმი ანალოგიური ბუნებისა არის. ამ შეხედულებას ხელი შეუწყო აგრეთვე სპენსერის თავისებურმა შეხედულებამ სოციალოგიაზე საერთოდ და სოციოლოგიის საგანზე კერძოდ. უდაოა ის დებულება, რომ სოციოლოგიის საგნის განმარტების გამოსავალი წერტილი სპენსერს სწორად აქვს აღებული. მისი სამართლიანი შენიშვნის თანახმად სოციოლოგიას შეუძლია მხოლოდ ასეთი მოვლენის შესწავლა, რომელიც ხასიათდება განსაზღვრული მთლიანობით, მყარობით და გარკვეულობით, ე. ი. სოციოლოგიის საგანია მთლიანი ყოფა. მაგ. სახლი გარკვეული საგანი არ იქნებოდა მის ნაწილებ შორის უცვლელი კავშირი რომ არ ყოფილიყო. იგივე ითქმის საზოგადოების მიმართაც. ის გარკვეული სახით იმიტომ არსებობს, რომ მის შემადგენელ ერთეულებს შორის უცვლელი კავშირი არსებობს. ამიტომ არის ის გარკვეული ყოფა და შეიძლება გახდეს საგანი ისეთი მეცნიერებისა როგორიც სოციოლოგია არის. მაგრამ აქ სპენსერი სწორად არჩეულ გზას სტოვებს, აჩქარებული ნაბიჯით ემპირიზმის წუმპეში შედის. მისი თვალსაზრისით, საზოგადოება თუმცაღა დამოუკიდებელ ყოფას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მას დამოუკიდებლად არ შეუძლია იყოს სოციოლოგიის საგანი, ის წინასწარ რომელიმე სხვა საგანთან უნდა იქნას შედარებულ-შეფარდებული.

---

[1]) იხ. Спенсер—„Основания социологии“, ტ. I, გვ. 6. გამოც. 1876 წ.

სოციოლოგია კონკრეტიული მეცნიერებაა და ისე, როგორც სხვა კონკრეტიულ მეცნიერებას თავის საგნად შეუძლია მხოლოდ ისეთი [illegible] ქონდეს, რომლის შესახებ ჩვენ ცნობები გვექნება „ჩვენი გრძნობათა ორგანოების მეშვეობით“, [1]) ე. ი. საზოგადოების არის მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური საგანი შემეცნებული „ჩვენი გრძნობათა ორგანოების მეშვეობით“. ამიტომ, „ღრმა აზროვნად“ შენიშნავს ჩვენი მოაზროვნე, მას არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი საგანი სოციოლოგიისა.

სოციოლოგიამ უნდა შეისწავლოს ის დამოკიდებულებანი, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის დროს მყარდება საზოგადოებრივ აგრეგატებსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. სოციოლოგიისადმი ასეთი მოთხოვნილების წაყენება საკუთარი შეთანხმებული იყო სპენსერის მეთლიანან. წინააღმდეგ კ ო ნ ტ ი ს ა, სოციოლოგიის როგორც ერთი გარკვეული მითიანის შესწავლის დროს იგი ამოდის პიროვნებების თვისებისა და ხასიათის ანალიზიდან, კერძო ერთეულებიდან და არა თვით საზოგადოებრივი მთლიანიდან. ამიტომ საზოგადოების ბუნება მისი გაგებით დამოკიდებულია კერძო პირების თვისებების ცვალებადობისაგან, ამ უკანასკნელთა ცვლილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებისათვის. ამ ცვლილებების მიხედვით მიმდინარეობენ საზოგადოებრივი ინტეგრაციები.

ნათქვამიდან ცხადია, რომ სოციოლოგიის საგნის მნიშვნელოვან მომენტს შეადგენს იმ ु რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს დადგინება, რომელიც საზოგადოებას და პიროვნებას შორის არსებობს. ასეთი ურთიერთობის მუდმივი არსებობა არის აგრეთვე საბუთი იმისა, რომ სოციალური მეცნიერება შესაძლებელი და აუცილებელია... ერთეულების თვისებები—სწერდა სპენსერი—არკვევენ აგრეგატის თვისებებს და გვაძლევენ საშუალებას მივიდეთ საკითხამდე,—არსებობდეს უნდა თუ არა სოციალური მეცნიერება, რომელიც ისეთი თვალნათლიობით გამოხატავდეს მათ შორის არსებულ ურთიერთობას როგორითაც გამოხატულია ბუნება მოვლენებისა. [2])

ამრიგად, ამ ურთიერთობის დადგინება საზოგადოებას და ერთეულებს შორის სპენსერისათვის იყო ის საფუძველი, რომელიც მას აძლევდა უფლებას წარმოედგინა, რომ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ მაშინ იქნება სოციოლოგიის საგანი, თუ წინასწარ იგი (საზოგადოებრივი ცხოვრება) შედარებულ იქნებოდა რომელიმე სხვა მოვლენასთან. საზოგადოების შედარებას რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ინდივიდუალურ საგანთან იმ მიზანს ატარებს, რომ დავრწმუნდეთ საზოგადოების დაგვარობაში რომელიმე ინდივიდუალურ კონკრეტულ საგანთან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია გახდეს სოციოლოგიის შესწავლის საგანი. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები მხოლოდ მაშინ იქნებიან აღმოჩენილი და შესწავლილი, თუ აღმოჩნდება რომ საზოგადოება გავს რომელიმე გარკვეულ საგანს; ე. ი. ისეთს საგანს, რომლის კანონზომიერება ჩვენთვის ცნობილია, და ეს საგანი ჩვენთვისშესამეცნებელია „ჩვენი გრძნობების მე-

[1]) იხ.Основан. социологии. ტ. II, გვ. 498.

[2]) „Социол. как предм. изучения“, გამ. 1896. გვ. 49.

შვეობით". ასეთი კანონზომიერების შესწავლა ჩვენ შეგვიძლია თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, ე. ი. თუ მართლაც ვნახეთ ასეთი საგანი, რომელსაც ეხება საზოგადოების დაგვარი თვისებები, მაშინ ყოველივე დაბრკოლებების გარეშე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ და შევისწავლოთ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები. საჭირო იქნება მხოლოდ მათი უშუალო გამოყენა შესადარებელი საგნისაგან.

რა საგანს უნდა შევადაროთ საზოგადოება? აი ის საკითხი, რომლის გადაწყვეტისაგან დამოკიდებული იყო საზოგადოების განმარტება, გაგება მის კანონზომიერებისა და მისი განვითარებისა. უკვე წინასწარი დებულებები ამზადებდენ ნიადაგს იმისათვის, რომ სპენსერი საზოგადოებას შეადარებდა ცხოველის ინდივიდუალურ ორგანიზმს და არა რომელიმე სხვა საგანს და მოვლენას, როგორც ამას ჩადიოდენ ნატურალისტური სოციოლოგიის სხვა წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ სპენსერი მომზადებული იყო ამისათვის, თუ გავითვალისწინებთ უკვე თქმულს სოციოლოგიაზე და მის საგანზე, აგრეთვე იმასაც, რომ ის გამოდიოდა მსოფლიო პროცესის მექანიკური მთლიანობიდან და ვერ ამჩნევდა სხვადასხვა მოვლენის თვისობრივ სპეციფიურობას, მაშინ გასაგები იქნებოდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას განიხილავდა, როგორც უშუალო გაგრძელებას ორგანიული ცხოვრებისა, სოციალურსა—კი როგორც ბიოლოგიურის უშუალო გაგრძელებას. ეს არის მთავარი. ამის შესახებ ის არა ერთხელ გარკვეულად და ნათლად გამოთქვამს თავის აზრს. „არსებობს აგრეგატების ორი დიდი კლასი—სწერდა იგი—რომლებსაც ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ საზოგადოებრივი აგრეგატი: „კლასი არა ორგანიული და კლასი ორგანიული აგრეგატებისა". „ჩვენ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ—აგრძელებს სპენსერი—რომ საზოგადოების ნაწილების მუდმივი დამოკიდებულება ისეთია, როგორიცაა მუდმივი დამოკიდებულება ცოცხალ არსებათა ნაწილებს შორის".

აი ის გზა, რომლითაც სპენსერი მივიდა აზრამდე გაეტარებია ანალოგია საზოგადოებას და ინდივიდუალურ ცხოველ ორგანიზმს შორის. თვით საზოგადოება განეხილა, როგორც ორგანიზმი და გამოეყვანა აქედან დასკვნები შესახებ საზოგადოებრივი კანონზომიერების დამახასიათებელი თვისებებისა. მეთოდი, რომლითაც ის მივიდა მსოფლიო პროცესების გაგებამდე, არკვევდა საშუალებას და გზას საზოგადოებრივი ცხოვრების გამოკვლევისათვის.

როგორც ვნახეთ, სპენსერი საზოგადოებას ადარებს არა ორგანიულ ცხოვრებას საერთოდ, არამედ მის გარკვეულ კონკრეტულ სახეს, ინდივიდუალურ ორგანიზმს. ამ უკანასკნელს და საზოგადოებას შორის, სპენსერის აზრით, ისეთი საერთო თვისებები არსებობენ, რომლებიც გვაძლევენ საფუძველს განვიხილოთ საზოგადოება, როგორც ორგანიზმი. სპენსერი, რასაკვირველია, უბრალო განმარტებით არ კმაყოფილდება და თავისი აზრების დასამტკიცებლად ძალიან დიდ სამუშაოს აკეთებს. ამ შრომით მას ჩვენ შევყავართ საზოგადოებისა და ცხოველი ორგანიზმის ანალოგიების ლაბირიტში, რომლის საბოლოო დასკვნები საზოგადოებისა და ცხოველი ორგანიზმის სრულ იგივეობამდე მიგვიყვანს. ანალოგია ამ ორ მოვლენას შორის, რომელსაც სპენსერი საგნის სრული შესწავლის და დამახასიათებელი თვისებების ანალიზის გატარებით იძლევა, დღემდე არის კლასიკური

და ყველაზე უფრო თანამიმდევრო. სპენსერს შემდეგ არა ერთხელ ეცადა ორგანიული თეორიის გაფართოება-განვითარება, მაგრამ ამაოდ. მან მიაღწია ვულგარიზაციის და უპრინციპობის მეტი არაფერი მიუმატებიათ მასწავლებლის მოძღვრებისათვის. ამიტომ ვისაც სურს გაეცნოს ორგანიულ მიმართულებას სოციოლოგიაში, მან საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ის, რასაც სპენსერი უწოდებს დამტკიცებას იგივეობისა საზოგადოების კანონზომიერებას ინდივიდუალურ ცხოველი ორგანიზმის კანონზომიერებას შორის.

სპენსერი მიუთითებდა საზოგადოების მთელ რიგს თვისებებს, რომლებიც მისი აზრით, ჰგვანან ცხოველი ორგანიზმის ძირითად თვისებებს. რაში მდგომარეობს ეს საერთო თვისებები? სანამდე ამ რთულს საკითხს საფუძვლიანად განვიხილავდეთ, საჭიროა ჩამოვთვალოთ ნაგულისხმევი თვისებები. საზოგადოება, ისე როგორც ცხოველი ორგანიზმი იზრდება, ამით განსხვავდება ის არა ორგანიული ბუნებისაგან; ზრდას მოკლებული არც ორგანიული ბუნებაა. მაგრამ ორგანიულ ბუნებაში ზრდა ძალიან ნელა და შეუმჩნევლად მიმდინარეობს, ამრიგად ზრდა ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა, რომელიც ახასიათებს ცოცხალ ორგანიზმს და საზოგადოებას და თან იმაში გვარწმუნებს, თუ რატომ საზოგადოება სახელდობრ ცოცხალ ორგანიზმს უნდა შევადაროთ და არა არაორგანიულ ბუნებას. მეორე დამახასიათებელი თვისებაა აგებულობის სირთულე. ზრდასთან ერთად აგებულება რთულდება; და საზოგადოება და ცხოველი ორგამიზმი განიცდიან შინაგანი აგებულების გართულებას და გაღრმავებას. აგებულების გართულება არსებითი მომენტს შეადგენს დიფერენციაციის პროცესი სპენსერი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ამ საკითხს. რამდენად იზრდება და სრულდება საზოგადოებისა და ცხოველი ორგანიზმის ნაწილები, იმდენად დიფერენციაციის პროცესის ზეგავლენის გამო, ეს ნაწილები თავიანთ მოქმედებაში ერთმანეთს შორდებიან და ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციების შესრულებას იწყებენ. დაბოლოს უკანასკნელი საერთო თვისება მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანობა გაცილებით ხანგრძლივი გამოდის, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილები; ზოგ შემთხვევაში კი კერძო ნაწილებს შეუძლია მთლიანობის დაშლის შემდეგაც თვისი სპეციფიური თვისებები შეინარჩუნონ. მაგ. თუ რომელიმე მოულოდნელი კატასტროფის გამო მთლიანობა უეცრად დაიღუპა, მისი შემადგენელი უჯრედები მცირე ხნით არსებობას აგრძელებენ.

ამ საერთო თვისებებთან ერთად სპენსერი მიუთითებს ისეთს თვისებებსაც, რომლებიც გამოხატავენ განსხვავებას საზოგადოებასა და ცხოველ ორგანიზმს შორის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ განსხვავების გამომხატველ მომენტებს სპენსერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მიაკუთვნებდა. ერთ-ერთ ასეთ განსხვავებას სპენსერი იმაში ხედავდა, რომ სოციალური ორგანიზმი ისეთი ნაწილებიდან შედგება, რომლებსაც მთელიდან მობარება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა შეუძლიანთ, ცხოველი ორგანიზმის ნაწილებს კი ეს თვისება არ ახასიათებს. ამ უკანასკნელის ნაწილები ისე შედუღებული არიან ერთმანეთთან, რომ მათ დამოუკიდებელ და კონკრეტიულ ცალკე ყოფნაზე ლაპარაკი ზედმეტია. შემდეგ განსხვავებას სპენსერი იმაში ხედავდა, რომ ცხოველში ცნობიერება ერთ

ცენტრშია თავმოყრილი, ხოლო სოციალურ ორგანიზმში ცნობიერება მოპნეულია მთელ სხეულში, ყველა ერთეულს შორის". ამ განსხვავებაში სპენსერი ხედავდა თავისი შეხედულების გამართლებას იმაზე, თუ რა ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრება. რადგან სოციალურ აგრეგატში ყველა ერთეული ცნობიერებითაა დაჯილდოვებული, ეს იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ყველას შეუძლია სხვადასხვა ემოციების განცდა: ტანჯვა, სიხარული და სხვ. ამიტომ საზოგადოება უნდა არსებობდეს თავისი ერთეულებისათვის და არა პირუკუ. „ყოველთვის უნდა გვახსოვდეს—სწერდა სპენსერი—რომ უდიდესი მოძღვრება პოლიტიკური აგრეგატის კეთილდღეობაზე თავისთავად არაფერი არ არის; ისინი გარკვეულ ღირებულებას მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ, როცა ამ აგრეგატის შემადგენელი ერთეულების მისწრაფებებს გამოხატავენ".[1])

რადგან პიროვნება გამოდის საზოგადოების განსაზღვრულად, ამიტომ საზოგადოებამ თავისი მოქმედება პიროვნების მოთხოვნილებას უნდა შეუფარდოს. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ დასკვნაზე აფუძნებს სპენსერი, როგორც თავის სოციალურ ეთიკას ისე თავის პოლიტიკურ კონცეპციას.

ამრიგად, ეს არის ის, რაც სპენსერს სათქმელი ჰქონდა ინდივიდუალური და სოციალური ორგანიზმის განსხვავებაზე. ამის დასახელების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მთავარზე გადავიდეთ, ე. ი. იმ საერთოზე, რომელიც ინდივიდუალურ და სოციალ ორგანიზმს ახასიათებს.

რაში ხედავდა სპენსერი აგრეგატის ზრდას? როგორ ხატავდა ზრდის პროცესს, როგორ ესმოდა ზრდის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პროცესი?

ყოველი ორგანიზმის ძირითად თვისების ზრდას რომ შეადგენს, ამის საუკეთესო გამოხატვა ე. წ. ახლა-მდგომარეობა, განსხვავებული წინანდელი მდგომარეობისაგან. საკმაოა შევადაროთ გაზრდილი ორგანიზმი ძის ჩანასახს, რომ განსხვავება მთელი თვალნათლივობით თვალწინ დაგვიდგეს. ასეთსავე სურათს ვღებულობთ თანამედროვე ცივილიზაციური და პირვანდელი ველური საზოგადოების შედარების დროს. ორივე დასახელებულ ორგანიზმში ზრდა შეადგენს ძირითად თვისებას. ანალოგია მათ შორის აგრეთვე ნათელია. სპენსერი გამოდის ორგანიზმის ზრდის უდაო ფაქტებიდან და იძლევა სწორ დებულებას იმის შესახებ, რომ ზრდა საგნებისათვის ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორიც მათი არსებობის ფაქტი. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს ზრდის მიღება ობიექტური კანონზომიერების ფაქტორის სახით, არამედ ის, რომ საზოგადოებრივ და ცხოველ ორგანიზმის ზრდას შორის იგივეობა მყარდება. „საზოგადოება, ისე როგორც ცოცხალი არსებანი—სწერდა სპენსერი—იწყება ჩანასახისაგან, ე. ი. დასაწყისს ღებულობს უმნიშვნელო კრებულისაგან, ხოლო შემდეგ რთულდება და მრავლდება. აბა ვის შეუძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ უდიდესი საზოგადოებაც კი უმნიშვნელო მომთაბარე ბრბოსაგან არის წარმომდგარი. „შუალობით თუ უშუალო ინტეგრაციის პროცესს დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბებია ისეთი საზოგადოებრივი აგრეგატები, რომლებიც თავის სი-

[1]) Основан. социологии, ტ. II, გვ. 513.

დიდით მილიონები გაზრდილა, ვიდრე ის პაწაწკინტელა აგრეგატები, რომლებიც ადამიანთა ისტორიის უძველეს ხანაში აქა-იქ არსებობდნენ. [illegible] საზოგადოებრივი ზრდა თავის მოცულობით არაფრით ჩამოუვარდება ცოცხალი ორგანიზმების ზრდას[1])".

ადვილია იმის აღნიშვნა, რომ საზოგადოების ზრდა, როგორც ყველა სხვა აგრეგატის, სპენსერისათვის არის ინტეგრაციის პროცესი. მისი აზრით ინტეგრაცია ორსავე შემთხვევაში ორნაირი გზით მიმდინარეობს: ერთეულების გამრავლებით—შინაგანი ინტეგრაცია და რამოდენიმე ჯგუფის ერთ დიდ ჯგუფად შეერთებით. პირველი შემთხვევა საზოგადოების ზრდის დროს გამოიხატება რომელიმე საზოგადოების მოსახლეობის რიცხვის გაზრდაში. სპენსერს ეგონა, რომ მოსახლეობის გამრავლება დამოუკიდებელი ფაქტორია საზოგადოების განვითარებისათვისო. ამ აზრის მიხედვით ამა თუ იმ საზოგადოების ფორმას და ბუნებას შეუძლია იცვლებოდეს მოსახლეობის რიცხვის გამოცვლასთან ერთად.

მეორე შემთხვევა საზოგადოების ინტეგრაციისა კიდევ უფრო დამახასიათებელია სპენსერის მსოფლმხედველობისათვის. მისი კონრეტული გამოვლინება არის უბრალო გაერთიანება, სხვადასხვა დამოუკიდებლად არსებულ საზოგადოებრივ ჯგუფების ერთ დიდ საზოგადოებრივ ჯგუფად გადაქცევა. იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოების ზრდა ყოველთვის ამ გზით წარმოებს, სპენსერს მოჰყავს მაგალითები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებიდან. მოყვანილი ფაქტები მისი აზრით უკამათოთ ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი ზრდა ყოველთვის და ყოველგან ნიშნავს პატარა ერთეულების დიდ ჯგუფად გაერთიანებას. „...საბერძნეთში—სწერს ეგი—ის ინტეგრაცია, რომელიც თავდაპირველად იყო ადგილობრივი, თანდათან ითრევს პატარა საზოგადოებებს დიდ კონფედერაციაში. აგივე პროცესები მიმდინარეობს როგორც ქრისტეს წინანდელ ისე მის მერმინდელ ევროპაში. რომის ისტორიის დროს თავდაცვის მიზნით ბევრი ტომი ერთიანდებოდა ერთ დიდ ფედერაციაში"[2]).

აი თითქმის ყველაფერი ის, რაც სათქმელი ჰქონდა სპენსერს საზოგადოების ზრდის ნამდვილ პროცესებზე. როგორც დავინახეთ, მას ზრდა ესმის როგორც უბრალო მომატებისა და მოკლების აქტი. მისი აზრით, ზრდის ბუნება ამ კანონზომიერებას ექვემდებარება მიუხედავათ იმისა ორგანიული თუ არაორგანიული ობიექტები იქნებიან მხედველობაში მიღებული. როგორც ბიოლოგიამ, ისე სოციოლოგიამ—სპენსერის აზრით—იცის უწყვეტი მომატება, შეუჩერებელი ზრდა. ასეთი შეხედულება ზრდის და განვითარების ბუნებაზე უფრო ფართოდ დასაბუთებულია მის ევოლიუციის თეორიაში. აქ უფრო საინტერესოა ავღნიშნოთ საზოგადოების ზრდის ფაქტი, ვიდრე ის ავხსნათ. „საზოგადოებრივი ზრდა, ცოცხალი არსების ზრდასავით, განვითარების ძირითად მომენტებს ორი მხრით გვიჩვენებს[3]). ზრდა არის პირველობითი სახე, როგორც ცხოველი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზმისა. ინტეგრაცია კი, რომელსაც ყოველგან აქვს

[1]) Основан. социолог. ტ. II, გვ. 115.
[2]) Основан. социол. ტ. II, გვ. 527.
[3]) იხ. Основ. социол. გვ. 522.

ადგილი და ყოველთვის განვითარებას გამოხატავს, ამ პირველობითობასთან არ კმაყოფილდება. ამასთან ერთად ინტეგრაციას აქვს მეორებითი უფრო მნიშვნელოვანი შედეგი, აგებულობის გართულება პროცესის დროს. თვითეულ ორგანიზმს, განვითარების გარკვეულ საფეხურზე აქვს გარკვეული აგებულება და რამდენად ორგანიზმი იზრდება, იმდენად ეს აგებულება გართულების ტენდენციას იჩენს. აგებულების გართულება უკვე იმით იქცევა ორგანიზმის ზრდის აუცილებელ თანმხლებლად, რომ ის ყოველთვის ორგანიზმის შინაგან აგებულებაში შესაფერ დიფერენციაციას იწვევს. „საზოგადოებაში, როგორც ცოცხალ არსებებში — სწერს სპენსერი — საერთო მასის გაზრდას თან დაჰყვება ორგანიზმის აგებულების გართულება. პარალელურად ინტეგრაციისა, რომელიც ორივე შემთხვევისათვის განვითარების პირველობითი ფორმაა, ჩვენ ვნახულობთ განვითარების მეორე თვისებასაც, რომელიც დიფერენციაციაში გამოიხატება"[1]).

ორგანიზმის აგებულების გართულების პროცესი მიმდინარეობს მისი ორგანიზაციის გართულებასთან, ე. ი. ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შორის დიდ განსხვავების გაჩენასთან, სპეციალიზაციის მეტსა და მეტ გაზრდასთან, შრომის განაწილებასთან და სხვ. ამ უკანასკნელის საუკეთესო გამოხატულებას შეადგენს იმ ფუნქციათა სხვადასხვაგვარობა, რომლებსაც ორგანიზმის კერძო ნაწილები ასრულებენ. ორგანიზმის გართულების ამ პროცესში მდგომარეობს მისი პროგრესი. საზოგადოების შედარება ცხოველ ორგანიზმთან გვარწმუნებს იმაში, რომ ორივე შემთხვევაში დასახელებული პროცესები გართულებისა გამოხატავენ ევოლიუციას, ე. ი. პროგრესს და განვითარებას. სპენსერის აზრით ორივე ეს პროცესი არის ერთნაირი, დაქვემდებარებული ერთნაირი კანონებისადმი, იდენტიური როგორც თავისი შედეგის, ისე თავისი მოქმედების მიხედვით. ორგანიზმის გართულების პროცესში სპენსერს ყველაზე უფრთ ის აინტერესებს, რაც არის საფუძველი დასკვნისათვის საზოგადოების ორგანიულ თეორიაზე. ეს დასკვნა კი არის-ის, რომ საზოგადოებას, რომელიც თავისი განვითარების დროს მიაღწევს სიმწიფის უმაღლეს დონეს, ე. ი. უმაღლეს სირთულეს აგებულებისა, არ შეუძლია რაიმე დიდ გარდაქმნების წინაშე დადგეს, როგორც ეს ისე არ შეუძლია ცხოველი ორგანიზმს, თუ სიკვდილის საშიშროების წინაშე არ დადგა. ეს აზრი წითელ ზონარივით თან დაჰყვება სპენსერის მსჯელობას თემაზე იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს გართულების პროცესი, როგორც საზოგადოებრივ, ისე ცხოველ ორგანიზმში. ამის დასამტკიცებლად სპენსერი, როგორც ჩვეულებრივ, მიმართავს მდიდარს კონკრეტ მასალას. მაგალითად იმას, რომ ორგანიზმის გართულების პროცესს თავის საჩვენებლად აქვს ორგანიზაციის ზრდა ორგანიზმის მოცულობის გაფართოებიდან გამოწვეული, სპენსერს მოჰყავს განსხვავება განუვითარებელ ან ჩანასახის სახით მყოფ და საესებით დამთავრებულ ორგანიზმს შორის. თავის ჩანასახში ცხოველ ორგანიზმს არ გააჩნია ოდნავადაც თვალსაჩინო ორგანიზაცია. სულ სხვაა ორგანიზაცია მომწიფების ხანაში, აქ მთელი სხეული რთულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ეს სისტემა იმოდენად მნიშვნელოვანია, იმოდენად მისგან არის მთელის მოქმედება, რომ მისი უმნიშვნელო

[1]) Основ. социол. ტ. II, გვ. 528.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშლას შეუძლია სიცოცხლის შეწყვეტის საშიშროება გამოიწვიოს ანალოგიურ პროცესს, როგორც ორგანიზაციის ზრდის ხასიათის, ისე მნიშვნელობის მხრივ, ჩვენ ვნახულობთ საზოგადოებაში. საზოგადოებამ განვითარების დაბალ საფეხურზე თითქმის არ იცის ორგანიზაციის არც ერთი სისტემა. ტომები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ, ურთი-ერთობას და კავშირს არ გრძნობენ. კიდევ მეტი. ერთი ოჯახის შიგნითაც ვერ ვნახულობთ შრომის განაწილებას და მისგან გამოწვეული ურთიერთ დამოკიდებულებას ადამიანთ შორის. აქ ჩვენ კიდევ ვერ ვნახულობთ ადამიანების დაყოფას მმართველებად და დამორჩილებულებად. ზრდა იმოდენად უმნიშვნელოა, რომ განსაკუთრებული ხელმძღვანელობა არ სჭირდება. ამით ხასიათდება თითქმის თვითეული განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი საზოგადოება, ასეთს საზოგადოებას შეუძლია დაუშვას მისი წევრების თავისუფალი წასვლა, ასეთი თუ ისეთი გარდატეხები და ცვლილებები—და ეს საშიში არ იქნება საზოგადოებრივი ორგანიზმის სიცოცხლის გასაგრძელებლად. თანამედროვე განვითარებული საზოგადოების მიმართ კი ამის დაშვება ყოვლად შეუძლებელია. აქ ყველაფერი რთულ ორგანიზაციას ემყარება და რადიკალური ცვლილებები მის შიგნით ისე უადგილო და შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია ეს ცხოველ ორგანიზმში.

აგებულობის გართულების საფუძველს, როგორც ცხოველთან, ისე საზოგადოებასთან შეადგენს შ რ ო მ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ებ ა. მასზეა დამყარებული ორგანიზაციის სირთულე, რომელიც, როგორც ვნახეთ, მაშინვე დაიღუპება, როგორც დაირღვევა მის ნაწილებს შორის დამყარებული ურთიერთ დამოკიდებულება. ორგანიზმების ჩანასახ ფორმებს შრომის განაწილება არ ახასიათებს, სწორედ ამიტომ პირვანდელ საზოგადოებაში ვერ ვნახულობთ მჭიდრო კავშირებს ადამიანთ შორის, კავშირებს საზოგადოებებს შორის. ზრდის შეუჩერებელ პროცესში აღსდგა შრომის განაწილება. ამის თვალსაჩინო მაგალითს გვაძლევს ცხოველი ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოების მოქმედება, თვითეულ მათგანი განსაკუთრებულ შრომას ეწევა, მაგრამ იმდენად დაკავშირებულს ერთმასეთთან, რომ ერთ-ერთის მოქმედების შეჩერებას ყველა დანარჩენის განადგურებამდე მივყევართ. აბა სცადეთ ცხოველი ორგანიზმის თავის ან გულის მოქმედების გაპარალიზება, ამას შედეგად მთელი ორგანიზმის აუცილებელი სიკვდილი მოჰყვება. ეს მათი ურთი-ერთ დამოკიდებულება გამოწვეულია კერძო ორგანოების ფუნქციების სხვაობიდან. ეს განსხვავება არის საფუძველი მათი განუწყვეტელი და მჭიდრო კავშირისა. იმის დასამტკიცებლად, რომ დასახელებულ კანონს ექვემდებარება არა მარტო ცხოველი ორგანიზმის განვითარება, არამედ საზოგადოებისაც, სპენსერი მიგვითითებს მთავრობაზე და პარლამენტზე, რომელიც მისი აზრით თავისა და გულის ფუნქციებს ასრულებენ. ორივე შემთხვევაში მათი როლი იგივეა და თვალსაჩინო. ქვემოთ ვნახავთ, რომ მოყვანილ ბიოლოგიურ კანონზე სპენსერი აშენებს თავის მოძღვრებას სახელმწიფოზე, რომელიც განუყოფელი ნაწილია მისი ორგანიული თეორიისა საზოგადოებაზე.

შრომის განაწილების პროცესი და ფუნქციების სპეციალიზაცია ერთნაირად მიმდინარეობს, როგორც ცხოველ ორგანიზმში, ისე საზოგადოებაში—გვარ-

წმუნებს სპენსერი. ამის პირველ დამტკიცებად მას მიაჩნია ის, რომ საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი მმართველ და დამორჩილებულ, გამგებელ და დამონავებულ ნაწილებად. მთავრობის ფუნქციის აუცილებლობა გაჩნდება საზოგადოების რიცხვობრივ ზრდასთან. ამიტომ მას ჩვენ ვერ ვნახულობთ ხქ, სადაც ადამიანების რიცხვს გარკვეულ რაოდენობამდე არ მიუღწევიათ. მოსახლეობის ზრდა არის საფუძველი მთავრობისა და მისი რთული ფუნქციების გაჩენისა, რასაც სულ მეტად და მეტად მივყავართ მმართველი და დამორჩილებული ნაწილების მოქმედება-მოვალეობის განსხვავებამდე. საზოგადოების კლასობრივი დაყოფა სპენსერს მიაჩნია ამ პროცესის კონკრეტულ გამოხატულებად. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მართველობის ფუნქციას ეწევა, არის ერთი კლასი, ის ნაწილი კი, რომელიც მმართველობისადმი დაქვემდებარებულია, არის მეორე კლასი. ყველა ეს ჯგუფები—გვასწავლის სპენსერი—შესაძლოა ერთიანი სახელწოდებით გამოვხატოთ: „მმართველი კლასი და მუშათა კლასი“ [1]) შრომის განაწილებამ მათ შორის ისეთი სპეციალიზაციის ფორმა მიიღო, რომლის დროს ყოვლად წარმოუდგენელია როლების შეცვლა ამ ორი კლასის მიერ. „საზოგადოებრივი მასები—სწერს სპენსერი—პირველად ერთნაირი, შემდეგ ნაწილდება მმართველი და დაქვემდებარებულ ნაწილებად. მმართველი ნაწილი თავის მხრივ განიცდის დანაწილების სასულიერო და საერო ნაწილებათ, ეკლესიად და სახელმწიფოდ... ამასთან ერთად მიმდინარეობს მეორე დიფერენციაციაც, უფრო პროზაიული ხასიათისა, რომელიც საზოგადოების კლასების სხვადასხვა ნაწილებს სხვადასხვა მუშაკებად ჰყოფს. მმართველი ნიწილი განიცდის რთულს განვითარებას... მაგრამ არა ნაკლებ რთულ განვითარებას განიცდის დაქვემდებარებული ნაწილი, რის შედეგი არის ცივილიზირებულ ნაწილებისათვის დამახასიათებელი შრომის განაწილება უამრავ სპეციალობათა შორის“ [2]).

ამრიგად, შრომის განაწილებისგან გამოწვეულ დიფერენციაციას ადამიანები მიჰყავთ მკაცრ სპეციალიზაციამდე, სწორედ ისე, როგორც ამას ვნახულობთ ცხოველ ორგანიზმში, სადაც თავს არასდროს არ შეუძლია გულის მაგივრობა, ხოლო გულს თავის. შრომის განაწილება საზოგადოებას შიგნით მრავალფეროვან სახეს ღებულობს, ამის გამო ნაწილების დამოუკიდებლობა მცირდება. ხოლო მათი ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებრივი აგრეგატის ზრდასთან ერთად იზრდება. მაგ. თუ გაერთიანებამდე და გაფართოებამდე ცალკე მობინადრე ტომები თავიანთ მოთხოვნილებებს თვითონვე იკმაყოფილებენ, გაერთიანების შემდეგ მათ შორის მყარდება გაცვლა-გამოცვლა. იწყება სამრეწველო მოქმედების სპეციალიზაცია და ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება, თუ ეს ტომები—ახლა ერთ დიდ საზოგადოებად გაერთიანებულები—ბინადრობენ ისეთს რაიონებში, რომლებიც კლიმატიურად ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მნიშვნელობა, რომელსაც სპენსერი ამ უკანასკნელ გარემოებას მიაწერს, გამომდინარეობს საზოგადოებრივი განვითარებისათვის მოფიქრებული ფაქტორების თეორიისაგან.

[1]) Основан. социол. გვ. 266.

[2]) Основан. социол. გვ. 289—290.

საზოგადოებრივ და ცხოველ ორგანიზმს შორის ანალოგიურ ფენომენებ-
რებლად სპენსერი არ დაკმაყოფილებულა იმ ზოგადი პრინციპებით,
რომელთა მიხედვით საზოგადოების აგებულობის გართულების და ზრდის პრო-
ცესი იგივეა, რაც ამდაგვარი პროცესები ცხოველ ორგანიზმში. თავისი არგუ-
მენტაცია რომ უფრო დამაჯერებელი გახადოს, სპენსერი მიუთითებს ერთნაი-
როობაზე ორგანოების შინაგან აგებულობაში. ცხოველის თვითეულს ორგანოს,
რომელიც კი რაიმე გარკვეულ ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, კუჭნაწლავების
სისტემას, აქვს მთელი რიგი დამხმარე ელემენტებისა, მაგ. საჭმელის მიმწოდებე-
ლი ორგანოები, მათი გამწმედი ორგანოები, სიმჟავეების მომზადებელი ორგა-
ნოები და სხვ. აგივე ითქმის საზოგადოების მიმართაც. საზოგადოებრივი მოქ-
მედების თვითეული სფერო არის ისეთივე აუცილებელი და გარკვეული ფუნქ-
ციების შემსრულებელი ორგანო, ამით კი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი-
ვე საფუძველი, როგორიცაა კუჭ-ნაწლავების სისტემა ცხოველის ორგანიზმში. შემ-
დეგ: მოსახმარ საშუალებათა წარმოება, როგორც გარკვეული სფერო საზოგა-
დოებრივ საქმიანობისა, შეუძლებელია თავის როლს მარტო ასრულებდეს, თუ
მას შესაფერი მოწყობილობა არ ექნება, რომელიც ნედლეულ მასალას, შრომის
იარაღს და სხვ. არ აწვდიდეს. სპენსერის აზრით, ანალოგიური პრინციპები
ახასიათებენ ორგანოების აგებულობას და მოქმედებას. ის კი არა თვით კონ-
კურენცია, მისი აზრით, საზოგადოებაში ისე მოქმედობს და იმავე საქმეს აკე-
თებს, როგორც ცხოველ ორგანიზმში. ორივე შემთხვევაში ის იმის შედეგია, რომ
კერძო ორგანოები იჩენენ მტაცებლურ ზრახვებს და ცდილობენ ის ხელთ იგდონ,
რაც სხვა ორგანოების კუთვნილებას შეადგენს. „მეტოქეობა, ანუ კონკურენ-
ცია—სწერს იგი—არის საერთო შემთხვევა ჩვენს მიერ განხილული მოვლენები-
სათვის. თუმცაღა ფიქრობენ, რომ მეტოქეობა სპეციფიური მოვლენაა და მხო-
ლოდ საზოგადოებას ახასიათებს, სინამდვილეში კი ის საერთო მოვლენაა და
ადგილი აქვს ცოცხალ სხეულშიც. ყველა ორგანოები სისხლისათვის ერთმანეთ-
თან მეტოქეობაში არიან.[1]).

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. უმაღლეს თანმიმდევნობას და პრინციპია-
ლურობას სპენსერი იჩენს იქ, როცა ორგანოების ძირითადი სისტემების ანა-
ლიზს ეწევა და ამით ამყარებს საბოლოო ანალოგიებს საზოგადოებას და ცხო-
ველ ორგანიზმს შორის. ამ მიზნით შესასრულებლად ის ღებულობს სამ ძირი-
თად სისტემას: კვების ორგანოებს, გამნაწილებელ ორგანოებს და რეგულიაციის
ორგანოებს. ყველა ესენი ნელნელა ვითარდებიან, მაგრამ აუცილებლად იზრდე-
ბიან და რთულდებიან აგებულობის საერთო ზრდასთან და გართულებასთან. ეს
უკანასკნელი გარემოება ნათლად გამოხატულია თვით ამ ორგანოების სისტემე-
ბის არსებობის ფაქტში.

ანალოგიას საზოგადოებას და ცხოველ ორგანიზმს შორის სპენსერი ახლა
აღწევს იმის დამტკიცებით, რომ ორივე შემთხვევაში გვაქვს ერთი და იგივე
ფუნქცია მათი წარმოშობა-განვითარებისა. კვების ორგანოების სისტემას, რო-
მელიც, როგორც ცნობილია, ცხოველი ორგანიზმის ერთ-ერთ თავისებურებას

[1]) Основ. социол. გვ. 320—321.

შეადგენს, სპენსერი ადარებს საზოგადოების იმ საქმიანობას, რომელსაც საზოგიდოება აწარმოებს თავისი კვების აუცილებელ საგნებს. [illegible] ბა, სხვადასხვა სარეწაოები, სოფლის მეურნეობა და სხვ. საზოგადოებაში იმავე როლს თამაშობენ, როგორსაც ორგანიზმში კვების ორგანოები ასრულებენ. ამასთან ერთად არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კვების ორგანოების ბუნება და თავისებურება დამოკიდებულია იმ გარე პირობებზე, გარემოზე, რომელშიც ორგანოების სისტემას მოქმედება უხდება. სპენსერის აზრით, აგივე პირობები ახსნიან საზოგადოების კვების ორგანოების-თავისებურებას, ან რაც იგივეა ბუნებას ადამიანის საწარმოო მოქმედებისა. ცხოველი მის გარემყარს ეგუება თავისი ბუნებრივი ორგანოების შესაფერი ცვალებადობით. გამოდის, რომ ადამიანის შეგუებას ბუნებასთან სპენსერი არაფრით არ ანსხვავებს დასახელებული ბიოლოგიური შეგუებისაგან, ამის გამო არა თუ ადამიანთა საწარმოო საქმიანობის ჩასახვა, არამედ მისი შემდგომი განვითარება და ცვალებადობა ამავე ანალოგიით ხასიათდება.

ორგანოების განმანაწილებელი სისტემა არის ის ნაწილი საზოგადოებრივი და ცხოველი ორგანიზმისა, ურომლოდ არც ერთს სხვა ნაწილს არსებობა არ შეუძლია. ამ მიმართულებით სპენსერი ორი შემთხვევისათვის სრულს ანალოგიას ნახულობს.

ორგანიზმის ზრდა ისეთს სიმაღლეს რომ მიაღწევს, როცა მისი კერძო ნაწილები იმდენად დაშორებულან ერთმანეთისაგან, რომ მოქმედებისათვის განსაკუთრებულ გამაერთიანებელ ორგანოებს საჭიროებენ, მაშინ ორგანიზმთა ორთავე წყებისათვის ჩნდება განმანაწილებელი სისტემა, ე. ი. განმანაწილებელი სისტემა ორივე შემთხვევაში ჩნდება განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ცხოველ ორგანიზმისათვის ასეთს განსაკუთრებულ სისტემას შეადგენენ სისხლის მილები, რომელებიც განმანაწილებლის როლს ასრულებენ და ორგანიზმის ნაწილებს საზრდოს აწვდიან, საზოგადოებისათვის კი ასეთს როლს მიმოსვლის ის საშუალებანი ასრულებენ, რომლებიც მართავენ საქონლის მოძრაობას. სპენსერი ამ ზოგადი შედარებით არ კმაყოფილდება. სისხლის მილებსა და მიმოსვლის საშუალებებს შორის ის კიდევ უფრო დეტალურ ანალოგიას ატარებს. საზოგადოებრივი განმანაწილებელი სისტემა კიდევ იმით ჰგავს ცხოველი ორგანიზმის განმანაწილებელ სისტემას, რომ იგი ამ უკანასკნელის პრინციპების მიხედვით არის აგებული. მაგალითისათვის სპენსერს მოჰყავს რკინის გზა. „...ხშირათ ერთი შტოს მაგივრად აშენებენ ორ შტოს, ერთზე მოძრაობა ხდება ერთი მიმართულებით, მეორეზე კი მეორე (შემობრუნებული) მიმართულებით, ე. ი. ეს ანალოგიურია სისხლის მილების ორმაგი სისტემისა განვითარებულ ცხოველებთან, ერთი სისტემის მილებს სისხლი მიაქვთ ცენტრისაგან, მეორესას კი მოაქვს ცენტრისაკენ[1].“

ასეთივე თანამიმდევრობით და კეთილსინდისიერი დეტალობით აგვიწერს სპენსერი ანალოგიას რეგულიატორულ სისტემებს შორის. ამ სახელწოდების ქვეშ მას ესმის თავდაცვის ორგანოები ცხოველთან და მართველობითი ორგანოების რთული მექანიკა საზოგადოებაში. სპენსერს მოჰყავს მათი წარმოშობის

[1]) Основ. социол. ტ. II, გვ. 563.

და მოქმედების ანალოგიურ მაგალითების მთელი წყება და ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ამ შემთხვევაშიაც საზოგადოება არაფრით არ განსხვავდება ცხოველი ორგანიზმისაგან. ორივე შემთხვევაში რეგულიატორული ორგანოების სისტემისაგან დამოკიდებულია მთელი ორგანიზმის შენახვა-შენარჩუნება. ეს ორგანოები წარმოსდგებიან სხვადასხვა ორგანიზმების შორის წარმოებულ ანტაგონიზმის ნიადაგზე, როგორც გამოხატულება თავდაცვის აუცილებლობისა. იმის და მიხედვით თუ რა ხასიათისა არის მოწინააღმდეგეს ძალა, ცხოველის ორგანიზმი ჰქმნის შესაფერისს თავდასაცავ ორგანოებს. მტრობა სხვადასხვა საზოგადოებას შორის (მტრობას საზოგადოებას შიგნით სპენსერი ვერ ამჩნევს) იწვევს რთული რეგულიატორული სისტემის ჩამოყალიბებას, ამ სისტემისაგან არის დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოების დაცვა მისი მოწინააღმდეგე და მტერი საზოგადოებისაგან. ეს ფუნქციები, რომლებიც ძალიან ანალოგიური არიან ცხოველი ორგანიზმის თავდაცვითი ფუნქციებთან, სისრულეში მოდიან მთავრობის ორგანიზაციების მოქმედებით. სპენსერის მოძღვრება სახელმწიფოზე, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, გამოდის აქ მოყვანილი შეხედულებისაგან მთავრობის ორგანოების ფუნქციებზე. ანალოგიას იმდენად აღრმავებს სპენსერი, რომ პარლამენტსა და მთავრობას იხილავს, როგორც უმაღლეს ფორმას საზოგადოებრივ რეგულიატორული სისტემის განვითარებაში, ე. ი. მათ იმავე როლს ანიჭებს, რომელიც მინიჭებული აქვს თავსა და ტვინს ცხოველის რეგულიატორულ ორგანოებს შორის. ყველა ამ დეტალს სპენსერი ერთხელ კიდევ მიჰყავს თავის ამოსავალ დებულებასთან: საზოგადოება არის ორგანიზმი. მთელი მისი მუშაობა ემსახურება ერთს მიზანს, ამ დებულების სისწორის დამტკიცებას, რომლის დამტკიცება აძლევს სპენსერს უფლებას საზოგადოება განიხილოს როგორც შესწავლის საგანი, როგორც სოციოლოგიის საგანი.

• თეორიული სოციოლოგიის პირველ ნაწილში, სადაც სპენსერი იძლეოდა მტკიცებას, რომ ადამიანთა საზოგადოება თავისი ზრდისა და მექანიზმის სირთულის მიხედვით წააგავს ცხოველ ორგანიზმს, მოცემულია საზოგადოების ევოლიუციის მსვლელობის დამახასიათებელი ფაქტების უბრალო აღწერა, ცდა მათი ახსნისა ჯერ კიდევ უყურადღებოთ არის დატოვებული. ასე მაგალითად, მას უამრავი მაგალითები მოჰყავს, რომლებიც მართლაც ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი აგრეგატი სხვადასხვა წვრილი საზოგადოებისა და ტომების გაერთიანებისაგან მართლაც გაზრდილა. ამავე მეთოდს მიმართავს იგი, როცა ცდილობს გვიჩვენოს, თუ რა ზემოქმედება აქვს ევოლიუციის ზოგად კანონს საზოგადოებაზე, ე. ი. კანონს გაურკვევლობის გარკვეულობაში ერთგვარობის მრავალგვარობაში გადასვლისა. სპენსერი დარწმუნებული იყო, რომ მოყვანილი ფაქტებით მან დაამტკიცა ორგანიზმის აგებულობის სირთულის ზრდა, ეს უკანასკნელი გარემოება კი მისი აზრით ყველაზე დიდი არგუმენტი იყო ევოლიუციის კანონის მოქმედების აღსანიშნავად. მთავარი კი ის არის, რომ სპენსერის ყველა მოფიქრებას და დებულებას საფუძვლად მისი ძირითადი დებულება უდევს, ე. ი. იდეა სრული იგივეობისა ცხოველი და საზოგადოებრივი ორგანიზმის კანონზომიერებისა.

ამიტომ ჯერ ჩვენს ავტორს სისტემატიურად იმაზე არ აქვს უსაუბრია, თუ როგორია საზოგადოება ევოლიუციის პროცესში, განვითარების სტადიებს და რა ფორმებით გაივლის ის. შესაძლებელია თუ არა მათი კლასიფიკაცია რომელიმე სისტემის მიხედვით და აქედან მათ შორის არსებული განსხვავების დადგინება. და ბოლოს, რა არის მიზეზი საზოგადოებრივი მეტამარფოზებისა და რაში ჰპოულობს იგი (მეტამარფოზა) თავის გამოხატულებას? ამ საკითხების გადაჭრით სპენსერი ცდილობს წმინდა აღწერითი ხასიათი საზოგადოებრივი მოვლენებისა მათი ახსნით შესცვალოს. ამასთან ერთად, კონკრეტული მოვლენების განხილვაზე დაყრდნობით, იგი იძლევა თავის ფართოდ გაშლილ თეორიას საზოგადოებრივი განვითარების ფაქტორებზე.

არსებობს ორი კატეგორია—გვასწავლის სპენსერი—რომლის დახმარებით შეგვიძლია დავადგინოთ, როგორც განსხვავება საზოგადოებათა შორის, ისე განვითარების სტადიები რომელიმე ერთი საზოგადოების მოძრაობა. არსებული განსხვავებანი საშვალებებს იძლევიან მათი ბუნებრივი დაყოფისათვის. ეს კრიტერიუმი არის: აგებულების სირთულის დონე და საზოგადოებრივი მოქმედების ბუნება.

აგებულების სირთულის მიხედვით არსებობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ტიპები: უბრალო, რთული, ორმაგად რთული და სამმაგად რთული. ის ფაქტი, რომ თვითეულს საზოგადოებას თავისი განვითარება დაუწყია უბრალო და მცირე აგრეგატებიდან, არის იმის მოწმობა, რომ თვითეულს განვითარების გარკვეულ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას უკვე განვლილი აქვს სტადიების და საფეხურების მთელი რიგი. სპენსერი არამც თუ უარყოფს საზოგადოებას ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის ფაქტს, არამედ ეს გადასვლა მისი აზრით არის აუცილებელი პირობა საზოგადოების ევოლიუციისათვის. ამ გადასასვლელებზე, როგორც საზოგადოებრივი განვითარების უცილობელ საფეხურებზე, მიუთითებს თვით სპენსერი: „თვითეულმა საზოგადოებამ თავისი განვითარების დროს უნდა გაიაროს თანმიმდევნო საფეხურების მთელი რიგი და მეტი და მეტი გართულების მთელი წყება. არც ერთი ტომი არ გადაქცეულა ხალხად უბრალო ზრდისა და გამრავლების საშუალებით. და არც ერთი დიდი საზოგადოება არ შემდგარა პატარა საზოგადოების უბრალო კავშირებისაგან"[1]). თუ განვითარება უბრალო ზრდის ნაყოფი არ არის, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს შევეკითხოთ სპენსერს: რადგან თვითონ უშვებს, რომ საზოგადოება ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, რადგან ეს უბრალო ზრდის შედეგი არ არის, ამიტომ ამასთან ერთად ხომ არ აგვიხსნის ის, თუ როგორ ხდება ეს გადასვლა, რა ფორმას ღებულობს, როგორ მზადდება და როგორ მთავრდება? სხვანაირად რომ გამოვსთქვათ: საჭიროა ახსნილი იქნას საზოგადოების გადასვლის ბუნება ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ნაკლებათ რთულიდან უფრო რთულში და სხვ. სპენსერი, რასაკვირველია, ამ საკითხების ახსნასაც ცდილობს. მაგრამ არსებითად ის ახალს ვერაფერს ამბობს, იმეორებს მის მიერ

[1]) Основ. социол. ტ. II, გვ. 610.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ერთხელ თქმულს, რომ ზრდა იწვევს აგებულების გართულებას, ეს უკანასკნელი კი საზოგადოების დაყოფას სხვადასხვა ტიპებათ და სხვ.

საზოგადოების სხვადასხვა ტიპებად დაჯგუფების ტაბლიცები, რომლებსაც სპენსერი იძლევა, ძალიან ხელოვნური და უბრალოდ აღწერითი ხასიათისაა. ამ ტაბლიცების ძირითადი იდეა საზოგადოების სხვადასხვა ტიპებს იძლევა იმ ფაქტის უბრალო აღნუსხვით, რომ ერთი საზოგადოება მეორესაგან განირჩევა სირთულის ხარისხით. ეს უკანასკნელი თვითონ იზრდება ნაკლები რთულის უფრო რთულში გადასვლის გამო, რომლის მაჩვენებელი არის მოსახლეობის რიცხვის ზრდა, პოლიტიკურ და სამრეწველო ორგანიზაციების ზრდა და სხვ. ასეთია მაგ. შედეგი მონადირის ორგანიზაციიდან მწყემსის ორგანიზაციაში, მწყემსიდან მიწის დამუშავებლის ორგანიზაციაში გადასვლისა.

ამრიგად, გადასვლების ახსნის დროსაც სპენსერი უკან ბრუნდება იმ ძველ ჭეშმარიტებისაკენ, რომ საზოგადოების გართულების თვითეული საფეხური იწვევს ორგანიზაციის ისეთს სისტემას, რომელიც გარკვეულად განსხვავებულია განუვითარებელი საზოგადოების ორგანიზაციის უბრალო სისტემისაგან. ე. ი. სპენსერის აზრები, მისი მსოფლმხედველობის მექანისტური საფუძვლებიდან საზრდოობენ და კარუსელივით ერთსა და იმავე ადგილზე ტრიალებენ. ზრდა იწვევს აგებულების გართულებას, გართულება—ორგანიზაციის ფართო სისტემას, საზოგადოება უბრალო და მცირესაგან იქცევა რთულად და დიდათ, ნაკლებად რთულიდან უფრო რთულად. „განვითარების შემდგომ საფეხურებზე, ამავე პროცესების გამო, ჩნდებიან კიდევ უფრო ძლიერი საზოგადოებრივი აგრეგატები, რომლებსაც კიდევ უფრო რთული აგებულება აქვთ. საზოგადოებრივი განვითარება მიმდინარეობდა ამ გზით და ამ გზით არის ის შესაძლებელი"[1]). მაგრამ ეს შეხედულება განვითარებაზე თითქმის არაფრით არ განსხვავდება იმ შეხედულებისაგან, რომლისგან ვითომც სპენსერი იმიჯნება, ე. ი. განვითარება, როგორც უბრალო ზრდა. ამიტომ სპენსერი, ჩვენი აზრით, ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ ახსნას ვერც გადასვლების მიზეზებისათვის და ვერც მათი ბუნებისათვის.

სპენსერის აზრით საზოგადოების დაყოფა სხვადასხვა ტიპად გამოწვეულია აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობით. მისი აზრით არსებობდა საზოგადოების ორი ძირითადი ტიპი: მტაცებელი და სამრეწველო. პირველი ტიპის ჯგუფს ეკუთვნიან ისეთი საზოგადოებანი, რომელთა ცხოვრების ძირითად მომენტს საგარეო ცხოვრება შეადგენს, აქ არსებობის შესანარჩუნებლად ომის წარმოებაა აუცილებელი. საზოგადოების მეორე ტიპისათვის დამახასიათებელი შიხაური მდგომარეობის ცენტრში დაყენება, საზრდოს მოპოება აქ მშვიდობიანი გზით ხდება. განსხვავებულობას საქმიანობაში მივყევართ განსხვავებულებამდე ორგანიზაციაში. პირველი ტიპის საზოგადოების კონსტიტუცია ემყარება პიროვნების თავისუფლების შეზღუდვაზე, მეორესი კი პიროვნების სრულს თავისუფლებაზე. მტაცებლობრივი ხასიათის საზოგადოებაში კერ-

[1]) Основ. социол. ტ. II, გვ. 671.

ძო პიროვნებას არ შეუძლია თავისუფლად, თავისი სურვილისამებრ აირჩიოს სამუშაო, მათ არ აქვთ თავისუფალი მოქმედების უფლება. მათი მოქმედება მკაცრად განსაზღვრულია სამხედრო და სხვა ეფროსების მიერ. „პირველ ყოფილ მტაცებელ საზოგადოებრივ მდგომარეობისაგან — სწერს სპენსერი — რომლის დროს თვითეულ პატრონს ჰყავს მონები, ჩვენ თანდათან, მთელი რიგი საფეხურების გავლით, გადავდივართ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენს საზოგადოებრივ მდგომარეობას, რომლის დროს მუშა და სამუშაოს მიმცემი, მყიდველი და გამყიდველი სავსებით დამოუკიდებელი პიროვნებები არიან, რომლის დროს არსებობს განუსაზღვრელი უფლება შევაღგინოთ კავშირები დემოკრატიულ საწყისებზე“[1]).

კიდევ უფრო დიდ განსხვავებას საზოგადოების ამ ორი ტიპის ადამიანების შორის სპენსერი ხედავდა გრძნობებისა და ხასიათის განსხვავებაში. მტაცებლობრივი საზოგადოების ტიპის ადამიანს განვითარებული აქვს მორჩილებისა და დაქვემდებარების გრძნობა. იმათ ჰგონიათ რომ არსებობენ მთელის საკეთილდღეოდ, ამიტომ თავიანთ მოვალეობათ სთვლიან საკუთარი სურვილი და საქმე საერთო მოთხოვნილებებს დაუმორჩილონ. სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვნახულობთ სამრეწველო ტიპის საზოგადოებაში. აქ ადამიანებს სულ სხვანაირი შეგნება აქვთ. მათ უმაღლესად განვითარებული აქვთ ინდივიდუალური თავისუფლების გრძნობა.

თვალსაზრისი, რომელსაც აქ იძლევა სპენსერი უკვე აღარ ეტევა აღნიშნულ საზღვრებში. ჩვენ ვნახავთ, რომ საზოგადოებრივ განვითარების ფაქტორების და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი აქ დასმულია სავსებით თავისებურად. ასე მაგ. სპენსერი სავსებით ნათლად აღნიშნავს, რომ ცვალებადობას ადამიანის გრძნობებისა და ბუნებისა, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეული მდგომარეობით, ყოველთვის თან მოყვება შესაფერი ცვლილება საზოგადრებრივ წყობილებაში. საზოგადოებრივი მეტამარფოზა განსაზღვრულია ადამიანთა ბუნების, გრძნობისა და შეგნების ცვალებადობით. საზოგადოებრივი განვითარების ეს პირობები და მიზეზები, სპენსერის აზრით, არის შ ი ნ ა გ ა ნ ი ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა. ადამიანთა გრძნობა და ხასიათი არის საფუძველი საზოგადოების პოლიტიკური წყობილებისა. ასეთია ძირითადი დასკვნა.

სპენსერი არ ეთანხმებოდა იმათ, რომლებიც ფიქრობდენ, რომ შეხედულება ქვეყანას განაგებენ. ამ მიმართულებით იგი ცდილობდა თავისი მოძღვრება კონტის მოძღვრებისაგან გაემიჯნა და იმათი თვალსაზრისიც გაენადგურებია, რომლებიც თავის თავს კონტის მიმდევრებს უწოდებდენ. „იდეები არ მართავენ ქვეყანას და ისინი ვერც დაამხობენ მას, — სწერს სპენსერი — ქ ვ ე ყ ა ნ ა ს მ ა რ თ ა ვ ე ნ დ ა დ ა ა მ ხ ო ბ ე ნ გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი, რომლებსაც იდეები ხელმძღვანელებად ახლავენ. სოციალური მექანიზმი უკანასკნელი რეზულტატებით შეხედულებებზე კი არ ეყრდნობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხ ა ს ი ა თ ზ ე. გ ო ნ ებ რ ი ვ ი ა ნ ა რ ქ ი ა კ ი ა რ ა რ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი კ რ ი ზ ი ს ებ ი ს, ა რ ა მ ე დ ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი. ყველა სოციალური

[1]) იქვე, გვ. 622.

მოვლენა ისაზღვრება იდამიანის შეგრძნობისა და რწმენის საერთო-ეროვნულებით, მათ შორის პირველი ყოველთვის წინასწარ გარკვეულია, მეორე კი შემდეგში ირკვევა" [1]). ე. ი. სპენსერის აზრით საზოგადოებრივი მეტამარფოზის უახლოესი მიზეზი უნდა მოინახოს იმ პირობებში, რომლებიც საზოგადოების შემადგენელი ერთეულების გრძნობების და ხასიათის ცვლილებაში მომხდარა. ამ ცვლილებებს თავის უშუალო შედეგათ აქვთ ცვლილებები საზოგადოებისა საქმიანობის ხასიათში. ის ჯერ იწვევს ერთეულების ცვალებადობას, მაგრამ ამ უკანასკნელების ცვლილება იწვევს ცვლილებებს საზოგადოებრივ წყობილებაში. ყველაზე დიდი მეტამარფოზები —გვასწავლის სპენსერი—ყოველთვის ამ გზით არიან გამოწვეულნი. ასეთი მეტამარფოზი ყველაზე ნათელი გამოხატულება არის სამხედრო საზოგადოების გადაქცევა სამრეწველო საზოგადოებათ და პირუკუ, სამრეწველოს—სამხედროთ. თუ რაიმე მიზეზების გამო სამრეწველო ტიპის საზოგადოება იძულებული შეიქნება გააძლიეროს თავისი გარეგანი იძულებითი სისტემა, მაშინ ის ნელ-ნელა თვით მიუახლოვდება სამხედრო ტიპის საზოგადოებას. ასეთი მეტამარფოზის აუცილებლობას საზოგადოებისათვის სპენსერი იმით ხსნის, რომ გარეგანი რეგულიატორული სისტემის გაძლიერება ადამიანებში გამოიწვევენ სამხედრო გრძნობების გაძლიერებას, ამას მოჰყვება მორჩილებისა და დაქვემდებარების გრძნობის გაძლიერება და რადგან მთლიანის ბუნებას ყოველთვის ერთეულები განსაზღვრავენ, ამიტომ წარმოუდგენელია, მათ არ მოჰყვეს შესაფერი ცვლილებანი საზოგადოებრივ წყობილებაში. სპენსერი, უყურებს რა საკითხებ მისი თანამედროვეობის თვალსაზრისით, სავსებით ბუნებრივად და შესაძლებლად სთვლის სამრეწველო ხასიათის მქონე საზოგადოების სამხედროთ გადაქცევას. რასაკვირველია, მას აზრადაც არ მოსვლია ევროპის სახელმწიფოებში შემჩნეული გაძლიერება სამხედრო სისტემისა განეხილა, როგორც შედეგი გარკვეული ეკონომიური სისტემისა. ის გამოდიოდა იმ ფაქტის უბრალო დადგენებით, რომ მტრობა სხვადასხვა ქვეყანას შორის გაძლიერდა და რომ ამას თავის შედეგათ სამხედრო ძლიერების ზრდა მოჰყვა. ეს უკანასკნელი გარემოება კი თავისებურ გავლენას ახდენდა ადამიანების ფსიხიკაზე, გამოცვლილი ფსიხიკის ადამიანები სხვანაირ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ახლად ჰქმნიან მის თვისებებს.

ამრიგად, სპენსერის სქემა საზოგადოებრივი განვითარებისა არის შემდეგი: ერთეული-პიროვნება განსაზღვრავს მთელ საზოგადოებას. ცვლილება ერთეულების გრძნობებისა და ხასიათისა იწვევს ცვლილებას საზოგადოების გაბატონებულ საქმიანობაში, ამ უკანასკნელის ცვალებადობა კი გამოწვეულია არა შინაგანი ძალების მოძრაობის გამო, არამედ გარეგან გარემოებათა მოქმედების გამო. თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ მიზეზების ის გრძელი რიგი, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით განსაზღვრავს საზოგადოების თავისებურებას, ყოველთვის გარეგან ძალებზეა დამოკიდებული, ამ უკანასკნელთა ზემოქმედების პირობებში შეუძლია მას მოძრაობაში მოვიდეს. მაგრამ არა ყოველ

[1]) Класиф. наук. 1866 წ. გვ. 48—49.

ზემოქმედებას შეუძლია შეასრულოს ეს როლი. არსებობენ მისი გარეგანი კომ-
ბინაციები. გარეგანი ძალების ზეგავლენას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოქმედების
გამოწვევა, თუ იგი შინაგან ძალებზე უფრო ძლიერი იქნება. განვითარების ეს
გარეგანი ძალა, ანუ გარეგანი ფაქტორი—ასე უწოდებს მას სპენსერი—სხვა კი
არაფერია, ვიდრე გ ა რ ე მ ო (внешная среда), ე. ი. საზოგადოებრივი განვი-
თარების პირველ მიზეზად სპენსერს მიაჩნია გარემოს ზემოქმედება, რო-
მელიც საზოგადოებას ისე აიძულებს შეეგუოს მას (გარემოს), როგორც ცხო-
ველებს.

ქვემოთ სპენსერი ეხება გარეგანი ფაქტორის ზემოქმედების პირობებს, გა-
რემოს და მისი მნიშვნელობის პირობებს საზოგადოებისათვის, რომელიც განვი-
თარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება. მაგრამ ის ფაქტი უცვლელად
რჩება თავის ადგილზე, რომ არსებითი და პირველობითი პირობა განვითარე-
ბისა არის გარეგანი ფაქტორი. ამ თვალსაზრისზე რომ უარი ვთქვათ, მაშინ
სპენსერის მთელი კონცეპცია დაინგრევა. ეს თვალსაზრისი სპენსერმა ისესხა
ბიოლოგიიდან და გადმოიტანა სოციოლოგიაში. რადგან ის ამ ორ სფეროს
შორის შეუსაბამობას და განსხვავებას არ ხედავდა, ამიტომ საზოგადოებრივი
ცხოვრების განვითარებას განიხილავდა ინდივიდუალურთან ერთად. სპენსერის ფა-
ქტორების თეორიის ალფა და ომეგა არის მოვლენის შ ე გ უ ე ბ ა მისი არსებობის
გარეგან პირობებთან, სულ ერთია ეს, ბიოლოგიურ მოვლენასთან გვექნება საქმე თუ
საზოგადოებრივთან. შეგუების პრინციპის რეგულიატორი ბუნებრივი შერჩევაა.
ამავე თვალსაზრისს ემყარება მისი მოძღვრება სახელმწიფოზე და პოლიტიკურ
ცხოვრებაზე.

სპენსერის პოლიტიკური მსოფლმხედველობა და მოძღვრება სახელმწიფოზე
დალაგებულია მის ნაშრომში: „პიროვნება და სახელმწიფო.“ ძირითადი ფო-
კუსი სპენსერის პოლიტიკური თვალსაზრისისა არის პიროვნებისა და სახელ-
მწიფოს ურთიერთობის პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრის დროს ის ხელ-
მძღვანელობს მკაცრი ინდივიდუალიზმის მოტივებით, აქედან გამოსული, ის
ეწევა უმკაცრეს ბრძოლას სახელმწიფოებრივი სოციალიზმის წინააღმდეგ და
სოციალისტური იდეიის საერთოდ.

რა არის სახელმწიფო სპენსერისათვის? რით განისაზღვრება მისი მოქმე-
დება? ამ საკითხებს სპენსერი უპასუხებს იმის გახსენებით, თუ რა ძალების ზე-
გავლენის და რა მოთხოვნილებების გამო სახელმწიფო წარმომდგარა. სახელმწი-
ფოს იხილავს ის როგორც ისეთს გარეგან რეგულიატორულ ძალას, რომელიც
წარმომდგარა საზოგადოებათა მტრობის ნიადაგზე. ამიტომ სახელმწიფოს ძირი-
თადი დანიშნულება მდგომარეობს პიროვნების დაცვაში შესაძლებელი თავდას-
ხმისაგან. მისი საქმიანობა ამ საზღვრებს არ უნდა გასცდეს. სახელმწიფოს ღო-
ნისძიებას უნდა ედოს პრინციპი ყველა ინდივიდუმთა ერთნაირი თავისუფლე-
ბისა, მათი საქმიანობისა მიმოსვლისა და სხვ. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს
ინდივიდთა ისეთს საქმიანობაში, რომლებიც მიმართულია მათი საკუთარი ცხოვ-
რების ორგანიზაციისაკენ, სახელმწიფომ არ უნდა ჩაერიოს ქვეყნის სამრეწველო
და სამეურნეო ცხოვრებაში. სპენსერს მოჰყავს ფაქტების მთელი რიგი, რომლე-

ბიც ვითომც იმას ამტკიცებენ, რომ სამეურნეო ცხოვრება დაეცა, და განადგურდა მას შემდეგ, რა მის მსვლელობაში სახელმწიფო ჩაერია რეგულიტორის როლით. ამ ფაქტებიდან გამოსული იგი იძლევა დებულებას: „მრეწველობის სხვადასხვა დარგებს, სხვადასხვა საქმიანობას, პროფესიას, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან, ესაჭიროებათ რაც შეიძლება მეტი თავისუფლება ხელშეკრულებისა და შემდეგ მათი შესრულების გარანტია“ [1]).

ასეთს შეხედულებას სახელმწიფოზე საფუძვლათ უდევს სპენსერის გაგება პიროვნების თავისუფლებისა. ცნობილია, რომ აქაც სპენსერი ბიოლოგიიდან გამოდის. პიროვნების თავისუფლება ყოველნაირი შევიწროება, ყოველნაირი ჩარევა მისი პირადი ცხოვრების საქმეებში, სპენსერს მიაჩნია ადამიანის არსებობის და განვითარების ბუნებრივი საფუძლების დარღვევად. ცხოვრება საერთოდ, და ადამიანის ცხოვრება კერძოთ, არის შეგუება არსებობის გარეგან პირობებთან და სისრულეში მოდის ბუნებრივი შერჩევით. ბუნებრივი შერჩევის კანონი ადამიანთა ცხოვრების რეგულიაციის დროს ვერ ითმენს უცხო ძალების ჩარევას. ის თვით ახდენს რეგულიაციას. სიცოცხლის უმაღლესი პრინციპი არის სახეობათა სიცოცხლის შენარჩუნება. ამიტომ, კანონიერი მოქმედების კრიტერიუმი არის თვითეული ინდივიდის ისეთი მოქმედება, რომელიც მეორე ინდივიდის თავისუფლებას არ შეკვეცავს. ერთნაირი თავისუფლების კანონი არის ის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გამოვაკვლიოთ ყველა მოქმედების სამართლიანობა, როგორც პიროვნების მიმართ, ისე სახელმწიფოსა და პიროვნების დამოკიდებულების მიმართ, თუ სახელმწიფო პიროვნების ცხოვრებაში თვითნებურათ ჩაერევა, ამით ის დაარღვევს ერთნაირი თავისუფლების პრინციპს, ე. ი. პრინციპს, რომელიც ბუნებრივი შერჩევის უშუალო შედეგია.

ერთნაირი თავისუფლების კანონის ასეთს გაგებაზე მიუთითებს თვით სპენსერი, როცა ცხოვრების რეგულიაციას სახელმწიფოს მიერ განიხილავს, როგორც სოციალური შერჩევის ბუნებრივი მსვლელობის დარღვევას. „თუ თვითეული თავისუფალი თავისი ნიჭით სარგებლობს საზღვრამდე, რომელიც უზრუნველჰყოფს სხვების ასეთსავე თავისუფლებას, მაშინ ის თავისი ამხანაგებისაგან, დამსახურებისათვის მიიღებს იმას, რაც მას კანონიერად ერგება სხვების დამსახურებასთან შედარებით... სოციალური პროგრესის სასიცოცხლო პრინციპი იქნება აგრეთვე უზრუნველყოფილი, რადგან ასეთს შემთხვევაში უფრო ნიჭიერი ინდივიდი მეტს მოასწრობს და წინ წავა, ვიდრე ნაკლებათ ნიჭიერი ინდივიდები“ [2]). ე. ი. რადგან ცხოვრების ღირსნი არიან ისინი, რომლებიც მათი „ნიჭის“ გამო მეტს შესძლებენ, ამიტომ თუ სახელმწიფო რაიმე გზით სუსტებს დაეხმარება, სპენსერს ეს მიაჩნია უხეშ ჩარევათ ადამიანთა „ნიჭის“ და „გამრავლების“ ბუნებრივი მსვლელობის პროცესში. ასეთია სპენსერის პოლიტიკური ფილოსოფია.

[1]) იხ. სპენსერი—Личность и Государство, გამოც. 1908. გვ. 75.

[2]) Личность и Государство. გვ. 78.

ნათქვამის შემდეგ ნუ თუ საჭიროა რაიმეს თქმა იმის გასარკვევად თუ რატომ სპენსერი სოციალიზმის მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ იგი სოციალიზმის ბრმა მოწინააღმდეგე არ ყოფილა. მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მას არ დაუკარგავს უნარი ფხიზლად შეეფასებია ტენდენციები საზოგადოებრივი განვითარებისა და სასურველის აუცილებლობიდან გარჩევისა. ასე მაგ., ის სოციალიზმს მონობას უწოდებს, მაგრამ მისი მოსვლა აუცილებლად მიაჩნია, რაც მისი აზრით საუკეთესო დოკუმენტი იქნება მისი მიუღებლობის დასამტკიცებლად. სოციალიზმს ის მონობას უწოდებს, რადგან მასში ინდივიდუალური თავისუფლების შეკვეცას ხედავს. თავის პოლიტიკურ იდეალად სპენსერს მიაჩნია ლიბერალიზმი, მაგრამ ნამდვილი და გათახსირებული ლიბერალიზმი—გვეუბნება სპენსერი. ნამდვილი ლიბერალიზმი პიროვნებას აძლევს სრულს თავისუფლებას. იგი იყო ტორიზმის მოწინააღმდეგე, და ლიბერალიზმის გათახსირებას იმაში ხედავდა, რომ ლიბერალიზმი ხელისუფლების სათავეში მოქცევის შემდეგ ტორიზმის გზას დაადგა და ამით თავისი ნამდვილი მნიშვნელობა დაივიწყა. სპენსერი თავის თავს ისეთი ლიბერალიზმის მომხრედ აცხადებდა, რომელიც იბრძოდა პიროვნების სასარგებლოდ და პარლამენტის უფლების შესაკვეცად, ასე იყო ბუნება მისი ბურჟუაზიული, დიდკაცური ანარქიზმისა [1]).

დასასრული შემდეგ ნომერში.

[1]) აღნიშნული ნაშრომი მოხსენების სახით გაკეთებული იყო პროფესურის ინსტიტუტის ფილოსოფიურ განყოფილების სოციოლოგიურ სექციის სემინარიაში 1930 წლის მარტში და რუსულად გამოვა ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემაში სამოსწავლო ნაწილის დადგენილებით.

რუსულიდან სთარგმნა ამხ. მ. გ—ძემ.

ავტორი.

დ. გვაზავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვრილი წარმოების თეორია და კოლექტივიზაცია

წერილი მესამე

(დასასრული) *)

წვრილი წარმოების სოციალისტური გარდაქმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია. წვრილ მწარმოებელთა მთელი ფსიქოლოგიის, მათი ჩვეულებების სრული გადაკეთება, როგორც ლენინი იტყოდა მთელ თაობათა მუშაობას მოითხოვს და ამ ამოცანის გადაჭრა—ე. ი. „წვრილ საქონლისმწარმოებელთა ფსიქოლოგიის გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ საფუძველს, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების მასიურ გამოყენებას, ელექტროფიკაციას მასიური მასშტაბით“. (ლენინი). „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდი უძლური იყო გადაეჭრა ეს ამოცანა, რადგან ამ პერიოდში ძალზე დაქვეითდა სახალხო მეურნეობის მატერიალური საფუძველი, განადგურებამდე მივიდა სწორედ ის მსხვილი მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მხოლოდ წვრილი წარმოების რადიკალური გარდაქმნა. ამ პერიოდმა გამოიწვია არა მარტო მსხვილი მრეწველობის და საერთოდ ინდუსტრიის დაცემა, არამედ წვრილ მწარმოებელთა გაღატაკება, მათი სამეურნეო დეგრადაცია, სოფლის საწარმოო ძალთა კატასტროფიული დაცემა. საბჭოთა ხელისუფლების ცდა, უშუალოთ გადასულიყო კომუნისტურ წარმოებაზე და განაწილების კომუნისტურ წესზე დამარცხებით დამთავრდა, რადგან ეს ნიშნავდა კომუნიზმის ერთბაშად შემოღებას ისეთ ქვეყანაში, სადაც ძალზე სუსტია მსხვილი მრეწველობა და ქვეყნის მოსახლეობის გაბატონებულ უმრავლესობას წვრილი საქონლისმწარმოებლები წარმოადგენენ—ეს ნახევრად მშრომელი და ნახევრად „ვაჭრული—სპეკულიანტური“ ელემენტები—ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ.

„ჩვენ ის შეცდომა ჩავიდინეთ,—ამბობდა ლენინი,—რომ გადავსწყვიტეთ უშუალოთ გადავსულიყავით კომუნისტურ წარმოებაზე და განაწილებაზე... ეკონომიურ ფრონტზე კომუნიზმის შემოღების ცდამ ბევრად უფრო სერიოზული დამარცხება მოგვაყენა 1921 წლის გაზაფხულზე, ვიდრე ჩვენ-

*) იხ. „მნათობი“ № 5—6.

თვის ოდესმე მოუყენებია კოლჩაკს, დენიკინ[illegible] უდ-
სკის; ეს დამარცხება იმაში გამოახატება, [illegible] სა-
მეურნეო პოლიტიკის ზედა ნაწილი დაშორდა თავის ქვედა
ნაწილს, საფუძველს და მან საწარმოო ძალთა ის გაცხოვე-
ლება არ გამოიწვია, რაც ჩვენი პროგრამის მიერ ძირითად
და გადაუდებელ ამოცანად იყო აღიარებული".**)

წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში კი, ეს ნიშნავდა პირველ რიგში წვრილ მწარმოებელთა მასის ეკონომიურ დაუძლურებას, ამ მასაში უკმაყოფილოების ზრდას, მის თანდათანობით დაცილებას პროლეტარიატისაგან და პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ ამხედრებას, მუშათა და გლეხთა კავშირის არა მარტო დასუსტებას, არამედ მისი გაწყვეტის რეალურ საფრთხესაც კი. ყოველივე ამის მწვავე, გამაფრთხილებელი სიმპტომი შეიქმნა 1921 წლის გაზაფხულის ამბები, ე. წ. კრონშტადტი. „გლეხობა უკმაყოფილოა ურთიერთობათა იმ ფორმით, რომელიც ჩვენში დამყარდა—ამბობდა ლენინი,—მას არ სურს ეს ფორმა და არ შეუძლია ასეთ ყოფაში არსებობა. ეს უდაოა... უცილობელია, რომ ეკონომიურ ფრონტზე ჩვენ მეტად მძიმე დამარცხება განვიცადეთ, და სრულიად შეგნებულად ვსვამთ საკითხს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ".*)

რა უნდა ყოფილიყო ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რა მხრივ იყო ის მისაღები წვრილ მწარმოებელთა მასებისათვის და რამდენად ეგუებოდა ის პროლეტარულ სახელმწიფოს ამოცანებს, მიმართულს მთელი საზოგადოებრივი ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნისაკენ, კერძოდ, წვრილ მწარმოებლების მსხვილ სოციალისტური მეურნეობის საფუძველზე გადაყვანისაკენ? ახალი ეკონომიური პოლიტიკა უპირველესად ყოვლისა სტრატეგიულათ უკან დახევა იყო, ეს იყო აუცილებელი საშუალება ლენინის თქმით კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ის იყო ამავე დროს უკან დახევა არა მარტო იმისათვის, რომ საჭირო იყო საერთოდ უკანდახევა, არამედ ის იყო უკანდახევა აუცილებელი, მომავალი, წინსვლისათვის, იმისათვის, რათა „ყოველივე ხელახლა უფრო მკვიდრათ ვაშენოთ" (ლენინი). ამიტომ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, როგორც იტყვიან, დიალექტიურად გაერთიანებულია უკანდახევისა და სოციალისტური შეტევის ელემენტები, ეს პოლიტიკა გულისხმობს უკან დახევას, მომავალი წინსვლის, შეტევის მიზნით, უკანდახევა ხდება იმიტომ, რათა შესაძლებელი გახდეს განსაზღვრული ძალების მოკრების, სათანადო პირობების შექმნის შემდეგ „უფრო ძლიერად გადახტომა წინ" (ლენინი). ახალი ეკონომიური პოლიტიკით საიდან დაიხია საბჭოთა ხელისუფლებამ?—„სამხედრო კომუნიზმი"-ს ეკონომიურ პოზიციებიდან, ამ სამეურნეო სისტემის მეთოდებიდან. რას გულისხმობდა „სამხედრო კომუნიზმის" ეს პოზიციები, ეს მეთოდები? კომუნიზმზე გადასვლის ცდას, ე. ი ცდას წარმოებისა და განაწილების კომუნისტურ წესზე გადასასვლელად, ისეთ პერიოდს, როდესაც მაგ.: „საუკეთესო სურვილებით და

[1]) ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 425, ხაზი ჩვენია. დ. გ.

[2]) ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 159. 426.

განზრახვებით გატაცებული ხალხი სოფლად კომუნებისადა კოლექტივების შესაქმნელად მიდიოდა და მისი არა გაეგებოდა რა, ვინაიდან ... გამოცდილება არ ჰქონდა... როდესაც კომუნისტი ოცნებობდა, რომ სამ წელიწადში შესაძლებელი იქნებოდა წვრილი მიწათმოქმედების ეკონომიური ბაზისის, ეკონომიური საძირკვლის გადაკეთება," *) როდესაც სოფლის მეურნეობა ღრმა კრიზისს განიცდის, წვრილი საქონლის წარმოება ჩამკვდარია და „ომის მძიმე პირობების გაპარტახების გამო წელში ვერ გამართულა და გაფართოების უნარი არ აქვს".

რას მოითხოვდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა? წვრილ გლეხურ წარმოებისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობას, წვრილ საქონლის მწარმოებელის მიერ თავისი სამეურნეო რესურსების თავისუფლად გამოყენებას, ამ რესურსების თავისუფლად გამოყენების საფუძველზე გლეხურ მეურნეობის აღდგენას, მისი შრომის ნაყოფიერების გადიდებას და ორველ რიგში (რომელიც გლეხობის უკმაყოფილების მთავარი საგანი იყო.) მეურნეობის ხვედრ სახელმწიფო ვალდებულებათა ზუსტად განსაზღვრას. სახელმწიფო ვალდებულებათა ზუსტად განსაზღვრა—ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მოთხოვნილებაა, რადგან „სამხედრო კომუნიზმი"-ს სამეურნეო სისტემის პირობებში სახელმწიფო ვალდებულებანი თითქმის განუსაზღვრელი იყო, წვრილ მწარმოებელს არ ჰქონდა საშუალება საკუთარი შრომით მოპოებულ პროდუქტების თავისუფალი გამგებლობის, თავისუფალი გამოყენების და ეს იმიტომ, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს იძულების წესით მიჰქონდა მისგან ყოველივე ზედმეტი და არა მარტო ზედმეტი, საქონლური ნაწილი, არამედ ხშირად აუცილებელი საზრდოც კი. „თავისებური „სამხედრო კომუნიზმი"—ამბობს ლენინი—იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხს ფაქტიურად ვართმევდით სურსათის მთელ ზედმეტ ნაწილს, და ზოგჯერ არა მარტო ზედმეტს, არამედ მისთვის აუცილებელ ნაწილსაც კი, ვართმევდით ჯარის შესანახი ხარჯების დასაფარავად და მუშების სარჩენად. ვართმევდით მეტ წილად ნისიათ, ქალალდის ფულზე, სხვანაირად არ შეგვეძლო მემამულეებისა და კაპიტალისტების დამარცხება გალატაკებულ წვრილ გლეხურ ქვეყანაში. **)

„გლეხობა უკმაყოფილოა ურთიერთობათა იმ ფორმით, რომელიც ჩვენში დამყარდა"—ამბობდა ლენინი. როგორი იყო ურთიერთობათა ეს ფორმა? ბაზრის აკრძალვა, თავისუფალი გაცვლა - გამოცვლის გაუქმება, წვრილ საქონლის მწარმოებელთა და მრეწველობის შორის სამეურნეო იმ ურთიერთობათა ძაფების დაწყვეტა, რომელიც ბრუნვის პროცესში, საქონლურ ფასეულობათა გაცვლის აქტში პოულობდა თავის გამოხატულებას. მაშასადამე, რა უნდა მომხდარიყო წვრილ საქონლის მწარმოებელთა უკმაყოფილების აღსაკვეთად, ან როგორც ლენინი ამბობდა—როგორ უნდა დაეკმაყოფილებია საბჭოთა ხელისუფლებას გლეხობა და რას ნიშნავდა მისი დაკმაყოფილება? ესაა ლენინის თქმით: „საქონლის ბრუნვის ერთგვარი თავისუფლება, წვრილ კერძო მეურნის

*) ლენინი ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 160.

**) ლენინი, ტ. XVIII, გვ. 248.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება—ეს ერთი და მეორე—უნდა ვარქვათ საქონელი და პროდუქტები. სადაური საქონლის ბრუნვის თავისუფლებაა, თუ არაფერი არ გაბადია ბრუნვისათვის და სადაური თავისუფალი ვაჭრობაა, თუ სავაჭრო არ გაგაჩნია, ეს გარანტია ქალალდათ დარჩება, კლასები კი ქალალდებს როდი ჯერდებიან, მათ მატერიალური საქონელი უნდათ". [1])

ამიტომ, პირველი ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლებისა იყო სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით. ეს იმას ნიშნავდა, რომ წვრილ მწარმოებელს ეძლეოდა საშუალება გარკვეულ სახელმწიფო ვალდებულებათა (ნატურალური გადასახადის) გასტუმრების შემდეგ, დანარჩენის თავისუფლად გამოყენებისა, თავისი მეურნეობის პროდუქტთა ზედმეტი ნაწილის თავისუფალი გადაცვლისა მისთვის საჭირო (განსაკუთრებით სამრეწველო) პროდუქტებზე. ეს ნიშნავდა უკვე დეკრეტით აკრძალულ, ადმინისტრატიულ ღონისძიებებით გაუქმებულ თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის აღდგენას. მაგრამ ლეგალიზაცია ქმნილი პროდუქტთა გაცვლა არ შეჩერდა გლეხის ნაწარმოებთა უბრალო გაცვლაზე განსაზღვრული, ასე—ვთქვათ—ლოკალური ტერიტორიის ფარგლებში და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წელსავე იწყო გადაქცევა პროდუქტთა ადგილობრივმა გაცვლა ნამდვილ საბაზრო ვაჭრობათ საბჭოთა კავშირის დიდ ტერიტორიაზე, ის „ამოხტა" ადგილობრივი ბრუნვის რკალიდან, გასცდა ბრუნვის მიჩენილ ფარგლებს. მეორეს მხრივ, ნატურალური გადასახადი ფულად გადასახადით შეიცვალა და ამით ბოლო მოეღო ნატურალურ, უფულო გაცვლას როგორც წვრილ საქონლის მწარმოებელთა შიგნი, ისე გლეხურ ეკონომიკასა და სახელმწიფო მრეწველობას შორის.

ამგვარად, ნებადართულ იქნა ბაზარი, გაჩნდა საბაზრო ურთიერთობანი, ჩვეულებრივი ფულადი გაცვლა, ერთი სიტყვით, დამყარდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც კავშირი ცალკე საქონლის მწარმოებელთა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროებს შორის ბაზრის, საქონლურ ფასეულობათა გაცვლის პროცესში მყარდება. საქონლის ბრუნვის თავისუფლება კი კაპიტალიზმისაკენ უკან დახევას, კაპიტალიზმის გამოცოცხლებას ნიშნავს, მაგრამ ისეთი კაპიტალიზმისას, რომელიც ლენინის თქმით დაყენებული იქნება კონტროლის, სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ. „მუშათა სახელმწიფოს—ამბობდა ლენინი—საკმარისი საშუალებანი აქვს ხელთ იმისათვის, რათა მხოლოდ საჭირო ზომამდე დაუშვას ამ ურთიერთობათა განვითარება, განვითარება იმ ურთიერთობათა, რომელნიც სასარგებლო და აუცილებელია წვრილი წარმოების პირობებში; მუშათა სახელმწიფოს საკმარისი საშუალებანი აქვს ეპოვება აგრეთვე ამ ურთიერთობათათვის კონტროლის გასაწევად". [1])

პროლეტარული სახელმწიფოს უკან დახევა „სამხედრო კომუნიზმის" პოზიციებიდან გრძელდებოდა 1921 წლის გაზაფხულის შემდგომაც, თითქმის მთელი 1922 წლის განმავლობაში, ვიდრე არ დამყარდა მთელ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობანი. დამარცხდა ცდა საქონლის უშუალო გაცვლა-გამოცვლისა

[1]) ტ. XVIII, გვ. 230, 281.
[1]) ტ. XVIII, გვ. 160.

„მსხვილი მრეწველობის, როგორც სოციალისტური ორგანიზაციის ერთად ერთი საფუძველის აღსადგენად“, „კერძო ბაზარი ჩვენზე უფრო ძლიერი შეიქმნა და საქონლის გაცვლის მაგიერ მივიღეთ ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა“, ხოლო ეკონომიურად ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა კავშირია, „ვაჭრობა ერთ ერთი შესაძლებელი ეკონომიური კავშირია ათეულ მილიონ წვრილ მიწათ-მოქმედთა და მსხვილ მრეწველობის შორის“ (ლენინი). წვრილი მწარმოებელი, ამბობდა ლენინი, მოითხოვს ბაზრის, საქონლის თავისუფალი ბრუნვის აღდგენას და ჩვენ მისი ეს კანონიერი მოთხოვნილებანი უნდა დავაკმაყოფილოთ, უნდა დავაკმაყოფილოთ იმიტომ, რომ წვრილი მწარმოებელი ქვეყნის მოსახლეობის გადამწყვეტ უმრავლესობას წარმოადგენს, ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ იმ წვრილ მწარმოებლებს, რომელთა რიცხვის გამრავლებას თვით ჩვენვე შეუწყვეთ ხელი, საკუთარი პოლიტიკით, იმით, რომ დავანგრიეთ მსხვილი ფეოდალური ლატიფუნდიები, მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობანი და გავანაწილეთ ისინი მრავალრიცხოვან წვრილ გლეხურ მეურნეობათა შორის. ყოველივე ამის გამო სოფელი გასაშუალდა, სოფელში მომეტებულ ელემენტებათ აღმოჩნდა საშუალო შეძლების გლეხობა, ჩვენ ეს ვიცით სტატისტიკიდან, სოფლის ყველა მცხოვრებლებმა კი ეს იციან თავიანთი პირადი დაკვირვებით. შემცირდა უკიდურესობა კულაკობის მხარეზე, შემცირდა აგრეთვე ლატაკების მხარეზეც და სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა მიუახლოვდა საშუალო ტიპს. თუ გვსურს საგლეხო მეურნეობის გაუმჯობესება, თავდაპირველად ანგარიში უნდა გავუწიოთ საშუალო გლეხს, რაკი სოფელი საშუალო გლეხების შეიქნა, უნდა დავეხმაროთ ამ საშუალო გლეხს მეურნეობის გაუმჯობესებაში... გლეხის მიმართ პოლიტიკაში, ცვლილება იმითი აიხსნება, რომ შეცვლილია თვითონ გლეხების მდგომარეობა, სოფელი გადაიქცა უფრო საშუალო გლეხობის კუთვნილებათ და საწარმოო ძალთა გაუმჯობესებისათვის ამას უნდა გავუწიოთ ანგარიში“. [1])

მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის დროს სამეურნეო დაკავშირების საბაზრო ფორმა წვრილ მწარმოებელთა სიმრავლით არის გამოწვეული, და როგორც ნათქვამია კომინტერნის ახალ პროგრამაში „ამა თუ იმ ქვეყნის საერთო ეკონომიკაში, დაქსაქსულ წვრილი გლეხური შრომის ხვედრითი წონა განსაზღვრავს საბაზრო ურთიერთობათა მოცულობას, გეგმიან ხელმძღვანელობის სიძლიერეს“. წვრილ მწარმოებელთა რიცხვი იზრდება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ერთის მხრივ პროლეტარიზაციის პროცესის საგრძნობლად შენელებისა, მეორეს მხრივ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ზრდისათვის მთელ რიგ ხელისშემშლელ პირობების გამო. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ჩვენ საქმე გვაქვს საშუალო შეძლების გლეხთა რიცხობრივ ზრდასთან სოფლის განსხვავებული სამეურნეო ევოლიუციის, გლეხური მოსახლეობის პრინციპიალურად განსხვავებულ დიფერენციაციის გამო. საბჭოთა სოფელში, ნათქვამია მე-XV პარტყრილობის რეზოლიუციაში „ამ დიფერენციაციის

[1]) ტ. XVIII, გვ. 227.

თავისებურებანი გამომდინარეობენ შეცვლილ საზოგადოებრივ ურთიერთობებიდან. ეს თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ წინაალმდეგობა კაპიტალისტური ტიპის განვითარებისა, რომელიც გამოიხატება საშუალო შეძლების გლეხების შესუსტებაში, ღარიბი გლეხობისა და კულაკების უკიდურესი ჯგუფების გაძლიერებასთან ერთად—ჩვენში, პირიქით ადგილი აქვს საშუალო შეძლების გლეხების—ჯგუფების გაძლიერების პროცესს კულაკური ჯგუფის ჯერ კიდევ ერთგვარ ზრდასთან ერთად საშუალო გლეხობის უფრო შეძლებულ ნაწილის ხარჯზე და ღარიბი ჯგუფების შემცირებასთან ერთად, რომელთა ერთი ნაწილი პროლეტარდება, ხოლო მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით გადადის საშუალო შეძლების გლეხობის ჯგუფში".

დიფერენციაციის ამ პროცესში მთავარია ის, რომ „ღარიბი გლეხობის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის საშუალო გლეხობის ჯგუფში", იზრდება აბსოლუტურად კულაკობა, მაგრამ მისი ზრდა უმნიშვნელოა, რადგან პროლეტარული სახელმწიფოს მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებანი ზღუდავენ კაპიტალისტურ ელემენტების გაძლიერებას და ქმნიან აუცილებელ პირობებს წვრილი გლეხობის არა მარტო აბსოლუტურ, არამედ შედარებითი ზრდისათვისაც საშუალო გლეხის რიცხობრივი გამრავლებით. ლენინი თავიდანვე ითვალისწინებდა, რომ თავისუფალი გაცვლა იწვევს კაპიტალისტურ ელემენტების წარმოშობას, კლასობრივი დიფერენციაციის ზრდას. „მარქსის მთელი მოძღვრება—ამბობს ლენინი—გვიჩვენებს, რომ რადგან წარმოების საფუძვლებზე და მიწაზე წვრილი მესაკუთრე მეურნე დაუშვით, მაშინ წვრილ მესაკუთრეთა შორის გაცვლის დროს აუცილებლად ჩნდება კაპიტალი და ამასთანავე წინაალმდეგობა კაპიტალსა და შრომას შორის". [1]) ვაჭრობის თავისუფლება იწვევს კერძო დამქირავებელთა და დაქირავებულთა ზრდას, იწვევს უშუალო მწარმოებლის დაცილებას თვის საწარმოო საშუალებებიდან და კერძოთ კულაკობის ზრდას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე—ამბობს ლენინი—„კულაკობა უფრო მეტად გაიზდება, ის დაიწყებს ზრდას იქაც, სადაც აქამდე არ ყოფილა. მაგრამ ამას აკრძალვის ზომებით კი არ უნდა შეებრძოლოთ, არამედ სახელმწიფოებრივი გაერთიანებითა და სახელმწიფოებრივი ზომებით". ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს კაპიტალისტური განვითარების დაშვებას, პროლეტარული სახელმწიფოს საწინაალმდეგო სამეურნეო ევოლიუციის გამოცოცხლებას, მაგრამ ამ პოლიტიკის დიალექტიკაში მდგომარეობს, რომ განვითარების კაპიტალისტურ ხაზს უპირდაპირდება სოციალისტური განვითარება და პირველის დაძლევა მეორის მიერ, კაპიტალიზმის შეცვლა სოციალიზმის მიერ ხდება არა ადმინისტრატიული აკრძალვის, არამედ თავისუფალი სამეურნეო ბრძოლის, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და ეს ბრძოლა, ეს შეჯიბრება მიმდინარეობს ქვეყნის საერთო საწარმოო ძალთა ზრდის, კერძოთ წვრილ მწარმოებელთა მოზარდი კეთილდღეობის პირობებში.

„ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკა საშუალო გლეხობის ეკონომიკის შესაფერისად უნდა ავაშენოთ—ამბობდა ლენინი—

[1]) ტ. XVIII, სიტყვა ტრანსპორტის მუშების ყრილობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ეკონომიკის შესაფერისად, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ გადავაკეთეთ და კიდევ ათ წელიწადს ვერ გადავაკეთებთ", ეგზარ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ვითომდა სამუდამოთ უნდა შევეგუოთ წვრილ მწარმოებელთა ეკონომიკას, ნაკლებად ეფექტიურ, მცირე ნაყოფიერ და არა რენტაბელურ წვრილ წარმოებას? რასაკვირველია არა. საკითხის ასე დასმა მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტს შეუძლია, რომელსაც არ სწამს მსხვილი ინდუსტრიის გარდამქნელი გავლენა, წვრილ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური წარმოების გზაზე დაყენება, რომელსაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა საშუალო გლეხის საქონლურ კაპიტალისტურ ტენდენციებისადმი მუდმივი დათმობის პოლიტიკად წარმოუდგენია, ვინც უარყოფს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ორმაგ ბუნებას, ამ პოლიტიკაში ამჩნევს მარტო უკანდახევას და ვერ ამჩნევს, ან არ სურს დაინახოს წინსვლის, სოციალისტური შეტევის ელემენტები, ვისაც მართლა ჰგონია, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი აზრი მარტო წვრილ მწარმოებლებისადმი დათმობაში, წვრილ საქონლურ მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების მიზნით მხოლოდ ვაჭრობის თავისუფლების, დაშვებაში საბაზრო ურთიერთობათა ლეგალიზაციაში მდგომარეობს.

ეს აზრი უეჭველად ყალბია და ის ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორმაგი ბუნების ხელაღებით უარყოფაა. ამბ. ლენინი წერილში მოლოტოვისადმი 1921 წელს, მე-XI ყრილობის გახსნის წინ ხაზგასმით სწერდა: ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეკონომიურად და პოლიტიკურად სავსებით უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საფუძველის აშენებას"-ო. ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ იმარჯვებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეორე მხარე, სოციალისტური მხარე და ეს გამარჯვება იმაში გამოიხატება, რომ ხდება სახალხო მეურნეობის სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის აშენება.

ამის წინათ გამოქვეყნებულმა ლენინის სიტყვის (რ. კ. პ. (ბ) მე-XI ყრილობაზე ცეკას პოლიტიკური ანგარიშის შესაგებ) გეგმამ კიდევ უფრო მეტად ცხადყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეს დიალექტიური ხასიათი. ლენინის ამ სიტყვის გეგმის მიხედვით ზედმეტად დასტურდება, რომ ლენინი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უყურებდა როგორც ყველაზე მოხერხებულ გზას გლეხობის სოციალიზმზე გადასასელელად, როგორც ისეთ პოლიტიკას, რომელიც ამზადებს წვრილ მწარმოებელთა სოციალისტურ გარდაქმნას. „დღეს უკვე სრულიად აშკარაა — ამბობს ამხ. ბორილინი, — რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აზრი მდგომარეობს რასაკვირველია არა ვაჭრობის თავისუფლების გამოცხადების, ინდივიდუალურ გლეხური მეურნეობის განვითარების ღონისძიებებში, საიდანაც ჩვენ დავიწყეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ახალი ეკონომიურ პოლიტიკის აზრი მდგომარეობს იმაში, რათა ამ ღონისძიებებიდან დაწყებით, ამ ღონისძიებათა მეოხებით, შესაძლებელი გახდეს სოციალისტური მრეწველობის განმტკიცება, კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა, მოსახლეობის

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კოოპერატიული გაერთიანება, კაპიტალიზმზე გამარჯვება, სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენება.“

ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ პროლეტარული სახელმწიფოსათვის ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გაადვილებულია იმით, რომ მის ხელში რჩება მეურნეობის ყველა „მბრძანებელი მაღლობები“: ნაციონალიზაციაქმნილი მიწის, ბანკების, ტრანსპორტის, მსხვილი მრეწველობის და სხვათა სახით. პროლეტარული სახელმწიფო ეუფლება თანდათანობით სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის მეოხებით ბრუნვის პროცესს, ის მონოპოლიურად განაგებს საგარეო ვაჭრობას, მის ხელშია კრედიტების განაწილება, გადასახადები და ეკონომიური ზეგავლენის სხვა საშუალებანი, რომელნიც პროლეტარული სახელმწიფოს სოციალისტურ ღონისძიებებს უმორჩილებენ კაპიტალისტურ წარმოებას და ბრუნვას მისი გამოცოცხლების მიხედვით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად რჩება ბრძოლა წვრილი მწარმოებლისათვის, ბრძოლა გლეხობის ძირითად მასისათვის, რადგან წვრილი წარმოება ორი საწყისის მატარებელია—კაპიტალისტურის და სოციალისტურის, რადგან წვრილ მწარმოებლის სახით, როგორც ლენინი იტყოდა, ჩვენ საქმე გვაქვს ორი ბუნების მქონე ელემენტთან. როგორც მშრომელი, წვრილი მწარმოებელი, გლეხი სოციალიზმთანაა და ის „ეკონომიურად, სოციალურად და კულტურულად დაინტერესებულია სოციალიზმის გამარჯვებაში“—ამბობს ლენინი, ხოლო როგორც საქონლის მწარმოებელი, როგორც საწარმოო საშუალებათა კერძო მესაკუთრე, ის ვაჭარ-კაპიტალისტთანაა. ეს ორი „სული“ იბრძვის წვრილ მწარმოებელში და საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რომელი „სული,“ რომელი საწყისი გაიმარჯვებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში წვრილ მწარმოებელში. ვინ-ვის აჯობებს, ვინ დაიპყრობს გლეხობის ძირითად მასას, ჩვენ პროლეტარული სახელმწიფო, თუ კაპიტალიზმი. „მთელი საკითხი, მთელი აზრი იმაშია,—ამბობდა ლენინი—თუ ვინ ვის აჯობებს, ვინ დაიპყრობს გლეხობას, ვინ უფრო მეტად შესძლებს გლეხობაზე თავისი გავლენის გავრცელებას. მთელი საკითხი იმაშია, თუ ვის გაყვება გლეხობა: პროლეტარიატს, რომელიც ცდილობს სოციალისტური საზოგადოების აშენებას, თუ გაყვება ის კაპიტალისტს, რომელიც ეჩურჩულება გლეხს: მოვბრუნდეთ უკან, ეს ნაკლებ სახიფათოა, თორემ რაღაც ახალი სოციალიზმი გამოიგონესო“, აი რაში მდგომარეობს მთელი თანამედროვე ბრძოლა—ვინ გაიმარჯვებს, ვინ უფრო ადრე ისარგებლებს“, და ამ აზრს არა ერთხელ იმეორებდა ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ.

ამგვარად, ახალ ეკონომიური პოლიტიკა სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ წვრილი წარმოებისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ვინ გამოვა. სოციალიზმის მშენებელ პარტიისათვის განვითარების ეს გენერალური ხაზი გარკვეულია, მისთვის ნათელია, რომ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობების მეოხებით, რაიც მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის შესაძლებელი, მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებებისა, (ქვეყნის ეკონომიურ და ტექნიკურ ჩამორჩენილობისაგან გამომდინარე), გამარჯვებული მაინც სოცია-

ლიზმი გამოვა, საბაზრო ურთიერთობათა ლეგალიზაციით, ყველაზე მეტად ისარგებლებს პროლეტარული სახელმწიფო და არა კაპიტალისტური ელემენტები, ეს პოლიტიკა გაამაგრებს მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას, ქვეყნის მთელი ეკონომიკის ამ გარდაქმნილ ძალას, პროლეტარულ სახელმწიფოს „მბრძანებელ მაღლობებს", დაუახლოებს ერთმანეთს სოციალისტურ მშენებლობას და გლეხურ ეკონომიკას, განამტკიცებს მუშათა კლასის კავშირს წვრილ მწარმოებლებთან და არა მარტო გააუმჯობესებს წვრილი მწარმოებლის მდგომარეობას, არა უბრალოდ აღადგენს (მსოფლიო და სამოქალაქო ომების მიერ განადგურებულ) სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებს, არამედ შექმნის სათანადო პირობებს წვრილი წარმოების სოციალისტური გარდაქმნისათვის, მთელ ქვეყანაში კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრისათვის.

ასეთი ამოცანაა დასმული ახალ ეკონომიურ პოლიტიკის წინაშე და ეს ამოცანა მან წარმატებით უნდა გადასჭრას, რადგან „ახალი ეკონომიური პოლიტიკა — როგორც ამბ. სტალინი ამბობს—არის პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა, რომლის თანახმად დაშვებულია კაპიტალიზმი იმ დროს, როდესაც მბრძანებელი მაღლობები პროლეტარულ სახელმწიფოს ხელშია, პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სოციალისტური ელემენტების ზრდას—კაპიტალისტური ელემენტების საზიანოთ, პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე, რომელიც მოწოდებულია კლასების მოსასპობად და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების ჩასაყრელად. ვისაც არ ესმის ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეს გარდამავალი ორმაგი ბუნება ის შორდება ლენინიზმს". [1])

ახალი ეკონომიური პოლიტიკა დაიწყო უკან დახევით ეკონომიურ ფრონტზე, ეს უკანდახევა 1922 წელში დასრულდა. ამის შემდგომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ რამოდენიმე ეტაპი განვლო, ვიდრე გადავიდოდით იმ ფართო სოციალისტურ შეტევაზე, რომელიც 1929 წლის ზაფხულიდან დაიწყო სოფლად და რომელმაც ამავე წლის წლის მეორე ნახევარში—ამბ. სტალინის თქმით „ახალი სახით დასვა საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის, მშენებლობის ტემპების, მუშებისა და გლეხების კავშირის, პარტიის პოლიტიკის შესახებ". მე-XV პარტყრილობამ შემდეგნაირად დაახასიათა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეს განვლილი ეტაპები: „იმ პერიოდში—ნათქვამია რეზოლიუციაში—რომელიც უშუალოდ მოყვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას, რამაც დაამყარა სწორი საფუძველი მსხვილი სახელმწიფო ინდუსტრიისა და სოფლის წვრილი მწარმოებლის ერთმანეთთან შეგუებისათვის, პროლეტარიატის ბრძანებელი მაღლობები მეტად დასუსტებული იყო, კერძო კაპიტალი თავის პირვანდელი დაგროვების პერიოდში იმყოფებოდა და

[1]) სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 422.

შეტევაზე გადმოდიოდა, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია უფრიდეს წერილ მესაკუთრულ საფრთხეს წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის საქმესათვის, ვინაიდან გლეხობას გამოცდილებით არ ჰქონდა დამტკიცებული ის, თუ რა წარმატება აქვს სოციალისტურ მშენებლობას და საქონლის გაცვლა-გამოცვლის სწორ ორგანიზაციას სოციალისტური ინდუსტრიისა და გლეხურ მეურნეობის შორის.

შემდგომ პერიოდში საერთოდ საწარმოო ძალთა და სოციალისტური მრეწველობის ზრდის ნიადაგზე მოხდა პირველ რიგში ძალთა და სამეურნეო ფორმების გადაჯგუფება სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერების მიმართულებით. მბრძანებელი მაღლობების (სახელმწიფო მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი, სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია და სხვ.) როლი გაიზარდა, თუმცა არა იმდენად, რომ დაგვემყარებია მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან, ჩამოგვეშორებია იგი კულაკის გავლენისაგან და გადაჭრით გაგვეყოლებია უკან.

მე-14 პარტკონფერენციამ და მე-14 პარტყრილობამ გამონახეს მთელი რიგი ღონისძიებანი—საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის დასამყარებლად.

მესამე პერიოდს ახასიათებს სოციალური სამეურნეო სექტორის შემდგომი ზრდა იმგვარად, რომ ძალთა გადაჯგუფება ხდებოდა სოციალისტური მშენებლობის ბაზისის კიდევ უფრო მეტად გაძლიერების მიმართულებით.

მეურნეობის დარგში, სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე სახელმწიფო მრეწველობამ არამც თუ გადააჭარბა ომამდე არსებულ დონეს, არამედ წარმოების ახალ საფუძველზე მოწყობით და ზრდით შესძლო ახალ ტექნიკურ ბაზისზე გადასვლა. სახელმწიფო მრეწველობამ და კოოპერაციამ საქონლის ბრუნვის დარგში კერძო ვაჭარი განდევნა მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებიდან და გახდა ბაზრის თითქმის მონოპოლიური ბატონ-პატრონი. კლასობრივი თვალსაზრისით, პარტიას შეუძლია აღნიშნოს პროლეტარიატის ზრდა და კონსოლიდაცია, მისი კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან, თანახმად მე-XIV პარტკონფერენციისა და მე-XIV ყრილობის გადაწყვეტილებისა და შეტევის გაძლიერება კერძო კაპიტალის წინააღმდეგ. ამავე დროს ამ პროცესს თან სდევდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა, ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია, მოჯამაგირეთა შეკავშირების გაძლიერება, საბჭოების გამოცოცხლება და იერიშების გაძლიერება ახალ პირობებში კულაკების წინააღმდეგ. ეს წინასწარი პირობები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კოოპერაციამ რაც შეიძლება ფირთოდ შეაკავშიროს სოფლის ღარიბი და საშუალო შეძლების ფენები, კიდევ უფრო გაძლიერდეს გეგმიანი ზემოქმედება გლეხურ მეურნეობებზე და გადამჭრელი შეტევა იქნეს წარმოებული კულაკის წინააღმდეგ იმ შედეგთა ნიადაგზე, რომელნიც მიღწეული იქნა პროლეტარიატისა და ღარიბ გლეხობის საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების დარგში".

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში სწრაფი ტემპით ხდება სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება, აღდგენილ იქნა დან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრეული მსხვილი მრეწველობა, და უკვე 1927 წლიდან დაიწყო ე. წ. რეკონსტრუქტიული პერიოდი, რომლის დროს ძირითად ამოცანად ადგილებულ იქნა ქვეყნის გაძლიერებული ინდუსტრიალიზაცია ახარ ტეხნიკურ საფუძველზე და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა წვრილ მწარმოებელთა საწარმოო კოოპერატიულ გაერთიანებისთვის, კოოპერაციის მოქმედების გადატანას ბ რ უ ნ ვ ი ს (ვაჭრობის) სფეროდან სასოფლო-სამეურნეო წ ა რ მ ო ე ბ ი ს დარგში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ დღიდანვე პროლეტარულ სახელმწიფოს ყველა ღონისძიებანი მიზნად ისახავდა მთელი სახალხო მეურნეობის გამძღოლი ძალის—მსხვილი მრეწველობის ზრდასთან, ბრუნვის სფეროში კოოპერაციის გაბატონებასთან და საერთოდ მბრძანებელი მაღლობების განმტკიცებასთან ერთად სოფლის წვრილ მწარმოებელთა მასისადმი ყოველმხრივ დახმარებას, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის მტკიცე ორგანიზაციულ დარაზმვას და კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან, კულაკური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლას კულაკის შეხლუდვისა და შევიწროების პოლიტიკით. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი მიმართული სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებისაკენ, არ ნიშნავდა სრულიად იმას, რომ პარტია თავის ამოცანას სახლვრავდა ვითომდა მ ხ ო ლ ო დ წვრილ მწარმოებელთა დაცვით კულაკურ ექსპლოატაციისაგან და ამით სურდა ვითომდა წვრილი საქონლური წარმოების განმტკიცება. ეს რასაკვირველია არ ეგუება არც პროლეტარული პარტიის მიზნებს და არც თვით წვრილი წარმოების ინტერესებს, რადგან საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე საუკეთესო ღონისძიებანიც კი ვერ იხსნის საბოლოოდ წვრილ საქონლის მწარმოებელს იმ სიღატაკისაგან, რომელიც ამ სახის მეურნეობის თვით წარმოების წესისაგან გამომდინარეობს. მსხვილი მრეწველობის განვითარებას ის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროლეტარიატის დიქტატურის დროს, რომ ის ასრულებს უდიდეს გარდამქმნელ ძალის როლს ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაში, კერძოდ: გადაყავს წვრილი წარმოება მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე და იწვევს წვრილ მწარმოებელთა კლასის, როგორც სოციალური კათეგორიის გაუქმებას. მსხვილი წარმოება ამას აღწევს მანქანა იარაღების მასიური გავრცელებით სოფლად, სასოფლო-სამეურნეო პროცესის მაქსიმალური მექანიზაციით, მსხვილ მანქანურ საფუძველზე დამყარებულ საბჭოთა და საწარმოო კოოპერატიულ გაერთიანებების (კოლმეურნეობების) ფართო ქსელის შექმნით.

ამგვარად მსხვილი პროლეტარული მრეწველობა წინააღმდეგ მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობისა, ამყარებს კავშირს სოფლის წვრილ წარმოებასთან მეურნეობის ამ სახის არა განადგურებისათვის, არამედ მისთვის ყოველმხრივი ხელისშესაწყობათ და მისი გადაყვანისათვის მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე. პროლეტარული სახელმწიფოს მოვალეობაა, შექმნას სათანადო პირობები ამ პროცესის მოსამზადებლად, რადგან ლენინის თქმით „თუ რომ გლეხურ მეურნეობას შეუძლიან შემდგომი განვითარება, საჭიროა მტკიცეთ უზრუნველვყოთ შემდგომი გადასვლაც, შემდგომი გადასვლა კი აუცილებლად

მდგომარეობს იმაში, რომ ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი და ყველაზე უფრო ჩამორჩენილი, წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა „თანდათან ერთიანდებოდეს განსაზოგადოებულ მსხვილ სამეწადმოქმედო მეურნეობის სახით“ [1]. თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წვრილ მწარმოებლის წინაშე არ არის სხვა გზა თუ არა გზა ან გაპროლეტარებისა (მასიური მოვლენა) ან კაპიტალისტურ მეურნეთ გადაქცევისა (ერთეული შემთხვევები), პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, მისთვის იქმნება განვითარების სრულიად ახალი გზა—საწარმოო კოოპერატიული გაერთიანებით სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა. თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მაგ. მსხვილი ინდივიდუალური მეურნეობა წვრილ წარმოებას გამანადგურებელ ძალად ევლინება, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში და წვრილ მწარმოებლის ისტორიული შიში და სიძულვილი მსხვილი მეურნეობისადმი ამით აიხსნება. პროლეტარიატის დიქტატურის დროს მდგომარეობა არსებითად იცვლება და ისე, როგორც მსხვილი მრეწველობა ისე მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა სოფლად წვრილ წარმოების დამხმარე ძალად გამოდის.

„მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა — ვკითხულობთ მე-XVI პარტკონფერენციის რეზოლიუციაში—არ უპირდაპირდება ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს, როგორც მათი მტრული ძალა, არამედ უკავშირდება მათ როგორც მათი დამხმარე საშუალება, როგორც მსხვილი მეურნეობის მაგალითის მიმცემი, როგორც მათთვის დახმარების აღმოჩენის ორგანიზატორი მსხვილ მეურნეობაში თანდათანობათი გაერთიანებისათვის“. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურა ჰქმნის პირობებს იმისათვის, რათა წვრილი წარმოება გადავიდეს მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე მიუხედავათ წვრილი წარმოების ორმაგი საქონლურ (კაპიტალისტური და საამხანაგო) ტენდენციისა. ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ წვრილ მწარმოებელში კოლექტივისტური ტენდენცია და შევქმნათ პირობები ამ ტენდენციის გამარჯვებისათვის. პროლეტარიატი ამყარებს რა კავშირს წვრილ მწარმოებელთან, სჯერა, სწამს წვრილი მწარმოებლის ბუნების გადაკეთება, რადგან საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარების გამო თანდათანობით უნდა შესუსტდეს წვრილ მწარმოებელში საქონლურ-კაპიტალისტური ტენდენცია. თუ კაპიტალიზმის დროს წვრილი მწარმოებლის საამხანაგო, კოლექტივისტური ტენდენცია ნადგურდება და ადგილს უთმობს კაპიტალისტურ ტენდენციას და კაპიტალიზმი ჰქმნის პირობებს ამ უკანასკნელის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დროს პირიქით ნადგურდება კაპიტალისტური ტენდენცია და იმარჯვებს საამხანაგო-კოლექტივისტური. ამბ. ლენინმა დასახა გზა წვრილ მწარმოებლის, როგორც მშრომელის საბოლოო დაპყრობისა, დასახა გზა წვრილ საქონლური მეურნეობის სოციალისტური გადაკეთებისა, რომელიც დაასაბუთა თავის ცნობილ კოოპერატიულ გეგმაში.

კოოპერაცია შესძლებს—ამბობს ლენინი—წვრილ მწარმოებელთა გაერთიანებას ჯერ პროდუქტთა გასაღების (ბრუნვის), ხოლო შემდეგ თვით პროდუქტთა

[1] ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 189.

წარმოების ნიადაგზე და დააკავშირეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას როგორც პროდუქტთა გაცვლის, ისე პროდუქტთა წარმოების საფუძველზე.

კოოპერაცია აძევებს კერძო კაპიტალის შუამავლობას ბრუნვის სფეროდან, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გასაღების და წვრილ მწარმოებელთათვის სამრეწველო ნაწარმოებთა მიწოდების სფეროდან ერთის მხრივ და არსებითად ცვლის მეორე მხრივ წვრილი წარმოების საფუძველს. ის ქმნის წვრილ საწარმოთა კოოპერატიული გაერთიანებით კოოპერატიულ საწარმოებს, „რომელნიც ჩვენს წესწყობილებაში განსხვავდებიან—ლენინის თქმით, კერძო კაპიტალისტურ საწარმოებიდან როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ არაფრით არ განსხვავდებიან სოციალისტურ საწარმოთაგან თუ ისინი ემყარებიან მიწას და წარმოების საშუალებებს, რომელნიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა-კლასს". ბრუნვისა და წარმოების კოოპერაცია, კოოპერატიული წარმოება—აი რა გარდაქმნიდა ლენინის აზრით, კერძო სამეურნეო ინდივიდუალიზმის მატარებელ წვრილ წარმოებას საზოგადოებრივ მეურნეობად. ამ აზრს ატარებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდგომ პარტიის ყველა ყრილობებისა და კონფერენციის დადგენილებანი, ასე ესმის პარტიას ლენინის კოოპერატიული გეგმა, როგორც უტყუარი გზა წვრილ წარმოების სოციალისტური გარდაქმნისა და აქეთკენ აპყრობდენ პარტიის ყურადღებას ჯერ კიდევ მე-XIV პარტკონფერენცია და მე-XIV ყრილობა, როდესაც აღნიშნავდენ, რომ „კოოპერაცია წარმოადგენს სოფლის სოციალიზმისაკენ სვლის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას" (მე-XIV პარტყრილობა), რომ „საქონლის თავისუფალი ბრუნვის და სოფლად წვრილი საქონლური წარმოების ბატონობის პირობებში კოოპერაცია წარმოადგენს სახელმწიფო მეურნეობის და სოფლის წვრილი საქონლის მწარმოებლის დაკავშირების ძირითად საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმას. მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს ქვეყანაში სახელმწიფოსათვის როგორც წვრილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ისე საქონლის ბრუნვის კონტროლის და მოწესრიგების ყველაზე მეტი შესაძლებლობა" (მე-XIV პარტკონფერენცია).

ამიტომ მე-XV ყრილობამდე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კოოპერაციის გაძლიერებას ბრუნვის სფეროში, კოოპერაციის მიერ ბრუნვის სფეროს დაუფლების როგორც ქალაქად, ისე სოფლად გლეხური მეურნეობის პროდუქტთა რეალიზაციის და მომარაგების საქმის კოოპერატიული ორგანიზაციით. ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში მე-XV პარტყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებს ეხლა ყველა გლეხურ მეურნეობათა თითქმის ერთ მესამედს; სამომხმარებლო კოოპერაციამ გაადიდა სოფლის მომარაგება 25,6 პროცენტიდან 1924-25 წლ. 50,8 პროცენტამდე. 1928-27 წელს კოოპერატიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა გააძლიერეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღება 55,7 პროცენტიდან—1924-25 წელს, 63 პროცენტამდე—1926-27 წელს. მაგრამ რაც შეეხება სოფლის მეურნეობის გაერთიანებას, ასე ვთქვათ შიგნიდან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხაზით, ამ დარგში ჩვენ მეტად მცირე რამ გვაქვს გაკეთებული. საკმაოა ვსთქვათ, რომ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში დღეს გაერთიანებულია სასოფ-

ლო სამეურნეო პროდუქციის 25 პროცენტამდე და საქონლური პროდუქციის 7 პროცენტზე მეტი". ეს ამბ. სტალინის თქმით, სრულიად საკავშირო—ეს ისეთ დამაკმაყოფილებელი, რადგან ჩვენ მიზნად ვისახავთ წვრილ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანას საზოგადოებრივ წარმოებაზე, რაიც შესაძლებელია მხოლოდ წვრილი წარმოების შინაგან წყობის შეცვლით-და ამიტომ შეცდომა იქნებოდა, თუ ლენინის კოოპერატიული გეგმის ძირითად მომენტად ბრუნვის სფეროს განსაზოგადოებას, ბრუნვის კოოპერაციას მივიჩნევდით.

ასეთ შეცდომებს სჩადიოდა ამბ. ბუხარინი (როგორც მემარჯვენე გადახრის იდეოლოგი), რომელიც კოოპერაციის მთავარ ამოცანად აღიარებდა წვრილ მწარმოებელთა პროდუქტების გასაღების მოწესრიგებას და ამის ნიადაგზე წვრილ საქონლის მწარმოებელთა კოოპერატიულ გაერთიანებას, ხოლო სოფლის თვით საწარმოო პროცესის განსაზოგადოება მეორე ხარისხოვან, უმნიშვნელო (სხვათაშორისო) ამოცანად მიაჩნდა [1]). წვრილი მწარმოებელი მიაღწევს სოციალიზმს—ბუხარინის აზრით, არა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებით, არა წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებით კოლექტიურ საწყისზე, არამედ მხოლოდ ბრუნვის სფეროს (გასაღების და მომარაგების) კოოპერატიული ორგანიზაციით. „ჩვენში—ამბობდა ბუხარინი—ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ მთავარი გზა სოციალიზმისაკენ—კოლმეურნეობებია. მე ვთვლი ამ მტკიცებას არა სწორად. სოციალიზმისაკენ მთავარი გზა ჩვეულებრივი კოოპერაციაა—გასაღება, შესყიდვა, კრედიტი—ერთი სიტყვით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია" [2]).

ეს რასაკვირველია არსებითად ეწინააღმდეგება ლენინის შეხედულებას ამ საკითხზე, და უარყოფს პარტიის დადგენილებებს წვრილი წარმოების სოციალისტური გარდაქმნის გზების შესახებ. საქონლის ბრუნვის სფეროში გეგმიანობის შეტანას დიდი მნიშვნელობა აქვს, ბრუნვიდან კერძო კაპიტალის შუამავლობის აცილება ასუსტებს კაპიტალიზმის პოზიციებს, რადგან საქონლის გაცვლა-გამოცვლიდან წარმოიშვის კაპიტალიზმი. ბრუნვის კოოპერაცია, მეორეს მხრივ

---

[1]) ტროცკიზმის ეკონომიური პროგრამის კრიტიკის დროს ამბ. ბუხარინი უარყოფდა რა სამართლიანად პრეობრაჟენსკის თეორიას—პროლეტარული მრეწველობის მიერ წვრილი წარმოების ექსპლოატაციას, სოფლის მეურნეობაში შექმნილ ღირებულებათა მრეწველობაში უსაზღვროთ გადაქაჩვას, მაგრამ უშვებდა უდიდეს შეცდომას ლენინის კოოპერატიული გეგმის არა სწორი განმარტების გამო. „მიწაზე სოციალისტურ წარმოებას-ამბობს ამბ. ბუხარინი—ჩვენ შევქმნით არა გლეხურ მეურნეობათა განადგურების ნიადაგზე, არამედ სულ სხვა გზით, სახელდობრ გლეხურ მეურნეობათა ჩაბმით კოოპერაციაში, რომელიც ჩვენთანაა დაკავშირებული და ეკონომიურადაც დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მის ეკონომიურ ინსტიტუტებისაგან. ჩვენ მივალწევთ სოციალიზმს ბრუნვის პროცესის და არა უშვალოდ წარმოების პროცესის საშუალებით. ჩვენ მივალწევთ სოციალიზმს კოოპერაციის საშუალებით" და იქვე შენიშნაში ამბ. ბუხარინი კიდევ უფრო აღრმავებდა თავის ამ შეცდარ დებულებას. „აქ მოცემულია მხოლოდ ძირითადი კროცესი, თავის თავად იგულისხმება, რომ სასოფლო სამეურნეო კომუნები და პრტელები და აგრეთვე სხვა საწარმოო გაერთიანებანიც გაერთებენ თავიანთ საქმეს". (იხ. Н. Бухарин „Некоторые вопросы экономической политики" გვ. 23.

[2]) „Текущий момент и основы нашей политики" გვ. 28.

ამზადებს თავის თავად პირობებს, წარმოების კოოპერაციის [illegible] თავისებურ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს წვრილ მწარმოებელთა [illegible] სავლელად განსაზოგადოებულ მეურნეობაზე, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ არის ძირითადი, გადამწყვეტი მომენტი წვრილი საქონლის მწარმოებელთა სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლისათვის, რადგან არ ეხება საფუძველს, პირველად წყაროს—წარმოებას, საწარმოო ურთიერთობათა სისტემას, არ იწვევს ძირითად ცვლილებებს წარმოების სფეროში, არამედ ეხება წვრილ საქონლის მეურნეობის საწარმოო ურთიერთობათა მხოლოდ გარეკანს და ამიტომ ვერ აუქმებს ნამდვილად კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობის ყველა ბრძანებელი ეკონომიური მაღლობები პროლეტარულ სახელმწიფოს ხელშია, შეზღუდულია კაპიტალისტური განვითარება, არსებითად განსხვავებულია სოფლად წვრილ საქონლის მწარმოებელთა დიფერენციაცია შედარებით კაპიტალიზმთან, მაგრამ ამის მიუხედავათ, ვიდრე არსებობს წვრილი წარმოება, არ არის მოსპობილი ნიადაგი კაპიტალიზმისათვის, არ არის თავიდან აცილებული კაპიტალისტური ელემენტების ზრდა.

მუშათა და გლეხთა კავშირი უნდა ემყარებოდეს არა მარტო პროდუქტთა გაცვლის პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, როგორც ეს ამბ. ბუხარინს ჰგონია, არამედ უფრო მეტად საწარმოო ურთიერთობებს, საწარმოო კავშირს სოციალისტური მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. პროლეტარული სახელმწიფოს მრეწველობის კავშირი წვრილ მწარმოებელთან საჭიროა არა მარტო წვრილ საქონლური მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, არამედ ამ განვითარების სოციალისტური საფუძველზე გადასაყვანად. სოფლის საწარმოო ძალების ზრდა გაგებულ უნდა იქნას, არა საერთოდ წარმოების ზრდათ, არამედ საწარმოო შეკავშირების სოციალისტური ფორმების გამაგრებად, რადგან ჩვენი მიზანია სოფლად მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნა. ბუხარინის დებულება კი იმის შესახებ, რომ კოოპერაციის ძირითადი ამოცანა ბრუნვის განსაზოგადოებაა და საწარმოო გაერთიანებანი კი სხვათა შორის გააკეთებენ თავიანთ საქმეს—ნიშნავს უარის თქმას სოფლად სოციალისტური მატერიალურ საფუძველის შექმნაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ არ იზრუნო იმ დასაყრდენის (წვრილი საქონლური წარმოების) გაუქმებაზე, რომელზედაც წარმოიშვის კაპიტალისტური ელემენტები და სტიქიური საბაზრო ურთიერთობანი.

ლენინის აზრით პროლეტარიატის დიქტატურა კლასთა ბრძოლის გაგრძელებაა ახალ ფორმებში და პროლეტარული რევოლიუცია საზოგადოებრივი ცხოვრების უბრალო რეფორმა კი არ არის, არამედ სოციალურ და საწარმოო ურიერთობათა რადიკალური მსხვრევა, და ამის მიხედვით კოოპერაცია უნდა ისახავდეს მიზნად წარმოების განსაზოგადოებას, სასოფლო სამეურნეო წარმოების შინაგანი წყობის გარდაქმნას მსხვილი ინდუსტრიის დახმარებით, ორგანიულ ცვლილებებს წვრილი წარმოების—მთელი სისტემაში. ამიტომ არის ნათქვამი მე-XV ყრილობის დადგენილებაში, რომ „წარსული წლების, განსაკუთრე-

ბით უკანასკნელი წლების გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ლენინის კოოპერატიული გეგმის სისწორე, რომლის მიხედვით სწორედ კოოპერაციის საშუალებით წაიყვანს სოციალისტური ინდუსტრია წვრილ გლეხურ მეურნეობას სოციალიზმის გზით, გარდაქმნის ინდუვიდუალურ, დაქსაქსულ საწარმოო ერთეულებს, როგორც ბრუნვის პროცესის საშუალებით, ისე, კიდევ უფრო მეტად თვით წარმოების, მსხვილი განსაზოგადოებულ მეურნეობად გარდაქმნის საშუალებით ახალ ტეხნიკურ საფუძველზე (ელექტროფიკაცია და სხვ.“ [1]).

მე-15 პარტყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა ეხლანდელ პერიოდში პარტიის ძირითად ამოცანად უნდა იქნას დასახული სოფლად“. მან გადმოისროლა ლოზუნგი: „წინ მსხვილი საამხანაგო წარმოებისაკენ“ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინაშე დასვა ამოცანა, რათა ის ბრუნვის სფეროდან წარმოების სფეროში შეჭრილიყო, რადგან კოოპერაციას მე-15 ყრილობისათვის ბრუნვის სფეროში უკვე გაბატონებული მდგომარეობა ეპყრა. საწარმოო კოოპერაციის განვითარება იგივე კოლმეურნეობათა განვითარებაა, რადგან მათ შორის არა თუ რაიმე წინააღმდეგობა არის, არამედ მეორე პირველის სრულყოფილი ფორმაა. „ზოგჯერ—ამბობს ამხ. სტალინი—საკოლმეურნეო მოძრაობას უპირდაპირებენ კოოპერატიულ მოძრაობას, ფიქრობენ რა, თითქოს, კოლმეურნეობანი ერთია, ხოლო კოოპერაცია—მეორე. ეს, რასაკვირველია, არაა სწორი. ზოგიერთები იქამდეც კი მიდიან, რომ კოლმეურნეობებს უპირდაპირებენ ლენინის კოოპერატიულ გეგმას. ზედმეტია ლაპარაკიც კი-რომ ასეთ დაპირდაპირებას არაფერი საერთო არ აქვს ჭეშმარიტებასთან. ნამდვილად, კოლმეურნეობანი კოოპერაციის სახეა, საწარმოო კოოპერაციის ყველაზე მკვეთრი სახე. არის კოოპერაცია გამსაღებელი, არის კოოპერაცია მომმარაგებელი და არის საწარმოო კოოპერაცია. კოლმეურნეობანი წარმოადგენენ საერთოდ კოოპერატიული მოძრაობის, და კერძოთ ლენინის კოოპერატიული გეგმის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. გაატარო ლენინის კოოპერატიული გეგმა—ეს ნიშნავს, ასწიო გლეხობა გამსაღებელ და მომმარაგებელ კოოპერაციიდან საწარმოო კოოპერაციამდე, ასე ვსთქვათ, საკოლმეურნეო კოოპერაციამდე. ამით, სხვათა შორის, აიხსნება ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობათა წარმოშობა და განვითარება ჩვენში დაიწყო მხოლოდ გამსაღებელ და მომმარაგებელ კოოპერაციის განვითარების და გაძლიერების შედეგათ“. [2])

წვრილი გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების საკითხის რადიკალურად დასმა მე-15 ყრილობის, ხოლო ასევე კატეგორიულად მე-16 პარტკონფერენციის მიერ, პირველ ყოვლისა უნდა აიხსნას სოფლის მეურნეობის ჩამორჩენი-

[1]) იხ. მე-XV ყრილობის რეზოლიუცია „სოფლად მუშაობის შესახებ“. ხაზი ჩვენია—ე. ბ.
[2]) სტალინი, „Вопросы Ленинизма“, გვ. 469, 470—ხაზი ჩვენია—ე. ბ.

ლობით რეკონსტრუქტიული პერიოდის ტემპისაგან, გლეხური მეურნეობის მეტად მცირე საქონლიანობით. „აღდგენითი პერიოდის დასასრულისთვის შეიავნდება წვრილი მეურნეობის და განსაკუთრებით მისი საქონლიანობის ზრდის შეზღუდული შესაძლებლობანი ამ მეურნეობის არსებული სიდიდის და წარმოების პირობებში. სოფლის მეურნეობის განვითარების ამ შენელებული ტემპის და მისი მეტად მცირე საქონლიანობის საფუძვლად ძევს გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობა (გლეხურ მეურნეობათა რიცხვი რევოლიუციის დროს გაიზარდა 16-დან 25 მილიონამე) [1]), მისი ნახევრად ნატურალური ხასიათი (სოფლის მეურნეობის საერთო საქონლიანობა ომის წინადროსთან შედარებით შემცირდა თითქმის ორჯერ), სასოფლო სამეურნეო ტეხნიკის და კულტურის დაბალი დონე“ (მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან).

ამხ. სტალინმა მე-16 პარტყრილობაზე მეტად დამახასიათებელი ცნობები მოიყვანა გლეხური მეურნეობის მცირე საქონლიანობის შესახებ გასული ორი-სამი წლის განმავლობაში ხორბლეულის და მეცხოველეობის დარგებში. წვრილი გლეხური ეკონომიკა ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილი მრეწველობის მოთხოვნილებას როგორც სამრეწველო ნედლეულზე, ისე პურზე. სო-

[1]) „რევოლიუციამდე—ამბობდა მე-15 ყრილობაზე ამხ. მოლოტოვი—რ. ს. ფ.. ს. რ. ტერიტორიაზე (ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთის და ჩრდილო-კავკასიის ზოგიერთ ადგილების გამოკლებით) ღარიბებსა და საშუალო გლეხებს ჰქონდათ 60 მილ. ჰექტ., ხოლო სოფლის ბურჟუაზიას 40 მილ. ჰექტ. ნაცვლად, 60 მილ. ჰექტ. რომელიც საშუალო და ღარიბ გლეხობას ჰქონდა რევოლიუციამდე, ისინი ახლა ამ ტერიტორიაზე სარგებლობენ 136 მილიონი ჰექტარი მიწით, ე. ი. თავისი მიწათსარგებლობა გლეხობამ გაადიდა ორჯერ მეტად... როგორღა განაწილდა კულაკების მიწები ჩვენი რევოლიუციის განმავლობაში? აღმოჩნდა, რომ კულაკები რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიის ამ ნაწილში ამყამად სარგებლობენ 4 მილიონი ჰექტარით, ე. ი. მათ აქვთ თითქმის ათჯერ ნაკლები, ვიდრე ჰქონდათ რევოლიუციამდე... რევოლიუციის მეოხებით, ღარიბ და საშუალო გლეხობის ხელში გადასულა სულ 110 მილიონი ჰექტარი, აქედან არა ნაკლებ 50 მილიონი ჰექტარისა ჩამორთმეულია მემამულეებისაგან და ე. წ. კერძო მიწათმფლობელობისაგან, საუფლისწულო უწყებებისა და ეკლესიისაგან; 10 მილიონი ჰექტარი მშრომელ გლეხებს გადაეცა სახელმწიფო მამულებიდან და სატყეო ფონდიდან, ხოლო 50 მილიონამდე ჩამოერთვა სოფლის „მრავალმიწიან“ და კულაკურ ფენებს და განაწილდა წინანდელ უადგილ-მამულო და მცირე მიწებიან ჯგუფებს შორის“. გლეხურ მეურნეობათა რიცხვის ასეთსავე ზრდას ადგილი ჰქონდა 1917 წლის შემდეგ ამიერ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. „1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით—ვკითხულობთ ამხ. ლ. ღოღობერიძის მოხსენებაში საქ. კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობაზე—საქართველოში იყო 327.235 გლეხური მეურნეობა; ამასთან ერთად ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 4,27 ჰექტარი გამოსადეგი მიწა, ხოლო სახნავი მიწა ერთ მეურნეობაზე უდრიდა 2,14 ჰექტარს... 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით გვქონდა უკვე 388.480 მეურნეობა,—ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე 1917 წელს. დაბოლოს, 1927 წელს, სოფლის მეურნეობის ათპროცენტიანი შერჩევითი გამოკვლევის მიხედვით ჩვენ გვქონდა 417.256 გლეხური მეურნეობა, ე. ი. მეურნეობათა რიცხვი საქართველოში გადიდებულია თითქმის 100 ათასით, ცალკე მეურნეობათა რაოდენობა 1928—29 წელს, უეჭველია, კიდევ უფრო მეტია. მეურნეობათა რიცხვის ზრდის მიხედვით თანდათანობით მცირდება მიწის ნორმა თვითეულ მეურნეობაზე. ასე მაგ. 1917 წელს ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 2,14 ჰექტარი სახნავი მიწა, 1927 წელს კი სულ 1,84 ჰექტარი. ამგვარად, 1927 წელს შედარებით 1917 წელთან მეურნეობათა რიცხვი გადიდებულია 32 პროცენტით. გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობა ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტად გაიზარდა“.

ფლის მეურნეობის განვითარების ტემპის ჩამორჩენა მრეწველობის ტემპისაგან განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მე-15 ყრილობის შემდეგ — 1927 წლიდან, კიდევ უფრო მეტად 1928 წელს, როდესაც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები პურის აშკარა ნაკლებობის ფაქტის წინაშე დადგა, როდესაც ამხ. სტალინის თქმით, სახალხო მეურნეობის ყველაზე ვიწრო ადგილი შეიქნა საერთოდ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით ხორბლეული მეურნეობის უზომო ჩამორჩენილობა. „სახალხო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს—ამბობდა ამხ. სტალინი 1928 წელს ცეკას ნოემბრის პლენუმზე, რომ ჩვენ გვაქვს ხორბლეული მეურნეობის განვითარების ტემპის უზომო ჩამორჩენა ინდუსტრიის ტემპისაგან, როგორც ფაქტი, საქონლურ პურზე მოზარდი ქალაქების და სამრეწველო პუნქტების მოთხოვნილების არაჩვეულებრივი ზრდის დროს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რათა დაუახლოვოთ ხორბლეული მეურნეობის განვითარების ტემპი იდუსტრიის განვითარების ტემპს და ავსწიოთ ხორბლეული მეურნეობის ტემპი იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის, როგორც მრეწველობის, ისე მიწათმოქმედების სწრაფ წისვლას“. [2])

ამიტომ მე-XV ყრილობამ ცენტრალურ ამოცანად დასახა ხორბლეული პრობლემების გადაწყვეტა, სოფლის მეურნეობის წარმოუდგენლად ჩამორჩენილი ტემპის დაჩქარება. ამ მიზნით მან მწვავეთ დასვა საკითხი საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ და „მე-15 ყრილობა—ამხ. სტალინის თქმით—სავსებით მართალი იყო, აღიარა რა, რომ მასიური საკოლმეურნეო მოძრაობისათვის პირობები უკვე მომწიფებულია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერება წარმოადგენს ქვეყანაში ხორბლეულის წარმოების საქონლიანობის გადიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას“. საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერება იწვევდა კულაკური მეურნეობათა ხვედრითი წონის შემცირებას ქვეყნის ხორბლეულის წარმოებაში, მის საქონლურ ნაწილში და კულაკობის თანდათანობით გაძევებას ხორბლეულის ბაზრიდან, სადაც ის მე-15 ყრილობის წინ და მის შემდეგაც (1927—28 წლებში) მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი ერთად აღებულნი. კულაკობა მეტ როლს თამაშობდა ხორბლეულის ბაზარზე რადგან მას პურის მეტი რაოდენობა გამოჰქონდა გასაყიდათ, ხოლო მეტი პური იმიტომ გამოჰქონდა, რომ კულაკური მეურნეობანი მსხვილი მეურნეობანია, რომელთაც დიდი საქონლიანობა ახასიათებს, კულაკობა მე-15 ყრილობის შემდეგაც იზრდებოდა აბსოლუტურად და სულ უფრო მეტად უპირდაპირდებოდა პროლეტარულ სახელმწიფოს სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც მოწინააღმდეგე სოციალური და ეკონომიური ძალა. ეს საუკეთესოთ იქნა ნათელყოფილი „განსაკუთრებით 1928 წლის პურის დამზადების კამპანიაში, როდესაც კულაკმა ყოველმხრივ სცადა საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო დაბრკოლებების გამოყენება და „პურის ბოიკოტითაც დაგვემუქრა“.

---

[2]) სტალინი „Вопросы Ленинизма“, გვ. 512.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის პრობლემამ აქტუალურად დასვა საკითხი კოლექტიურ-შესახებ წვრილი გლეხური მეურნეობის საქონლიანობის გადიდების მიზნით, რადგან საქონლიანობის ზრდა წვრილი წარმოების ფარგლებში მეტად შეზღუდულია, მას წინ ეღობება მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელთა გადალახვა თვით წვრილი წარმოების პირობებში, ამ სახის მეურნეობის უმნიშვნელო ტეხნიკური შეიარაღების გამო—შეუძლებელია. საქონლიანობის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობაში, მაღალი ტეხნიკური დონის მქონე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. პროლეტარიატის დიქტატურის დროს გლეხურ მეურნეობათა მცირე საქონლიანობიდან გამოსავალი უნდა ვეძიოთ გლეხური წარმოების გამსხვილებაში, მაგრამ მისი არა კაპიტალისტურ (კულაკურ) გამსხვილებაში, არა მსხვილი ინდივიდუალური მეურნეობის ზრდაში, როგორც ფიქრობენ ამას მემარჯვენეები, არამედ მსხვილ განსაზოგადოებულ სამიწათმოქმედო წარმოებაში. ასე დასვა საკითხი პარტიამ მე-15 ყრილობაზე. „სად არის გამოსავალი? ნათქვამია მე-15 პარტყრილობის რეზოლუციაში.—გამოსავალი იმაშია, რომ გადაყვანილ იქნას წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა მსხვილ გაერთიანებულ მეურნეობაზე, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას მიწის საზოგადოებრივი დამუშავება, გადაყვანილი იქნას ის მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე ახალი უმაღლესი ტეხნიკის საფუძველზე. გამოსავალი იმაშია, რათა წვრილი და დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობანი თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ, არა ძალდატანებით, არამედ ჩვენებისა და დარწმუნების საშუალებით გაერთიანებულ იქნან მსხვილ მეურნეობად მიწის საზოგადოებრივი, ამხანაგური წესით, კოლექტიურად დამუშავების საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები, გამოყენებულ იქნას მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული მეთოდები. სხვა გამოსავალი არ არსებობს“.

მე-15 ყრილობის [illegible] საკითხის ასეთი დასმა სავსებით მარქსისტული, ლენინურია. წვრილ წარმოებას არ ძალუძს საქონლიანობის გადიდება და არ შეუძლია იმიტომ, რომ ის მოკლებულია მანქანების და ტრაქტორების, „მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული მეთოდების“ გამოყენების საშუალებას. წვრილი გლეხური წარმოება მცირე ნაყოფიერების მეურნეობაა თვით საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც, სადაც გაუქმებულია მიწაზე კერძო საკუთრება (მიწის ნაციონალიზაციის გამო), შეზღუდულია კულაკური ექსპლოატაცია, შემსუბუქებულია წვრილი მწარმოებლისათვის საგადასახადო ტვირთი, დახმარებას უწევს მას კოოპერაცია, სახელმწიფოს საკრედიტო სისტემა და სხვ. შეუძლია თუ არა პროლეტარულ სახელმწიფოს დიდი ხნით შეინარჩუნოს მცირე შრომის ნაყოფიერების, მცირე საქონლიანი წვრილი გლეხური მეურნეობა? რასაკვირველია არა, რადგან, „შ რ ო მ ის ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა—ლენინის თქმით—ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ, ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა, ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო მ თ ა ვ ა რ ი ა ა ხ ა ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს გ ა ს ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ლ ა დ“.

შეუძლებელია წვრილი წარმოების შენარჩუნება დიდი ხნით, რადგან ის, მარქსის თქმით, შეუძლებლად ხდის მეურნეობის რაციონალურად წარმართვას და საზოგადოებრივ რეპროდუქციის განვითარებას; მის დროს, „შეუძლებელია შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარება, შრომის საზოგადოებრივი ფორმები, კაპიტალების საზოგადოებრივი კონცენტრაცია, მესაქონლეობა დიდი მასშტაბით, მეცნიერების მოზარდი გამოყენება“ [1]), რომ „წარმოების ეს წესი მიწის და სხვა საწარმოო საშუალებათა დაქუცმაცებას გულისხმობს. იგი უარყოფს როგორც ამ უკანასკნელთა კონცენტრაციას, ისე კოოპერაციას, უარყოფს შრომის დანაწილებას ერთი და იმავე წარმოების შიგნით, საზოგადოებრივ ბატონობას ბუნებაზე და მისი ძალების მოწესრიგებას საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა თავისუფალ განვითარებას. იგი მხოლოდ წარმოების და საზოგადოების ვიწრო, ბუნებრივად აღმოცენებულ ფარგლებს ეგუება“. [2])

საბჭოთა ხელისუფლებამ შეუძლებლად სცნო წარმოების ამ წესის მუდმივად შენარჩუნება, რადგან ის საბოლოო ანგარიშით საფრთხეს უქმნის ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, რეალურ დაბრკოლებათ ეღობება მსხვილი ინდუსტრიის განვითარებას, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მაღალი ტემპების განხორციელებას.

წვრილმა გლეხურმა წარმოებამ ვერ შესძლო მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ნედლეულით და რაც მთავარია პურით. ამიტომ მე-15 ყრილობის შემდეგ ფართოდ გაშლილ საკოლმეურნეო მოძრაობას თავდაპირველად უნდა გადაეჭრა ხორბლეულის პრობლემა, რადგან „ხორბლეულის პრობლემა—როგორც სთქვა ამხ. სტალინმა მე-16 ყრილობაზე—მთავარი რგოლია მეურნეობის სისტემაში, უკანასკნელი ყველა პრობლემების გადაჭრის გასაღებია და ხორბლეულის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას სასოფლო-მემეურნეობის სხვა პრობლემათა რიგში“. ხორბლეულის პრობლემის გადასაჭრელად და ამით სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა სოციალისტური გზით განსავითარებლად ჩვენ ხელი მოვკიდეთ წვრილი წარმოების განსაზოგადოებას, რადგან მხოლოდ „კოლმეურნეობებს შეუძლიათ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევათა გამოყენება, ისინი უფრო რენტაბელურია და მტკიცე, ისინი უფრო ნაყოფიერია და საქონლური. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათი საქონლიანობა აღწევს 30—35 პროცენტამდე, ხოლო მათი მოსავლიანობა ერთ დესეტინაზე ზოგჯერ 200 ფუთზე მეტია“ (სტალინი). ჩვენ გადავედით მასიურ საკოლმეურნეო მშენებლობაზე ღრმა რწმენით, რომ ის გადასჭრიდა ხორბლეულის პრობლემას და ამით გამოიწვევდა ღარიბ და საშუალო გლეხთა კეთილდღეობის ზრდას, რადგან საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება დიდ სამეურნეო ეფექტს იძლევა, და იძლევა იმიტომ რომ ის მსხვილი წარმოებაა. ხოლო „მსხვილი წარმოების ძალა მიწათმოქმედებაში, წარმოადგენს ის მემამულურ, კულა-

[1]) იხ. მარქსი „Капитал“, ტ. III, ნაწ. II, გვ. 344.

[2]) „კაპიტალი“ ტ. I, ქართული გამოცება, გვ. 703—ხაზი ჩვენია— ვ. ბ.

კურ თუ კოლექტიურ მეურნეობას, იმაში მდგომარეობს, რომ მან, როგორც მსხვილ მეურნეობას საშუალება აქვს გამოიყენოს მანქანები, ტექნიკურ ბაზის მიღწევანი, გაანოყიეროს მიწა, ასწიოს შრომის ნაყოფიერება და მოგვცეს ამგვარად საქონლური პურის უდიდესი ნაწილი. და, პირიქით, წვრილი გლეხური მეურნეობის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ის მოკლებულია ამ საშუალებებს, რის გამო წარმოადგენს ის ნახევრად მოხმარებით, მცირე საქონლიან მეურნეობას". [1]).

ჩვენ ვისწრაფვით წვრილი წარმოების გადაყვანას საზოგადოებრივ მეურნეობაზე, წვრილი გლეხური მეურნეობის გაუქმებას, მაგრამ გაუქმებას არა ძალდატანებითი ღონისძიებებით, არა განადგურებით, არა „სოციალისტური" ექსპროპრიაციით, როგორც მოითხოვდენ ტროცკისტები ცნობილ პრეობრაჟენსკის მეთაურობით, არამედ წვრილ მეურნეთა „ეკონომიური ამაღლებით" და „ტეხნიკის, კულტურის და ორგანიზაციის მაღალი დონისადმი დაახლოვებით". მხოლოდ ამის მეოხებით გახდება შესაძლებელი დაგროვების გაძლიერება სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან „დარგში—სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ეს დაგროვება იქნება უმთავრესად არა ინდივიდუალური დაგროვება, რომელზედაც ოცნებობენ მემარჯვენეები, არამედ საზოგადოერივი დაგროვება, დაგროვება განსაზოგადოებული წარმოების, სოციალისტური მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. დღემდე კი წვრილ გლეხურ მეურნეობას გაძლიერებული დაგროვების საშუალება არ აქვს, რადგან ის წარმოუდგენლად ნელი ტემპით ვითარდება, მაშინ როდესაც სახალხო მეურნეობის მეორე ნაწილი, მრეწველობა არაჩვეულებრივ სწრაფად იზრდება. ასეთ პირობებში აშკარაა, შეუძლებელი იქნება საზოგადოებრივი გარდაქმნის დასახული გეგმის განხორციელება და, განვითარების ასეთი უთანაბრობა „ოდესმე უნდა დასრულდეს მთელი სახალხო მეურნეობის დაშლით" (სტალინი).

„განმეორებული წარმოების მარქსისტული თეორია—ამბობს ამხ. სტალინი—გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოება ვერ განვითარდება იმის გარეშე, თუ არ დააგროვა წლიდან-წლამდე, ხოლო დაგროვება შეუძლებელია წლიდან-წლამდე გაფართოებული განმეორებული წარმოების გარეშე. ეს ნათელი და გასაგებია. ჩვენი მსხვილი ცენტრალიზაციაქმნილი მრეწველობა ვითარდება გაფართოებული განმეორებული წარმოების მარქსისტული თეორიის მიხედვით, რადგან ის იზრდება ყოველ წლობით თავის მოცულობაში, აქვს თავისი დაგროვება და სწრაფად მიიმართება წინ.

მაგრამ ჩვენი მსხვილი მრეწველობა არ ამოსწურავს სახალხო მეურნეობას. პირიქით, ჩვენ სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა. შეიძლება თუ არა ვსთქვათ, რომ ჩვენი წვრილი გლეხური მეურნეობა ვითარდება გაფართოებული განმეორებული წარმოების პრინციპის მიხედვით? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ჩვენი წვრილი გლეხური მეურნეობა არა თუ არ ანხორციელებს მთლიანად ყოველ წლიურად გაფართოებულ განმეორებულ წარმოებას, პირიქით, მას ყოველთვის არ აქვს საშუალება თვით უბრა-

[1]) სტალინი, „Вопросы Ленинизма", გვ. 465.

ლო განმეორებული წარმოების განხორციელებისა.[1]) შეიძლება თუ არა სწრაფი ტემპით განვავითაროთ ჩვენი სოციალიზაცია ქმნილი ინდუსტრიის, როდესაც გვაქვს ასეთი სასოფლო-სამეურნეო ბაზა, როგორიცაა ყვრილი გლეხური მეურნეობა, რომელსაც არა აქვს უნარი გაფართოებული განმეორებული წარმოებისა და წარმოადგენს იმავე დროს გარდამეტ ძალას ჩვენ სახალხო მეურნეობაში? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების და სოციალისტური მშენებლობის დაყრდნობა ორ სხვადასხვა საფუძველზე:—ყველაზე მსხვილ და გაერთიანებულ სოციალისტურ მრეწველობის და ძალზე დაქსაქსულ და ჩამორჩენილ წვრილ-საქონლური გლეხური მეურნეობის საფუძველზე? არა, არ შეიძლება. ეს ოდესმე უნდა დასრულდეს მთელი სახალხო მეურნეობის სრული დაშლით.

სადაა გამოსავალი? გამოსავალი იმაშია, რათა გამსხვილდეს სოფლის მეურნეობა, გადავაქციოთ ის დაგროვების, გაფართოებულ განმეორებულ წარმოების უნარიანობის მქონეთ, გარდავქმნათ, ამგვარად, სახალხო მეურნეობის სასოფლო სამეურნეო ბაზა. მაგრამ როგორ გავამსხვილოთ? ამისათვის არსებობს ორი გზა, არსებობს გზა კაპიტალისტური, რომელიც მდგომარეობს სოფლის მეურნეობის გამსხვილებაში კაპიტალიზმის განვითარების მეთხებით, გზა, რომელსაც მივყეევართ გლეხობის გალატაკებისა და კაპიტალისტურ საწარმოების განვითარებისაკენ სოფლის მეურნეობაში. ამ გზას უარვყოფთ ჩვენ, როგორც საბჭოთა მეურნეობასთან შეუთავსებელ გზას. არსებობს მეორე გზაც, სოციალისტური გზა, რომელიც მდგომარეობს სოფლის მეურნეობაში კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში, რომელიც იწვევს წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებას ტეხნიკითა და მეცნიერებით შეიარაღებულ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებით, და იწვევს კაპიტალისტური ელემენტების გაძევებას მიწათმოქმედებიდან. ჩვენ ამ მეორე გზაზე ვდგევართ. ან ერთი გზა, ან მეორე, ან უკან კაპიტალიზმისაკენ, ან წინ სოციალიზმისაკენ. არავითარი მესამე გზა არ არსებობს და არც შეიძლება იყოს". [2])

1929 წლის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით მიმდინარე წლიდან საბჭოთა კავშირის მთავარ საწარმოო ხორბლეულ რაიონებში იწყება წვრილ მწარმოებელთა მასიური გადასვლა საკოლმეურნეო წარმოებაზე, სოციალისტური განვითარების გზაზე. გლეხური მეურნეობის უმეტესი ნაწილის გადასვლამ ხორბლეულ რაიონებში საზოგადოებრივ წარმოებაზე, გამოიწვია ამ რაიონებში სათანადო ეკონომიური და სოციალური გარდატეხა. ეს გარდატეხა გამოიხა-

[1]) ამხ. მოლოტოვს მე-15 პარტყრილობაზე მოყავდა ცნობები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში 8 მილიონამდე გლეხურ მეურნეობაში ცხენის გამოყენება აღარ არის რენტაბელური, იმდენად მცირეა ამ მეურნეობათა შემოსავალი. „როგორც ჩვენი მიწათმოქმედების კომისარიატი ანგარიშობს,—ამბობდა ამხ. მოლოტოვი—აწლანდელ პირობებში წვრილ გლეხურ მეურნეობათა ერთი მესამედისათვის ცხენის ყოლა არარენტაბელურია. ხარჯს ვერ ფარავს... მეურნეობათა ერთ ნაწილში კარგი გუთანიც საზარალოა და ეს, მაშინ, როდესაც ეს გუთანიც მიუწვდომელია სუსტ მეურნეობათათვის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანები კი, სათესი და ყველა სახის სალეწავი მანქანები—საკუთრებით არარენტაბელური, და გამოუსადეგია წვრილ გლეხურ მეურნეობებში".

[2]) ამხ. სტალინის სიტყვა აგრარულ საკითხებზე მოსწავლე მარქსისტების კონფერენციაზე.

ტება ერთის მხრივ იმაში, რომ „იცვლება საბჭოთა [illegible] მეურნეობის სხვადასხვა ეკონომიურ წყობა[illegible]ბაც, მრეწველობის მიერ წარმოდგენილი სოციალისტური წყობის დამატებით იზრდება სოციალისტური წყობა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაშიაც და ის სცვლის კაპიტალისტურ წყობას. საბჭოთა კავშირის სოციალისტური ურთიერთობა, რომელიც აქამდე თითქმის მხოლოდ სოციალისტურ მრეწველობას ემყარებოდა, ამიერიდან აგრეთვე დაემყარება სწრაფი განვითარების გზაზე მდგომ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორსაც მსხვილ წარმოებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით“. (თეზისები მე-16 ყრილობისათვის ამხ. იაკოვლევის მოხსენების შესახებ) მეორეს მხრივ 1929 წლის მეორე ნახევრიდან სოფლის ექსპლოატატორულ კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი გარდატეხა მოხდა იმ მხრივ, რომ პარტია გადავიდა კულაკობის შეზღუდვა-შევიწროვების პოლიტიკიდან, მისი როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე საწარმოო ხორბლეულ რაიონებში წვრილ მწარმოებელთა კოლექტიურ მეურნეობაზე მასიურ გადასვლის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ამ ლოზუნგის წამოყენება, ამ პოლიტიკის გატარება არ შეიძლებოდა მე-15 ყრილობის პერიოდში, თუმცა მე-15 ყრილობის მიერ აღიარებული იყო „მასიური საკოლმეურნეო მოძრაობისათვის პირობები უკვე მომზადებულად“ (სტალინი). კულაკობის როგორც კლასის, ლიკვილაციის პოლიტიკა არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო პრაქტიკულად მე-15 პარტყრილობის და არც მე-16 პარტკონფერენციის პერიოდში, რადგან ნაადრევი იყო მაშინ საბჭოთა კავშირის საწარმოო ხორბლეული რაიონის მთლიანი კოლექტივიზაცია და ნაადრევი იყო იმიტომ, რომ არ იყო სათანადოთ გაძლიერებული მსხვილი ინდუსტრია, არ გვქონდა ჯერ კიდევ სოფლად ამ გარდატეხის მოხდენისათვის საჭირო დასაყრდნობი პუნქტები კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების სახით. წვრილ მწარმოებელთა ძირითადი მასებისათვის არ იყო ჯერ კიდევ დამტკიცებული მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობა, რის გამო საშუალო გლეხს არ ებრუნებია პირი საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ და სხვ.

მე-15 ყრილობამ ამის გამო დაადასტურა კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკა და ეს იმას ნიშნავდა, რომ „კულაკობა, როგორც კლასი მაინც რჩებოდა შესაფერ დრომდე“ (სტალინი). კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია და მაშასადამე მთლიანი კოლექტივიზაცია მოამზადა როგორც მე-15 ყრილობის წინაპერიოდის, ისე შემდგომი პერიოდის პოლიტიკამ, როდესაც თვალსაჩინო გახდა გლეხობის მთავარი მასის პირის ბრუნება მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობისაკენ. „მაგრამ გლეხობის პირის ბრუნება კოლექტივიზაციისაკენ—სთქვა ამხ. სტალინმა მე-16 პარტყრილობაზე—უცბად არ დაწყებულა. არც შეიძლება უცბად დაწყებულიყო. მართალია კოლექტივიზაციის ლოზუნგი პარტიის მიერ ჯერ კიდევ მე-15 ყრილობაზე იყო გადმოსროლილი, მაგრამ გლეხობის სოციალიზმისაკენ მასიურად პირის ბრუნებისათვის მარტო ლოზუნგის წამოყენება საკმაო არ არის. პირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნებისათვის საჭიროა, მეტი რომ არა ვთქვათ, კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ თვით გლეხთა მასები დარწმუნდენ გადმოსროლილ ლოზუნგის სისწორეში და მიიღონ ის, როგორც თავისი საკუთარი ლოზუნგი. ამიტომ ეს პირის ბრუნება მზადდებოდა ჩუმად. მზადდებოდა ჩვენი განვითარების მთელი მსვლელობით და პირველ ყოვლისა, იმ ინდუსტრიის განვითარებით, რომელიც გვაწვდის ჩვენ მანქანებსა და ტრაქტორებს სოფლის მეურნეობისათვის. მზადდებოდა კულაკობასთან ბრძოლის მტკიცე პოლიტიკით და პურის დამზადების იმ ახალ ფორმებში მიმდინარეობით, რაც კულაკობას აყენებდა ღარიბ და საშუალო გლეხთა კონტროლის ქვეშ—მზადდებოდა ის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებით, რომლის საშუალებითაც ინდივიდუალური გლეხი ეჩვეოდა საქმის კოლექტიურად წაყვანას. მზადდებოდა ის კოლმეურნეობათა ქსელის მეოხებით, სადაც გლეხს საშუალება ეძლეოდა დარწმუნებულიყო ახალი ტეხნიკის ძალასა და უპირატესობაში. შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები პურის რესურსების წყაროს მეტს არ წარმოადგენენ. ნამდვილად კი, თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა მეურნეობების ახალ ტეხნიკას, მის დახმარებას ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხობისათვის და მის არაჩვეულებრივ გაშლა-გაქანებას, უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა მეურნეობა იყო ის წამმართველი ძალა, რომელმაც გაადვილა გლეხთა მასების პირის ბრუნება და დააყენა ისინი კოლექტივიზაციის გზაზე.

აი, რა ნიადაგზე აღმოცენდა მილიანობით ღარიბ და საშუალო გლეხთა მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა, რაც დაიწყო 1929 წლის მეორე ნახევარში და რითაც აღისახა უდიდესი გარდატეხის პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში".

რას ნიშნავს გლეხთა მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა? ეს იმას ნიშნავს, რომ იმარჯვებს ლენინის კოოპერატიული გეგმა, რომ პრაკტიკულად ხდება წვრილ მწარმოებელთა სოციალისტური გარდაქმნა, მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობათა შექმნით ისპობა „სამიწათმოქმედო პროგრესის კაპიტალისტური დაბრკოლებანი" (ლენინი) და ისპობა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის; მასიური საკოლმეურნეო მოძრაობით ბოლო ეღება „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმს", მტკიცდება მარქსისა და ლენინის თეორია იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში წვრილი გლეხური მეურნეობა შეიძლება უშუალოდ გადავიდეს მსხვილ განსაზოგადოებულ წარმოებაზე, რომ ტეხნიკურად და ეკონომიურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში შესაძლებელია სოფლის მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუცია ან როგორც ნათქვამია ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისებში მასიურ საკოლმეურნეო მოძრაობით „არა მარტო თეორიულად დამტკიცდა, არამედ მილიონი ხალხის გამოცდილებითაც იქნა შემოწმებული ის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს შესაძლებელია ჩამორჩენილი და მცირე ნაყოფიერების წვრილი და უწვრილესი ინდივიდუალური მეურნეობა უშუალოდ გადავიდეს მსხვილ კოლექტიურ მაღალ-ნაყოფიერ მეურნეობაზე".

ალ. ჯეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგადელის დღიური

კახეთში ყველაფერი აზვირთებულია და ყალყზე შემდგარი, ყველაფერი ადგილიდან დაძრულია და ნერვებ-დაჭიმული. კახეთის მატარებელი კი ამას აინუნშიაც არ იგდებს. მუხლები თუმცა სტეფენსონის აქვს, მაგრამ ტემპერამენტი ჯერ კიდევ თავის წინაპრის, ლაგოდეხური კამბეჩის შერჩენია. მიდის, ქვანახშირს მიიცოხნის, კვამლ-ნარევ ორთქლს განიერ ნესტოდან მძიმედ უშვებს—თითქოს სოლომონისეულს ჰანგს დაღიღინებსო. „აჩქარებითა სოფელი არავის შეუჭამია! ნელა წახვალ, მაინც მიხვალ—გზაში თუ არ დაიმტვერი". ტიკი და კულა ვაგონიდან ბანს ეუბნება: „შაბათი რომ დაღამდება, კვირა გათენდება"-ო.

პირველი კოლექტივისტი

დილის 5 საათია. მატარებელმა გურჯაანის სადგურს არაქათგამოცლილმა მიაქშინა და ნეხვის ჭიასავით ორად გაწყდა: თავის მხარე თელავისაკენ გაემართა, კუდისწონამ კი ახალი თავი გამოიბა და წნორის წყლისაკენ აუყვა.

ტალახი, ნისლი და სინესტე თან შეგვყვა სადგურის მოუწყობელ დარბაზში. სადგურს, როგორც ყველაფერს გურჯაანში, ახალშენის სახე აქვს. ერთ კუთხეში მთელი ბარიკადებია ამართული ჩემოდნებისა, კალათებისა, მაფრაშების. აქ ქედში მიმავალი ექიმების ბრიგადაა გამაგრებული. მეორე კუთხეში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბრიგადაა დაბანაკებული. ბრიგადების ჩამოსვლა უკვე ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა და სიტყვა ბრიგადელი განსაკუთრებულის „პროფესიონალურის" მნიშვნელობით იხმარება, ისე როგორც—ბეითალი, ბუხჰალტერი, მიწის-მზომელი. ჩვენც ერთი კუთხე დავიჭირეთ.

ჩვენ გვერდით ჯოყოლელი ქისტები პურს ჭამენ. ერთი მათგანი სახეწვრილი, კანჭშემხმარი მილიციელია. ცხვრის ტყაპუჭზე გაპოხილი „ბუდიონოვკა" ხურავს. აგრე ოცდაათი წლისას ჰგავს, წელზე—ქამარ-ხანჯალი, მკერდზე—КИМ-ის ნიშანი. მინაბული თვალები. წვრილი თაგვისკუდა მოლიმარი—ულვაშები. გვერდში მხარ-განიერი ჩოფურა ქალი უდგას. სახე ალაზნის ველივით დაცემული, ხედვა ძირს დახრილი. ნავლისფერ თალხ კაბაში ოდოჟღერი სამკერდე აქვს ჩადგმული. გრუხა ნაწნავები მხრებზე ჩანჩქერივით გადაუდის.

ჩვენს მხარეზე პატარა ბიჭი დგას ქეჩის წამოსასხამში. მხრებზე ქეჩისავე წამოსასხამი აქვს. ხალხის ჯანიოზური ინსტინქტი ანატომიისა და ფიზიოლოგიის დაუხმარებლადაც წვდება, თუ რა სახიფათოა მხრის თავების გაცივება. სახე სირიელ მეფეების ფრესკებს მიუგავს. ზემო ნაწილი ბრტყელი, ნიკაპისაკენ ერთბაშად, ოთხკუთხედად დაწვრილებული. გაბიცებულ ხინკალს მადიანად ილუკმება და ირგვლივ მყოფთ მოკრძალებით თვალს ავლებს. პური და ძეხვი გადავაწო-

დეთ. ჯერ გამოგვართვა, შემდეგ კი ისევ უხმოდ უკან [illegible] ლორის ხორცს დაერიდა. ბავშობიდან ცხვარშია გაზრდილი. სხვა[illegible] 15 ცხვარი მოუნაგრებია, ახლა თავისი „ფარით“ კოლექტივში შესულა.

— ახლა რას აპირებ?

— ქალაქ უნდა წავიდე წიგნის სასწავლათ.

— მერე შენს ცხვარს ვინ მოუვლის?

— „ფეხებს ჩემს“, ამდენ ხანს მე ვდიე, ეხლა სხვამ გამოითხაროს მაყვალში ძრომით თვალები.

— წერა-კითხვა იცი?—ზოგიერთი ვიცი. წიფლებზე ვისწავლე ჯაყვა-დანითა.

რვეული და ფანქარი მივეცით. ეს კი ლორის ხორცივით არ დაიწუნა—პირველისავე გვერდის შუა ადგილს, წიფლის ტანზე გამართული ხელით ცერის ოდენა ასოებით გამოიყვანა: „გოგია ფარეულიძე“. მოდგმით ქისტები ყოფილან, მოსისხლეებს მორიდებიან და დასახლებულან პანკისის ხეობაში, „გაქრისტიანებულან“. გვარებიც გამოუცვლიათ. ახლა სულ სხვარიგად უნდა მოინათლონ. ათასი წლობით შექმნილი ყოფა მოშალონ.

დილას აღმასკომში წავედით. ხალხი ახლად აშლილი იყო. ლოგინებს საწერ მაგიდებიდან შკაფის თავზე ალაგებდენ. მთელი გურჯაანი ლაშქრობისას საველდახელოდ გამართულ ბანაკსა ჰგავს. მოსამსახურეებს დაწესებულებებში სძინავთ, აქაც „კატეგორიებით“—ვის მაგადაზე და ვის იატაკზე. გლეხთა სახლი გაჭედილია. განათლების განყოფილებაში დავიჭირეთ ერთი კუთხე. სალამოზე დაგვანაწილეს. ხვალ დილას უნდა გავემგზავროთ წნორის-წყალ-ლაგოდეხის მიმართულებით. მანქანა უნდა დავუკვეთოთ.

ოლქკომში შევედით. აქ ყოველ დაწესებულებაში ჰკიდია რაღაც გიდლის მსგავსი ტელეფონის აპარატი. მათი საშუალებით შეგიძლიათ ყოველ კუთხეს დაელაპარაკოთ კახეთში, გ ა რ დ ა ი მ ი ს ა, რომელიც შენ გესაჭიროება.

— „ფოსტა!

— მომეცით წნორის-წყალი!

— „საიდანაა“?

— ანაგა.

— დაიბრუნე სიტყვა უკან. ჩვენ წნორის-წყალი გვინდა.

— ‘ფოსტა, შეგვიერთეთ წნორის-წყალთან. საიდანაა?

— კარდანახი. და ასე შეიძლება მთელი კახეთი შემოირბინო. მკლავი გველრძო ტელეფონის ტარის ტრიალით. მილიციელიც მოგვეშველა, მაგრამ უნაყოფოდ.

მოთხოვნილება ტელეფონით—ზარი რეკს!—თელავი, სიღნაღი, ყვარელი—მოითხოვენ აგრონომებს საწარმოო გეგმების შესადგენად, მიწის მზომელებს, მოანგარიშეებს, ექიმებს, ბეითლებს, საქმის მწარმოებლებს, სატრაქტორო კოლონები—დამატებით ხელოსნებს, საწვავ მასალას, მომხსენებლებს სხვადასხვა საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წისქვილის ამბავი

წნორში ავტო არ დაგვიხვდა, ლინეიკები დავიჭირეთ. მელინეიკები ჯუგაანის არტელის არიან, წნორიდან შეფენებაზე რომ იხედება. მთელი ქარავანი შეიკრიბა ლაგოდეხში მიმავალი ლინეიკებისა. ალაზნის ჭაობების გასაშრობად მომუშავე ტექნიკოსები, კოლმეურნეობის ცენტრის, თამბაქოს ტრესტის ინსტრუქტორები, აბრეშუმის ტრესტის რწმუნებულები, ლაგოდეხელი კოოპერატორები, აზერბეიჯანის სატყეო ტრესტის აგენტები—მთელი ეს ქალაქისა და სოფლის მომიჯნე ტექნიკური ინტელიგენცია. ალაზნის არხს თავზე გადავუარეთ. მისი განიერი ფერდები ირიბად არის ჩათლილი და ყინვისაგან დამზრალი. მუშები მაინც მის ფსკერზე იფუღრეზიან. დროზე მართავენ ხიდეებსა და შტო-არხების სათავეებს.

არხმა გაზაფხულის თესვას უნდა მოუსწროს. ფართედ გადაშლილი ალაზნის ველი წყურვილით იხუთება. ნიადაგს მარილი ჭარბად აქვს გამჯდარი ძვალრბილში—ამიტომ გამოიყურება ასე ტიალად და ხრიოკად. არხის წყალმა ნიადაგი ჯერ მარილისაგან უნდა გამოანელოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიიღოს მან თესლი. მთავარ არხს აქეთ-იქით შტო-არხები დასდევს.

მისჟამ გუთნის-პირ-დაუკრავ ყამირს „ინტერნაციონალები"-ს ქარავანი დავლურს უვლის. ეს პირველი სამოვნელია იალაღებზე გალაღებული ბედაურის გავაზე გადავლებული.

ფარაჯებსა და ტყაპუჭებში გახვეული ტრაქტორისტები ოროველას ძახილით მიერეკებიან ფოლადის მოზვრებს. მაგრამ საუკუნოებრივ ქალწულობაში დაბერწებული ფური-ველი გულმკერდს არა ხსნის, ბარსაკვეთს ზედა პირზე აცურებს.

ველზე ნამდვილი დოლი გაიმართა. ცხენები ტლინკებს ყრიან, ცხვირპირში ტალახსა და თოვლს გვაყრიან. ყინვამ ფეხები დაგვაზრო, ქარმა სახე დაგვითოშა. ჩვენც ვიკადრეთ ჩამოხტომა და საერთო მარულაში ჩაბმა. ჭიაურის წისქვილს მივაღწიეთ. მოულოდნელად ლინეიკა გზის ორმოში მაგრად ჩაეხეთქა, ღერძი გატყდა. მელინეიკეები ერთი მეორეს მიეშველენ: ლინეიკის შეკეთებას შეუდგენ.

წისქვილში შევედით გასათბობად. ჯერის მომლოდინე გლეხები ცეცხლის პირად მჯდომ მეფანდურეს შემოხვეულიან, სკამზე ხელადა დგას, ხის ჯამზე ორი შეავე კიტრი. მეფანდურეს ცალი თვალი ელამი აქვს, მარცხენა თვალზე ლიბრი გადაჭკრავს, ცხვირზე გარდი-გარდმო იარა გადაუდის, წელზე იოვანე ნათლისმცემელივით მოუქნელი ტყავის ქამარი არტყია. ჩახრენწილ ყელს უსასრულო ბაიათის ჰანგზე ამოჰყავს.

ბევრჯერ ნახა ჩინეთის მუშამ ტანჯვა-ვაება, ციხე-სიმშილი.
ხედავთ, გარშემო შავი ძალები ამხედრებულან ჩინეთის წინ
მუშის სისხლს სვამენ, მუშის სისხლში ეძებენ ბედნიერებას.
დრო დადგება, ჩინეთის ჯალათებო, მალე მოგთხოვთ მუშების
დაღვრილ სისხლსა.
ნუ გვინგრევთ და ნუ გვიღობავთ სოციალიზმის გზასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფანდურე ცნობილი არაშენდელი პოეტი აღმოჩნდა—გიო ფარალა-შვილი.

სანამ ეტლს შეაკეთებდენ,—ჩვენ გიოს აუდიტორიას შევუერთდით. ჩვენც ვთხოვეთ, ეთქვა რაიმე ახალი ხალხური ლექსებიდან. გიომ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა, ერთი ჩაის ჭიქა დააყოლა და განაგრძო:

„გაუმარჯოს იმ პაგრამას, ვინც ეს საქმე მოიგონა:
მემამულეს მამულს ართმევს, მშრომელს მიწა მიუზომა.
აგერ კიდევ მიწის მზომელს ჯაჭვი აუღია ხელში.
ახლა კითხე მემამულეს, ბრაზი როგორ მოსდის ყელში,
სუ სხვანაირ ხმაზე გალობს, საყდარშია ჩვენი ღვდელი,
წვერი რათ დამოკლებია, ნიკალა დროს ქონდა გრძელი.
არ გაუშვა მიწას ხელი, მუშავ, არ მოშალო საძირკველი“.

გიომ ხელადა ჭიქაზე დააპირქვავა და განაგრძო:

„ამბავი მკითხე მოხუც კაცს; თავ ბევრი გადამხედია,
რახანა მთხოვ გიამბობ, ნუ გეგონები ყბედია.
მოგითხრობ ჩემსა ნახულსა, დაწვრილებითა ყველასა,
ამაოდ ნულარ მაყბედებ, მამა-შენისა ლხენასა“.

გიომ სიტყვა „ამაოზე“ ხმა აუწია. ერთმა კიდევ ჩუმად მითხრა, ახლა ერთი ჩარექა თუ არ ჩამოუდგი, კემუტი კაცია, არ განაგრძობსო.

ღვინო მოუტანეს, ერთი კიდევ დააყოლა და განაგრძო.

„მე გახლავარ მუშა კაცი, გლეხი ვარ გლეხათ შობილი,
მიწაა ჩემი დედმამა, ჩემი და, ჩემი ძმობილი.
მიწას ვხნავ, ვთესავ, რა უყო: ეს ჩემი შრომა ფუჭია,
ვერ მოვიწიე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია.
გამიცდა ნამუშევარი, როდი მოვიდა პურია,
ვენახიც ძრიან გაფუჭდა, ცარიელა დგა ჭურია,
ნუ გეშინიან ძმობილო, ნუ გაგიტყდება გულია:
სულ ვაგონებით გიგზავნო საკლავი, ღვინო პურია.
რას შემომცქერი ძმობილო, ოფლში ვარ გაწურულია,
ნუ გიკვირს მენა ჯაფისგან რომ გამტეხოდეს გულია“.

— სუ შენ გამოთქმულია ეს ლექსები?

— ჰო ჩემია, მა ვის ჯახნამისა იქნება.

— აბა კიდევ რა იცი?

„ბალ-ვენახში შემოსულა
სახე მწიფე, კაბა ჭრელი,
მის გულმკერდზე ორ მტევანსა
უნახავი ეტრფის ხელი“.

ბიჭოს, ეს ვისია, ეგ რალაც მეცნობა!

— ზეით რო გითხარ, სუ ჩემი გამოთქმულია. ეს ეხლა რომ ვთქვი, ერთი ლექსის ამომღები მეწისქვილე იყო ჭიაურში, სანდრო შანშიევი, იმისაგან გამიგონია. კახეთის დედოფალი ქვია, ბევრი ლექსები იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა სად წავიდა?

— ამბობენ ქალაქში წავიდაო.

— მეწისქვილედ რათ იყო მერე?

— მაშინ ქალაქში ქესატობა იყო, სოფელში კიპურის ტკბილობა, ხალხი სოფელს მოაწვა: ცოტა ხანს იოლათ წავიდეთო. ისიც ამ დროს ჩამოვიდა. ეხლა ქალაქში გაიკრიფენ. ის ჯერ კიდევ არ წავიდოდა, წისქვილი რომ შეერჩინათ.

— წაართვეს განა?

— არც წაართვეს და არც დაუნარჩუნეს. მაინც აქ მოწონებაში იყო, ნასწავლი კაცია, მწერალიაო. სიღნაღის მთავრობამ სთქვა, ამას ვერ ვაწყეინებთ, ვერ მოვიმდურებთო. ადგენ, წისქვილი გამართეს ახალ ადგილას, შანშიევისეული წისქვილის წყალი ახალ წისქვილზე მიუშვეს. სანდროს უთხრეს: შენ ვერ მოგიმდურებთ, მელექსე კაცი ხარ, წისქვილი შენ დაგრჩესო. აბა, წისქვილი მშრალზე რის მაქნისია? აღარ დაედგომებოდა. ადგა და წავიდა ქალაქს. მას აქეთ აღარ გვინახავს. თუ მოგწონს იმისეული ლექსები კიდე ვიცი. ოღონდ შენმა გაზრდამ ხმა გამიშრა, ერთი ჩარექა კიდევ დაუძახოთ.

ჩარექას კი არ გავექეც, მაგრამ ამ დროისთვის ეტლიც შეაკეთეს. ცოტა გავთბით კიდეც და ისევ ზევით შევყევით.

ხილითა და თამბაქოთი დატვირთული ურმები გზას გვიჭრიან. ფარცხებით, გუთნებით, სანიავებლებით დატვირთული ურმები ლაგოდეხ-ზაქათალისაკენ მიჭრიალებენ. ურმები წეროსებრ მაღალ თვლებზე დგანან: ზაქათალის ჭაობებში მხოლოდ ასეთი მაღალი თვლები თუ გაატანს.

ზაქათლელი ლეკებიც ასევე ჭაობის ბალახივით ხარბად არიან აზრდილი. ლოყები ციებით ატყეპილი. სახეზეც ჭაობის ფერი ადევთ. მხრებში სვავებივით მოხრილნი არიან.

ტანზე გრძელი თეთრი ქეჩის წამოსასხამი აცვიათ. სახის გამომეტყველება რაღაც აქლემისებური, მოღლილი და ნაღვლიანი.

ულიანოვკა, მშვიდობა, ვარდისუბანი, ჩადუნიანი, გელათი, ბუდიონოვკა, ალექსეევკა, კავშირი, შრომა,—ლაგოდეხშიაც ჩამოვედით.

დაძრული ყოფა

ისმის ათისთავის ძახილი:

— აბა, კაცო, მორჩით, მოსპეთ ყატყატი. ბურნუთა მელქოს სარაიაა გასაწმენდი. გომები უნდა დავმართოთ, შექუჩებული საქონელი სიცივით გვეხოცება. დაიძარით ადგილიდან. აბა ყაუბანა ბიჭის ათეული, კუზიან სერგოს ათეული გაჯსწით, რაღა!

სტეპკო ჯავშანაშვილს სიბრაზისაგან ალმური ასდის სახეზე—წითელ-ყვითლად ღუის.

— ეხლა ჩემი ყევარი ხარი კომუნაში, ჩემი პოვოსკა კომუნაში, ჩემი გატეხილი მიწები კომუნაში და ანაბარიც ჩემს კისერზე. ბარემ მოიყვა შენი ღლაპები და კისერზე შემსვი სარჩენათ. სხვის შემოტანილზე მარჯვეთ ხარ! ეხლა შენ მოდი და არჩინე ამდენი გუდამშიერი!

— აბა რას აპრაკუნებ! როდის იყო, რომ ჩემი ღლაპები შენი სარჩენი იყო. ჯერ არ შემოსულხარ და უკვე იკბინები, ერთად რომ შევეყენეთ, ნომ სულ შეგვჭამ. ვინც ჩვენთან მოდის, უნდა მოვიდეს კაცობრიულად.

— კაცებო, წავიდეთ. ეგრე ყაყანით ჩვენ კომუნას კი არა, კორკოტსაც ვერ გავაკეთებთ: სიმშილით დავიხოცებით.

გაემართენ ზლაზნითა და ყაყანით. მეც გავყევი.

შევედით ფართე ეზოში. აქ ერთი პატარა სადარაჯო სახლია და ორი ფარდული. ერთი თამბაქოს სახმობია, მეორე კი საბძელი. სადარაჯო სახლებს ქვეშ ნეხვით პირსავსე გომია.

ეზოში თავაგლეჯილი სკივრი გდია სხვადასხვა ქაღალდებითა და ფოტოგრაფიული სურათებით, მიწაზე მოფანტულია რვეულები ლათინური ენისა—ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის შეგირდის — ალექსანდრე ვაჩნაძის, ვორონეჟის სამხედრო სასწავლებლის მოწაფის ჩანაწერები ფორტიფიკაციისა და არტილერიის, პატაკები ზაქათალის საუბნო საბოქაულოსი, გაზ. „საქართველოს", (1917—18 წლ.) კომპლექტები—სწორხაზოვანი ცხოვრებრივი გზა ჩვენი თავადაზნაურობის საგრძნობი ნაწილისა.

ყაყანი და ბჭობა გაიმართა გომის შენობის შესახებ. რიგი რას ამბობს, რიგი რას.

— თამბაქოს ფარდული არ ვარგა, ყბა-ღიაა. აქ ჩემი საქონელი გაციდება.

მე კი ჩემეულს იქ ვერ შევიყვან,—ეგეც არ იყოს მიხოს ნიკორა გვერდებს გამოგლეჯს.

კაცო, ეგრე ცალ-ცალკე თუ ვიფიქრეთ, რის კომუნა და ერთობა იქნება. რის ჩემი, რის შენი. ყველაფერი კომუნისაა. თავფეხით შიგა ვართ შესული!

— შენ მართლაც თავფეხის მეტი არაფერი შემოგიტანია, მიტომ ამბობ ეგრე—კიდევ ვერ მოითმინა სტეპკომ.

— აბა მოსპეთ ყატყატი. გაალეთ საბძლის კარები, გამოიტანეთ კოჭები.

ბზის მტვერი ჭერში ავარდა. აქ ყველაფერია: დახერხილი მორები, კოჭები, წერაქვები, ბირდაბირები, გაბმული ხერხები, რკინის მავთული, თამბაქოს კავები, ცულები. ყველაფერი უთავბოლოდ დაზვავებული გლეხურ ქვეცნობიერ ყაირათიანობით.

იატაკში ხვრელია გაყვანილი. ხვრელი ბზითაა ამოვსებული. ერთი შიგ ჩაძვრა და ბზეში ფუგნა დაიწყო: ნიკა, ნიკა ე მანდ ოქრო არ აღმოაჩინო. ამბობენ: ბურნუთ მელქომ გაქცევისას ოქროს ზოდი დაფლაო.

ნიკა ბზეში ამოგანგლული ამოძვრა. ხელში ბოხჩა უჭირავს. გახსნეს: ძველი ფულები აღმოჩნდა: ეკატერინეს დროინდელი ათთუმნიანები. უდღეური „კერენკები", მენშევიკური „ლიმონები".—ქოსმენს აქვს ეგრე სხვადასხვა ეადებში შეძენილი ქონი ცალე კფენებად დალაგებული.

— ეგ თავუბედური თვალებს ითხრიდა, არა სჭამდა, არა სვამდა. მოჯამაგირის გაუსტუმრებლობისათვის რამდენჯერ დააჯარიმეს და აქ კი ფული ფუჭად ობდებოდა. ქუჩაში რომ დამპალი თამბაქოს ფოთოლი ეპოვა, არ გაუშვებდა.

ამას წინეთ შეშა მომქონდა მაგისთვის. პრტყელი ქვა ნახა, დაწვდა, ურემზე შემოაგდო, ესეც გამოდგებაო. რა ერთი მავთული ქონია დაკრული, ... ბაზათ რომ გქონოდა, ერთ ნაჭერსაც არ გათხოვებდა.

კოჭებს გარეთ ეზიდებიან. რა ერთი ტყე დაუგროვებია! სად, საიქიოს მიჰქონდა! აკი ჰქონდა ორი საბძელი და ოთხი ფარდული. აბა ასწი.

მორს კეტები ამოუდვეს, სიცილითა და ყაყანით მიათრევენ გარეთ.

— აბა მძიმეთ დაუშვი, პატიოსანი კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა!

ერთიც კიდევ, ჰე! მუხის მორები ზლაზნით მოცურავს ბზის საფენელზე.

— აბა ეს მორი გადმოვაბრუნოთ! მიხომ კეტი გადაუყენა. მორი გადმოიქცა, ნამჯის გუნდა გადმოანგრია. შიგ სხვადასხვა იარაღები არის ჩაფლული. მიხა სატეხს დასწვდა და ხალათის ქვეშ ამოიჩარა. ღვედის მათრახი წელზე შემოირტყა.

შეამჩნიეს. გარს შემოესიენ, აუყუვლდენ.

— აბა ეგ არ იქნება, გაიძრე ეს სატეხი, ეგეც კომუნარისაა! საით მიათრევ?!

მიხა უარზეა. ღვედი შეუხსნეს. სატეხი გადმოვარდა.

— კაცო რას მეჭიდებით—ურმის ჭავლი გამიტყდება,—ეს გამომადგება.

— შენ შენსას არ იშლი: შენი ურემიცა და ხარებიც საერთო ტრანსპორტშია განა! იმას კიდეც მოუვლიან და კიდეც შეაკეთებენ.

— აბაეხლა ეიშაბაშოთ!—დაიძახა ყაყია ბიჭმა. შუადღეზე გადავიდა! განა კომუნაში იმიტომ შევედით, რომ წელები დავიწყვიტოთ. ავერ ქედის კომუნარიაში თურმე დღეში ხუთ საათს მუშაობენ და ცხრა კერძს სჭამენ. დანარჩენი დრო სუ რკინის ტახტზე გორაობენ ბურვაკებივით.

— ქედის კომუნარიაში ხუთს კი არა ხუთმეტ საათსაც მუშაობენ, თუ საჭიროა. ხომ გაგიგონია, შოთას უთქვამს: მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი ხმალს იქნევდესო. შენ ეგრე მალი-მალ დაისვენე. წელი არა გეტკინოს, შენმა გაზრდამ, ლოიდი და ჯორჯი მოგიმუშავებს ცხრა კერძისას.

— აბა ეხლა ყველაფერი კომუნისაო, წამოიწყო მიხომ, ჩემი აჯამი ჭკვით ორი წილი კომუნას ქონდეს და ერთიც მე. ახში გული საგულეს მექნება.

— მაშინ რა კომუნა იქნება, ესე ხომ ზოგი წინ წავიდა და ზოგი უკან ჩამორჩა. სამივე ნასამედი რომ კომუნას მისცე, სად დაგეკარგება. განა კომუნის ქონება საერთო ქონება არ არის, საძმო—საერთო.

— გააბი შენაც ჭია-ფანდურივით. ჩიჩიაც შენა გქონდეს და ბაბაც. მე რა შავი ჭირი მრჩება.

— ამაზეა ნათქვამი: დათვის თავზე კალოს ლეწდენ და ბურდო სად გადავყაროო. განა კომუნის ქონებას შენ ვერ მოისარგებლებ?!

მიხა სამოცდაათი წლისაა. მეტ სახელად ვირ-მიხას ეძახიან. ულვაშები ნიკაპზე გადმოსდის. წარბები ცხვირზე. დაგრეხილი თმა ზვინივით ადგას თავზე. წვერის ულოსავით აქვს შეზრდილი მთელ სახეზე და ყურებში. კბილები მგელივით მაგარი აქვს. უძნელდება ახლა სამოცი წლის ნაზარდი კბილების გამოცვლა.

მიხას ჯანი და ღონე საარაკოდ არის გამხდარი ლაგოდეხში. ერთხელ თურმე წნორის გზაზე კამბეჩი დაუვარდა. კამბეჩი ჭიაურში დააგდო და დატვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული ურემი ლაგოდეხამდე კისრით ამოიტანა. თვალები ელამე აქვს, მაგრამ საქონელს ბნელ ღამეში გავლაზე სცნობს.

— აბა, მიხო, მოჰყე, როგორ იყო ჯუგაანში რომ კალო გალეწე! მიხას და მამამისს ჯუგაანში პური ჰქონდათ. ალოსთავი იყო. მოძალებული სამუშაო. ხარები ვერსად ეშოვათ. მიხა კევრს შებმოდა და სამხრობამდე რვა ათეული გალეწა. სირბილის დროს კონებს ფეხს წამოჰკრავდა და ასწორებდა. მამა კევრზე იდგა და დასძახოდა: აბა, ჩემო ვირ-მიხა,—დაილოცა შენი ჯანი, არც იობის ნალი გინდა, და არც ჩალა, თივა, ქერი. მთელი ჯუგაანი სანახავად მოსულიყო. მებორნეს მიხასათვის ქეიფი გაემართა, ლოქო დაეკლა და რვა ჩარექი ღვინო შეესმევინებინა.

ის როგორ იყო მიხა დღისით-მზისით-დუნია ხალხის თვალწინ შენს ცოლუკას მიუდეგ და დაიურვე.

— აბა, მოჰყე, მიხა, მორს ქვეშ როგორ მოექეცი?

მიხას უხარია, რომ დაუყვავეს და შეირიგეს.

აბულას-იალაღებზე მიხა მორებს ეზიდება აზერბაიჯანის სატყეო ტრესტისათვის. განგებ ვეება თოთხმეტადლიან მორებს უდებს- რა არის ნარდობაში მეტი გამოვიდესო. ერთ გზობას ორი მორი აუბა. ჯამბარამ ვერ გაუძლო და გაწყდა. მორები თავდაღმა დაგორდა. მიხა ქვევით იდგა.

პატარა მორი ფეხით შეაჩერა. დიდმა დაძლია და ქვეშ მოიყოლა. მარცხენა ფეხზე დააწვა, მოუგრიხა. მარჯვენა ფეხი მორზედ აქვს გადადებული. მიხა ყვირის თათრულად, ლეკურად (ლეკებში იზრდებოდა 8 წლიდან და ლეკური მშვენივრად იცის). ხმას არავინ სცემს. მიხას გული ეღონდება, თავის-თავს არიგებს: ჰე, ვირ-მიხავ, გამაგრდი, რო ყვირი, რას ყვირი, აქ ამ ღამით ყაჩაღიც არ ამოვა ასე მაღლა!

მზემ ამოაწვერა, მაგრამ მიხას თვალები უბნელდება, ვიღაც ხალხი თავზე დადგომია და მორს კეტებით ზევით წევენ. მორი ფეხს ააცილეს. სისხლი მოაწვა, დამსხვრეული ფეხი უფრო ეტკინა, მიხა ყვირის: დაუშვით მორი, მოვკვდი!.. მათარით წყალი მოიტანეს, სახეზე მიასხურეს, მობრუნდა, თვალი გააღო: ბაისუბნელი მეკამბეჩეები აღმოჩნდენ. მიხა საკაცით ბელაქანში ჩაიტანეს. იქ ვერაფერი მოუხერხეს, შემდეგ ლაგოდეხში მოარჩინეს. ეხლაც ოდნავ ეშჩნევა ტარებაში. ჯერდულად დადის.

შენ კი კვლავ იძახი მარტოხელა მუშაობა სჯობიაო. რომ მარტო არ ყოფილიყავ, ეგ ხომ არ მოგვიდოდა?

— მე, ჩემო ძმაო, აჯამი კაცი ვარ, კამბეჩის რქაში გაზრდილი. კამბეჩი ხომ იცი, ჯიხვის ჯილაგისაა. კაცმა ჯიხვი დაინახა, სთქვა: ღონიერია, საულლედ გამომადგებაო. სახლში მოიყვანა, აჭამა, ასვა, თბილ ბინაში დააგდო, მაინც წყალში იყურება, მაინც ტყეში გარბის. ჩემი საქმეც ეგრეა. აი ჩემი შვილი კონკავ-ზირია, ის სხვა ჭკუაზე წავა, მე კი ერთი კემუტი კაცი ვარ, ქვასავით გაუხრელი!

— შენ მიხა, სანამ ემ ზვინისებურ წვერს არ მოგპარსავთ და ყურში ბალანს არ გამოგიტუსავთ, შენსას არ მოიშლი. აბა, ნიკა, მოიტა „ზაჟიგალკა!“ მიხას დაეხვევნენ და მართლაც კინაღამ გატრუსეს. ძლივს დაუსხლტა ხელიდან და საბძელში შეეარდა. სხვებიც შეყვნენ და ისევ კოპების ზიდვა დაიწყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომური გაიწმინდა. ჭერიდან ფიცრები, ხერხი და ცულები ჩამოიტანეს. გლეხის სამეურნეო თვალი გულგრილად ვერ უცქერის ამ ქონებას. ათეულებმა ერთმანეთში დავა გამართეს ცულდებისთვის.

— აბა ამანაც უნდა სთქვას, რომ გლეხი ვიყავიო და მეცა,—ჩაფიქრებით თქვა სტეპკომ და თუშური ქუდი თვალებზე ჩამოიფარა.

— გლეხი კი არა კულაკი სთქვი, ექსპელატორი,—მოუჭრა ნიკომ,—შენც ბევრი არაფერი გიკლდა.

— კულაკი თუ ულაყი, ჩვენეული ამას ჩაუცეცხლავს—დაურთო კუზიანმა სერგომ.

ურმები მოიტანეს, ბაგებისათვის ბოძი და ფიცრები მოიტანეს. საქონელს თივა უზომოდ დაუზვავეს: საქონელი ფეხით შედგა—ტალახში ჩაწიხლა.

— აბა ეს ხარები ვისია! ამ თივას რომ ასე ანიავებს, მართლა „მონაპოვარი“ [1]) ხომ არ არის. ქეჩეჩი გამოგველევა, საქონელი სიმშილით დაგვეხოცება

ბოძები დახერხეს, ბაგები დამართეს, იატაკი გადათხარეს და დატკეპნეს. მუშა საქონელი მორეკეს, სულ 54 ულელია, ერთად ჩაამწკრივეს.

პირველი ჰექტარი

ორშაბათს დილას ვაშლოვანის ქუჩაზე ავიარეთ ხალხის გამოსაწვევად. ხელუხლებელ ტყემდე ავედით. ხალხი ზანტად გამოდის. წინა ღამით თოვლი მოვიდა. ცა მოწმენდილია, მაგრამ ტყეში მაინც თოვს. გიგანტურ წიფლებს აკრეოლებს სიცივისაგან. ხე თითქოს ინსტინქტურად ტოკავს, თოვლქვეშ დაზნექილ ტოტებს იბღერტავს ზედმეტი ტვირთისაგან. წვრილად დადენილი თოვლის საფანტი წინაღამით დაფენილ თოვლის საგებს ცხრილავს და აჩოფურებს.

ძნელია ამ დროს ტყეში მუშაობა: შერხეული ხიდან ჩამოსული წყლიანი თოვლი კაცს პირდაპირ საყელოში ჩაუდის.

ჩვენი კომუნის წევრი მოჯამაგირისას—ბაჩიკა-ბიჭისას შევუხვიეთ. ნიკო ფიროსმანიშვილს ერთი ცნობილი სურათი აქვს Миланер бездетни, бедная с детами—ეს საოცარი წარწერა მომაგონდა, როცა ბურნუთა-მელქოს და ბაჩიკა-ბიჭის კარმიდამო შევადარე.

ბაჩიკა-ბიჭს თავისი დღე სხვათა მოჯამაგირობაში გაუტარებია—ვაქირი, ბაკურციხე, კარდანახი, მაჩხაანი, ყვარელი, შილდა, უკანა მხარე—ვგონებ არც ერთი კუთხე არ დაკლებია. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იმდენი ქონება მოუნაგრებია, რომ მართლაც კურდღელს აეკიდება. მისი ოთახი მერცხლის ბუდესავით არის მიკრული სხვის სახლზე. ბაჩიკა-ბიჭი დაბალია და ბეჭგანიერი, ცალი ყური სადღაც ჩხუბში სანახევროდ მოთლილი აქვს. მისი ცოლი მას მხრებამდე ძლივს სწვდება. მაინც მოხრილი უხდებათ სიარული. ვითომ რა არის, ჭერს თავი არ ჰკრან. ეს ბინაც ნაქირავები აქვთ, ერთ კუთხეში—იატაკზე ლოგინი არის აკეცილი. არც სკამი, არც მაგიდა, არც სხვა რამ მოწყობილობა. ორი ბოთლი უადგილობის გამო კედელზე ჰკიდია ჩურჩხელასავით. მეორე კუთხეში ქვაბი დგას ხახვით და კათხა ფქვილით. სამი პატარა ბავშვი თითით ნესტოში კედელთან მწკრივად დგას უადგილობის გამო.

[1]) კომუნა „ოქტომბრის მონაპოვარი“-ს სახელობისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშლოვანს თავი დავუარეთ და „პოლკოვოი“ ბაღთან ჩამოვედეთ. ლაგოდეხი წინად „შტაბ-კვარტირა“ იყო. ეს „პოლკოვოი“ ბაღი და ყაზარმები, რომლებიც ლაგოდეხში ვგონებ მეტია, ვიდრე სცხოვრებელი სახლები, ლაგოდეხის ძველი დიდების ნაშთია. ამ ყოფილ ყაზარმებში და „ჩიხაოებში“ არის გამართული დღეს საფერმენტაციო ქარხანა, თამბაქოს საწყობები, კლუბი, სახელოსნოები, ელექტრო-სადგური. ძველი ელექტრო-სადგურის გვერდით ახალი ჰიდროელსადგური შენდება. ზაჰესი სოფლად უკვე ზოგად სახელად ქცეულა, ახალ ჰიდროელსადგურსაც აქ „ზაჰესს“ ეძახიან. ეს „ზაჰესის“ ნაშიერი მეტად საინტერესო კონსტრუქციისაა. 30 მეტრის სიმაღლეზე დაყუდებულ აკაციის ბოძებზე ვეებერთელა ხის ღარია გადებული. ღარის ფიცრები მაგრად არის შეკრული და გაფისული. ბოძები თუმც ერთმანეთს ლარტყით არის მიმაგრებული, მაგრამ სიმაღლისაგან მაინც ოდნავ ტოკავს და წელში ირხევა. მთელი ნაგებობა რაღაც პრეისტორიული ცხოველის ჩონჩხივით არის ამართული და გარშემო მყოფ სახლებს გადასცქერის. ამ სადგურმა უნდა იმუშაოს, სანამ ალაზნის არხზე აიგებოდეს ისევ ახალი „ზაჰესი“.

„პოლკოვოი“ ბაღში წინად სასულე ორკესტრი გრიალებდა, „ვეჩერი“ „ვეჩერს“ მოსდევდა. ლაგოდეხელი ქალები ლოტოს მაგიდებს უსხდენ, დეზების ჩხრიალს მათი ნერვული წამოძახილი აყრუებდა: „ტრიციტ შესტ“, „სოროკ ჩეტირე“ „ტუდი სუდი“ (69), „კვატერნო“, „გავათავე“.

მაწიმელ ქალების ჭორებს თუ დავუჯერებთ—ლაგოდეხელი ქალები დღესაც ვერ ისმენენ გულგრილად ლოტოს „წკაპუნს“. „ვეჩერები“ კი ამ რამდენიმე ხნის წინად აკრძალა ხელისუფლებამ საგანგებო განკარგულებით.

„პოლკოვოი“ ბაღში დღეს თუთის ხის სანერგეა. ნერგი აქ კარგად ხარობს და აქედან გააქვთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ეხლაც ახალ სანერგეს ამზადებენ თუთის ხისათვის. ნიადაგს ასუფთავებენ და ასწორებენ. მესანგრე ასეულის მიერ გათხრილ სანგრებს კი ავსებენ.

ორი ბრიგადა მუშაობს, კომკავშირის და „უხმო“ მუშების.

კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დასაწყისში—დიდად შემცირდა მუშა-ხელის გამოსვლა შრომის ბაზარზე. სახელმწიფო დაწესებულებები და წამოწყებანი დიდ გაჭირვებას განიცდიან მუშა-ხელის უქონლობით. ბრკოლდება შირაქის სანავთოებზე სამუშაოების გაშლა.

„უხმო“ მუშები დიდათ ხმაურობენ. ეს ლაგოდეხის ნაკრები გუნდია, აქ არიან ყოფილი ბაზაზები, იჯარადარები, დალალები, თამბაქოს მოვაჭრეები.

თოხებს ზლაზვნით მიათრევენ ქვიშნარში—ერთმანეთს გასძახიან ნიშნის მოგებით:

„არც შენ შაგრჩა თარზე შიქასტები, კალმახის ბლუდები. პუნჩით რომ დაითვრებოდი, უეტლოდ ფეხს არ გადასდგამდი. ეხლა ფეხითაც ძლივს დაიარები.

— არც შენ გაქვს ნისკარტი სუფთა! „არც შენ შაგრჩა ვარდიის ბუშლატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არც შენ შაგრჩა პოლკოვოი პოდრაჩიკობა, ლეკებში, რომ ხორცს ყიდულობდი, სასწორზე გირების ბადლათ მუხლსა სდგამდი: „ჩემი მუხლი სწორედ ხუთი გირვანქაო“,

„არც შენ შაგრჩა თამბაქოს ვაჭრობა, ფილიზებს რომ შუაწელს გააყოლებდი“.

„არც შენ შაგრჩა ჯაგრით ვაჭრობა, სხვის კაკალს რომ ბღერტდი გზადაგზა:

„არც შენ შაგრჩა „ნირიდაი“, ჯიგრის მწვადები, ბელაქნელი გოგოშკები—მისძახიან დაბალ ჩოფურა გევლოს, მეტსახელად „ბატი-ბუტი“ გევლოს—ეს იმიტომ რომ „პირველდაწყებითი დაგროვების პერიოდი“ მას დახალული სიმინდის ვაჭრობით დაუწყია.

მეტსახელი აქ საერთოდ ყველასა ჰქვია და კაცს მხოლოდ მეტსახელით იცნობენ. გვარი კი, მთელი სოფელი უნდა დაიარო, რომ ვინმემ გითხრას.

არც სამუშაოს უფროსს ინდობენ: არც შენ შაგრჩება ეგ ცალი თვალი, ქირა თუ თავის დროზე არ მოგიცია.

ბიჭოს, დრო რა მძიმედ მიდის მუშაობაში. აბა პურის ჭამაში ნახე. მეტი ჩარა არ არის, ჩვენმა ბრიგადამ ერთი იორლა საათი უნდა შეიძინოს.

მზე მაღლა ამოემართა. 6 ათეული შეიკრიბა. დაუყეთ დაბლა ტყისკენ. გზა ახოზე მიდის, თოვლი მუხლამდეა, თოვლში ვიწრო გზაა გაკვალული, ბევრი მაინც გაუკვალავ თოვლში მიაბიჯებს. კახური ქალამანი თუშურ ქუდივით თავის მოვალეობას სამეოთხედოდაც არ ასრულებს, მაგრამ ფეხი იმდენად ნაწრთობია თოვლში, რომ სინესტისადმი მგრძნობელობა დაკარგული აქვს. ნაკაფებს წვრილლიანი მოსდევს.

მინდორში საშინლათ ცივა, ტყეში კი თბილა. თოვლიც აქ უფრო თხელია. მალე ჩვენს ნაკვეთზე ჩამოვედით. სიცივისაგან გათოშილები ტყეს მიესივნენ გასათბობად. მალე რამდენიმე წიფელმა ტყლაშანი მოადინა. აბა მონაპოვარო, რა პირი დაგიღია, გასწი ბირდაბირი, ე მაგრე გინდა გასტეხო სამოცი ჰექტარი ტყე!

ტყეს ეხლა იმერულ წესით ტეხენ. წვრილ ხეებსა და ჯაგებს ჭრიან, დიდ ხეებს კაფავენ, გარშემო ცეცხლს უნთებენ და ტრუსავენ. შეტრუსული ხე მალე ხმება, ლპება და ძირფესვიანად ვარდება. ასეთი მტაცებლური წესი ნაკლებ შრომას მოითხოვს. წინათ კი ვეებერთელა წიფლებს ძირფესვიანად თხრიდენ. ამ ტყესთან არის დაკავშირებული მთელი ლაგოდეხ-ვაშლოვანის მუშაობა. სხვა მხრივ გასაქანი არა აქვთ. გაფართოება აქ მხოლოდ ტყის ხარჯზე შეიძლება.

ნიადაგი არაჩვეულებრივ ნოყიერია, მინდორი დაცემულია, წვიმის წყალი მას ვერ რეცხს. დამპალა რამდენიმე ციდის სიღრმისაა.

ნაკვეთებს ანაწილებენ, რიგს საპურედ, რიგს საბოსტნედ, რიგს სასიმინდედ. მზვარე ჩაღ ადგილებს თამბაქოსათვის იტოვებენ. თამბაქო უმზეოდ ვერ იგვარებს, ღოლო, მწვანე თამბაქო გამოვა. ისიც ნაძრავში. ყამირი და უძრავი მიწაც გამოუსადეგარია თამბაქოსათვის.

ჩრდილიან ბოშ ადგილებს სიმინდისა და ქართოფილისაგან ამარჩუნებენ. პირველ წელს გუთანი გაჭირვებით გაუდის, მაგრამ ღლიური 2000 ფუთ ქართოფილს იძლევა.

ბირდაბირის მონოტონურ ხვრინვაზე ჩემი პარტნიორი ოშუშა მიხა მიამბობს, თუ რა პირობებში უხდებოდათ ტყის გატეხა 1921 წელს. მიხა ანძასავით მაღალია, კოჭებამდე ცხვრის ქურქი აცვია, ჭაღარა, წინ ჩამოსულ თმებზე წოწლოკინა ქუდი ხურავს. ახლა ტყე გათხელებულია. წინად ჯაგი და მაყვალი ისე იყო გადაზრდილი, რომ ჩიტი ფრთას ვერ შლიდა თავისუფლად. ხმელი მჭადის ამარა, მარტოხელა კაცი რის ვაი-ვაგლახით აგორებდა ტყვიისებრ მძიმე კუნძებს. სოფლამდე 5—6 ვერსია. ღამეს სიცივეში და თოვლში ათენებდენ, ასე გლეჯდენ ტყეს ყოველწლივ რამდენსამე ნაჭერს. ახლა ზოგიერთს რამდენიმე დღიური აქვს გატეხილი. ყოველ წყრთა მიწაში რამდენი ოფლია ჩაღვრილი.

მიხა ძველი ბოლშევიკია. 21 წლამდე ბევრი უხოხავს მუცლით საქართველოსა და აზერბეიჯანის საზღვრების გადასალახავად. განჯის განსაკუთრებულ განყოფილებაშიც უმუშავია. ბევრჯერ ქონია შეტაკება გადასელისას „ვარდიელებთან“. ცხრაას ცხრამეტში „ჩიხაოს“ და გვარდიის შტაბის აღებაში ერთი მოთავეთაგანი ყოფილა. მეტეხშიც მჯდარა. ოცდაერთიდან ოცდაოთხ წლამდე „ბანდისტებს“ სდევდა, ოჯახი სულ მოიშალა, ნერვებიც მოეშალა, ღვინოს აყვა და გადაჰყვა ხელს. ახლა პარტიიდან რომ მოხსნეს, „ავტორატი“ სულ დაეკარგა. მაგრამ სხვებზე უფრო კიდევ მას შესტკივა გული კომუნისათვის. ჩვენი ლაგოდეხელები რეულა, ჭრელი ხალხია. ათას ჯურა, ათას კუთხიდან მოსული. თავს ვერ დაიჭერს. ამერიკაში რომ კაცი დაიკარგოს, კვირას ლაგოდეხის ბაზრობაში ნახავ უთუოდ. თავიდან არ შეარჩიეს, არ დაახალასეს. ეხლა შიგნიდან ანგრევენ კომუნას.

საუბარს შევყევით, ვერ შევამჩნიეთ, თუ ამინდი როგორ შეიცვალა. ალაზნის ჭალიდან ღონივრად დაუბერა და წვრილი თოვლის ფანტელი რაცრაცით წამოვიდა. ქარი გამძლავრდა. ნახევრად მოჭრილმა ხეებმა ლაწა-ლუწი მორთეს. ჩვენ ვერც კი შევნიშნეთ, ჩვენ პირდაპირ ხე როგორ წამოიქცა, მხოლოდ ხალხის ყვირილზე გამოვერკვიეთ და განზე გავხტით. ხის ტოტებმა შხუილით თავზე გადაგვიარა, კინაღამ ქვეშ მოგვიტანა.

ასეთ დროს მოტეხილ ტოტსაც შეუძლია კაცი იმსხვერპლოს, ისეთის ძალით მოდის თავქვე ხის კენწეროდან. ხალხი შექუჩდა. მუშაობას თავი ანებეს.

მოჭრილი ხის ტოტები აკუწეს და ცეცხლმოკიდებულ კუნძს დააყარეს. ფიჩხს და შეშას ეზიდებიან ყოველ მხრიდან. ოშუშა მიხა კოცონზე დგას იოანე გუსივით, ფეხებში ცეცხლის ალი ედება. ქარი ქუდსა გლეჯს, მაგრამ მაინც არ ეშვება. კოცონზე დიდ-დიდ მორებს ყრიან, რომ ცეცხლმა მეორე დღემდე გასტანოს. ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა. მუშაობას თავი ვანებეთ და შინისკენ გამოვემართეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივავალნი

I

ვაშლოვანი ახალ ყლორტივით არის წაზრდილი ლაგოდეხზე. ვაშლოვანიდან პირდაპირი გზა გადადის ხუნძეთში და დიდოეთში. ამ გზით გადმოდიან გულხადრელი ლეკები--რიგი დამატის დასაწყობად, რიგი ალაზნის ჭყანტობებში ცხვრის საძოვებლად.

სულ 12 წ. არ იქნება, რაც ვაშლოვნელები დასახლებულან ძველ ნასოფლარზე. ხშირად სახლებში კარ-ფანჯრები ჯერ კიდევ ამოუყვანელია, ზოგის თაღებიც გადაუხურავი.

ვაშლოვანს სიცივისაგან სოფლის თავზე ცერად დაყუდებული, თოვლით შესუდრული კუდიგორას მთა იცავს.

თუმც ჯერ თებერვალია, მაგრამ ჰაერში უკვე გაზაფხულის შირა დგას. ოდნავ დათბა და ლეკეთის მთის კედელმა სუდრის კალთები მორცხვად აიკრიფა, მთის შუაწელს თოვლის ფიფქი ძუნწად აყრია ფერ-უმარილივით. დაბლა ფერდებზე კი, რომელიც ზედ სოფელს ჩამოაჭრის, ნაადრევ სითბოს თოვლი პირწმინდად აუღია. წიფელს კვირტი ნამძინარევ თვალივით ოდნავ გაუღია—იტყვი, ფიქრობს: დროა გავიშალო თუ არაო. სამზეური ფერდი უკვე ოდოჟღერად გამოიყურება. სოფელში კი ატმის ყვავილი ახალ ამბავივით გამოსულა.

ალაზნის ჭალა და გომბორის დამწვარი ხურგი ქამელეონივით იცვლის ხოლმე ფერს მზის ყოველ მობრუნებაზე. გომბორი ლურჯად ღუის. ჭალა ახლად პირდაბანილ ბავშვივით იღიმება, ნისლის ნაფლეთები მცონარე ოცნებასავით შერჩენია ტყის ქოჩორს.

სოფელი სამუშაოზე არის გაკრეფილი. კაცები ტყის სატეხად, ქალები—თამბაქოს კაჭაჭის შესაგროვებლად. სოფლებში ბავშვები, ბებრები და ნაგაზები არიან დარჩენილნი. ლარივით სწორი ქუჩა ლაგოდეხიდან ხელუხლებელ ტყემდე მისდევს.

დაუდეგარი თიკო ასკინკილით მორბის, კოჭურას მოაგორებს გამალებით სოფლის ორღობეში.

მანანა ბაბო ჩიხტიკოპში მოკაზმულა. ადამის დროინდელ დაფოლებულ კაბაზე წოწეული ლეჩაქი გადმოუსხამს... სისხლიდან დაცლილ გატეტკილ ხელებით მზეს იფარებს, გაწყალებულ თვალებში უკვე „იმქვეყნიური“ შუქი უჭიატებს.

— მანანა ბაბო, დადექ, რა გითხრა. ბებრები საპნად უნდა გადახარშონო! ყრანტო ბებერო, შენეულ ატმებს სულ ჩვენ დავგლეჯთ. ეხლაც გამოგვიდგები შენებურათ ჩობახით, წყევლითა და ქოქვით. ოლოლო! შენის საპნით კიდევ რუზედ ხელ-პირს დაიბანენ.

მანანა ბაბო ფითრდება—თუ კიდევ ეს შესაძლებელია, ხმა უწყდება, წერნაგიან ხელებს უიმედოდ ასავსავებს ჰაერში. მოუსვენარ თიკოს უკან მისდევს:

რასა როტამ? აღარ გაბედო, აღარ წამოროში, ეგენ[illegible], შენა! რამდენჯერ გითხარ, აღარ გაიმეორო მეთქი. მე რომ მომხ[illegible] ბიან: ძვალი და ტყავი ვარ. აი შენებრი უნდა მოხარშონ თლაფთლაფები ჯეელები, ქონი და ხეჭეჭი ბლომად გაქვთ!

ბებრებს კი არა და ბოზებს ფეხებით დაკიდებენ თავდაღმა და ეგრე დაამყოფებენო.

მანანა ბაბო ვაჟკაცობს, უნდა გული გაიკეთოს—მაგრამ ხმა აღარ ემორჩილება. თიკო კიდევ არა ცხრება, ასკინკილით უელის გარს გულშეღონებულ მანანა ბაბოს.

ზევიდან კუზიანი ნიკა მოაბოტებს; თუ თიკას ნაამბობი მართალია, ესეც სასაპნედ თუ გამოდგება.

მანანა ბაბო წყალწაღებულივით ხავს ეჭიდება: - აბა ყური უგდე, რასა როტამს ეს აშარი, სლაბოდკის ბოზი, ეგა: ბებრები უნდა გადახარშონო! ამისთანა ამბები ლეკობის დროს არ უთქვამთ!

კუზიანი ნიკა სოფლის თავში ცხოვრობს, ხელუხლებელ ტყის პირას, მარტოკა, ბერი კაცივით; მშვილდივით მოხრილი, ამობურცული კუზით.

ცხელი დღეა, მაგრამ დაბამბულ ხალათზე მძიმე ტყაპუჭი აცვია. თავზე წოწლოკინა ცხვრის ქუდი ხურავს. მთელი მისი აელადიდება თორმეტი კურდღლისაგან შედგება. დიდ საგონებელშია ჩავარდნილი: შევიდეს თუ არა კომუნაში, ჭკუით ხომ არ ატყუებენ. ყოველ ახალ ჩამოსულს განზე გაიხმობს და ჩუმად ეკითხება, თუ რა ბედი ეწევა მის კურდღლებს. საპნის საკითხი მასაც უტრიალებს თავში. ნუგეშის ნაცვლად ესეც მანანას შესწუწუნებს: არ შევიდე და რიყეზე მოგიზომამენ მიწასაო—და იქ სად ვაძოვო ჩემი კურდღლებიო.

თიკო ამდენ ხანს მძიმედ იდგა, ახლა იშოვა კბილის მოსაჭიდი: ძია ნიკა, ძია ნიკა! რიყეზე კი არა, ჩიხაოს ქვევით მოგიზომავენ საუკეთესო ნაჭერს („ჩიხაოს" ქვევით სოფლის სასაფლაოა) თებრო ბებოს გვერდით. მანანა ბაბოს ნახარშსაც იქ ჩამოიტანებენ.

მანანა ბაბო კვლავ აჩიფჩიფდა: იქ შენ წადი, მე იქ არ მინდა, მე უნდა გავთხოვდე, განა ნიკასებ ბრუციანზე! ჯეელზედ უნდა გავთხოვდე. პოლკოვოი ბუზიკა უნდა უკრავდეს, აფიცრები უნდა დავპატიჟო, ვინც სასაფლაოზე მიშვებს, ის უნდა წავიდეს მიწაში მანანა ბაბო უილაჯოდ მოუბრუნდა დაუდეგარ თიკოს, მაგრამ ამან უკვე სხვა გასართობი იშოვა: თვალდაჭყეტილი შეყურებს ყაყბანაანთ ძაღლებს, კატა რომ შეუგდიათ კაკალზე და უილაჯო ბრაზით იხრჩვებიან.

II

ივლიანე გამყრელიძეზე ამბობენ ასოცი წლის არისო. ეს ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც ბევრი ამბის მომსწრეა. კისერი უღელგადაგდებულ ნებიერივით აქვს დამსხვილებული, თვალები გაწყალებული, სისხლის ძარღვები მოდგუნულ სახეზე ცისფერ წერნაგებად გადაუდის. მიდის, გახუნებულ ჩოხის ბოლოთი მტვერს უდარდელად მიიხვეტს. ახლო-მახლო სოფლებში არც ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებას არ აკლდება: უნდა გაიგოს ყველგან იგივე ამბები ხდება, რაც მათ სოფელ გელათშია, თუ არა. ერთგან კინაღამ დაიჭირეს: სულ რომ დადის, შემოჩენილი ხომ არ არისო.

— როგორ მოგწონს ივლიანე ეს ამბები?

— ამდენხანს კარგი იყო, კაი ხემწიფე გვყავდა, კაი შენახული ვყავდით, ქურდი და ყაჩაღი მოსპო, ახლა ეირია ცოტა საქმე. რაც ეს საქმე დეიწყო, ჩვენ სოფელს 5 ნილიონი ზარალი აქვს (სოფელში 55 კომლია).

რამდენი წლის იქნები?

— ანგლია და თათარი რომ რუსს ეჩხუბებოდენ, 9 წლის ვიყავი—თათარი უნობდა, კანკასია ჩემიაო, რუსმა უთხრა შენია ბიშტეროო, გამოენთო, ცხვირპირი ჩაამტვრია, ცხენის წყალამდე ჩადენა; დიდი საშოვარი იყო—დიდი გამოსარჩენი. შერმანდი მაჭავარიანმა 19 ცხენი მეიყვანა სახლში ოქროვერცხლით დაკაპნული.

მერე თათრის ომში ქაიხოსრო გურიელს ვეახლე. იქაც კაი საშუარი იყო. მამაჩემი ზოდის ნაჩალიკი იყო. ყარსი რომ ეიღეს, ლილიაზე ისე ახლო ვიყავით აქედან რომ ხვლიკიანაა. ოტკა დამქონდა სალდათებთან; შეიქნა ჭიქინ-ჭიქინი. ჩვენმა კაპიტანმა სთქვა: რუსმა გაიმარჯვაო. ახალციხელი სომეხი იყო—ჯარის პოდრაჩიკი ნიფხავში... ივლიანემ გულამომჯდარად გაიცინა მოცვეთილი ნუნებით. მერე თათარმა ბერძენს დაუწყო ჩხუბი. რუსმა გეიგო, კიდომ თავპირი ჩაამტვრია.

— როგორ ცხოვრობდით წინად?

— საწყლათ. ჩვენში ტყიბულში ნახშირა იყო, ფხეკი, ხორხატი მიწა, პური არ გვარობდა კარგათ. მუხლამდი ძლივს შემოგსტობოდა, ჩვენში რომ იცის ციცქინა პური, იმიტომ გადმოვსახლდით აქეთ.

— ბატონყმობის დროს როგორი ცხოვრება იყო?

— ყმა-ფარეში ვისაც ბევრი ყავდა, ქე აკმაყოფილებდა როვარცხა ძალლუგემურათ, ვისაც ცოტა ყავდა და დიდებს ეჯიბრებოდა—ერთი ორათ ტყავს აძრობდა.

— როგორ გადავარდა მერე ბატონყმობა?

— ჯერ ქვე იყო და იყო, მერე იხუა ალექსანდრემ თუ მის მეორემ, ჩემს მეტი ბატონი ვინ უნდა იყოსო. ერთი პირი ადგილი ბერებსაც წაართვა. წინეთ მოურაობა იყო. სოფელს მამასახლისები დაუნიშნა. ხალხი შეკრიბეს, კითხეს: ხომ მადლობელი ხართ რომ სამართალი მოგეცითო? ჰო, მადლობელი ვართო. სხვაფრივ სიღარიბე იყო; კაცი ტანი და ფეხია, წინეთ ხამს ვიცვამდით, აზნაურებს სახელო გამოყოფილი ჩოხა და დიმიკეტონი ეცვა. ანგლიური ჩითი გამოქონდათ აზრუმელებს და გურულებს კოტრაპანტათ. რუსმა რომ თათარს მოერია, პირობა დაუდო, თუ საქონელს არ დაანებებდა, ომს გაამხელდა. ახლანდელ ხელმწიფის დროს კაი შენახული ვიყავით, კაი თვისობა იყო, კაი მშვიდობა, რომ ეს არ დაგვმართოდა.

— რა გაჯავრებს ასე, ივლიანე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვითომ ქე ვცდილობდი არ ვიჯავრო მეთქი, მაინც ქე ბრჩეხოდა გულში, მიმავალი კაცი ვარ, იქნებ ქე იქნეს იქით იმ ქვეყანაში გაგება და რაფერ ვთქვა ეს ამბავი მეთქი.

— მერე რა იყო, ისეთი?

შეჩვეული ვიყავით, შენ ხარ ჩემი ბატონი, გოჭის ჭყივილს, ქათმის ყივილს ბავშვის ტირილს, გაგვიტყდა გული, ავათ გავხდით.

— მერე და ვინ მოგიშალა?

— რა ვიცი—ეგრე თქვეს: ბოვშებს მოხეკენ, საკუპატეთ გაგზავნიანო. ნათესავობა მოიშლებაო. მაჭანკლობა გადავარდებაო და კენჭის ყრა შემოვაო. კენჭს დაჭყრიან და ვისაც ვინ შეხვდება, ბრუციანი კოჭლი, ყმარწვილი თუ ბებერი იმას გაატანებენო. ქათამს და ღორს არ მოგაშენებინებენო. ვინც კომუნაში არ შევა სავ შიასი მოყვებაო, ვინც წევრი არ იქნება, გვერდზე უნდა მოვიდესო, ხვლიკიანის სამზღვარზეო.

ახლა გურგენიანში რადიას გადმოუცია, ვისაც გეეხარება ქვე შევაო, ვისაც არა და ქვე გავაო! იმის სულს გაანათლებს ღმერთი.

პატარა იმერეთი

პატარა იმერეთს ეძახიან ლაგოდეხის რაიონში გაშენებულ იმერულ სოფლებს: აფენ-ლელიანს, ბაისუბანს, ყარსუბანს, გელათს, გურგენიანს და სხვებს.

გზა ბუდიონოვკიდან უღელტეხილით გადადის ბაისუბანში. საფოსტო „სოშია"-გზა უღელტეხილს ირგვლივ უვლის—ვარდისუბან—ყარსუბანზე გაელით უღელტეხილის გზას ბაისუბანში ეწევა. უღელტეხილიდან კაცს თვალწინ ეშლება პატარა იმერეთის პანორამა. დაცემული ტრიალი მინდორი ლეკეთის მთის კალთებიდან ალაზნის ჭალამდე მისდევს. ლეკეთის მთა ალაზნის ველზე ციცაბოდ არის ჩამორღვეული. მთის კალთები ხშირი ტყით არის დაფარული, თხემი თოვლით შელესილი. ალაზნის ჭალის ეს ნაწილი 1898 წელს შედგენილ „სამხედრო რუქაზე დაყურსულ მწვანე ფერით არის შეღებილი. წინად აქ გაუვალი ტყეები იყო. ხარბად აზრდილ ტყეში ჩიტი ფრთას ვერ შლიდა თავისუფლად. ახლა მინდორი გამელოტებულია. მხოლოდ აქა-იქ მოწმეებივით დარჩენილან გიგანტური ვერხვები. აქ გადმოსახლებული იმერლობის ბედი ამერიკის პიონერების ბედსა ჰგავს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამერიკაში მიწა უფასო იყო პირველი ახალშენელისათვის, აქაური ჭალები კი „ენდრენიკაშვილებსა" და ვაჩნაძეების საკუთრებას წარმოადგენდა და ერთი დღიური ტყიანი მიწა, რომლის გატეხა მთელი თაობის შრომას მოითხოვდა, ხუთ-ექვს თუმნად ფასობდა. დამშეული შორაპნელი გლეხობისათვის ესეც „მისწრება" იყო.

„ემიგრაცია" ამ ოცდახუთი წლის წინად დაიწყო. მოსახლეობას შემდეგნაირად იზიდავდენ კახეთში გადასასახლებლად: ვინმე ახალ დასახლებული შემოდგომაზე, კრეფა-ტეხის დასრულებისას დაბრუნდებოდა თავის სოფელში და ნოეს მტრედივით ჩამოიტანდა ოთხტაროიან სიმინდს. ეს საუკეთესო სააგიტაციო საშუალება იყო უმიწობით შეწუხებული იმერელი გლეხობისათვის. ჩაზამთრებაზე იწყებდა დენას „ემიგრანტების" ტალღა.

იმერული სოფლები ბზე და ქერივით არის არეული ლეკების, თათრების, ოსებისა და კახელების სოფლებში. მაგრამ იმერლები არასოდეს [illegible] აერევიან. ისევე მჭადსა ჭამენ და პურსა ყიდიან. სახლში [illegible] შალს იცვამენ.

მაინც ალაზნის ჭალის სიუხვე მათაც დასტყობიათ: აქ ველარ შეხვდებით გაფშიკულ, დაშნაცხვირიან საპატარძლოებს, რომელიც კაცს გულს უწყალებს იმერულ ბაზრობაზე. ხალხი ჩასუქებულია და დაკოტიტებული. ყურებჩამოყრილ ფაფანაკა ქუდს თუშური კოკორა ქუდი ცვლის. ჯეელებს უკვე კახური მზის ჟანგი მოჰკიდებიათ.

ულელტეხილიდან გზა შვეულად ჩარბის ბაისუბანში. ბაისუბანზე თათრული სოფელი კაბალია წაბმული. ზამან--კაბალის თემის საბჭოს თავმჯდომარეა, ხუთ წელზე მეტია, რაც მას ეს თანამდებობა უჭირავს. მას აქეთ აცვია ტყავის ტუჟურკა და ბუდიონოვკა, რომელთაც ჟამთა ვითარებაში ფერი და ყალიბი დაუკარგავთ. ზამან თავის მაგიდას უზის. წინ წყლით სავსე სპილენძის მაღალ ყინწიანი თუნგი უდგას. თუნგს რომ წამოაყირავებენ მომსვლელები წყლის დასალევად, ფსკერი დაბალ ჭერს ხვდება. კედლებზე „უტილნედლეულის“ და შემნახველი სალაროს პლაკატები ჰკიდია.

კუთხეში თავშეხვეული მდივანი უზის თავის საწერ მაგიდას.

— როგორა ხარ ზამან?

— ვერა ვარ კარგად, ეს რა ხაბარი მოიგონეს: სუყველა კოლექტივში შევიდესო. გინდა არ გინდა, უნდა თვალები დაითხარო, სხვა სოფელის უკან არ დარჩეო. ჩემი ცოლი მეკითხება—უკაცრავათ პასუხია, რათ კანკალებ ზამან. მეც ვეუბნები, თუ კოლექტივი არ გააკეთო ვალა, შაბაშ შენი ზამან.

ეხლა ვალა ბრძანება ყოფილა, თავის ნებით გააკეთე კოლექტივი.

ალი ისკანდეროღლი შემოვიდა. წაღები კარებთან დაბღერტა და დირესთან დატოვა. წელში ორად მოიხარა და ჭიპს ხელი შეახო.

— შენ რაზე მოხვალ ალი?

— მე მიწისათვინ. შარშან ჩემი მიწა იმერელს ქონდა იჯარით. ეხლა ხალხი ამბობს, არ გაუშვებენ იჯარასაო.

— იჯარა შაბაშ. ვინც მიწას გაცემს იჯარით იმერლებზე, თავის პატრონს ჭალალი.

ალი ქერის კვერივით დაიშმუშნა.

— რათა ვალა?

— დეკრეტი ეგეთია.

— შენ კულაკი ხარ ალი?

— არა, მე კულაკი არ მოვალ ვალა?

— მაშ ღარიბი?

— იოხ ვალა. აი საშუალო რომ უთქვამთ, მე იმაზე ცოტა პატარა მეტი მოვალ ვალა.

— რამდენი მიწა გაქვს?

— ხუთი დესეტი.

საქონელი?—10 ზროხა და 40 სხორი.

თემსაბჭოს პირდაპირ ორსართულიანი ავურის სახლია. სახლს ერგვლივ მოაჯირი აქვს. მოაჯირის ჩუქურთმა რაღაც მავრიტანული ხელოვნებისა მენაგვარია. კაბალელების ტალახიო შელესილ ქოხმახებ შორის ეს ხალიას სასახლე მოჩანს. ეზოში ხალხი ფუსფუსებს. ატმის ხეზე ჭრელი საცვლების ამარა ფეხშიშველა მზარეული ცხვარს „ოთხში იღებს". მკვდარი თეთრ სუდარაში გახვეული ჭრელ ქესტით შეჭედილ ვეება სკივრზეა დასვენებული. ეს ვინ იყო ზამან?

— ეს მოლა მოკვდა ვალა. კოლექტივიზაცია გაიგო, გული გაუსკდა. თუ მოლა კიდევ მოკვდა ვალა, ბაშ-უსტა. მაგას არა უშავს, ხელს არ შეგვიშლის. ამერიკას ჩვენ უყიდით. ბებრები სულ რომ მოკვდენ—ჩოხ-იახში, იოლათ წავალთ.

ხაბარი ის არის, ჯეელები მოკვდეს. ჩვენი ხალხი ბაყაყებსა გავს. ყველას აციებს. ეხლა სამი მოკვდა. ბაისუბნელ ექიმმა არაფერი იცის. მარტო სქელი უკანა აქვს. მარტო ცოცხალი კვერცხის ყლაპვა ისის.

საერთოდ ექიმი არაფერი იცის. ზამან გვიყვება, თუ საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობის დროს ავად როგორ გახდა. სასტუმრო „ორიანტში" მის გვერდით ვინმე გაბუნი იწვა. ისიც ავადმყოფი. მათი წამლები აერიათ. შემდეგ ზამანმა მაწონი მოატანინა და იმავ წუთს მორჩა.

საფოსტო გზა ბაისუბნიდან მთის კალთებს მისდევს ახალ სოფელსა და შემდეგ ყვარელ-შილდა-ბაისუბნამდე. სასოფლო შარა კაბლის წყლიდან მარცხნივ უქცევს.

ერთხანს გზა კაბლის წყლის ნაპირს მისდევს წვრიმლიანზე. შემდეგ ისევ მარჯვნით უხვევს ფიჩხი-ბოგირისკენ.

შემოდგომის ნათესები უკვე წელში გამართულა. მინდვრის ყორნების გუნდი შავ ნაბადივით მოფენია ნათესს. ახლად ამოსულ ჯეჯილს კორტნის, ძირიდან მარცვალს აცლის. გუნდის მეთვალყურე ლაფში მოსვრილ ღორს აზის ზურგზე. ღორსა და ყორანს შორის თითქოს უხმო ხელშეკრულება არის დადებული. ყორანი ღორს ზურგიდან მკბენარს აცლის. ღორი სიამოვნებისაგან თვალებს ლულავს და ვნებიანად ღურუტუნებს.

ხევში ჩავუხვიეთ. ცხენები შედგენ წყლის დასალევად. ხევის თავზე საოცარი ტყლაშუნი და ყვირილი მოისმის.

ცოპ! ცოპ! ცოპ! ჰამო! არბაჟილ [1] თაღდ! თაღდ! თაღდ! ოი და რაშო!

გზა ცერად ადის მინდორზე. ვებერთელა წრეს გარს უვლიან ორმოცი ულელი ხარ-კამბეჩი. გუთნეული გუთნეულს კვალში მისდევს. ფიჩხ-ბოგირის არტელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოუწვევია ვერხვი-მინდორის არტელი: ვინ უფრო ადრე მოხნავს გაზაფხულის პურისა და სიმინდისთვის მიწებს. კამბეჩებს თითქოს თავისი ალთქმა დაუვიწყნიათ:—„ქვეყანა დასანგრევად გაუმეტებიათ", კუდები დაუგრეხიათ და ისე გარბიან, იტყვი—ნიშადური ამოუცხიათო. მთელი კარნავალი რაღაც ჭინკების დაელურსა ჰგავს.

ფიჩხი-ბოგირს გვერდი აუქციეთ. ისევ ხევის ნაპირს დავყევით. ხევის პირას ათიოდ ვერხვია. ვერხვები ფარავს სოფლის პანორამას. ვერხვების იქით ლოკო-

[1]) ოსურად: დაუარე, ჩქარა.

მობილის სტვენა მოისმის. ეს ხე-ტყის „ქარხანა“ მუშაობს. ეს „ქარხნები“ ერთობ პორტატულია და მისი გამართვა დიდ ცოდნას არ მოითხოვს. სადმე შეიგულებენ რამდენიმე დარჩენილ ვერხვს, ლოკომობილს მიაგორებენ კაბელებით, სახერხს გამართავენ და მიყრუებულ ხევში ახმაურდება ქარხნის საყვირი. სახერხი ქარხნები ცალკე სოფლებს ეკუთვნის, ხე-ტყე ჯერ კიდევ სამყოფად არის, ამიტომ თითონაც კარგად არიან გამართულნი და გაღმა მხარეშიც ბლომად გააქვთ ხე-ტყე. საერთოდ მთელი ლაგოდეხის რაიონი კარგად არის მომარაგებული მანქანა-იარაღებით. ლაგოდეხის სატრაქტორო კოლონა 28 ტრაქტორისაგან შედგება, აფენისა 19 ტრაქტორისაგან. ამდენივეა სალეწი მანქანები და ლოკომობილები.

ეს რაიონისათვის არც ისე ცოტაა, მაგრამ მათი მოვლა და გამოყენება, განსაკუთრებით ტრაქტორების, ისე ცუდათ არის დაყენებული, რომ ისინი დიდ გავლენას ვერ ახდენენ რაიონის მეურნეობის განვითარებაზე.

ოსური სოფელი და კარმიდამო ძალიან თავისებური აგებულებისაა. რომ აიღოთ ეზოს სიფართე დისკო, ზედ დადგათ საცხოვრებელი სახლი, საბძელი, სასიმინდე, ბეღელი, გომი, საღორე, საქათმე, და დააბრუნოთ რუსთველის თეატრის სცენასავით, ეს ნაგებობანი ძირს გადმოცვივა და უწესრიგოდ მოთავსდება სხვადასხვა ადგილას ისე კი, რომ ცენტრში უმძიმესი შენობები მოექცევა და თქვენ მიიღებთ ოსური კარმიდამოს სურათს.

ორშაბათია. ვერხვი-მინდორში დღეს ისვენებენ. ორშაბათს დასვენება სოფლად პირველად კოოპერატივის ნოქრებმა შემოიღეს.

ოსის ქალებს ტაშ-ფანდურა გაუმართავთ.

ბიჭები ცალკე ვარჯიშობენ. რაღაც უნახავ სპორტს ეწევიან. ბოძზე თოკებია გაბმული. თოკებში ორი თვალი გაცმული. მოვარჯიშე მიწაზე მიხოხავს ხელებით, ფეხები კი თვლებში აქვს გაცმული, განსაზღვრულ მანძილს რომ გაივლის, სიმძიმე ბზრიალასავით მოაბრუნებს.

პატარა ბიჭებსაც რაღაც საოცარი ვარჯიშობა მოუგონიათ.

ურმის ღერძისთვის ცალი თვალი გაუცლიათ, მეორე თვლის სოლებს პატარა ბიჭი ლავაშივით დაჭკვრია, დანარჩენები რაც ძალი და ღონე აქვთ, თვალს ატრიალებენ, ვიდრე მოვარჯიშეს თავბრუ არ დაეხვევა.

არტელის კანტორაში შევედით. კედლებზე ვოროშილოვის სურათი, კალინინი გლეხებთან მოსაუბრე, ორი მატარებელი: ერთი წითელი, ერთიც შავი— სიმბოლოური სურათი დევიზისა—დავეწიოთ და გავუსწროთ. დარგის უფროსების სია, ათეულების სია, ვერხვი-მინდორის არტელის ცხენების სია—ჩეკ, ჯერამა, შამილ...

სხვა მხრივ ბინა მოუწყობელია. დასაჯდომიც არსად არის. ორიოდე დალეწილი სკამი. მაგრამ უკვე ახალ შენობას აგებენ კლუბისათვის. საერთოდ ყველა სოფლებში პირველ რიგში გამართეს კლუბები, ხალხის მოსაწვევი ზარი და ბოსლები. კლუბი ყველაზე მიუცილებელი საჭიროებაა, იმიტომ რომ კრებები განუწყვეტელი სესიის ხასიათს იღებს.

სხვა მხრივაც დიდი ცვლილება მოუხდენია კოლექტივიზაციას. ჩვენ ხოშეტიანელები ხრიოკი ფერდობებიდან დაბლობზე ჩამოუყვანიან. ფერდობ-ფერდობ-ელებს სახნავ-სათესი საკმაო აქვთ, ხოშეტიანელებს საძოვრები.

— წინედ ეგრე უხეიროდ იმიტომ ვსახლდებოდით, რომ კნიაზებს მიწები ცალ-ცალკე ქონდა.

სუყველას გინდა არტელი?

სუყველას გინდა, სუყველას, პატარა ბავშსაც რომ კითხოთ—ისიც იძახის, არტელი გინდაო.

არავინ არის გასვლის მოსურნე?

ჰა! ჰა! ჰა!

მეწველ საქონლის უკან დაბრუნების წინააღმდეგი არიან—ეგრე კიდევ იქნება კერძო ინტერესი. ზოგი კიდევ კერძო საქონელს დაეშურებაო ნავთსა და მარილსაც ხელზე არიგებენ—ფულით რომ იყიდონ, წევრები ერთმანეთს გაუსწრებენო.

ჩვენი საუბრის დროს მეზობელ ეზოში საბძელს ცეცხლი გაუჩნდა. ყველანი დაეხვიენ. მაგრამ ვერაფერი უშველეს. საბძელი ბზითა და თივით იყო სავსე. მხოლოდ გატრუსული ხეები გამოიტანეს. ყველანი ძალიან დააღონა ამ ამბავმა. საერთოდ საქონლის საკვების დიდი ნაკლებობაა. მაგრამ თვითონ საბძლის პატრონი სხვებზე მეტს არა დარდობდა. აღარ ისმოდა მისი გულშემზარავი მოთქმა და ვიშ-ვიში, რომელიც ასე გამოიყოფა რაიმე ფათერაკის დროს.

გამოვბრუნდით. ნავლის ფანტელი კიდევ ჰაერში ტრიალებდა და თავზე დაგვდიოდა.

სოფლის ორღობიდან რამდენიმე გლეხი გამოვიდა და რაღაც ნაკუწი ქაღალდები გამოგვიშვირა.

— ეს რა არის?

— გამცხადებაა არტელის წევრებზე.

— განა უკმაყოფილო ხართ არტელით?

— არა, უკმაყოფილო არა ხართ. არტელი ყველას გინდა. არტელში სიმსუბუქეა. აქამდე ერთი გლეხი ათას საქმეს აკეთებდი. გული ულონდებოდა. ეხლა ყველა შენი საქმე ვიცი. კერძოთაც ეგრე ვცხოვრობდით, ეხლა რა ღმერთი გაგვიწყრება, ოღონდ ჭკვის გამო ბევრი დაგვაკლდება.

აი ეს განცხადებები ყოველგვარ ცვლილების გარეშე:

ამხ. სიკო.

საიდუმლო ცნობა.

ამხ. სიკო? მოგასენებთ რამოდენიმე დამაბრკოლებელი მიზეზები ჩვენი არტელის მდგომარეობაზე, რომელიც იწვევს თვით არტელის წევრების მოქმედებამ, რომლებსაც თავიდანვეც არ უნდოდათ, რომ შესულიყვნენ არტელში.

ეს წევრების ბოროტება და საქმის არევ-დარევა გამოიხატება შემდეგში: კომპარტიის წევრი, ჩვენი არტელის წევრი ვანო ნანიევი, ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს, რომ როგორმე შეუშალოს ხელი ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ნიადაგზე გაერთიანებული ულარიბეს გლეხობას.

რაც მოგახსენებთ შემდეგს: ვანო ნანიევი, რომელიც არის კომუნისტური რიგებში მიდის თავის პარტიულ კრებაზე და იქიდან გამოდის გლეხობაში და აგიტაციას აწარმოებს, რომ თვით გლეხებს აჯანყებს: რათ გინდათო არტელიო, დავიღუპებითო და მისთანები.

გარდა მაგისა ვანო ნანიევი, როგორც პარტიის წევრი ნაცვლად იმისა, რომ ის ყოველთვის უნდა ებრძოდეს ცრუმორწმუნეობას და რელიგიას... ის ჯერ კიდევ 1925 წელს იქნა მოხსნილი პარტიიდან, როგორც რელიგიის მორწმუნე. რის შემდეგ მას აღუდგინეს პარტიულობა. იგი მაინც არ მოიშალა რწმენა ღვთისადმი და დაიწყო სესტიმატიურათ ეკლესიებზე სიარული, რაზედაც დღესაც ცდილობს, რომ გააუმჯობესოს მორწმუნეობა.

გარდა ამისა თავის პრავაკაციის და აგიტაციის საშუალებით სხვებიც კი აიყოლია და ეეედრებიან ღმერთს. გარდა ამისა, როდესაც ჩვენ მოვახდინეთ აღწერა, ვანო ნანიევი დამალა 4 ოთხი ღორი, რომელიც მათში დაკლა სამი და ერთი კიდევ დასაკლავი.

გთხოვთ სიკო მიიღოთ ზომები ასეთი პარტიულების წინააღმდეგ, რომ ასეთი პირი არ უნდა იყოს კომუნისტური რიგებში და ბოლო მოუღოთ ასეთ პარტიულებს. გამმცხადებელი ივანე გაბუევი.

—

ვერხვი მინდორი.

ოროშილოვის სახელობის არტელის იგივე არტელის წევრისაგან
ყაზბეგ ნანიევისაგან.

მოგახსენებთ, რომ მე როგორც უღარიბესი გლეხი მე მუშავობდი ადგილობრივ აქანა ვენახში და მითხრა ანტონა ნარტყოევი რომ შენ არ ღირხარ ყაზბეგა ნანიევი მე რაცა მაქვს ერთი ჩალის კონის ფასათ, შენ იყავი ღარიბი და ეხლაც ხარ ღარიბი და ღარიბებს უნდა ვაჭამოთ უკანასკნელი ნეხვიო.

ამობაში მე უთხარი, რომ აღარ არის ძველი ინტერესი, რომელიც არის შენთანა კულაკები, იმათ ჩამოართვეს სახლები და დააყენეს შიგ ჩემისთანა ღარიბი გლეხები. ამობაში ჩაიდინა ინტერესი ანტონა ნარტყოევი და ჩვენ მივდიოდით ვენახის ჭიგოს მოსატანათ ტყეში და დამიხვდა წინ ერთი ხელში ცული და მეორეში კეტი, რომელიც გამოილაშქრა ჩემზე და ამობაში მე ძალიან შემეშინდა და გადმოვარდი, ურმიდან და უთხარი აბა მოდი ახლოს, რაზე მოდიხარ ჩემთან, რაზე მკლამ. მაგან მითხრა ახლა მოგატანე შე მამაძაღლო, მე ძალიან შემეშინდა და მეც მოვაელე პატარა კეტს ხელი და ამობაში დაბრუნდა და მე კი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდი.

ძველი ინტერესი რაზე აქს მაგას მიწა მეტი ქონდა და მე გაცეს ერთი დესეტინა კომისია ამობაში აქს ინტერესი ჩემზე.

გარდა ამისა ანტონა ნარტყოევი უმთავრესად გახდა იძულებული იმიტომ რომ როდესაც არტელის ზოგიერთი წევრები და გამგეობაც შეამჩნიეს, იგი არის მევახშე როგორც ფულის, ნარტყოევი გახსნა განსაკუთრებული არაყის კოოპერატივი, რომელიც აესესხებს გლეხობა და ახდევინებს ერთი სამათ.

გარდა ამისა არტელის წევრს შეუძლია, რომ ცხენიც [illegible] ეარ[illegible]ელში და ხარიც, შემდეგ ის არტელის წევრს შეუძლია რომ დაგინახოს [illegible] [illegible]ზე და გითხრას, ეს ჩემია და რათ ხარ ზედ და ამობაში გადმოგაგდოს ცხენიდან, შენ არ ხარ მაგისი ღირსი და ასეთი საძაგელი საქმე ჩაიდინა ანტონა ნარტყოევი და მერე ჩამოველი თუ არა სოფელში გამლანძღა არტელის თავმჯდომარესთან.

გარდა ამისა მე უთხარი კიდო ჩვენ ამხანაკობაში კერძოდ შეიძლება არ-ტელის წევრი იქირავოს მუშა და ამუშაოს ჩემს ამხანაკებს და ანტონა იქირავა კერძოთ ჩამოსული ქართველი და ამუშავა ხუთი დღემდენ და მე უთხარი თუ ჩვენი წევრი ხარ, კერძოთ აღარ არის ნება და თავი დაანებე ამაზე ჩაიდინა ინტერესი, მოწმეებიც მაქს ესტატე ხუბაევი და მათე ხუბაევი და სხვები კო-ლექტივის წევრები.

—

ლაფნიან ვერხვის მინდორის სასოფლო არტელის ოროშილოვის სახელის იგივე არტელის წევრის ნიკოლოზ ბოლოთაევის

გამცხადება.

მოგახსენებთ, რომ მე როგორც ერთ-ერთი თქვენივე არტელის წევრი ულარიბესი და ბავშობიდან ობოლი ვასრულებ ყოველგვარ დაკისრებული დავალე-ბებს, რამდენადაც შემიძლია მიმდენათ.

გარდა ამისა მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის ჩვენი არტელის წინაშე; მიუხედავათ ასეთი მოუსვენარი მუშაობისა აქ გამოდიან ჩვენივე არტე-ლის წევრები და ყოველგვარ ჭორებს და გაუგონარ სიტყვებს ავრცელებენ ჩემზე, რაც გამოიხატება შემდეგში.

1) სანდრო ელიზაროვი გამოდის და იძახის, რომ ნიკოლოზ ბოლოთაევს ყავდა ქათმები, გაყიდა, რომლის ღირებულება მიუცია თავისი მოყრებისთვის. რომელიც სრული ცილისწამებაა.

2) გარდა ამისა ბოლოთაევი მაიორ ლაპარაკობს, რომ ბალიშები ქონია და გაუგზავნია მოყრებშიო.

3) ელაზაროვი ელიოზი ლაპარაკობს რომ ვითომდა ფული მქონია შენახული ცოლითვის პალტოს სასყიდლათ, რაც სრულიათ უნდა მიეწეროს შურისძიებას და ცილის წამებას.

4) ხარიტონ ხასოევი ლაპარაკობს, რომ ნიკოლოზ ბოლოთაევს აქვს (40) მანეთიო, რომელიც ამტკიცებს ნიკო ელიზაროვიო, რაც აგრეთვე სრული ცილისწამებაა და კერძო ინტერესი და რაზედაც მოგახსენებთ შემდეგს:

რომ მე მივეცი ილიკო ბაგაურს სამი (3) თუმანი ფული და იმ შემთხვე-ვაში ილიკო ბაგაური აღარ მაძლევს სამი თუმანი და ილიკო ბაგაური მეუბ-ნება შაქრო ყოჩიევს მივეციო, რომელიც არის ჩვენი ოროშილოვის სახელობის არტელის გამგეობის წევრი და მეუბნება კიდო რომ ძველი ვალებს ჩამოერთვა ხმის უფლებაო და პატრონი ვეღარ მოითხოვსო. ამობაში მე მეკარგება ფული ორივე შუაში და ამისთვის გთხოვთ გამოარკვიოთ, თუ მე რა ბურჯუა ვარა ან ელემენტი და ვისზეა ჩემი ფული და გამოარკვიოთ თუ რაზე დაიხარჯა ჩემი ფული და სად გაიფლანგა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნები სხვა საშუალებას მივმართო.

შებინდდა, როცა სოფელ აფენის პლანებში შევედით. პლანები-აქ ქუჩებსა ჰქვიან. აფენის თემი, რომელშიდაც ხუთასამდე კომლი სახლობს, იმდენმა ასეთი პლანისაგან შესდგება: ბოკვიანი, გვიმბრიანი, ფოდანი, I აფენი, მე-II აფენი, ბალდათი, ქვემო-ქემხიანი, ზემო-ქემხიანი, ნაშოვარი, ბანკის წილი. სოფლები, როგორც ჩანს, თავის დროზე იყო დაგეგმული. ქუჩების გეგმა ზოგჯერ უტეხ ტყეში გაჰყავდათ და მთელ სოფელს ამის გამო უფრო მოწესრიგებული სახე აქვს, ვიდრე საკუთრივ იმერეთში. სხვა მხრივაც დიდი განსხვავებაა.

ნამდვილ იმერეთში კაცს თვალში ხვდება სასტიკი შეუსაბამობა ოდას და სხვა ნაგებობათა შორის. ორჩოფეხასავით მაღალ ბოძებზე წამოსკუპებული ოდა და ვეებერთელა ჭიშკარი,—ერთი ციცქნა სასიმინდე და საქათმე. აქ ოდას და სასიმინდეს შორის სულ სხვა შეფარდებაა. ოდას აქაც, როგორც ეზოს თვალისჩინს, მთავარი ყურადღება ექცევა და უმრავლესობას კოხტად დამართული, ორსართულიანი აგურის ოდები აქვს, მაგრამ ასევე ორწყება გვერდებ დაცხრილული სასიმინდეები, ბეღლები, ხულები, გომები, საბძლები, მოზრდილი საქათმეები და საღორეები ავსებენ ეზოს პანორამას. სოფლის მთავარ პლანზე კომუნის თავმჯდომარე, ტრამვაელი მუშა ა. შევარდნაძე მირბის. უკან მისდევს მთელი გუნდი ქალების—ნავთის ჭურჭლებით, კოოპერატივის წიგნაკებით, წყევლით და ქოქვით. არტელებმა და კომუნებმა მომარაგებისა და გამანაწილებელი მოვალეობანი ნაწილების თავს იდვეს, რაც დიდათ აბრკოლებს არტელის საწარმოო გეგმის განხორციელების საქმეს. ღამე აფენში გავათიეთ. მეორე დილით სოფელ ლელიანში ჩავედით.

ლელიანის კომუნარია

პარცელური, კარლიკური გლეხები შეადგენენ ვეებერთელა მასას, რომლის წევრები სცხოვრობენ ერთნაირ პირობებში, თუმც ერთმანეთს არ უკავშირდებიან რაიმე მტკიცე და რთულ ურთიერთობებით. მათი წარმოების წესი არა თუ არ ქმნის მათ შორის ურთიერთ დამოკიდებულებას, არამედ პირიქითაც თიშავს მათ ურთიერთისაგან... მიწის ნაგლეჯი, გლეხი და მისი ოჯახი, გვერდით მეორე პარცელა, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი, განსაზღვრული ჯამი ასეთი ოჯახებისა შეადგენს სოფელს—განასზღვრული ჯამი სოფლებისა დეპარტამენტს.

ამრიგად უდიდესი ნაწილი საფრანგეთის ერისა სდგება ერთსახელიან სიდიდეების მარტივი შეერთების გზით, იმის დაგვარათ, როგორც ტომარა ქართოფილით შესდგება ცალკე ქართოფილებისაგან.

მარქსი. მე-18 ბრიუმერა ლუი ბონაპარტისა.

პატარა იმერეთი

საკმარისია სოფლის პლანზე უცხო კაცმა გაიაროს, უკვე მიტინგი ქუჩდება. ამჟამად კოლმეურნეობაში ერთგვარი გარდატეხის მომენტია, მიდის მათი რეორგანიზაცია. აფენ ლელიანის თემის კოლმეურნეობებს ერთობ შორს შეუტოპავთ: უკვე ყველაფერი გაუერთიანებიათ, ამიტომ კომუნების არტელებზე გადაყვანის საკითხი ძალზე მწვავედ დგას.

1. ლელიანის კომუნაში გაერთიანებულია 413 კაცი 389 ქალი, 1035 ბავშვი, 150 ხარი, 123 ცხენი, 274 კამეჩი, 77 გუთანი, 3 სალეწი მანქანა, 1 ტრაქტორი, 128 კულტივატორი, 131 ურემი, 26 „ტაჩკა“, 3 „ბეგოვკა“, 84 შემოსასხური აპარატი.

საწარმოო გეგმის მიხედვით კომუნამ უნდა მოიწიოს 220354 მანეთად ღირებული 87.470 ფუთი მარცვლეული, 21.986 მანეთად ღირებული 137.000 ფუთი ჩალა.

კამეჩის დღიური რაციონი დაწესებულია ჩალა 1 ფ. 20 გირ., სიმინდი 4 გირ., ბზე 10 გირ., ხარს ჩალა 1 ფ., სიმინდი—2 გირ., ბზე—15. გირ., ცხენს ჩალა—1 ფ. 20 გირ., სიმინდი—4 გირ., ბზე—15 გირ.

მემინდვრეობის შემოსავალი	უნდა უდრიდეს 255.900 მანეთს
	გასავალი 94.904 მანეთს
მევენახეობის შემოსავალი	336.820 მანეთს
„ გასავალი	48.883 მანეთს
მებოსტნეობის შემოსავალი	5.010 მანეთს
„ გასავალი	1,361 მანეთს
მესაქონლეობის შემოსავალი	49.156 მანეთს
„ გასავალი	17.880 მანეთს
მეფრინველეობის შემოსავალი	5.135 მანეთს
„ გასავალი	2.535 მანეთს

კომუნას აქვს 2 სააგურე, ერთი სახერხი და ოთხი წისქვილი,—ამ წამოწყებათა შემოსავალი უნდა უდრიდეს—36.016 მანეთს, გასავალი 28.206 მან. მთელი შემოსავალი უნდა უდრიდეს—727.965 მანეთს. გასავალი 242.627 მანეთს.

ამონაწერი ლელიანის კომუნის წლიური საწარმოო გეგმიდან.

სოფელ-ლელიანის 1 მაისის სახელობის კომუნის
კედლის გაზეთის „პირველი სხივის“ № 1.

ვაშა ასეთ ამხანაგებს!

მემინდვრეობის დარგში მომუშავე ამხანაგები, უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რომელნიც ვაშას ძახილითა და სიმღერით ხვდებიან ყოველგვარ მუშაობას. მათ პირველ რიგში შეაკეთეს ღობეები შემდეგ გაწმინდეს მინდვრებში ყანები, სადაც აქვთ დიდი მიღწევა, გაკაპეს რამდენიმე ფართობი მიწა ყოველგვარი ეკლებისაგან. აგრეთვე განძრახული აქვთ მომავალ თოხნისათვის შეადგინონ მომღერალთა გუნდი. ვაშა ასეთ ამხანაგებს!

„პარიზის კომუნარი“

დრო არის ასეთ ამხანაგებს გამოეცხადოს კომუნის ზიზღი და საყვედური, რომელნიც გაურბიან საერთო საქმიანობას და დახეტიალობენ აქეთ-იქით, არ ასრულებენ თავის მოვალეობას პირნათლად და თუ არ გამოსწორდებიან, ბარემ რომ დასთმონ კომუნა ურჩევნიათ. ესენი არიან შემდეგი პირები: ღვალაძე პოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათი, რომელიც არ მუშაობს და ცუღლუტობას ეწევა, საქმეში ერევა და არ კადრულობს არავითარ ამხანაგებისაგან დარიგებას, ლობჟანიძე ტირფილე, რომელიც ძალიან თავხედობს და ბრძანებლობას აწარმოებს მეცხენეობის დარგში—სევერიან ბუზალაძე, რომელიც რომ გულგრილობას იჩენს მუშაობისადმი და უნობს, რომ იგი უნდა იქნეს გამგეობის წევრად არჩეული, წინააღმდეგ შემთხვევაში იმას არ უნდა დარჩეს კომუნაში! ზოსიმე სხირტლაძე, რომელიც სადმე იარაღს შენიშნავს, სახლში მიარბენინებს კერძო საკუთრებათ.

მოუსვენარი.

ტრიბუნა

გურულ კაცს რომ რამე ეუცხოვება, გაკვირვებული წამოიძახებს: „ცაი და ქვეყანა დამიარია, ფოთი და ბათუმი მინახავს, და ასეთი აფერი მინახავსო“. ფოთი და ბათომი მეც მინახავს, მაგრამ ისეთი რამ, რაც ჩვენ ლელიანში ვნახეთ, ბათომში კი არა, ქერჩსა და სევასტიაპოლში ნამყოფ კაცსაც გაუკვირდება.

იმერეთში საზღვარზე სამანად ქვასა ფლავენ, ეკლიან ხეებს ავლებენ „გვრიშომ“, მიწაში ნახშირს ყრიან, რა არის, თუ მეზობელმა საზღვრის ქვა ამოაგდო და საზღვარს ერთი გოჯით გადააცილა, ნახშირი წაუშლელ სიგელ-გუჯრად დარჩეს მის სიმტყუნ-სიმართლის დასამტკიცებლად. გუთანი რომ ბელტს გადაიტანს მეზობლის ყანაში, ისევ თავის ადგილში გადმოაგდებს რამდენიმე გირვანქა მიწას.

ღობე და თხრილი არა ნაკლებ შრომას მოითხოვს იმერელი გლეხისაგან, ვიდრე ნიადაგის მობრუნება. ახლა საზღვრები, თხრილები, ხიმეები ერთბაშად მოუშლიათ. რამდენიმე კომლი ერთად დაუსახელებიათ. საერთოდ კოლექტივიზაციამ გაადვილა დაძვრა შეჩვეულ დაბუდრებულ ადგილიდან. კომუნაში ქართველებთან ერთად რამდენიმე ოსური უბანიც არის გაერთიანებული. ოსები უხეირო ადგილას ცხოვრობენ, ჭყანტობში, ალაზნის პირად. იქ სადაც ეხლა კომუნის საღორეებია გამართული. ოსები სოფლის შუაგულში ამოუყვანიათ და ქართველების ოჯახში ჩაუსახლებიათ. განთავისუფლებულ ადგილზე როკის ხიმები და რაგვები დაუზვავებიათ.

მინდორი გაყორნისფერებულია, როკის ხიმის საყადლები გიგანტურ ჯეგირებივით არის ამართული.

როკი მსხვილად დაპობილ წაბლის კუნძსა ქვია. როკის მსხვილ ნაპობებს ცეცხლზე გატრუსულ ბოძებს შუა ჰყრიან. როკი რამდენიმე თაობასა ძლებს—გარედან გაჩონტრდება, მურის ფერს გადაიკრავს, შიგნით წითელი გული კი, როგორც ბედაური მათრახს, წალდის პირს არ იკარებს. წაბლის როკი ხეებს შორის იგივეა, რაც ფოლადი ლითონებს შორის. როკის ხიმი საზღვარზე მარადიულობის სიმბოლო-ქიმერაა. ეხლა მას თავისი დანიშნულება დაუკარგავს და წარსულის საფლავზე ამართულ ძეგლსა გავს.

საყადლის გვერდით 131 ურემი ცერად დაყუდებული ჩალდაყებით საზენიტო ბატარეას ჰგავს—იტყვი: იერიში მიაქვთ კერძო საკუთრების ამ ციხე-სიმაგრეზე—როკის ხის ჯეგირებზეო.

მეც ამან გამაოცა იმ გურულ კაცივით და ვერც კი [illegible] მიტინგი როგორ შეჭუჩდა, და ამ როკისაგან გამართულ ტრიბუნაზე [illegible] ჩოლყი სიმინდივით მაღალი და წვრილი, მწვანე ხელსახოცით თავწაკრული, ფქვილში გაგანგლული წინსაფრით, ლელიანის კომუნის მეწისქვილე, ბესარიონ ჩიყვილაძე:

აქა სატყვა ბესარიონისა სოციალიზმის, სინდის-ნამუსის, ინტერნაციონალიზიის და სხვათა შესახებ.

— „მე ვიტყვი, ამხანაგებო, რადარა საგანი აქვს ცოციალიზმს—ნამუსი, სვინდისი და სიყვარული. რა არის ცოციალიზმი?—ცოციალიზმი არის ის, რომ შეეერთდით და ვმუშაობთ შეერთებული. სოციალიზმი არის ის, რომ არ უნდა იყოს ბოზობა და ქურდობა, დაფასება უნდა იყოს ერთმანეთის. მე ვიტყვი, რა დააყვავებს და რა დაამხობს ჩვენს კომუნას. თუ ჩვენ გვეყვარება ერთმანეთი, მტერი ადვილად ვერ მოგვერევა.

რო უნობენ კატეგორიული განყოფილება უნდა იყოსო ჯამაგირშიო მაგაა სწორედ რომ მოგვთხრის და დაგვაქცევს. ჩვენ იმიტომ შევედით კომუნაში, რომ ალარ იყოს ქიშპი და ერთმანეთის ჯობნა. ერთმანეთს რომ შეეჯიბროთ, ყოჩი ვართ თუ. რაც გვაქვს ამ ჩვენს საერთო ოჯახში, მოვიხმაროთ კიდეც ძმურად და ამხანაგურად. ახლა გომართელი და მუხაძე რომაა ტფილისს ქალაქს, ის ჩემსავით კი არ ინდომებს ცხოვრებას, მარა ჩვენ ერთმანეთი უნდა გავიტანოთ. ჩვენ ყველა მუშები ვართ, არც ერთი არ ვართ სემელარისტები. ჩვენ ვართ ტყისა და მიწის მებრძოლი ხალხი. ჩვენი საქმეა ხენა-თესვა, მიწის მობრუნება. გლეხი და მიწა ძმები ვართ. როგორც გლეხი არ ვარგა უმიწოთ, ისე მიწა უგლეხოთ. ამ ოცი წლის წინეთ აქ რომ მოვედით 5 მოსახლე, ქვეყანა ტყეთ იყო. თვალი ცას ვერ შესტობოდა. ხეს ვთარჯავდით და გზას იმით ვიკვლოვდით. ქრისტიანი კაცი არ იყო ამ კუთხეში: ზეით თათრები იყო კაბალში, ქვეით ოსები—ხოშატიანში. ოსის ქალებმა გვასწავლეს—ეხლა რომ გიორგეთია—ფხალი ფყო გარეული. ლეკებმა მარილი მოგვცეს. ამიტომ შეეთვისეთ ასე კარგათ ოსებსაც და ლეკებსაც. იმიზა შემოვიყვანეთ ჩვენს საერთო ოჯახში. თუ ჩვენ იმერლებს გვეძახიან, ისინი ოსებია—სისხლის და ხორცის ხალხია, ჩვენსავით ადამიანები. ოსი, ქართველი და ლეკი ვინ გაანსხვავა? მოლამ და ხუცესმა. ბავშვმა დაბადებისას არაფერი იცის გარდა ჭყივილისა, თათრობა და ქართველობა მას არ ეტყობა, მერე მოლა ასტავლის და იმიტომ ხუობს ღორის ხორცს. ღვდელი კიდო უმფრო ტყუოდა, ბერი ფეხზე ეკვანს იბამდა, კაი კაცი გამოვიდეო, სახლში ღამე კი ბარიშნა ყავდა—და კატლეტებს ჭამდა. გაგება ჩვენ არ გვქონდა, წაწყდა დამხჩვალი ნიკოლოზი, რომ სტავლას ხელს არ უწყობდა.

ჩვენი დღეები ამაში მიდიოდა—საზღვრები, თხრილები, ღობეები, ეკლები და რაგვები. ამდენი ტყე ვავტეხეთ, ამდენი კუნძები მოვთხარეთ, ამდენი ხიმები დავდგით. ამ ჭალაში რამდენი კაცის ძვალია ჩამარხული. არაფერი არ გამოგვდგომია.

თორმეტი შვილი დავზარდეთ მე და ჩემმა დრაფინამ ტყის ტეხაში ცეცხლის პირას. თავს იმიტომ ვიკლავდით, ამას ვტიროდი, ჩემი შვილი მოჯამაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ არ დადგეს თქვა ჩემი სტუმარი ფხიზელი არ გაუშვა, ... შეარ-
ცხვინა ღმერთმა ღვინო არ ქონიაო, მოგვყავდა პური, სიმინდი, ლობიო. მოგვ-
წყინდა იარმუკა, თუ ერთი ხელით ვიღებდით, მეორით ვაძლევდით. ამას ის
არ სჯობია, თუ ერთბაშად წაიღებს დეპოს მუშა და მოგვცემს სამაგიეროს, რაც
გვჭირია. ფული რათ გვინდა? ფული შრომის კვინტაციაა. ჩვენ უმფრო საჭი-
რო რაცხა გვაკლია—შოთა რუსთაველზე უნობენ ერთჯელ თურმე კლავზე პლა-
ში გადაედვა, ხელში ტროსტი დაეკავებია და გზაზე მიდიოდა. უთხრეს: ყველას
ამდენი საშოვარი უშოვია და მიაქვს, შენ რა ცარიელი მიდიხარო. იმან უთხრა—
აფხანაკო, მე ისეთი რაცხა მიმაქვს, თელ ქვეყნად ღირსო. რაიაო? რაიო და
ჭკუაო. მას ვერა კაცი ვერ წაგართუმს, ვერ მოგპარავს და ვერ წაგაგლეჯსო.
აი ეს ჭკუა და მოთავეობა გვჭირია. ჩვენ გვაკლია ბუღანტერი და მოთავე.
აგრონომმა რაფრათ გვითხრა, დაგვილამაზა, ამდენი მოგება გექნებათო. ჩვენ
ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ.

ბევრი მაქ სალაპარეკო მარა სათაური მავიწყდება, ახლა დავადგები გა-
მარჯვების გზას, გაუმარჯოს ჩვენს მეთაურებს, ნასტავლ ხალხს, გამოგიყვანებენ
და სწორ გზაზე დაგვაყენებენ.

სიტყვა არის, მუშურ-გლეხურ პარტიის პიონერებს. არ უნდა გვყავდეს
შრომის მოღალატე, დეზერტირი ეკლებივით გვესობა ფეხში. ვიბრძოლებთ მო-
მავლისათვის, საბჭოთა თავრობისათვის. ამიტომ ვიყავით დევნილი ახალ თავრ-
ბიდან. ეს იყო ჩვენი იდია და გულის-ბუხარი. თუ ერთმანეთს არ ვუღალატებთ
ვინ რას დაგვაკლებს, ოთხი ძმა კაცის მთას ეშინოდაო და ერთის კი ქათამსაც
არ ეშინოდაო. თუ არ იქნება ჩვენში განყოფილება, ჩვენ ავაშენებთ ჩვენი შვი-,
ლების მომავალს. იგენიზა, ვბჭუტურობ ამდენს, ვაწუხეფ ამდენ პატიოსან ხალხს,
თვარა მე და ჩემი ცოლი თუ გინდა დღესვე მოვკვდეთ. ჩვენ ავავსებთ ბელელს
თუ ჩვენ გვექნება ერთობა, დავაკმაყოფილებთ მთავრობას, ნამუსს და სირცხვილს
და მართლა იქნება ცოციალიზმის დამყარება, და მართლა სასიამოვნო რამე
იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილის სამწერლო მოღვაწეობა 90 წლებში იწყება. ეს არის 905 წლის წინანდელი ეპოქა, როცა საზოგადოებრივი ურთი-ერთობა რევოლიუციის წინ ქარიშხალით იყო გაჟღენთილი. მესამოცე წლების მოღვაწეთა ბობოქარი ეპოქა ამ დროისთვის უკვე დამცხრალი იყო.

მათი ეპიგონები ხალხოსნურ მიმართულებაში ეძებდენ გამოსავალს.

ჯანსაღი რეალიზმი უკვე გადადიოდა ყალბ ხალხოსნობაში.

ეს ის დროა, როცა კაპიტალიზმი ძლიერათ შემოიჭრა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, როცა ძირიან ფესვიანათ შეირყა ძველი ეკონომიური განწყობილება და კლასთა ბრძოლის საკითხი გარკვევით წამოიჭრა.

მესამოცე წლების მოღვაწეთა ეპიგონები რუსულ ნაროდნიკების გავლენით ფიქრობდენ, რომ საქართველო ასცდებოდა ამ ეტაპს, აქ თავი— იჩინა ტეტიათა მოტრფიალეების თეორიამ, რომელიც ობიეკტიურათ რეაქციონურ მოვლენას შეადგენდა. მხოლოდ სინამდვილეში უკვე ხდებოდა საზოგადოებრივი დიფერენციაცია, კაპიტალიზმი არ მალავდა თავის განმანადგურებელ ბუნებას და ყოველი დღე აშკარათ ამტკიცებდა, რომ მოახლოვებული იყო კლასთა შეჯახება, რომლის გენერალური რეპეტიციაც 905 წელს მოხდა.

ბურჟუაზიამ და თავად-აზნაურობამ უკვე იგრძნეს სასიკვდილო მტერის მიახლოვება და მწერლობაც, აშკარაა, ვერ აცდებოდა ამ ფაქტორების გავლენას.

ილია ჭავჭავაძემ დაიწყო ბატონყმობის განმანადგურებელი კრიტიკით, შეჰქმნა „გლეხის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი“? მაგრამ თანდათან სცილდება რეალიზმის გზას და „ოთაარანთ ქვრივში“ ოცნებობს წოდებათა შორის გატეხილ ხიდის გამართლებაზე.

„ოთაარანთ ქვრივის“ მოჯამაგირე გიორგი, პირველი მოჯამაგირეა ქართულ მწერლობაში, მაგრამ მას არ აქვს გაგებული თავისი კლასის ინტერესი და უფრო ყალბ რომანტიულ სამოსელშია გახვეული.

„ოთაარანთ ქვრივის“ შემდეგ თითქო დაკანონდა ქართულ მწერლობაში ასეთი გლეხების ტიპები და მონანიებული აზნაურები დაეუფლენ მწერლობას.

მაგრამ რამდენადაც გარკვევით ხდებოდა კლასსების კონსოლიდაცია, იმდენათ მწერლობაც კვალში უდგება ცხოვრებას და შეგნებულათ გვიხატავს ამ პროცესს.

ამ საზოგადოებრივ განვითარების ახალ ეტაპზე შესამჩნევი ხდება გიორგი წერეთლის ფიგურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველათ მან ჩაუყარა საძირკველი საქართველოში ნატურალიზმს; პირველათ მან იგრძნო ახალ საზოგადოებრივ ძალთა დაჯგუფება და მისცა პირველი სიგნალი.

ეს არის სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა საქართველოში და მისგან გამოწვეული ცხოვრების აფორიაქება.

„პირველ ნაბიჯში"—ბახვა ფულავას სახით შემოდის ქართულ მწერლობაში ახალი ტიპი, რომელიც მოჰყვება ფოთის ნავთსადგურს. „მამიდა ასმათ"-ში კიდევ მოცემულია წვრილ აზნაურთა ბუდეების დანგრევა.

მხოლოდ რაც აღნიშნა გიორგი წერეთელმა, ის დაათავეს და თავიანთ ნაწერებში ამოწურეს ეგნატე ნინოშვილმა და დავით კლდიაშვილმა:

ეგნატე ნინოშვილი პირველი მწერალია დიალექტიური მეთოდით შეიარაღებული, მას აქვს არა მარტო ალღო, არამედ კლასთა ბრძოლის თეორიის შეგნებაც:

მან გურიის სოფლის მაგალითებით მწერლობაში აღნიშნა ახალი ეტაპი და მრავალ მხრივ შეეხო კაპიტალიზმის განმანადგურებელ გავლენას სოფელზე:

ამ მხრივ ეგნატე ნინოშვილი პირველი მწერალია საბჭოთა კავშირში.

მაქსიმ გორკი, რომელიც ეხება ასეთ თემებს, ბევრად ჩამორჩება ნინოშვილს კლასიურ მიდგომის პირდაპირობაში:

დავით კლდიაშვილზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის შეგნებულათ გამოხატავდა ამ პროცესს, მაგრამ მისი ნაწერები ძლიერ დატვირთულია სოციალური შინაარსით და მან უჩვეულო მხატვრული ნიჭით გადაგვიშალა ეს აგონია წვრილი თავად-აზნაურობისა იმერეთის ფონზე:

ამ წოდებამ დაჰკარგა თვისი ფუნქცია, რომანტიულ გმირების მოდგმა გადაგვარდა და მაშვლობით ეძებს ცხოვრების სახსარს.

ეს წოდება დიდი ხანია ჩამოცილდა დიდ ფეოდალურ შტოს და განცხრომით ცხოვრებას, ყოველი დღე თანდათანობით აცლის მას ფეხქვეშ ნიადაგს, და ღატაკდება, მაგრამ რამდენადაც ულმობელია ცხოვრების კანონი, რამდენადაც განწირულია ეს წოდება, იმდენად მეტ ხერხს და ძალას იჩენს, რომ გაუმკლავდეს ცხოვრებას და შეინარჩუნოს თვისი მდგომარეობა. და აქ ჩნდება კონფლიქტი და „შემოდგომის აზნაურები" ვარდებიან სასაცილო მდგომარეობაში:

დავით კლდიაშვილს სწორეთ იშვიათი მხატვრული ხერხით აქვს ასახული ამ პატარა ადამიანების, განწირულ წოდების უკანასკნელ მოგიკანების სამარცხვინო სიკვდილი:

აქ თითქო უმნიშვნელო დეტალებია და პატარა ანეგდოტები აღებული თემათ, მაგრამ საერთოდ იშლება უზარმაზარი ფონი წოდებათა გადაგვარების, ქალაქის სოფელში შემოჭრის ულმობელობა და ხშირათ ისეთ სურათებს იძლევა, როგორც ემილ ვერჰარნი თავის გალიუცინაციით შეპყრობილ ფლანდრიის სოფლებში:

დავით კლდიაშვილის ერთ უპირატესობას ისიც შეადგენს, რომ მან ამ განწირულ თავად-აზნაურობის ეპოპეიის აწერისთვის გამოიყენა ახალი ჟანრი.

მან შეჰქმნა ჰიუმორი ქართულ მწერლობაში:

თუ ეგნატე ნინოშვილი თავის მოთხრობებში იძლევა [illegible] სახეებს როგორც „პალიასტომის ტბაა“ და „ქრისტინე“, დავით კლდიაშვილი ეხლოდ ირონიისა და იუმორის საშუალებით გადმოგვცემს გადაგვარების გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობის ცხოვრებას და ვერავინ იტყვის, რომ ეს არ იყოს დამაჯერებელი.

მაგრამ მისი სატირა ბევრათ გაირჩევა სერვანტესის სატირისაგან, ისე როგორც შეწუხებული ლამანჩელი რაინდი დონ-კიხოტი, იმერეთის მაჭანკალის სოლომონ მორბელაძისა და ორჯერ ქვრივი და მაინც უშვილო დედინაცვლის საძებრად გაჭრილი მოგზაურ რაინდ პლატონ სამანიშვილისაგან:

გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი, რომელიც საკმაოთ იცნობდა ქართულ მწერლობას, ერთ თავის წერილში შენიშნავს, რომ ბუნებრივათ ჭკუამახვილ და ცოცხალ ბუნების ქართულ ხალხს არ აქვს მწერლობაში ჰიუმორიო. აქ მას გამონაკლისათ მიაჩნია ილია ჭავჭავაძე და დავით კლდიაშვილი:

მაგრამ არტურ ლეისტი, ისე როგორც ბევრი სხვა ქართველი მწერლობის მეისტორიე არ იცნობდა ქართულ მწერლობის საუკეთესო შედევრს, „კალმასობა“-ს, რომელიც არის XVIII საუკუნის ფეოდალურ საქართველოს ეპოპეა, და რომელიც დაწერილია რაბლეს შესადარი ჰიუმორით:

ეს გენიალური ქმნილება ქართული პროზისა ჯერაც არ არის დაფასებული, „კალმასობა“-ში მოცემული ენციკლოპედია, ბუნებრივათ უშლიდა, იმ ნაწილშიაც კი რომელიც ჯერ 60-იან წლებში იყო გამოქვეყნებული, გამოეყოთ ამ მონუმენტში გაბნეული მხატვრული შედევრები.

(„კალმასობა“-ს ხელნაწერის დიდი ნაწილი ჩამოტანილ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს- ლენინგრადიდან ქართულ ხელნაწერების რეევაკუაციის დროს და ჯერაც არ არის დაბეჭდილი) მხატვრული ხერხი კალმასობისა შეუგნებლათ გაიმეორა დავით კლდიაშვილმა:

„კალმასობა“ში გამოყვანილია მოკალმასე ბერი იოანნე ხელაშვილი, რომელიც მონასტრისთვის აგროვებს შესაწირავს;

ბერ იოანნეს ამ კალმასობაში უხდება მოგზაურობა მთელ საქართველოში და შეძლება აქვს დააკვირდეს ყოველ კუთხეს და ყოველ ფეოდალის ოჯახს და აქ იშვიათი ოსტატობით მოცემულია მე XVIII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეპოპეა:

ეს პირველი ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში სადაც გვხვდება ბატონყმობის კრიტიკა.

დავით კლდიაშვილსაც თავის საუკეთესო რომანში „სამანიშვილის დედინაცვალი“ გამოყენებული აქვს ეს ხერხი:

პლატონ სამანიშვილი ერთ მშვენიერ დღეს გაიგებს ძალიან სამწუხარო ამბავს—მის მამას ბეკინას უნდა ცოლის შერთვა.

პლატონმა ბევრი უშალა ჭირვეულ მამას, როგორმე გულიდან ამოეგდო ცოლის თხოვა, მაგრამ ბეკინა მაგრად დადგა და თავისი გაიტანა კიდეც.

ბეკინა ისეთი ცომისგან არის მოზელილი, რომ აგრე ადვილათ არ დათმობს რაც ერთხელ გულში ამოიჭრა, ამიტომ პლატონი იძულებული ხდება მამას დაეთანხმოს, მაგრამ მას უკვე მოფიქრებული აქვს ერთი გამოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონმა უნდა თვითონ მოუნახოს მამას საცოლო, მაგრამ ისეთი ქალი უნდა იყოს, რომ ორჯერ ქვრივს შვილი არ ყოლოდეს.

უეჭველია, პლატონს იმედი აქვს, რომ დედინაცვალს შვილი არ გაუჩნდება, ამით მის ოჯახს არ მიემატება მონაწილე, თორემ ისედაც ღარიბი ოჯახი კიდევ გაყოფას ვერ აიტანს.

ამ მიზნით პლატონი გაუდგება გზას, თავის კუთხეში ეძებს ასეთ ქვრივს

ეს კარდაკარ მგზავრობა ახირებული აზნაურისა დედინაცვლის ძებნაში. ავტორს გამოყენებული აქვს იმ მიზნით, რომ ერთად შეაჯგუფოს წვრილი აზნაურები და გადმოგვცეს მათი ყოფა-ცხოვრება.

მართლაც, თავის მოგზაურობაში პლატონი ბევრ თავის მომმეს ხვდება, ეს ხალხი უფრო გაჭირვებულია და ახირებული.

აქ აწერილია იმერეთის ქორწილი, და ქორწილზე მომხდარი აყალმაყალი.

ყოველი სცენა აქ თვალის მომჭრელია, მონენტალურ დიალოგებში, პატარა ეპიზოდებში მწერალი იძლევა დაქცევის კარზე მიმდგარ კუდაბზიკა აზნაურების ეპოპეას

თითქო ფეცრათ, შემთხვევით და ცოტა ხნით გამოვა სცენაზე პლატონის სიძე, კირილე, მაგრამ რამდენიმე ხაზის მოსმით, ქანდაკებასავით ჩამოისხმება მოჩხუბარი, მოყიალე, მუქთახორა და ზედმეტი ადამიანის ტიპი.

დავით კლდიაშვილის ყოველი გმირი ისე ცოცხლათ არის ამოჭრილი ცხოვრებიდან, რომ შეუძლებელია მისი არ დანახვა და არ დამახსოვრება. ბოლოს და ბოლოს პლატონ სამანიშვილს მაინც ბედი უღალატებს, ის თავიდან ვერ იცდენს უბედურებას და ორჯერ ნაქვრივალ ქალს, მაინც გაუჩნდება შვილი და ისიც ვაჟი.

ადვილი წარმოსადგენია ამ პატარა ადამიანის ტრაგედია ასეთი უბედურების შემდეგ.

მაგრამ აქვე მოჭრილათ მოცემულია ფინალიც.

— „მომრიგებელ მოსამართლის სახლის აივანზე ძალიან ხშირათ შეგხვდებათ შავებით მორთული ხნიერი დედაკაცი, რომელსაც ხან მზათ დაკეცილი მისართმევი თხოვნა უჭირავს ხელში, ხან ისეა—ხელ-ცარიელი, გვერდით უყენია ოთხი-ხუთი წლის პატარა შავ-თვალა მალხაზი ბავში, ჩითის ბლუზით, წითელ წუღებით, კიზიროკიანის ქუდით თავზე, უქამროთ და მოსამართლესთან მისვლის დროის მოწევამდინ ეს დედაკაცი გულდამწვარი უამბობს ხოლმე ნაცნობთ და გარს შემოხვეულ მაყურებელთა თავის გაჭირვებას, უსაშვალებას და მწუხარებას, რაც მათ ორივე დედაშვილს ადგიათ მისის გერის, პლატონ სამანიშვილისაგან, რომელმაც აღარც ღობე შეარჩინა, აღარც საზღვარი, აღარც ადგილი და იძულებული ხდის საწყალ მოხუცებულ ქვრივს დედაკაცს იწანწალოს ყოველ კვირა სასამართლოში...

განა აქ შეიძლება რომელიმე დეტალის ამოგდება?

ეს მოსამართლე, დაწერილი არზა, ბავშის ტანისამოსი „კიზიროკიანის ქუდით“, ღობის დანგრევა და ყოველივე დავიდარაბა, რასაც სამანიშვილი აყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს თავის დედინაცვალს და პატარა ძმას. მოწმობს თუ რა ... დავით კლდიაშვილი წვრიმალებისაგან შედევრებს.

ეს არის მოზაიკა, რაღაც ბიზანტიური ოსტატობა, რომ კენჭებიდან კოშკი აიგოს.

თვითონ პლატონ სამანიშვილის გაძვალტყავებული მერანი იმერეთის როსინატი, დავარდნილი; ფერდებ ჩაცვენილი ცხენი მთავარი მომქმედი პირია დავით კლდიაშვილის რომანისა.

პლატონ სამანიშვილის ცხენი და სოლომონ მორბელაძისა და ღვდელი ზოსიმეს ჯორი, ამ მოთხრობებში აყვანილია შემოქმედებით სრულქმნამდე.

შეუძლებელია ამ სურათის დავიწყება, ეს თითქო ამოჯრეს დაღით მკითხველის გონებაში, ამიერიდან. დავით კლდიაშვილის აზნაურები და მათი ცოცხალი ინვენტარი გატარებულია ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ქართველ მკითხველის რეგისტრაციაში:

ისეთი ილიუზია იქმნება, თითქო სოლომონ მორბელაძის ჯორი მართლა ლაპარაკობდეს, თითქო მას გონება გაეხსნა და ენა აიბა: ჯორის აწერის საშუალებით დავით კლდიაშვილი იძლევა სოლომონ მორბელაძის სულისკვეთებას, მის მწუხარებას და დარდს.

ამის შემდეგ, როცა სოლომონ მორბელაძე სამუდამოთ დარწმუნდა, რომ მისი საქმე წაგებულია, მაჭანკალი მოატყუეს, და სამოცი მანეთის მაგიერ, ექვსი მანეთი შერჩა ხელში სამაშვლო:

გულამღვრეული ბრუნდება სოლომონი უკან შინისკენ.

„მწუხარე, გულნატკენი, და გულამღვრეული მიაჩაჩქებდა აღმართ-დაღმართებში თავის ჯორს და წამდაუწუმ დეზებს სცემდა საწყალ პირუტყვს, რომელსაც სრულიათ ვერ გაეგო, რა დაეშავებინა ასეთი თავის პატრონისთვის.

სოლომონი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს, „დღეს კი ტყუილა უბრალოთ ამდენი ცემა-ტყეპა მიაყენა. გაკვირვებული, თან შეშინებული და დამფრთხალი ჯორი მირბოდა და მისდა უნებურათ, ხან კოლბოხებს წაკრავდა ფეხს ხან ქვას, წაიფორხილებდა ამის გამო, რასაკვირველია, ახლა ამიტომ აგინებდა და ლანძღავდა პატრონი“.

ცოტა ხნის შემდეგ სოლომონ მორბელაძეს თავისი ამხანაგიც შეეცოდება, როცა გაითვალისწინებს თავის ბედის უკეთმართობას, თავის ცხოვრების არარაობას, აქ კი უკვე ორმაგია დავით კლდიაშვილის ირონია.

აქ ჯორი და სოლომონი თითქო შეეზარდენ ერთი მეორეს და თითქო მათ შორის მართლაც არ არის განსხვავება: თუ სოლომონი სჩაგრავს ჯორს, თვითონ სოლომონიც ცხოვრებისგან დაჩაგრულია, სასაცილოთ აღებული, გალატაკებული: და სოლომონ მორბელაძე არ არის მარტო, ის წარმომადგენელია მთელი წოდების, რომელიც სიღარიბეს და ცხოვრების დაუდგრომელობის გადაშენების კარამდე მიუყენებია:

თუ სოლომონ მორბელაძემ იკადრა და ხელი მიყო აზნაურისთვის არა საკადრის ხელობას, მაჭანკლობას და აქაც მატყუარობს, გაიძვერობს და პირმოთნეობს, მეორე აზნაური თავს იმით ირჩენს, რომ სანადირო ძაღლს შეასწავლოს გლეხებისგან პურის და ქათამის წართმევა:

და ასე, შინაური ნადირობით პატიოსანი აზნაური იოლათ გადის.

უეჭველია ასეთი ცხოვრება იწვევს მორალის დაცემას. [illegible] ბის დაკარგვას, კაცს აჩვევს ორგულობას, ღალატს, პირმოთნეობას, [illegible] და ყველა ეს თვისებები უხვათ აქვთ მინიჭებული დავით კლდიაშვილის პერსონაჟებს:

აქ დოლია გამართული ვინ ვის მოატყუებს;
ვინ ვის რამეს წაგლეჯს,
ვინ მოასწრებს და თვალს დათხრის.

და ეს აზნაურები შთამომავალნი არიან იმ გულზვიად ფეოდალებისა, რომელთა რომანტიული თავგადასავალით სავსე იყო წინათ იმერეთი: ეს ის თავადებია, რომელზედაც „კალმასობა"-ში სწერია; რომ ამ ფეოდალებს ერცხვინებოდათ ცხენების გაყიდვა, რომელთა ჯოგებიც ჰყავდათ, მხოლოდ ასობით ყიდდენ თავიანთ ყმებს ოსმალეთის ფაშებზე. ერთი საუკეთესო ამბავი ასეთი ფეოდალების ცხოვრებიდან, რომელიც არ ჩამოუვარდება სტენდალის „იტალიის ქრონიკებს", დაბეჭდილი აქვს აკაკი წერეთელს თავის „კრებულში"; ეს არის რაჭის ერისთავის როსტომის და მისი შვილების თვალების დათხრა იმერეთის მეფისაგან; აქ აწერილი როსტომ ერისთავის დაშინაურებული ირმების ჯოგების ამოხოცვის ამბავი, და თვითონ როსტომის დაბრმავება ნადირობის დროს ნამდვილად ჰომეროსის ეპოსიდან არის ამოღებული.

მხოლოდ ამ ფეოდალების ნაშთებს, ეხლა უკვე გამოცლილი აქვს არსებობის ნიადაგი, ნატურალური მეურნეობის მოსპობამ, კაპიტალისტურ წარმოების განვითბრებამ წელში გასტეხა ეს ხალხი. მხოლოდ ატავისტური რაღაც არა ადამიანური სტიქიონით ეს ხალხი იბრძვის სიკვდილის წინეთ და ეს სიკვდილის ჟრუანტელი, ეს აგონია აქვს აწერილი დავით კლდიაშვილს.

ის არის მისი მეისტორიე ულმობელი, გულქვა, განუკითხავი:

აქ თითქო ისტორია სწერს თვითონ დავით კლდიაშვილის ხელით, ამიტომ არის ყოველი სურათი ისე ცოცხალი, ისე მართალი, რომ შეუძლებელია კაცმა წაიკითხოს და გულამდე არ ჩაწვდეს.

ამ კლასს მოშლილი აქვს ცხოვრების ყოველგვარი სახსარი, ის ზედმეტ ხორცათ აწევს შშრომელ ხალხს და ბორკავს მის განვითარებას, მაგრამ ისე მწვავეთ არის ეს გადაგვარებული წოდება დაკავშირებული მიწასთან, რომ ტრაგიული ხდება, მისი როგორც კლასის მოსპობა.

ათასს ხრიკებს, ოინებს და გამოგონებას მიმართავს იმერეთის წვრილფეხა აზნაური, რომ შეინარჩუნოს ძველი დიდება და გავლენა, მაგრამ ეს კლასი განწირულია ცხოვრებიდან, მისი დღეები დათვლილია და სიკვდილის წინ მოუსწრო დავით კლდიაშვილმა, რომ გადმოეცა მათი უკანასკნელი გაბრძოლება.

მწერალი გარკვევით ხატავს განწირულ თაობას და მისი დაუნდობელი კალამი ააშკარავებს ამ მიმავალ ხალხის ფუქსავატ ცხოვრებას. რუსეთში ნ. გოგოლმა იმავე ხერხით, როგორც დავით კლდიაშვილმა „სამანიშვილის დედინაცვალში"—პოემა „მკვდარ სულებში" მისცა მემამულეთა რუსეთის ეპოპეა; აქაც

ჩიჩიკოვი მოგზაურობს რუსეთში და ყიდულობს მკვდარ სულებს, რომ შემდეგ ნაყიდი მკვდარი ყმებით გახდეს ხერსონის მემამულე. აქაც ... ჩიჩიკოვი ხვდება რუსეთის მემამულეებს და გადაშლილია მათი ყოფა-ცხოვრების სიდუხჭირე.

მაგრამ ეს ბატონყმობის ამბავია.

შემოდგომის აზნაურობის გადაგვარება რუსეთში აწერეს ა. ჩეხოვმა და ი. ბუნინმა, განსაკუთრებით უკანასკნელის შედარება შეიძლება დავით კლდიაშვილთან, ისინი ერთი თაობის ხალხია, და მათი დაპირდაპირებით აშკარა გახდება როგორ შეიძლება ერთ და იმავე ფაქტთან სხვადასხვა მეთოდით მივიდეს მწერალი.

ი. ბუნინი თავის მოთხრობებში იძლევა უკანასკნელ თავად-აზნაურთა ბუდეების დანგრევას, უკვე გაკაფულია ალუბლის ბაღები, ტყე, სტირის, ინგრევა მებატონის კულტურა და ახალი ადამიანი აღებს კარებს.

მაგრამ ბუნინი მისტირის გადასულ კლასს, მთელი მისი სიმპატიები ამ ხმა გადასულ ხალხისაკენ არის, ამიტომაც იყო როცა მოთავდა ეს ბრძოლა და გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ძირიან-ფესვიანათ ამოუხვრა ყოველივე ფეოდალური ნაშთები, ბუნინი ემიგრაციაში მოხვდა და შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერია საბჭოთა კავშირისა:

მას აქამდე არ დავიწყებია ლმერთი მებატონეთა და ასე მიმართავს მას:

Во имя человечества и бога
Смири скота, низвергни демагога.

დავით კლდიაშვილმა ასწერა აგრეთვე ამ აზნაურების უკანასკნელ ბუდეთა განადგურება, მაგრამ მან იცის, რომ ეს ხალხი ცხოვრებისგან გარიყულია. უეჭველია, დ. კლდიაშვილში არ არის ის მკვეთრი გაგება კლასთა ბრძოლისა, როგორიც აქვს ეგნატე ნინოშვილს, როგორც წინად ვსთქვით, და რაც მას პიონერის როლს აკუთვნებს მთელ კავშირში, მაგრამ დავით კლდიაშვილი მაინც დგება თავის წარმომშობ კლასის მაღლა, რადგან ისიც წარმოშობით ამ აზნაურთა წრიდან არის და იმედით შეჰყურებს მომავალს.

დავით კლდიაშვილს არ ახასიათებს სასოწარკვეთილება და პესიმიზმი, მან იგრძნო ამომავალ კლასის გამარჯვების ნიშანი და ამიტომ ამ გახრწნისა და გადაგვარების ფონზე ის ესალმება ახალ ცხოვრებას: და ეს არის სწორეთ მიზეზი, რომ დავით კლდიაშვილი მშრომელმა ქართველმა ხალხმა მიიღო, როგორც თავისი მწერალი და მას კომისართა საბჭოს დადგენილებით მიეკუთვნა პირველს საქართველოს სახალხო მწერლის სახელწოდება. და როცა 29 ივნისს მის ორმოცი წლის იუბილეს აღსანიშნავათ საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამართა საზეიმო საღამო, რომელზედაც გამოვიდენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი და მიესალმენ მოხუცს, რომელმაც მეფის რეჟიმის დროს არ დაკარგა მწერლის მოვალეობის შეგნება, ხმა აიმაღლა მთავრობის პროვოკაციის წინააღმდეგ, გვერდში ამოუდგა მშრომელ ხალხს და დაგმო ძველი ფეოდალური ცხოვრების მემკვიდრეობა: მთელი დარბაზი სულ გაკნენდილი უსმენდა მო-

ხუცს, რომელსაც ძლივს შეეძლო ჯდომა, მაგრამ რომელმაც მტკიცე და მკვეთრი სიტყვით მიმართა ხალხს:

— მაპატიეთ, რომ უძლური ვარ და არ შემიძლია ყველაფერი ვთქვა, მე არ მოველოდი, რომ ჩემ შრომას ხალხი ასე დააფასებდა, მე ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ მე მქონდა რწმენა, მუდამ მწამდა ხალხის გამარჯვება და ისე ვკვდები, ეს გამარჯვებული ხალხი ვნახეო:

უკეთესად შეუძლებელია მართლაც დახასიათება დავით კლდიაშვილის შემოქმედებისა, მან უდიდესს რეაქციის დროს გამოიტანჯა ეს რწმენა ხალხის გამარჯვებისა და ხალხიც მიხვდა ამ წრფელი გულის აღსარებას, მიხვდა და თავისათ ჩასთვალა. მაგრამ დავით კლდიაშვილი არ არის ის მწერალი, რომელიც ეკუთვნის ჩვენ ქარიშხლის ეპოქას, დავით კლდიაშვილი ცოცხალი კლასიკოსია. თუ საერთოდ გამოცხადებულია ლოზუნგი, რომ კლასიკოსების შესწავლა და კრიტიკულათ დაძლევა ერთი პირობათაგანია პროლეტარულ მწერლობის განვითარებისა, დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლა ამ შემთხვევაში უფრო საჭიროა, ის საუკეთესო წარმომადგენელია ქართული რეალიზმის, მისი ჟანრი სატირული პროზისა ეხლაც ცოცხალი ჟანრია, მისი უბრალო, სადა, მაგრამ უდიდესი ოსტატობით მოქნილი ენა მართლაც დიდხანს დარჩება სანიმუშოთ, მას არ აქვს განყენებული აზროვნება, მისტიური განხრა, და აცვია დოგმატიკის კორსეტი—მას აქვს ბევრი ისეთი თვისება, რომელიც უნდა ახასიათებდეს თანამედროვე მწერალს.

მას თავის დროზე აკლდა მტკიცე იდეოლოგიური დასაყრდენი, მაგრამ მან შეუგნებლათ მხატვრული სიმართლით მისწვდა იმ ახალ კულტურას, რომელსაც დღეს ჰქმნის სოციალისტური საზოგადოება. და დღეს როცა ძირიან ფესვიანათ, დედა ფუძიანათ იშლება ძველი ცხოვრება და მყარდება ახალი საზოგადოებრივობა, როცა ჩვენი თაობა მომსწრეა უდიდესს სოციალისტურ აღმშენებლობისა, მუშათა კლასი, რომელსაც თავისთავზე გადააქვს ახალი კულტურის შეჰქმნა, ეცნობა იმ ყოფა-ცხოვრებას, რომელიც საფუძვლათ ედვა ძველ საზოგადოებას და რომლის ანალიზი მოცემულია დავით კლდიაშვილის ნაწერებში.

ამ მხრივ დავით კლდიაშვილის შემოქმედება რჩება სანიმუშოთ.

მისგან შეუძლია ახალ თაობას ისწავლოს სადა მეტყველება, ხალხური ენის გამოყენება, ლაკონიური ფრაზის მოკვეთა, უმნიშვნელო ვითომ დეტალებით მონუმენტალურ სურათის გაშლა და ანეგდოტით ეპოსის შექმნა.

მის ნაწერებში გამოყვანილი ამცდარი და ზედმეტი ადამიანები, წვრილ შემოდგომის აზნაურთა მოკვეთილი პორტრეტები—ყველა ეს სოლომონ მორბელაძე, პლატონ სამანიშვილი ოტია ქამუშაძე და ათასი სხვა მისგან დადაღული და ისტორიის სამსჯავროზე გამოყვანილი და გასამართლებული ხალხი—ახალ თაობას დაუსახავს იმ გარხწნილ ყოფას, რომელიც წინ უსწრობდა რევოლიუციას, და რომელიც ცეცხლით და რკინით დაფერთხა გამარჯვებულმა პროლეტარიატმა. როდესაც ლგინდება ახალი ყოფა, როცა ხდება სოციალისტურ მეურნეობის რეკონსტრუქცია—ყველას მოაგონდება ის დრო, როცა კაცი ერთი ნაჭერი მიწისთვის ძმას თავს უპობდა, მამას არ ინდობდა და ყოველ დანაშაულზე მზათ იყო,

როცა ადამიანის ტრაგედიათ გახდა ეზოში შემოჩვეული ელორტები, როგორც აწერილია „ბაკულას ღორებში“—და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ასეთი ცარიელი წვრიმალი, რომელიც ახასიათებს ამ ეპოქას და სასირცხვოთ ხდის მის მოგონებას. მთელი შემოქმედება დავით კლდიაშვილისა შეკრულია ერთი სასტიკი მონტაჟით, სადაც გაძაგრულია ფეოდალიზმის უკანასკნელ ნამსხვრევთა გადაგვარებული ყოფა და აბუჩათ აგდებული ცხოვრება.

ჯერ კიდევ არ არის მოთავებული ლიკვიდაცია ასეთი ყოფის, დღესაც თითქო დავით კლდიაშვილის გმირები კიდევ დარჩენ აქა იქ, მაგრამ დღეს ეს ხალხი არ აძლევს ტონს ცხოვრებას, დღეს ესენი ეგზემპლიარები არიან, როგორც ლენინოფა სოციალისტურ ყანაში შემალული.

ამიტომ დავით კლდიაშვილის შემოქმედება მნიშვნელობას დღესაც არ არის მოკლებული, მისი კალამი რევოლიუციის შემდეგაც კარგათ ანიშნებს ძველი ყოფის ნაშთებს.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ჩხენკელი

ბიოლოგია

სახელგამი, 1927 წ.

ქართული ლიტერატურა ძალიან ღარიბია ბიოლოგიური წიგნებით. სულ სამი თუ ოთხი წიგნი მოგვეპოება, რომლებიც ბიოლოგიისა ამა თუ იმ საკითხს უპასუხებენ. ამიტომ, ყოველ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

თავისთავად ცხადია, რომ ბიოლოგიურ თემებზე წიგნების წერა იოლი საქმე არაა, ავტორმა წიგნის წერის დროს ტერმინებიც უნდა გადმოაქართულოს, განმარტოს და დაამუშავოს.

ხსენებული წიგნის შინაარსი არ შეეფერება მის სახელწოდებას: ავტორს რუსულ ენაზე არსებულ ზოგად ბიოლოგიის სახელმძღვანელოებით უსარგებლია და ისინი გადმოუქართულებია. წიგნისათვის მას **ზოგადი ბიოლოგია** უნდა ეწოდებია, რადგან ცნება „ბიოლოგია" გულისხმობს მრავალ მეცნიერებას, მაგალითად: ზოოლოგიას, ბოტანიკას, ანატომიას (ადამიანის, ცხოველების და მცენარეების), ფიზიოლოგიას, ჰისტოლოგიას, ემბრიოლოგიას და ბევრ სხვა ბიოლოგიურ მეცნიერებას.

ავტორს საკითხი კარგათ დაუმუშავებია, თანაც პოპულიარულად და კარგი ქართული ენით დაუწერია.

ზოგიერთ ადგილს ისეთი საკითხებია გაშუქებული, რომლებიც პედაგოგიური თვალსაზრისით მეორე საფეხურის სკოლის მოწაფეთათვის საჭირო არაა. მაგალ. წიგნის მე-42-ე გვერდზე, „გამოჩენილმა მეცნიერმა—სწერს ავტორი—იოჰან მიულერმა გამოიკვლია, რომ თვალში მხედველობის ნერვის ბოლოს გაღიზიანება, რითაც არ უნდა იყოს გამოწვეული: სინათლით, სითბოთი, ელექტრონით, სულ ერთია, ნერვით თავის ტვინში იქნება გადატანილი და ყოველთვის სინათლის შეგრძნობას იწვევს; ამრიგადვე სმენის ნერვის გაღიზიანება ყურში ყოველთვის ბგერის შეგრძნობას იწვევს და სხვა. გრძნობის ორგანოების ამგვარი სპეციფიური, დამახასიათებელი ენერგია შეიძლებოდა ასეთი ოპერაციით გაგვეხადა (თუმცა სინამდვილეში შეუძლებელია): რომელიმე ადამიანს ან ცხოველს მხედველობის და სმენის ნერვები გადაუჭრათ და შემდეგ ისინი გადაჯვარედინებული მივაზარდოთ, ე. ი. თითოეულ მხედველობის ნერვების შინაგან შესაბამ სმენის ნერვის გარეგან ნაკვეთს, რის შემდეგაც ცხოველი თავის ტვინის მხედველობის ცენტრის სმენის ორგანოს მიერ გაღიზიანებისა და სმენის ცენტრის მხედველობის ორგანოს მიერ გაღიზიანების გამო გაიგონებდა არა ყურით, არამედ თვალით, და დაინახავდა არა თვალით, არამედ ყურით. ან როგორც ერთი ფიზიოლოგის მხატვრული გამოთქმით „დაინახავდა ჭექა-ჟუხილს და გაიგონებდა ელვას". მგონია, რომ ავტორის აზრს ვერც ერთი მოწაფე ვერ გაიგებს. ისიც საგულისხმოა, რომ ეს დებულება ჯერ არავის დაუმტკიცებია. ავტორიც აღნიშნავს, რომ „ასეთი ოპერაცია შეუძლებელია"ო. ავტორის აზრი მკითხველმა რომ გაიგოს, მან აუცილებლივ ნერვოლოგია, ესტეზიოლოგია და ფიზიოლოგია კარგათ უნდა იცოდეს. წიგნი თავის შინაარსით კი ასეთ მკითხველისთვის არაა დაწერილი.

44 გვერდზე სწერია: ეს უჯრედი კი ბრძანებას (იმპულსს) სამოძრაო კუნ-

თებრიეი უჭრედში გზავნის". სჯობდა, რომ სიტყვა „ბრძანება" სულ არ ეხმარა, რადგან სინამდვილეს მხოლოდ სიტყვა „იმპულსი" გამოხატავს და არა „ბრძანება".

121 და 122 გვერდზე ავტორი ქიმიოტროპიზმს გაკვრით ეხება. ქიმიოტროპიზმს და კერძოთ კი ლეიკოციტებისა და სპერმატოზოიდების მოძრაობას ისეთი დიდი პრაქტიკული და პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, რომ საჭირო იყო საკითხის უფრო ვრცლად გაშუქება და ფაქტებით დასაბუთება.

161 გვერ. ავტორი ერნესტ ჰეკკელის ბიოგენეტური კანონის დაუკმაყოფილებელ განმარტებას იძლევა. „ბიოგენეტური კანონი იმაში მდგომარეობს—სწერს ავტორი,—რომ მაღალ განვითარების ცხოველი თვისი პირადი განვითარების დროს ანაგობის ისეთ საფეხურებს გაივლის, რომლებიც დამახასიათებელია დაბალი ტიპის მოზრდილ ცხოველთათვის" (ხაზგასმა ჩხენკელისაა, გ. გ.). საჭირო იყო, რომ ეს კანონი ავტორს უფრო კარგათ განემარტა, ვინაიდან მკითხველი ვერ გაიგებს, რა იგულისხმება ფრაზაში „რომლებიც დამახასიათებელია დაბალი ტიპის მოზრდილ ცხოველებისათვის".

ზემოთ მოყვანილი შეცდომები წიგნს მნიშვნელობას არ უკარგავს. ჩვენში ბიოლოგიურ საკითხებზე წიგნების წერა ახალი საქმეა და ცხადია, რომ უნაკლო სახელმძღვანელოს დაწერა ძნელია.

კამათის და კრიტიკის ღირსია წიგნის პრინციპიალური იდეოლოგიური მხარე. უდავოა ის დებულება, რომ ბიოლოგია უდიდესი იარაღია რელიგიის საწინააღმდეგო ბრძოლაში, აგრეთვე თუ ვინმეს მარქსიზმის სერიოზული შესწავლა სურს, იგი ზოგად ბიოლოგიის კურსს უნდა გაეცნოს.

ზოგიერთ ბუნებისმეტყველზე ფრ. ენგელსმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა: „ბუნებისმეტყველთ ჰგონიათ, რომ ისინი თავისუფლდებიან ფილოსოფიიდან, როცა უარყოფენ ან და შურით იხსენიებენ მას, მაგრამ აზროვნების გარეშე ხომ არ შეუძლიათ თუნდაც ერთი ნაბიჯით წაიწიონ [illegible], — აზროვნებისათვის კი აუცილებელია [illegible] ლოგიკური განმარტებანი, და ამ განმარტებებს ისინი დაუდევრად სესხულობენ ეგრეთ წოდებულ განათლებულ ადამიანთა თეორიულ მარაგიდან, რომლებზედაც ბატონობს უძველესი ფილოსოფია, ანდა უნივერსიტეტში სავალდებულო ფილოსოფიის კურსის ნაწილიდან და კიდევ უკრიტიკოთ და უსისტემოთ ფილოსოფიური თხზულებების კითხვით. საბოლოოდ ისინი მაინც ფილოსოფიის ტყვეთ იქცევიან,—სამწუხაროთ უმთავრეს შემთხვევაში ცუდის;—და აი ის ადამიანნი, რომლებიც ასე გულდასმით ლანძღავენ ფილოსოფიას, ყველაზე უფრო ძველი, ცუდი და ვულგარულ ფილოსოფიური სისტემის მოხმობათ იქცევიან"-ო.

ფრ. ენგელსი. დიალექტიკა და ბუნებისმეტყველება გვ. 37. Архив Маркса и Энгелса I из, 1925 წ. ბუნებისმეტყველთა მიმართ ენგელსის მიერ გამოთქმულ გზას ვერ ასცდა ა. ჩხენკელის წიგნი, ბიოლოგიის სახელმძღვანელოს საბჭოთა სკოლებისათვის ის მე-18 საუკუნის მექანიკური მატერიალიზმის ზეგავლენით სწერს.

მაგალითად: წიგნში ჩვენ ვხდებით ავტორის ასეთ განმარტებას: „ქიმიური შემადგენლობის მხრივ ორგანიზმები შეიცავენ იმავე ელემენტებს, რაც არა ცოცხალ ბუნებაში, მხოლოთ რიცხვით უფრო ნაკლებს".

ავტორს სიცოცხლის და ცოცხალთა არსთა რაობა მექანიკურათ ესმის. ასე მსჯელობდენ მე-18-ე საუკუნის მატერიალისტები. თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ კი უარყო ეს, და თუმცა სტიქიურად, მაგრამ ურყევად თავისი გამოკვლევებით დიალექტიური მატერიალიზმის დებულებამდე მოვიდა.

დიალექტიური მატერიალიზმი ითვალისწინებს არა მარტო რიცხობრივ-რაოდენობით (количество) მხარეს, არამედ ელემენტთა ერთიმეორესაგან დამოკიდებულებას, მათ განწყობილებას და თვისებებს. არ არსებობს რაოდენობა უთ-

ვისებოთ, ისე როგორც არ შეიძლება იყოს თვისება უმატერიოთ.

ამ დებულების გასამართლებელ საბუთს ჩვენ ქიმიაში ეპოულობთ. შეიძლება ელემენტთა რიცხვი (რაოდენობა) არ შეიცვალოს და სხვადასხვა განწყობილების დროს კი სულ სხვადასხვა თვისების ნივთიერება წარმოიშვას.

მაგალითად გვაქვს $C_4H_{11}N$. ამ მოლეკულას შემდეგი ცვლილებები აქვს:

$C_4H_9NH_2$, ან $C_3H_7NH.CH_3$, ან $C_2H_5NHC_2H_5$, ან $C_2H_5N(CH_3)_2$. ასეთ იზომერას მეტამერია ეწოდება.

„ამ უკანასკნელ დროს აღმოაჩინეს მრავალი შემთხვევა, როცა ნივთიერებებს ჰქონდათ ერთიმეორის მაგვარი შემადგენლობა და ელემენტთა წყობა და მაინც თვისებით განსხვავდებოდენ ერთიმეორისაგან. ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ატომების სხვადასხვა გვარი განწყობილება სივრცეში. მიუხედავათ იმისა, რომ მათი რიცხვი არ შეცვლილა. ისეთ იზომერიას, რომელიც დამოკიდებულია ნივთიერების ნაწილაკში ატომების სივრცეში სხვადასხვა გვარი განწყობილებისაგან, სტეროიზომერია ეწოდება“. Проф. А. Реформатский, Органическая Химия გვ. 26, 27.

ამრიგათ ცოცხალ ორგანიზმის შემადგენლობის „რაოდენობრივ“ თვალსაზრისზე კი არა, მექანისტური მსოფლმხედველობა ქიმიაში უმარტივეს მოლეკულების წყობილებას და შემადგენელ ელემენტთა გამოკვლევის დროსაც კი მარცხდება. აბა ისეთ რთულ ნივთიერებაზე, როგორიც ჰემაგლობინია, რომლის მოლეკულაში 3000 მეტი ატომი შედის, მექანიკური თვალსაზრისით მსჯელობა ხომ ყოვლად შეუძლებელია.

არა თუ დიალექტიური მატერიალიზმი, არამედ თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური ბიოლოგიაც კი არა დგას იმ თვალსაზრისზე, რომელსაც ასე გულდასმით ღაღადებს ჩხენკელი. მექანისტურ დებულებებს სულ უფრო ვულგარულ ფორმებში გვიხატავს, მაგ. მე-200 გვერდზე, სადაც ჩხენკელი ცოცხალ არსთა ქიმიურ ახსნას იძლევა, იმავე შეცდომას იმეორებს, რომელზეც ჩვენ ჯერ აღვნიშნეთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში [illegible]

ჩხენკელს შეუძლია დადგეს წმინდა პოზიტიურ ნიადაგზე და გვიპასუხოს: მე ქიმიას არ ვშორდებიო. მაგრამ მისდა საუბედუროთ 203 გვერდზედ, სადაც ბიუჩლის, ბერშტეინის და ლედუკის ცდებზე სწერს, ჩხენკელი იქვე შემდეგ შემცდარ დასკვნას იძლევა:

„8. დასკვნა. ყოველივე ზემონათქვამიდან ცოცხალ სხეულებსა და არაცოცხალ ტანებს შორის განსხვავების შესახებ შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: არ არის ორგანიზმის არც ერთი ისეთი თვისება, რომელშიაც ჩვენ შეგვეძლოს რაიმე მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი და არაცოცხალ ბუნების ტანებისაგან განმასხვავებელი თვისების დანახვა: ორგანიზმების ყველა თვისებას არაცოცხალ ბუნებაში რაიმე მსგავსი მოვლენა — უპასუხებს“. მაგრამ ჩვენ თუ გულდასმით გადავიკითხავთ იმავე ჩხენკელის მიერ ბიუჩლის, ბერშტეინის და ლედუკის ცდების აღწერას, მაშინ განცვიფრებით შევეკითხებით ჩვენს თავს, თუ საიდან გამოიტანა ჩხენკელმა ასეთი გაბედული დასკვნა. არამც თუ დიალექტიური მატერიალიზმის, არამედ თანამედროვე ბიოლოგის მსოფლმხედველობაც რომ გავიზიაროთ ჩხენკელს მაინც ვერ დავეთანხმებით. აი რას სწერს ლები: „ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ცოცხალ მოლეკულებზე იმ აზრით, როგორც ჩვენ ვმსჯელობთ მოლეკულაზე ფიზიკაში.

ზღვის ზღარბის სულ პატარა კვერცხი, რომელიც მხოლოდ ეხლა იწყებს განვითარებას, თავისთავად სხვადასხვა ნივთიერებათ შენაერთს წარმოადგენს, და თავის სტრუქტურაში აქვს მორფოლოგიური სხვადასხვაობის ელემენტებიც (Леб. „Динамика живого существа).

გამოჩენილ ბიოლოგ ლების აზრით ცოცხალ მოლეკულაზე მსჯელობა ისე, როგორც ჩვენ ვმსჯელობთ ფიზიკაში მოლეკულაზე, არ შეიძლება. ჩხენკელი კი ცოცხალ ორგანიზმებსა და ქვებს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ამჩნევს.

ენგელსმა ბევრჯერ აღნიშნა ის ობიექტური პირობები, რის გამოც მე-18 საუკუნის მატერიალიზმი მხოლოდ მექანისტური იყო. ენგელსის აზრით, მაშინ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია არ იყვნენ განვითარებული და ამის გამოც მატერიალიზმი მექანიკას უნდა დაყრდნობოდა. მე-19 საუკუნეში ბუნებისმეტყველება ძალიან წინ წაიწია. ქიმია, ფიზიკა, და ბიოლოგია არამც თუ განვითარდა, არამედ ძველი შეხედულება სხვადასხვა ფილოსოფიურ კითხვებზე უტყუარი ცდების საშუალებით სულ უარყო. საჭირო შეიქნა მატერიალიზმის განვითარება და მის მეცნიერულ მიღწევათა სიმაღლემდე აყვანა.

ამავე დროს ჩვენ [illegible] უნდა გვახსოვდეს, რომ მექანისტური მატერიალიზმი, მატერიალიზმის ვულგარული და ძველი მსოფლმხედველობაა. და ამიტომ ყოველ კერძო შემთხვევაში მექანისტური მატერიალიზმის დიალექტიური მატერიალიზმით შეცვლას უნდა შევეცადოთ, რადგან ის მექანიურია და მაშასადამე ცალმხრივია.

გრ. ბ — ძე.

31 მაისი, 1930 წელი.
ქალ. ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

მხატვრული ლიტერატურა

		გვ.
1.	**გრიგოლ ცეცხლაძე**—აბეზარ მოკალმეებს	7
2.	**ვიქტორ გიბესკირია**—მინდვრად	9
3.	**ი. ლისაშვილი**—მშრომელთა დღესასწაულზე სოფლად	10
4.	**კალე ბობოხიძე**—მუშათა უბანში	12
5.	**ალ. ქუთათელი**—განთიადის წინ	13
6.	**რაუდენ გვეტაძე**—ჭიაკოკონა	41
7.	**ალ. აბაშელი**—ქალი სარკეში	60
8.	**დ. სულიაშვილი**—შორეული	83
9.	**ი. ლიბედინსკი**—გმირის დაბადება (თარგმ. ა ჭ—ძის)	113

მეცნიერება, კრიტიკა, პუბლიცისტიკა

10.	**კ. გორდელაძე**—ორგანიული მიმართულება სოციოლოგიაში	143
11.	**დ. გვაზავა**—წვრილი წარმოების თეორია და კოლექტივიზაცია	165
12.	**ალ. ჭეიშვილი**—ბრიგადელის დღიური	189
13.	**ტიციან ტაბიძე**—დავით კლდიაშვილი	216

ბიბლიოგრაფია

14.	**გრ. გ—ძე. ა. ჩხენკელი**—ბიოლოგია	226